

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

1 ივნისი 2012 №11(167)



იაკობი — მარადი მოძღვარი
გივი ალნაზიშვილის ლექსები
მისი ცხოვრების მისტერიები
ჯემალ აჯიაშვილის სონეტები
ინტერვიუ გოგი ქავთარაძესთან
ფრაგმენტები ჩესლავ მილოშის ბიოგრაფიიდან
კონსტიტუციონალიზმი — რეალური დემოკრატია
ეტიუდის დაბადება პარტიის სულიდან
ეს ჯადოსნური ქართული ანბანი
ფრიდემ კარინტის ნოველები
საუკუნის გვიანი მგზავრები
მაკა ჩარკვიანის ნოველა

შინაარსი

ინაოპის გზით	2	თამარ ყალიჩავა მარადიული მოქალაქის შთაბეჭდილი პორტრეტი (იაკობ გოგებაშვილის აღსრულებიდან ასი წლისთავი)
მსოფლიო გზაგზა	4	ლევან ბრეგაძე ეტიუდის დაბადება პრაქტიკული პარტიის სულიდან
მსურავს-ჩნებარევი	6	გოგი ქავთარაძე „თოვლივით უბრალო და ლამაზი...“ (მომზადა ნატა ვარადაძე)
შტრიხები პორტრეტისათვის	7	გივი თორელი ამ ამოუცნოვ ცრუ მოქრობას შვილიც კი ვერაფერს უბეჭდა (მიხეილ მესხი)
აროზა	8	ლაშა იმედაშვილი ჰალალი თბილისური ამბავი
	20	მაკა ჩარკვიანი მემორა ცვლა
აირველი შთაბეჭდილება	24	მაკა ჯოხაძე შინი სახელი
აოზინა	26	გივი აღხაზიშვილი დიალოგი ნაცნობთან და სხვა ლექსები
	29	ჯემალ აჯიაშვილი სონეტები
უსმოთის სსოვრებიდან	33	ჩესლავ მილოში შრამბენტები ბიობრაფიიდან
დიალოგი	36	ეს ჯადოსნური ქართული ანგანი (საუბარი საჰარ ეშყი-სანისთან)
ნამსვრები	39	გიორგი გაბუნია ეს ჩაპარბული „ჰიმნები ხეებისადმი“
რამორბაში	40	ეკა ბუჯიაშვილი მისი ცხოვრების მისტირები (ლიანა ელიავას წიგნის წარდგინება)
ლიბრატორული სსოვრება	44	თეკლე ჯანელიძე ერთი გვარის საბა (ბექა ქურხულის „ორი მთვარის ამბავი“)
ერი და გადისწარი	45	ზურაბ მარშანია კონსტიტუციონალიზმი ანუ რეალური დემოკრატია (ფიქრები პაატა ჩხეიძის წიგნზე „კონსტიტუციისათვის“)
ლიბრატორული სსოვრება	48	ნუცა მარგველანი ერთხელ არჩეული გზით
წუთები და წლები	49	როსტომ ჩხეიძე საუკუნის გვინი მგზავრები (ბიოგრაფიული რომანიდან „კომიკოსი ტრაგედიაში“)
კრიტიკა	55	მაცაცო ლოცაბერიძე „და დაფარვათაბს აღდმინი-პაქალა აუთვლელ დროში“ (რეზო ჭეიშვილის „კუდიანი ვარსკვლავი“)
	57	სოფიო ჯაფარიძე ვეება ნაბიჯებით (გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების მიხედვით)
ახალი თარგმანები	59	ფრიდემ კარინტი ორი ნოველა
მოზაიკა	63	რეაბილიტაცია

ორკვირული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge



შეამუშავდა და დაბეჭდა „ომეგა ტეგ“
საპრინტინგო, თბილისი, სარაიშვილის 17
თელფონი: 00 995 322 55 03 62

PRINTED BY "OMEGA TEG" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 55 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: რეზო ჭეიშვილი

თამარ ყალიჩავას ფოტოგრაფიული

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 15 ივნისს

თამარ ყალიჩავა

მარადიული მოძღვრის შთაბეჭდავი პორტრეტი

(**იაკობ გოგებაშვილის
აღსრულებიდან ასი წლისთავი**)

უფლის მიერ ხელდასხმულ, გამორჩეულ მამულიშვილს — იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც თავისი მოქმედებითა თუ ნააზრევით შექმნა ქვაკუთხედი, დედაბოძი ჩვენი ეროვნულობისა 1912 წლის 10 ივნისს ქაშუეთის ეკლესიაში ამ სიტყვებით გამოეთხოვა ტაძრის დეკანოზი **კალისტრატე ცინცაძე**: „მან უარყო თავი თვისი, აღიღო ჯვარი მასწავლებლობისა და შეუდგა მშობლის ერისა ღვთის მსგავსებისა და ქვეყანაზედ გაბატონების გზაზედ დაყენებას...“

ნიკოლოზის 7-ს ხშირად სტუმრობდა იაკობ გოგებაშვილი, რადგანაც მისი თხზულებები ამ შენობაში გამართულ მაქსიმე შარაძის სტამბაში იბეჭდებოდა. სტამბა, ილია ჭავჭავაძის დის, ელისაბედის სახლში იყო მოწყობილი, აქვე გახლდათ „ივერიის“ რედაქცია და 1901 წლამდე ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე. ამ სახლში, დღევანდელი ჯავახიშვილის 7 ნომერში ილია ჭავჭავაძის **ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი მდებარეობს**. სწორედ მან უმასპინძლა იაკობ გოგებაშვილის აღსრულებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას.

თავყრილობას მუზეუმის საგანმანათლებლო განყოფილების გამგე **ნანა სახვაძე** გაუძღვა, მან საზოგადოებას წმინდანად შერაცხული მამულიშვილის, დიმიტრი ყიფიანის დაბადების დღე მიულოცა და მომხსენებელი — მუზეუმის მემორიალური განყოფილების გამგე — **ლელა კალანდაძე** წარადგინა:

— იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი შესრულდა. მართალია, წლისთავი ივნისშია, მაგრამ გარდაცვალების დღე არ არის ისეთი თარიღი, ზუსტად იმავე დღეს გადავიხადოთ.

ლელა კალანდაძის მოხსენების თემა **იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება-მოქალაქეობა** (ეფუძნება იაკობ გოგებაშვილის თანამედროვეთა მოგონებებს) იყო, მან იაკობ გოგებაშვილის პორტრეტი ქართველთა მარადიული მოძღვრის თანამედროვეთა გადმოცემებზე დაყრდნობით წარმოსახა. კერძოდ: **კალისტრატე ცინცაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, იონა მეუნარგიას, არტურ ლაისტის, დიმიტრი ბაქრაძის, ანტონ ფურცელაძის, იოსებ მამაცაშვილის, იაკობ მანსვეტაშვილის, ილია ზურაბიშვილის, იოსებ იმედაშვილის**. ისაუბრა იაკობის ღვან-ღვანულა სამღვდელეობისა და საერთოდ ქართული ეკლესიის

ღირსების აღსადგენად. მის სამაგალითო ჰუმანიზმზე, როცა ანდერძში განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, გაუნანილებია ის ნივთიერი მემკვიდრეობა, რომელსაც ფლობდა. ამიტომაც ქართველებთან ერთად, მას არანაკლები ინტერესით უნდა იგონებდნენ და პატივს მიაგებდნენ სხვა ეთნოსის წარმომადგენელნიო, — ბრძანა მომხსენებელმა.

სანამ ლელა კალანდაძე მსმენელს მომზადებულ მოხსენებას გააცნობდა, ასე მიმართა:

— იაკობ გოგებაშვილი არაერთხელ მოსულა ამ შენობაში, ამ სახლში, და წელს, როდესაც მას შეუსრულდა აღსრულებიდან ასი წელი, უპირიანი იყო, რომ აქ გამართულიყო ეს საღამო. თუმცა, როდესაც ექსკურსიებს ვატარებთ, ყოველდღიურად მოვიხსენიებთ იაკობს. XIX საუკუნე და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ძალიან მწირი იქნება იაკობ გოგებაშვილის გარეშე.

— იაკობი გახლავთ მოძღვარი ჩვენი მამა-პაპისა, მის მოძღვრებაზე აღვიზარდებით ჩვენ და იგი გვეგულება მომავალი თაობებისათვის გზის მაჩვენებელ ლამპრად — თუ გვინდა, რომ ეროვნული ნიშანი შერჩეს ჩვენს მოდერს.

ღონისძიების საპატიო სტუმარმა, იაკობ გოგებაშვილის ნათესავმა, ფრანგული ენის სპეციალისტმა, მთარგმნელმა **მანანა ჯაოშვილმა** მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და საზოგადოებას იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის საქმიანობაზე მოუთხრო, რომელიც ამჟამად სავალალო მდგომარეობაში ყოფილა:

— რამდენიმე ქალბატონი **აზა ბუაძე, სულიკო ზანდუკელი** და სხვანი, თავგამოდებულნი იბრძვიან იაკობის მემორიალური ნივთების, მის ირგვლივ არსებული ინფორმაციის შესაკრებად. სამწუხაროდ, დღეს ეს საზოგადოება და მასთან არსებული მუზეუმი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, მათ განათლების სამინისტროს მეორე კორპუსში რამდენიმე ოთახი ჰქონდათ გამოყოფილი და იქ იმყოფებოდნენ. დღეს ეს შენობა სამინისტროს აღარ ეკუთვნის. იაკობის მემორიალური ნივთები თუ მისი ძმისშვილის შალვა გოგებაშვილის ოჯახიდან წამოღებული ნივთები გადატანილია კინოსა და თეატრის მუზეუმში და კარგად არის შენახული, მაგრამ დანარჩენი ნაწილი არქივისა: ნაშრომები იაკობის შესახებ, იაკობის სახელთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტები — ფაქტობრივად ღია ცის ქვეშაა დარჩენილი. არადა, ისინი მოვლასა და მზუნველობას საჭიროებენ. თითოეული წლების მანძილზე გროვდებოდა და ერთბაშად განადგურება დიდ ზიანს მოუტანს ქართულ საზოგადოებას.

მანანა ჯაოშვილი კიდევ ერთ აქტუალურ საკითხს შეეხო და საზოგადოებას მოუთხრო, რა ერგო მის მემკვიდრეებს დიდი წინაპრისაგან:

— ხელთ მაქვს იაკობ გოგებაშვილის საგვარეულო ნუსხა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ვაკეთდა და თავმოყრილია იაკობის მშობლებიდან მოყოლებული მისი დამძმების შთამომავალთა სია. დიდი სია გახლავთ. ხშირად აღინიშნება, რომ იმ ქონებიდან, რომელიც იაკობს დარჩა, ნათესაობას არაფერი რგებია. ეს რამდენჯერმე გახშიანდა ბოლო წლებში. სინამდვილეში, იაკობმა დიდი ამაგი დასდო ნათესაობას, თავის მემკვიდრეებს. მან იზრუნა უმთავრესზე, მათი განათლების პრობლემაზე. მოგეხსენებათ, იაკობის დროს განათლება საკმაოდ ძვირადღირებული სი-

ამოვნება იყო, ამიტომაც, როდესაც იაკობმა თავისი ქონების უდიდესი ნაწილი გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ანდერძის მინაწერში ნათქვამი იყო, რომ მისი და-ძმების შთამომავლებს, ყველას ეკუთვნოდა უფასო განათლება. თითო ოჯახიდან თითო ბავშვს, რომელიც დაიმსახურებდა, შეეძლო უმაღლესი განათლების მიღება უცხოეთში.

ცნობილია, რომ იაკობი განსაკუთრებით ძმისშვილზე, შალვა გოგებაშვილზე ზრუნავდა. მან შალვა ჯერ ვარშავაში გაგზავნა, საიდანაც ის ხარკოვში გადავიდა. იგი ეკონომისტი გახლდათ და წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტი იყო. გარდა ამისა, დააარსა ცეკავშირი საქართველოში, მასაც დიდი ამაგი აქვს ქართველ ხალხზე. სანყენია, რომ თუმცა იაკობს 5 ძმა და 2 და ჰყავდა, მის მემკვიდრეთაგან დღეისათვის გოგებაშვილის გვარს არავინ ატარებს..

ნანა ქიტიაშვილი (საექსპოზიციო განყოფილების გამგე):

— ღია ცის ქვეშ დარჩენილი ნივთები არ შეიფარა კინოსა და თეატრის მუზეუმმა? ოფიციალურად ვის ეკუთვნის ეს ნივთები?

მანანა ჯაოშვილი:

— კინოსა და თეატრის მუზეუმს არ შეუძლია ყველა ნივთის შეფარება, ვერც კი დაეტევა. ნივთები იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირს ეკუთვნის, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაშია.

ნანა ქიტიაშვილი:

— მემორიალური მუზეუმი არ არსებობს?

მანანა ჯაოშვილი:

— სახლ-მუზეუმი სოფელ ვარიანშია; თბილისში არაა... აქ მხოლოდ ხსენებული მუზეუმი იყო, რომელშიც მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები იქმნებოდა, რადგანაც ეს ქალბატონები არამარტო აგროვებდნენ ამ ნივთებს, კიდევ შეისწავლიდნენ, აგრეთვე დანესებულ იყო იაკობის სახელობის მედალი, რომელიც გადაეცემოდათ დამსახურებულ პედაგოგებს, წიგნის ავტორებს, მაგრამ დღეისათვის ყველაფერი შეზღუდულია, რადგანაც მათ აღარც მატერიალურად ძალუძთ რაიმე, მითუმეტეს, შენობაც აღარ გააჩნიათ.

ნანა ქიტიაშვილი:

— ვარიანის მუზეუმს რომ გადაეცეს, იქაც არ არის შესაბამისი პირობები?

მანანა ჯაოშვილი:

— ვარიანის სახლ-მუზეუმიც არ არის დიდი შენობა, მაგრამ საბოლოოდ ალბათ იქ მოიყრის თავს ყველაფერი. ასე უფრო ლოგიკური იქნება. თუმცა, ის პატარა შენობაც რამდენს დაიტევს, ძნელი სათქმელია... ვარიანის სახლ-მუზეუმს გოგებაშვილთა ნათელმირონები, მათი მეზობ-

ლები, ბერკაციშვილები განაგებენ. მუზეუმი ადგილობრივ გამგეობას ექვემდებარება.

კიკეთში ძალიან პოპულარული გახდა **იაკობ გოგებაშვილის სახელობის სკოლა**, რომელიც **ლევან ვასაძის** გახსნილია. ჩემი ინიციატივით, **მამა ზურაბის** ხელით მას წერილი გავუგზავნე. შესაძლოა, როცა საშუალება ექნება, გამოგვეხმაუროს... საზოგადოება განათლების სამინისტროს ბაზაზე არსებობდა, ალბათ მასვე ეკისრებოდა ზრუნვა, მაგრამ კულტურის სამინისტროც გამოიჩინეს ალბათ ინტერესს. იქნებ ყველამ ერთად ვიზრუნოთ ამ მემკვიდრეობაზე.



იაკობ გოგებაშვილი

ნელი ბუმბიშვილი (მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი) საზოგადოებას იმ თანამშრომლობაზე მოუთხრო, რომელიც წლების წინათ გოგებაშვილის საზოგადოებასთან აკავშირებდა მუზეუმს. მას იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრის, მანანა ჯაოშვილის მონაწილეობით ამ ურთიერთობის აღდგენა და გაგრძელება სავსებით შესაძლებელი ჰგონია.

თამარ კობახიძე (მუზეუმის დირექტორის მოადგილე) იაკობ გოგებაშვილის წერილი მოიგონა, სადაც მოძღვარი საუბრობდა აფხაზეთის მიწაზე კავკასიელთა ჩასახლების აუცილებლობაზე, რაც ერთ-ერთი საშუალებად ესახებოდა, მიწა-წყალი და კერა რომ არ დაეკარგათ უკან მობრუნებულ აფხაზებს. მან შალვა გოგებაშვილის იმ მოღვაწეობაზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც ცეკავშირის დამაარსებლის პოლიტიკურ საქმიანობას წარმოაჩენდა.

— ცეკავშირის დაარსება არ ყოფილა შემთხვევით, ეს საერთაშორისო ორგანიზაცია საბჭოთა კავშირის ჩაკეტილ სივრცეში ეკონომიკური კავშირის საშუალება იყო მსოფლიო ბაზართან. მერე, როდესაც კოტე აფხაზის ხელმძღვანელობით, სხვა ქართველებთან ერთად წინააღმდეგობის მოძრაობა რომ ყალიბდებოდა 20-იან წლებში, გასაბჭოების შემდეგ, ფინანსური დახმარება სწორედ ცეკავშირიდან წამოვიდა. ასე რომ, შალვა გოგებაშვილის საქმიანობა არა მარტო ეკონომიკური, არამედ ღრმად პოლიტიკურიც იყო.

სალამოს დასასრულს, ილია ჭავჭავაძის მეგობრის, **ივანე ავალიშვილის** შთამომავალი, **ქეთევან ავალიშვილი** წარსდგა, რომელმაც დიდი წინაპრის არქივიდან ნაკლებად ცნობილი წერილი გაცნო საზოგადოებას. წერილი 1953 წელს გამოცემულ, ივანე გიორგის ძე ავალიშვილის ნიგნშია („სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“) შეტანილი. მარადიული მოძღვრის კეთილშობილებამ და დიდსულოვნებამ კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა მსმენელი.

ლევან ბრეგაძე

ეტიუდის დაბადება პრაქტიკული პარტიის სულიდან

ვიდრე მთავარ სათქმელს მივადგებოდე, ერთ ჩემს საჭადრაკო ნოველას გავიხსენებ, რომელიც 1992 წელს გამოვაქვეყნე გაზეთ „მშობლიურ კერაში“ სათაურით „ეტიუდის დაბადება“:

პირველ დიაგრამაზე გამოსახული პოზიცია შეიქმნა 1962 წელს საქართველოს მოსწავლეთა XIV რესპუბლიკურ სპარტაკიადზე გათამაშებულ პარტიაში. თეთრებით არის თბილისელი პირველთაწრიგოსანი ვახტანგ პაპიაშვილი, შავებით — ამ სტრიქონების ავტორი, ტყიბულის მოსწავლეთა ნაკრების წევრი (მეორეთაწრიგოსანი).

ძალიან მინდოდა ამ პარტიის მოგება. ბოლო ტური იყო (პირად-გუნდური ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით ტარდებოდა რვა ტურად). თუ გავიმარჯვებდი, რვიდან ხუთ ქულას ვაგროვებდი, რაც დედაქალაქში ჭადრაკის სათამაშოდ პირველად ჩამოსული 15 წლის ყმაწვილისთვის ურიგო შედეგი არ იქნებოდა.

ერთობ მწვავე შეხლა-შემოხლის შემდეგ („ორი მხედრის დაცვა“) ეს პოზიცია მივიღეთ:



აქ მხედრით ქიში გამოვაცხადე (46. ... მფ3+) და თუმცა ძლიერ ცაიტნოტში ვიყავი, ჩემი ფიქრით, ადვილად უნდა მომეგო. ამის იმედს ის მაძლევდა, რომ მეტოქის მეფე იძულებულია h1 უჯრაზე ჩავიდეს და ლაზიერისა და მხედრის ერთი შეხედვით მრისხანე ბატარეას შეუშვიროს თავი. რა მეგონა, თუ აქ გახსნილი ქიშით ვერაფერს გავხდებოდი! მაგრამ მოგება არ ჩანს! ბევრი ფიქრის დროც აღარ მქონდა, რამდენჯერმე გამოვაცხადე მხედრით გახსნილი ქიში სხვადასხვა უჯრიდან და მუდმივი ქიშით ყაიმს დავჯერდი.

30 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩავხედე ამ პარტიას და... ვიპოვე მოგების გზა. დიაგრამაზე გამოსახულ პოზიციაში მხედრით კი არ უნდა მეთქვა თურმე ქიში, არამედ ლაზიერით:

46. ...ლე5+! 47. მფh1 ლდ5+! 48. მფh2.


შავი ლაზიერი თითქოს ერთსაფეხურიანი კიბით ჩამოვიდა დაბლა („დაბლა“ შავების მხრიდან). ეს „კიბე“ იმისთვის დასჭირდა, რომ d ვერტიკალზე მოხვედრილიყო. ახლა ვითამაშოთ 48. ...ლდ2! და თეთრები უნდა დანებდნენ: ლაზიერების მათთვის არახელსაყრელი გაცვლა გარდუვალია, რის შემდეგ შავი პაიკი ახალ ლაზიერად მოგვევლინება.

აი ასე ლამაზად შემეძლო თურმე დამემთავრებინა ტურნირის ბოლო პარტია! ეტიუდურ სტილში!

მაგრამ ამ პოზიციაში ნამდვილი ეტიუდიც იმალება. „კიბე“, რომელიც შავმა ლაზიერმა გამოიყენა, შეიძლება დაგრძელდეს. თუ ლაზიერს e4-დან a8 უჯრაზე გადავსვამთ, მაშინ მან „ალტქმულ“ d2 უჯრაზე მოსახვედრად უკვე ოთხსაფეხურიანი „კიბე“ უნდა აიაროს (პარტიაში ის ზემოდან დაეშვა, ახლა კი ქვემოდან ზემოთ მიემართება):

1. ...ლb8+ 2. მფh1 ლb7+ 3. მფh2 ლc7+ და ა. შ.

მას შემდეგ, რაც მოვიშორე ყველა ზედმეტი ფიგურა, შესავალ თამაშზეც ვიზრუნე და, როგორც ეტიუდს შეჭვერის, შავი ფიგურები (რაკი ისინი იგებენ) თეთრებით შევცვალე, თეთრები კი — შავებით. მოკლედ, ასეთი რამ გამოვიდა:



თეთრები ასე იგებენ:

1. ლa8+ კგ8 2. ლa1+ მფh7

ლაზიერის ამ ორ უგრძეს სვლას ახლა უმოკლეს სვლათა გრძელი სერია მოჰყვება (კონტრასტი!):

3. ლb1+ მფh8 4. ლb2+ მფh7 5. ლc2+ მფh8 6. ლc3+ მფh7 7. ლd3+ მფh8 8. ლd4+ მფh7 9. ლd7 და თეთრები იგებენ.

გეთანხმებით! ფინალი ნაკლებ ეფექტურია, მაგრამ ამას რამდენადმე ანაზღაურებს ორი საინტერესო მცდარი კვალი, რომელთა მიუგნებლად ეტიუდი ამოხსნილად ვერ ჩაითვლება:

1) 1. ლa1+ მფგ8 2. მფ6+ მფh8!

ყველა სხვა სვლა აგებს, ასე კი ყაიმია, რადგან, როგორც ეტიუდის წინამორბედი პარტიიდან ვიცით, ლაზიერისა და მხედრის ბატარეა აქ უძლურია. ამ მცდარმა კვალმა უნდა გაანვალოს ამომხსნელი, როგორც მე გამანვალა პარტიაში — ძნელი დასაჯერებელია, რომ გახსნილი ქიშით აქ ვერაფერი მიიღწევა!

2) 1. ლa1+ მფგ8 2. ლa8+ ლf8 3. მფ6+ მფგ7 4. ლ: f8+ მფ: f8 5. მ: h7 მფe7.

თეთრებმა ფიგურა მოიგეს, მაგრამ ყაიმია, რადგან მხედარი ვერ მიდის g5-ზე.

აი ეს ამბავი მოვუთხრე მკითხველს 1992 წელს გაზეთ „მშობლიურ კერაში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ ჩემს მორიგ საჭადრაკო ნოველაში.

ორი წლის წინათ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა საჭადრაკო კომპოზიციაში, ბატონმა დავით გურგენიძემ, რომელსაც მაშინ პირადად არ ვიცნობდი, დამირეკა და მითხრა, თქვენი ეტიუდი გადავამუშავე, და, თუ თანახმა იქნებით, რომელიმე კარგ კონკურსზე წარვადგინოთო.

როგორ არ ვიქნებოდი თანახმა!

ბატონმა დავითმა შთამბეჭდავი ფინალი მოიფიქრა და საბოლოოდ ეტიუდმა ასეთი სახე მიიღო:



1. ლა8+ კვ8 2. ლა1+ მფხ7 3. ლბ1+ მფხ8 4. ლბ2+ მფხ7 5. ლც2+ მფხ8 6. ლც3+ მფხ7 7. ლდ3+ მფხ8 8. ლდ4+ მფხ7 9. ლდ7 კვ7+! 10. ef ლ: d7 11. f8მ+ მფხ8 12. მ: d7 გ3 13. მფვ6! (13. მე5 მცდარი კვალია. მართალია, მხედარი აჩერებს გამსვლელ პაიკს, მაგრამ ასე მხოლოდ ყაიმი გამოდის) 13. ... გ2 14. მე5 გ1ლ 15. მფ7+ მფვ8 16. ხ7+ მფვ8 17. ხ8ლ+ და თეთრები იგებენ (თუნდაც ასე: 17. ... მფე7 18. ლდ8+ მფე6 19. ლდ6x).

სამფაზიანი ეტიუდი გამოვიდა. პირველ ნაწილში უცვლელი დარჩა ლაზიერის „კიბე“ და კიბემდე მისასვლელი მანევრი ჩემი ეტიუდიდან; მეორე ფაზა შავების ფეფქტურ თავდაცვას (9. ... კვ7+!), თეთრი ლაზიერის დროებით შეწირვასა და მხედრის გაცოცხლებით მისი დაბრუნების მოტივს შეიცავს; მესამე ფაზაში შავი გამსვლელი პაიკის მოტივია წარმოდგენილი, რომელსაც თეთრები ხელს არ უშლიან ლაზიერად გარდაქმნაში, ოღონდ ამასობაში საშამათო ქსელში ახვევენ შავ გვირგვინოსანს.

შარშან, წლის ბოლოს, სანკტ-პეტერბურგში გაავზავნა ბატონმა დავითმა ეტიუდი უგამოჩენილესი მოჭადრაკის, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის, მიხეილ ბოტვინიკის დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც საჭადრაკო ჟურნალმა „ზადარი ი ეტიუდი“ გამოაცხადა, და... მაისის დამდეგს დამირეკა, ინტერნეტში შედი, კონკურსის შედეგებია გამოქვეყნებული, გავიმარჯვეთ, პირველი პრიზი მოგვანიჭესო!

102 ეტიუდი ყოფილა კონკურსზე წარმოდგენილი ოცი ქვეყნიდან (ავსტრიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, არგენტინიდან, ბელორუსიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, ისრაელიდან, იტალიიდან, ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან, საქართველოდან, სერბიიდან, სლოვაკიიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, უნგრეთიდან, ყირგიზეთიდან და ჩეხეთიდან).

მემორიალური კონკურსი „მ. ბოტვინიკი-100“ ღირსი აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონის სახელისაო, — აცხადებს

კონკურსის ჟიური (მსაჯი — საერთაშორისო ოსტატი ლეონარდ კაცნელსონი) და იქვე ამასაც იუნწყება: „გამოვზავნილ ეტიუდთა დონე ძალიან მაღალი იყო, რაც აისახა კიდევ პრიზების რაოდენობაზეო“.

შვიდი მთავარი პრიზი ასე განაწილებულა:

I პრიზი — ლევან ბრეგაძე და დავით გურგენიძე (ორივე საქართველოდან);

II პრიზი — იოჰანან აფეკი (ისრაელი);

III-V პრიზები (თანაბარი უფლებით) — სერგეი დიდუხი (უკრაინა), ედუარდ ეილაზიანი (უკრაინა), იან ტიმანი (ნიდერლანდები);

VI პრიზი — ალბერტ ბელიავსკი (სანკტ-პეტერბურგი);

VII პრიზი — ედუარდო მ. ირიარტე (არგენტინა).

ჩვენი ეტიუდი ჟიურის ასე შეუფასებია:

„თეთრი ლაზიერის ფართო მანევრებს, რაც ზუსტი დანიშნულების მქონე კიბისებურ მოძრაობაში გადადის, მოსდევს ორმხრივი შეწირვები და პაიკის სუსტ ფიგურად გარდაქმნა. ეტიუდის ფინალს ამშვენებს გაცოცხლებული მხედრის ძლიერი მცდარი კვალი. დიდებული ბატალური ტილოა!“ (ბოლო წინადადება დედანში ასეა: „Роскошное батальное полотно!“).

აი ასეთი მართლაც რომ ნოველური თავგადასავალი გადახდა ზუსტად ნახევარი საუკუნის წინ მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ნათამაშებ პარტიაში ჩემ მიერ თავის დროზე მიუგნებელ მანევრს!

და ბოლოს: ამ პუბლიკაციის სათაურად ერთ დროს პოპულარული ფილოსოფოსის ცნობილი ნაშრომის სახელწოდების პერიფრაზი რომ გამოვიყენე, ალბათ მიხვდით.



ფოტოეტიუდი ვაჟა დანელიანი

მიხეილ ბოტვინიკის დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონკურსის პირველი პრიზის მფლობელი ლევან ბრეგაძე და დავით გურგენიძე

გოგი ქავთარაძე

„თოვლივით უბრალო და ლამაზი...“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— სიღარიბე.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სადაც ვცხოვრობ — საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— თავისუფლება! (ვფიქრობ, სხვა ენაში ასე ზუსტად არაა გამოხატული ამ სიტყვის მნიშვნელობა — თავისი თავის უფალი!)

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— დათა თუთაშხია.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი და სტალინი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ელ გრეკო.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ვაგნერი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— რისკზე წასვლას...

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ჭკუას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— უანგარობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ჩემი პროფესია.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ცოცხალი იდეალი არა მყავს.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— გულწრფელობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ყურადღებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— გულწრფელობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერება!...(პარადოქსია, მაგრამ ასეა)

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ქართველი რომ არ ყოფილიყავი.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— თავშეკავებული.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— შავი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არავითარი სიყვარული ფრინველთა მიმართ არ მაჩნია.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ვაჟა-ფშაველა და ლევ ტოლსტოი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, გალაკტიონი და ისევ გალაკტიონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოთარანთ ქვრივი. (სიუჟეტიდან გამომდინარე კი არა, არამედ, საერთოდ, მისი ხასიათის მთავარი თვისებების გამო: ძლიერი პიროვნებაა და მარტოსული).

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ასეთი გმირი არა მყავს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან წამებული.

— საყვარელი სახელები?

— ბიძინა და ბექა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ქედმაღლობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— თუ ის ისტორიული პიროვნებაა, მაშინ ზიზღს აღარ იმსახურებს...

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ბუნებით კონსერვატორი ვარ და რეფორმები არ მიყვარს.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკალურსა და მხატვრობის ნიჭს.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მინდა ხალისიანად და უშიშრად გარდავიცვალო.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ძალიან აფორიაქებული...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველაფერს ვაპატიებ, ღალატსაც — კი.

— თქვენი ღვევი?

— თოვლივით უბრალო და ლამაზი! (რისკენაც მივისწრაფვი ჩემი შემოქმედებით).

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ნუ ჩქარობ, ნუ ჩქარობ!



ამ ამოუცნოვ ცრუ მოძრაობას შვილიც კი ვერაფერს უბეჭდა

რა სწრაფად გარბის დრო! უკვე 75 წელი შესრულდა განუმეორებელი ფეხბურთელის მიხეილ მესხის დაბადებიდან, რომლის თამაში არც ისე ხნიერ გულშემატკივრებს დღესაც მშვენივრად ახსოვთ. აი, როგორ იგონებენ მიხეილ მესხს მისი პარტნიორები და აღზრდილი. მათ არც ის გამოორჩენიათ, რომ ელენიო ერერამ მესხი გარინჩას შეადარა და, რა თქმა უნდა, სხვა ქართველ ფეხბურთელებთან ერთად ის სურათიც გაიხსენეს, სადაც ამოუცნობი, ცრუ მოძრაობების ავტორი პელესთან ერთად არის გადაღებული.

ვიქტორ პონედელნიკი

თამაშის დროს მიხი, როგორც მას ნაკრებში ვეძახდით, საერთოდ განუმეორებელი იყო. მის საფირმო ცრუ მოძრაობას ვერც ერთმა მცველმა ვერაფერი გაუგო. ეს მოძრაობა ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, თუმცა მაინც ვერაფერს უპირისპირებდნენ.

ცრუ მოძრაობისას მიხი ბურთს მარჯვნიდან შემოუტრიალებდა მეტოქეს, თვითონ კი მარცხნიდან შემოურბენდა. შეეძლო ეს პირიქითაც გაეკეთებინა. ამის შესახებ ბევრი უთქვამთ და დაუნერიათ. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც რჩებოდა, რომ მესხმა წინასწარ არც კი იცოდა, როგორ მოეტყუებინა მეტოქე, გადანყვეტილებას ელვისებურად იღებდა, რაც პარტნიორებისათვისაც კი ზოგჯერ გაუგებარი ხდებოდა. ძლიერი, ზუსტი დარტყმა ჰქონდა, თუმცა ამჯობინებდა ბურთი თავისი მარცხენა ფრთიდან პარტნიორისათვის გადაეწოდებინა.

ანზორ კავაზაშვილი

მე და მიშამ თბილისის „დინამოში“ ერთდროულად (1959 წ.) დავეინყეთ თამაში. ძალიან დავემეობრდით და ჩვენი მჭიდრო ურთიერთობა სამუდამოდ გაგრძელდა. თბილისში რომ ჩამოვდიოდით, ყოველთვის სახლში მპატიჟებდა. ამასვე ვაკეთებდი მეც მოსკოვში. ერთხელ კი სანტიაგოში ორივენი ერთად დაგვპატიჟეს. სასტუმროში მესხთან მივიდა ხნიერი მამაკაცი, რომელიც მას ქართულად დაელაპარაკა. გამოირკვა, რომ იგი, ქართველი, უკვე მრავალი წელია ჩილეში ცხოვრობდა და გულისტკივილით იგონებდა სამშობლოს. მისივე თავისთან დაგვპატიჟა: მესხიც, მეც, მეტრეველი, ხურცილავა, კუტივაძე. საუბარმა რამდენიმე საათს გასტანა, შემდეგ მან მარანში ჩაგვიყვანა, სადაც ყველას ღვინის ბოთლები მოგვცა და გვთხოვა, ქართულად მოგვეწერა ხელი თეთრ ტილოზე. შემდეგ ამ წარწერებს აბრეშუმის ძაფებით ამკობდნენ. ამას საქართველოდან ჩასული ყველა სტუმარი აკეთებდა.

გვქონდა კიდევ ერთი ქართული შეხვედრა ლათინურ ამერიკასთან. 1965 წლის ზაფხულში, მოსკოვში მიშამ, მე, სლავა მეტრეველმა და გიორგი სიჭინავამ სურათი გადავიღეთ ყველანაირი განთქმულ სამხრეთამერიკელთან — პელესთან. ლუჟნიკში ბრაზილიელებმა დაგვამარცხეს ანგარიშით 3:0.

ეს მატჩი ერთი ამბითაც დაგვამახსოვრდა. მაშინ მაისურების გაცვლა მიღებული არ იყო. ამის მიუხედავად მატჩის შემდეგ ვილაცამ მოახერხა პელესთვის მაისური გაეხადა. ვის უნდა გაეკეთებინა ეს? აი, ვის — ბოლოსდაბოლოს, მიგზვდი, როცა მესხის გარდაცვალების შემდეგ მის სახლში 10-ნომრიანი მაისური დავინახე. შეიძლება, კიდევაც შეეცდი. მიხეილ მესხი-უმცროსი ხომ შესანიშნავი ფეხბურთელი იყო, თამაშობდა თბილისის „დინამოში“, მოსკოვის „სპარტაკში“ და ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში. შეეძლო სურათი მას შეეძინა.

ვაჟა ყვანია

როცა თამაშს თავი დანება, მიხეილ მესხს სთხოვეს, „დინამოს“ ერთ-ერთი მწვრთნელი გამხდარიყო, მაგრამ მან ამჯობინა ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ავაზაში“ ემუშავა. აქ მან 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე არაერთი პროფესიონალი ფეხბურთელი მოამზადა. მათ შორის ყველაზე ნიჭიერი იყო, რა თქმა უნდა, მისი შვილი მიშა, რომელმაც მოსკოვის „სპარტაკში“ ბესკოვის ხელმძღვანელობით, ოქროს მედალი მოიპოვა. ბედმა მეც გამოიღიმა — მესხის სკოლაში ვმეცადინეობდი. შეუდარებელი მწვრთნელი იყო სკოლის დირექტორი, ოთახში არ ჩერდებოდა, დიდ დროს ატარებდა ჩვენთან მინდორზე. არაფერს გვიმალავდა. უნდოდა, ჩვენთვის თავისი განთქმული ცრუ მოძრაობაც შეესწავლებინა, მაგრამ ვერაფერს მოვახერხეთ, მისმა შვილმაც კი.



მიხეილ მესხი

ვიქტორ ცარიოვი

ასაკში განსხვავების გამო იშვიათად მიხედებოდა მინდორზე მესხთან შეხვედრა. 1960 წელს თბილისის „დინამოს“ საფრანგეთში რამდენიმე ამხანაგური მატჩი უნდა გამართა. მას გასაძლიერებლად სამი მოსკოველი დინამოელიც გაგვაცოლეს. პირველ ვარჯიშზე რომ გამოვედით, მიშამ მითხრა: „ბურთს რომ მიიღებ, მაშინვე მე მომანოდე, შემდეგ დადექი და ჩემს ცრუ მოძრაობებს ტაში დაუკარი“. ცხადია, ხუმრობდა, მაგრამ ჩვენ ვარჯიშის დროსაც აღტაცებულებს გვტოვებდა. მარსელში, მაგალითად, პირველი ტაიმის შემდეგ ბევრი მაყურებელი დგებოდა და დასავლეთის ტრიბუნიდან სანინალმდეგო მხარისაკენ მიემართებოდა, რათა მარცხენა ფრთაზე მესხთან უფრო ახლო ყოფილიყო (ეს ბევრ სხვა სტადიონზეც მომხდარა). მოშურნეებიც ჰყავდა. ცეკამიც დააბეზლეს, ქალაქგარეთ სახლი აიშენაო. კიდევ კარგი, სათანადო ნებართვაც აღმოაჩნდა.

მომამზადა
გივი თორეკაშა

ლამა იმედაშვილი

ჰალალი თბილისური ამბავი

თავიდანვე ნათელი იყო, რომ სასამართლოს საშუალო ზომის დარბაზი ყველა მსურველს ვერ დაიტევდა. შენობასთან მიახლოებული ადამიანი ადვილად შეამჩნევდა ზღვა ხალხს, რომლებიც გამწვრივებული პოლიციელების წინ იდგნენ და ლაპარაკით ირთობდნენ თავს. ესენი იყვნენ თბილისელი თუშა-ხელოსნები, რომლებმაც თავიანთ მეგობრებს, თავისნაირ ხელოსნებს სოლიდარობა გამოუცხადეს და იმ დღეს მუშაობაზე უარი განაცხადეს. თბილისი აღარ სუნთქავდა, აქ იყვნენ სტალრები, თერძები, დერციკები, მედუქენნი, ჭონები, მექუდენი, შლაპნიკები, მეჩქემეები, საპოჟნიკები, ხელოსნები, პროლეტარიატი და ბოგანო ხალხი. პოლიცია ბუნტს უფრთხოდა და ამ თავყრილობას გაძლიერებული დაცვით პასუხობდა.

დარბაზში შეშვება საგანგებო მოწვევით ხდებოდა. დაზარალებული ქვრივი ცალკე იჯდა თავის ვეჟილთან ერთად. ეჭვმიტანილებს თავიანთი ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი და ყველას ერთი ვეჟილი ემსახურებოდა, რომელმაც ქართული არ იცოდა. თავის მხრივ რუსული არ იცოდნენ სტალრებმა, მართალია თარჯიმანი კი გამოუყვეს, როგორც ამას იმდროინდელი წესი ითვალისწინებდა, მაგრამ ახლა თარჯიმანს არაფერი გაეგებოდა ქართულისა.

განსაკუთრებული ადგილები ჰქონდათ გამოყოფილი თბილისის საპატიო მოქალაქეებს, მაღალი რანგის ვაჭრებს, სამხედროებს, ქალაქის მთავრობას და თავადაზნაურობას. წინა რიგში იჯდა ალექსანდრე მანთაშევიც, ეს გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო, აბა სხვაგან სად უნდა მჯდარიყო ასეთი სახელოვანი ადამიანი.

მანთაშევი გახლდათ თბილისელი კაცი და კავკასიის უმდიდრესი ადამიანი. პატარაობაში მამას სპარსეთში, თავრიზში გაჰყვა და საქმეც იქ ისწავლა. თბილისში დაბრუნებულმა პირველი მაღაზია სასტუმრო „კავკაზის“ ქვედა სართულზე გახსნა, ამას მოჰყვა თბილისის კომერციული ბანკი, რამდენიმე მანუფაქტურა და ბათუმში ნავთობის საქმე. მანთაშევი თუ რამეს მიზნად დაისახავდა, აუცილებლად მიაღწევდა. ყველა ხერხს ხმარობდა, არც დაშინებაზე ამბობდა უარს და არც ქრთამის მიცემაზე. თუ საკუთარი ხელქვეითები ვერაფერს გახდებოდნენ, დაინტერესებულ პირს თავად ესტუმრებოდა და რამდენიმე სიტყვას ეტყობოდა. ეს სიტყვები ასე ჟღერდა: ერთი აქეთ მომისმინე, გინდა კაცად გაქციო?! ამის შემდეგ უარის თქმა შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. თბილისელებმა ეს ამბავი კარგად იცოდნენ და სულ ასეთი რამის ნატვრაში იყვნენ: ეჰ, ნეტავი მანთაშევის გადავეყარო და კაცად მაქციოსო.

მანთაშევის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და თბილისის ეკონომიკამ განვითარება იწყო, გაჩნდნენ სხვადასხვა ფაბ-

რიკა-ქარხნები: სახაზინო ქვის საწარმო ფაბრიკა, რამდენიმე სადურგლო ქარხანა, თუჯის ჭურჭლეულობათა ქარხანა, ბამბის ქარხანა, ლუდის ქარხანა, საპნის ქარხანა, ტყავის ქარხანა, თიხის ჭურჭლის, აგურის, კრამიტის, კირის ქარხანა, პაპიროსის ფაბრიკა და სხვა წვრილი საწარმო, რომელთა წარმომადგენლებიც, როგორც უკვე ითქვა, სასამართლო შენობის წინ იყვნენ შეკრებილები და თავის ძმა მუშებს როგორც შეეძლოთ, ისე უჭერდნენ მხარს.

სასამართლო დათქმულ დროზე ორმოცი წუთით გვიან დაიწყო რუსულ-ქართული მოუნესრიგებლობის გამო. მოსამართლემ მოკლედ მიმოიხილა საქმის არსი და სიტყვა პროკურორს გადასცა. თავის მხრივ პროკურორმა დაწვრილებით აღწერა ეს შემზარავი დანაშაული და ხელი სტალრებისკენ გაიშვირა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მონმეების დაკითხვა.

მონმე ზეცერის ქვრივმა განაცხადა, რომ სტალრები გამუდმებით ემუქრებოდნენ მის მეუღლეს და არარსებულ ფულს სთხოვდნენ, რომელიც ვითომდა მასთან ჰქონდათ მიბარებული. ზეცერი, რა თქმა უნდა, უარით ისტუმრებდა მათ, რადგან მუშებთან პირნათელი იყო.

მონმე ყაზაროვმა, დუქნის მეპატრონემ, საიდანაც დაიწყო კიდეც აღნიშნული ხანძარი, დაადასტურა, რომ ეჭვმიტანილები ხშირად დაუნახავს დუქნის სიახლოვეს ნასვამ მდგომარეობაში. ისინი, მისი თქმით, ბილნსიტყაობდნენ, ვილაცას ემუქრებოდნენ და საკუთარ ქარხანასაც ახსენებდნენ. მეტის გარჩევა ყაზაროვმა ვერ შეძლო მომეტებული საქმისა და მთვრალების არეული საუბრის გამო და რადგან ნასვამი საზოგადოება დუქნის სიახლოვეს თუ დუქანში გამუდმებით ილანდებოდა, განსაკუთრებული ყურადღება აღარ მიუქცევია ამ შემთხვევისთვის.

მონმე ვარდენ გოცირიძემ, მზარეულმა, აღნიშნა, რომ რამდენჯერმე შესწრებია სტალრების თავყრილობას აღნიშნულ დუქანში, თუმცა რაზე საუბრობდნენ, ეს არ გაუგია. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს ვარდენ გოცირიძე თავს დაბლა ხრიდა და მზერას ვერ ასწორებდა, რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებდა მის გულწრფელობაში. ასეთი ეჭვები გაუჩნდა სამსონ ბალახაშვილსაც, რომელიც, როგორც გამოცდილი მეგახეთე კაცი, სასამართლოს მსვლელობას ზედმინევენით ზუსტად იწერდა.

დადგა ეჭვმიტანილების ჯერიც. დარჩო სადალაშვილმა განაცხადა, რომ მას მიბარებული ჰქონდა ასი მანეთი ზეცერთან სწორედ იმიტომ, რომ არ დახარჯოდა. როდესაც ცოლის მოყვანა გადაწყვიტა, ზეცერს ეს ფული უკან მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, შენ ჩემთვის არაფერი მოგიბარებიაო. ამის გამო შელაპარაკებაც კი მოუვიდა მეპატრონესთან. მოგვიანებით, როდესაც დარჩო მას პოლიციით დაემუქრა, ზეცერმა განაცხადა, რომ იხუმრა და ფულს დააბრუნებდა, ოღონდ ნაწილ-ნაწილ. საკუთარი რთული მდგომარეობის დასტურად დარჩომ მაგალითი მოიყვანა და დასძინა, რომ ამ ამბის, ანუ უფულობის გამგები მისი საცოლე, გამოუვალი მდგომარეობის გამო, მტკვარში გადაეშვა და თავის მოკვლა სცადა. მართალია, მეთევზეებმა გადაარჩინეს, მაგრამ იმის შემდეგ შინიდან არ გამოდის და ტოლ-ამხანაგებს სირცხვილით თვალს ვერ უსწორებსო. დარჩო არ უარყოფდა, რომ ზეცერზე გაბრაზებული იყო, მაგრამ მისი მოკვლა ფიქრადაც კი არ ჰქონია, ამის დასამტკიცებლად იგონებდა იმ პუ-

* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №10

რისჭამას, რომელზეც მეპატრონის სადღეგრძელო ითქმო-
და ხოლმე. დარჩომ სადღეგრძელოც კი გაიხსენა, რაზეც
მისი დაპატიმრებული ამხანაგებიც დაეთანხმნენ: ღმერ-
თო, ადღეგრძელე ჩვენი პოდრაჩიკი, რომ ფულს გვაძლევს
და კარდაკარ არ გვატარებს, საქორნილო და სამარხ ფულს
არ გვამადლის, ოჯახებს ვარჩენთ და წუთისოფლის ჭაპანს
მივათრევთო.

სტალრებს ვერც სადღეგრძელომ უშველა.

დაკითხვა-მოსმენა-გამოკითხვის შედეგად მოსამართ-
ლემ დაადგინა შემდეგი: დარჩო სადალაშვილმა ცოლის
მოყვანა გადაიფიქრა, ხოლო
მოგროვილი ფული ქარს გაა-
ტანა და დუქან-დუქან გაანა-
ვარა. მეგობრებს კი უთხრა,
რომ ფული ზეცერისთვის
ჰქონდა მიბარებული, ის კი
უკან არ აბრუნებდა. ამ ფუ-
ლის შენახვის საბუთად სადა-
ლაშვილმა ვერაფერი მოიყვა-
ნა, ხოლო თავისი ამხანაგები
შეაგულიანა და დანაშაულის-
კენ ნააქეზა, რის შედეგადაც
დაზიანდა სახელმწიფო ქონე-
ბა, დაიღუპა სამი უდანაშაუ-
ლო ადამიანი, ზეცერი, მეხან-
ძრე და ასევე ოპერის მკერავი
ქალი, ხოლო ერთი ქალბატონი
სიკვდილს ძლივს გადაარ-
ჩინეს. ყოველივე ამის გათვა-
ლისწინებით დამნაშავენი უმ-
კაცრესად უნდა დაისაჯონ.

დაისაჯნენ კიდევ.

დარჩო და მისი მეგობრები
დროებით მეტეხის ციხეში გა-
დაიყვანეს, სადაც დაელოდე-
ბოდნენ კიდევ კატორღა-გაციმბირებს.

მომდევნო ორი-სამი დღე თბილისი ამ ამბით ცხოვრობ-
და. აღშფოთებული საზოგადოება ყავახანებსა და ოჯახებ-
ში დაიარებოდა, ალღევებული საუბრობდა და ქართული
ოპერის ცეცხლის ნამკიდებლებს წყევლას უთვლიდა.

ყავის სმა.

მეტეხის ციხის მახლობლად ყავაჩებს რამდენიმე ყავა-
ხანა ჰქონდათ. ყავას ხმელ ხილსა და ნამცხვარს აყოლებდ-
ნენ. აქ აშულები ყოველდღე იკრიბებოდნენ, იყო ერთმა-
ნეთში კამათი, ლექსებით ძებნა გამოცანების და დაკვრა.

ეს ასე ხდებოდა:

ერთი აშული ლექსად დასწერდა მუხამბაზს, ნანერ ქა-
ლალდს მიაკერებდა ძვირფას ნაქსოვ ქირმან შალზე თუ ყა-
ლამქარის ბაღდადზე, ხოლო ამის შემდეგ ჩამოჰკიდებდა
ყავახანაში. ყავახანა მუდამ სავსე იყო ხალხით, ფულს ფუ-
ლი ემატებოდა და მას გამოცანის გარშემო აკრავდნენ. ეს
ფული და ქირმანშალიც გამარჯვებულ აშულს ეკუთვნოდა.
თუ ვერავენ გამოიცნობდა, შალიცა და თავმოყრილი ფუ-
ლიც ავტორს რჩებოდა. როდესაც ლექსით მძებნელი სის-
წორით ახსნიდა გამოცანას, ყავაჩი თუნუქის ნაჭერზე დაჰ-
კრავდა მამას და დაიძახებდა: დადექით, იპოვნა! მაშინ გა-

მარჯვებული მოსთხოვდა გამოცანის პატრონს, ხალხის
თანდასწრებით ხმოვან ასოთა რაოდენობით და ქორონი-
კონის ანგარიშით საკუთარი სისწორის დამტკიცებას. გა-
მარჯვებულს ფულითა და შალით ყავაჩი აჯილდოვებდა.

ასეთ ყავახანებში იკრიბებოდნენ შეთქმულების მონა-
წილენი: ელიზბარ ერისთავი, ფალავანდოვი, ანტონ აფხა-
ზოვი, ალექსანდრე ორბელიანი, ზაალ ჩოლოყაყევი, სო-
ლომონ დოდაევი. საათობით კამათობდნენ საქართველო-
ზე, მის ჭირ-ვარამზე, სიღარიბეზე, თავადების დაუსრუ-
ლებელ შულლსა და დავაზე.

მოგვიანებით ყავახანები
თბილისის ცენტრში, ერევნის
მოედნის სიახლოვეს გადმო-
ბარგდა. ხალხი აქაც ბლომად
დაიარებოდა, მიუხედავად იმი-
სა, რომ ყავის ხარისხი არ ვარ-
გოდა, თუმცა მოსულნი მაინც
კმაყოფილნი რჩებოდნენ და
ამას საფუძვლიანი მიზეზიც
ჰქონდა: ეს ყავახანები აზარ-
ტულ თამამობათა სადგურს
წარმოადგენდა. აქ დაიარებო-
და უსაქმოდ მოხეტიალე ხალ-
ხი, სამსახურიდან დათხოვილი
გადამწერლები, გადაყენებუ-
ლი იუნკრები, ბულკების დამ-
ტარებლები და სხვა ჯურის
დროის მკვლელი საზოგადოე-
ბა.

ტოლეს საყავე სულ სხვა
ყაიდის იყო, სუფთა და მონეს-
რიგებული, გვარიანი მომსა-
ხურებით. ტოლეს საყავეში ქა-
ლებიც დაიარებოდნენ, განსა-
კუთრებით გაუთხოვარი ქა-

ლები და ყმანვილკაცებს ხვდებოდნენ, რითაც თბილისელ-
თა სამართლიან თუ უსამართლო გულისწყრომას იწვევდ-
ნენ.

მოქალაქენი, უფრო მეტად, მაინც ჩაის ეტანებოდნენ.

მორონცოვს, ჯერ კიდევ პეტერბურგში, ასეთი რამ უთ-
ქვამს: კავკასიაში მშვიდობიანობა მაშინ ჩამოვარდება, რო-
ცა მთებში ჩვენი სამოვარი გაჩნდებაო.

ერთ ასეთ ამბავსაც ჰყვებიან:

იმპერატრიცა ეკატერინემ მეფე ერეკლეს ჩაის ჭურჭე-
ლი, სამოვარი და სხვა ნივთები გამოუგზავნა საჩუქრად.
ნივთები საქართველოს მიჯნაზე მიიტანეს და ყაზბეგიანთ
გადასცეს, მოგვიანებით ერთ-ერთმა ყაზბეგმა მეფეს სა-
ჩუქარი თბილისში ჩამოუტანა. სამეფო სახლში დიდის ზარ-
ზეიმით გახსნეს ყუთი და ნივთები ამოალაგეს. მეფემ სა-
მოვრის დადგმა ბრძანა, მაგრამ მოსამსახურებმა ვერაფე-
რი გაუგეს უჩვეულო ძღვენს, ბოლოს ყაზბეგელმა კაცმა
აადულა სამოვარი, ჩაიც გააკეთა და ხელმწიფეს მიართვა.
ეს ამბავი მეფის ქალებმა ერეკლეს მოახსენეს. მეფემ გაი-
ცინა და ასეთი რამ თქვა: ბარში რომ ჭკუა დაიკარგა, მთა-
ში იპოვნესო, სირცხვილია, რომ მთის კაცმა გასწავლათ,
როგორ ვერ შეიტყვეთ, თუ საიდან წყალი უნდა ჩაგესხათ
და საიდან ნახშირი ჩაგეყარათო.



მხატვარი კარლო ფაჩულია

შაქარი ჯერ იხმარებოდა ყანდის, რომელიც მოდიოდა ირანიდან, ვეროპული შაქარი გაცილებით ძვირი ღირდა და ახალციხის გზით შემოდებოდა ქვეყანაში. რუსეთთან ურთიერთობამ ჩაის ლხინი შემოიტანა და ამანაც საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი. თუ ადრე მეგობრები ერთმანეთს ღვინოზე ეპატიჟებოდნენ, ახლა ჭიქა ჩაის დასალევად იწვევდნენ, ამან ის მოიტანა, რომ დილის პურობა ადრეული სითხის სმით შეიცვალა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ოჯახის თავმოყვარეობა ჩაის კარგი სერვიზით იზომებოდა. ჩაის სმაში ქალებიც აქტიურობდნენ და ორთაჭალის ბაღში დროშეებით მიემართებოდნენ. სამოვარი აბანოშიც დადგეს, ტანგასახდელ დერეფანში, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო ოხშივარასული სასმელის დაგემოვნება.

ოჯახში ჩაის სმას აუცილებლად მოჰყვებოდა ლოტოს თამაში. ამ თამაშით გატაცებული ქალები საათობით უხდნენ მაგიდას და ოჯახებზეც კი ჰქონდათ ხელი აღებული. იმდროინდელ გაზეთებში ასეთ რამესაც წააწყდებოდათ:

ამ დღეებში ჩემი მეუღლე ატყდა, ამაღამ მე ლოტოზე მივდივარო. ერთი ექვსი თვის ძუძუნოვარა ყმანვილი მყავს და, რადგან ამდენი ჯამაგირი არა მაქვს, ძიძა დავიჭირო, თითონ აწოვებს ძუძუს. დიახ, ლოტოზე მივდივარო და თუ ყმანვილი ატყდესო, მეზობელი დედაკაცი შემოიყვანე და ის მოაწოვებს ძუძუსო. შეიქმნა ღამის თორმეტი საათი, ატყდა ყმანვილი, სტირის, ძუძუ უნდა. გავგზავნე მეზობელ დედაკაცთან, სძინავს. მე თვითონ წაველ, შევხვებენ, მოდის, აძლევს ძუძუს, არ იჭერს, რა ვქნა, ვის მივმართო? ზამთარია, ცივა, წამოვავლე ხელი ფარანს და ფეხების მტვრევით მიველ. რაც ძალა მქონდა ჩავკარ ზარს, გამოდის ბიჭი, არ მიშვებს, სახლში ბრძანება მაქვს, კაცი არავინ არ უნდა შეუშო, სულ ცარიელი ქალები არიან და თამაშობენო. ქალბატონმა მიბრძანა ქალების კრებაში კაცებს ხელი არ აქვსო.

ლოტოს თამაში საკმაოდ ძვირი სიამოვნება გახლდათ. ანგარიშის საქმე არ არის?! ოცდაათი ქალის ჩაი, შაქარი, ხილი, სანთელი და ბევრი სხვა რამ. ასეთი თავყრილობა, როგორც წესი, ჩხუბით თავდებოდა ხოლმე, რადგან ქალები წაგებას ვერ იტანდნენ. ასტეხდნენ შარს, არა შენ მომპარე და არა შენო, დვადცაჰ პეტი არ იყოო და ბევრი სხვა რამ.

იყო შემთხვევები, როდესაც საქმე სასამართლომდე მიდიოდა, დროული ხალხი ასეთ ამბავსაც იგონებდა:

ერთ სახლში, ღამის თორმეტ საათამდინ გაჩაღებული თამაშობაა ლოტოთი. კაცები იმათი ამყოლნი ყაყანებენ კუთხეებში, აშიკობენ, იცინიან. მოსდით ორ ქალს ჩხუბი, ერთი არის მოქალაქეთაგანი, მეორე კეთილშობილთაგანი. ჰაი აქეთ, ჰაი იქით, ვერა რომელი დარიგება და აღერსი ვერ შველის, ბოლოს იქამდის მიდის საქმე, რომ უპატიურ სიტყვებს ეუბნებიან ერთმანეთს და რალაცეებსაც წამოაძახებენ. საქმე ამით არ მთავრდება, მეორე დღეს კეთილშობილის ქმარს შეაქვს საჩივარი სამსჯავროში და თხოულობს დაკამყოფილებას იმის ცოლის შეურაცხყოფის მიცემისათვის. შემოაქვს მეორე პირის ქმარს პასუხი, იმართება გამოძიება, მტყუნდება მოქალაქის ცოლი, მაგრამ უკაცრაოდ, ამ უკანასკნელს, რადგანაც გადანყვეტილობის თანახმა არ არის, აპელაცია შეაქვს უმაღლეს ალაგას.

ჩხუბი იქნებოდა, საქმის გარჩევა თუ სხვა რამ, ყველაფერი რუსულ ენაზე ხდებოდა. ძალით შემოჭრილი რუსუ-

ლი სტილის გავლენა ყველგან იგრძნობოდა. ჩნდება რუსულ-ვეროპული სამოსი, ჭურჭელი, ნივთები, იმათი წესით სადილი, ბანქოს თამაში, მენინიკის, იგივე სახელწოდების დლესასწაულის გამართვა. ამ სტილის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით რუსული ტიპის სემინარიებს, სასწავლებლებს და რუსეთის სხვადასხვა ადგილიდან სახელმწიფოებრივ თუ სხვა რამე საქმეზე ჩამოსულ ადამიანებს. გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ არამარტო ორიგინალურ, არამედ თარგმნილ ლიტერატურასაც ეტყობოდა. სახელმწიფო მიმონერაში ჩნდება რუსული ნოდებრივ-თანამდებობრივი ტიტულები, სახელწოდებები, მიმართვები: სენატორი, კანცლერი, გრაფი, კნიაზი, უმაღლესობა, ბრწყინვალეობა, კეთილშობილობა, განათლებულობა, ესეც არ იკმარეს და ქართველებს გვარების გადაკეთებაც დაუწყეს, ვითომდა რუსული დაბოლოებით გაალამაზეს: ბარათოვი, თუმანოვი, ქობულოვი, ჩოლოყოვი, რატიევი და სხვა მრავალი. უმეტესობას ეს ამბავი გულს სულაც არ სტკენდა, პირიქით, უზაროდა კიდევ, რადგან სწამდა, რომ ამით ველური ქართველები დიდ რუსულ კულტურასა თუ ყოფას ცოტათი მაინც უახლოვდებოდნენ. ყველგან, სასწავლებელსა თუ სახელმწიფო დანესებულებაში რუსული ენა სავალდებულო იყო, ამით არ კმაყოფილდებოდნენ და კერძო მასწავლებელს ოჯახში ქირაობდნენ, რათა შემდეგ მოზარდი სასწავლებლად რუსეთში გაეგზავნათ. ყველანი დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებით, როგორც მაშინ ეძახდნენ, რუსული ამბებით. ორი შეხვედრილი ადამიანი მიკითხვამოკითხვის შემდეგ ერთმანეთს აუცილებლად ამას ჰკითხავდა: რუსული ამბავი ხომ არაფერი იციო.

სხვა ენებს ყურადღება თითქმის არ ექცეოდა. ქართული ნელ-ნელა ქრებოდა.

ამ დღეში იყო სამსონიც.

სამსონ ბალახაშვილს უყვარდა მუსიკა, განსაკუთრებით კი თბილისში ახალფეხადგმული ოპერა. მიზეზი ამ სიყვარულისა, გარდა ძირითადისა, გახლდათ ის, რომ ოპერის რეპერტუარი შესდგებოდა უმეტესად იტალიური სიმღერებისგან და რუსულ ენას ჯერ იქ ფეხი ვერ მოეკიდებინა.

სიმღერა თბილისის მართლაც გულით უყვარდა.

ქალაქის პირველი საზანდარი ყოფილა ალავერდა. ეს ალავერდა მეფე ერეკლესთან ერთად გულადად ებრძოდა აზატხანს. მეფის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილს დაუმეგობრდა, რომელიც სუფრას არ მიუჯდებოდა ალავერდას გარეშე. ალავერდა სალამურს, ჩონგურს, თარს ოსტატურად ხმარობდა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებს ამღერებდა. უკვე მოხუცებული ალავერდა რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულებაშიც ყოფილა გარეული. მოლა ზამანთან ერთად მას დავალებული ჰქონდა გამოეყვანა სოფელ ასანავლის მცხოვრებნი. როდესაც შეთქმულება გასცეს და ყველაფერი ნათელი შეიქნა, ალავერდა დააპატიმრეს, მაგრამ მოჰყვა შეთქმულთა იმ კატეგორიაში, რომლებსაც ვერ დაუმტკიცდათ აჯანყებაში მონაწილეობა, თუმცა ტუსალობამ მძიმე კვალი მაინც დაასვა და მალევე გარდაიცვალა.

შემდეგ გამოჩნდა პეტრუსა, ქალაქის თვალისჩინი, აბანოს ლხინის მუდმივი მონაწილე, სახლის ნადიმების ავანჩავანი. პეტრუსა მხოლოდ დაქირავებული საზანდარი არ ყო-

ფილა, იგი გამოჩენილ თბილისელთა მეგობარიც იყო. ამ მეგობრობის გადაძვირებულ პეტრუსას ქორწილი ოცი დღე გაგრძელდა. ყორღანოვს გადმოუცია კიდეც უსასრულო ნადიმი: გუშინ დასრულდა მეოცე ღამე ქორწილში ყოფნისა. უკანასკნელი ორი ღამე იყო მეტად სამაგალითო. აგინერთ, მაგრამ საღერდელი არ აგეშალოთ ლხინისა. ბილეთებით ვიყავით მინვეულნი საზანდრის ქორწილში. დანიშნულს საათს ღამისას მირზაჯან, იგორ სტეპანიჩი, მელიქზად, მე, იერუსალიმსკი, იოსებ ექიმოვი და სხვანი ათამდი ოთხის ფარნით მივედით სახლთან, შევედით დარბაზში, თეჯირებით და მაცლებით გამართულში, სადაც დაგვხვდნენ დასტა-დასტად კარგნი კამპანიანი.

ამის შემდეგ რაც მოხდებოდა, დიდი მიხვედრა აღარ სჭირდება.

კიდეც იყო სათარა, თბილისელთა უსაყვარლესი მომღერალი. აღმოსავლური ჰანგების შესრულებისას სათარას ბადალი არ ჰყავდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი პურს არ გასტენდა სათარას გარშემო, საკუთარი დის ეკატერინეს ქორწილშიც ახლდა ქსნის ხეობაში. როდესაც სათარას კონკურენტი გამოუჩნდა და თბილისი, როგორც ყველა საკითხზე სწვევია, ორად გაიყო, ტატომ სათარას მხარე დაიჭირა: ილაჯი წაიღეს მაგ ჯაფარას ქებით, ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა. ნეტა ყველასთვის ეგრე მალე როგორ გაგიჟდებით? მაგის ამბავი ჩვენ გვკითხონ, ეგ სულიმან ხანმა გამოიყვანა სპარსეთითგან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იყვნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა, სულ აქ დაასრულა. ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა კარგი სმენა ჰქონია, მე გეტყვით ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასთვის ღმერთს ხმა მიუცია და თან დაუმატებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებო. ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე ჯოჯოხეთის მამხალა.

როდესაც მუშტაიდის ბალი გაიხსნა სათარას მოსვენება აღარ ჰქონდა, მოქიფებებს ყოველ ნადიმზე მიჰყავდათ და ღამისთენებით ამღერებდნენ. თბილისელთა სიყვარული იმაშიც გამოიხატა, რომ სათარას ცალკე ბენეფისი გადაუხადეს.

თბილისის ბოლო საზანდარი გახლდათ ევანგულა, კარგი იმპროვიზატორი და ლექსების გამომთქმელი კაცი, რომელიც ნელ-ნელა გზას უთმობდა ქალაქში შემოსულ ევროპულ მუსიკას.

პირველი ფორტეპიანო თბილისში მურავიოვ-ყარსკიმ ჩამოიტანა, რომელიც მოგვიანებით მიჰყიდა გრიბოედოვს. მეორე ინსტრუმენტი ედგა ვინმე ახვერდოვას, ხოლო მესამე — ალექსანდრე ჭავჭავაძეს, რომელზეც მისი ქალიშვილები მუზიციერებდნენ.

მერე წავიდა და წავიდა. თბილისში გაჩაღდა მუსიკალური ინსტრუმენტებით ვაჭრობა, რაც აისახა კიდეც გაზეთებში. ამგვარ განცხადებას ყოველდღე ნახავდა მონღოლებული ადამიანი.

დავიდოვის ქუჩაზე, ტერ-გუკასოვის სახლში იყიდება როიალი, ფორტეპიანო, ვიოლინოები და ზოგიერთი სხვა სამუსიკო საკრავები...

მასწავლებელი ტ. გერშელმანი ჰყიდის: ოფენბახის ახალ როიალს 545 მან, ფორტეპიანოს 245 მან, პატარა ფორტეპიანოს 18 მან, ასევე კუკიაზე იყიდება სრულიად ახალი ფორტეპიანო...

ველიამინოვის ქუჩაზე, ქალბატონ ფომინას მალაზიაში პარიზიდან და მოსკოვიდან მიღებულია საუკეთესო ოსტატთა ნახელავი როიალები და ფორტეპიანოები, ეს ყველაფერი იყიდება მეტად ხელსაყრელ ფასებში...

იყიდება როიალი თბილისიდან გამგზავრების გამო...

ვილას მალაზიამ მიიღო ფრანგულ, იტალიურ და უნგრელ მეფაბრიკეთა მიერ გამოშვებული ფორტეპიანოები და როიალები...

ქალაქში სხვადასხვა კონცერტიც იმართებოდა, მალევე რომ ჰპოვებდა ხოლმე ასახვას იმდროინდელ გაზეთებში: პარასკევს მუსიკის მოყვარულთაგან ღარიბების დასახმარებლად მოეწყო მუსიკალური საღამო. შესრულებულ იქნა შემდეგი სიმღერები: უვერტიურა რონბერგის, კონცერტი ვიოლინოზე მაუერის, კონცერტი კლარნეტზე ბლენის, არია მანუელის, კონცერტი ფლიტაზე დულონის, ვარიაცია ვიოლინოზე როდესი, ქართული სიმღერა „ახალ აღნაგო“ და ფინალი.

ამ კონცერტიდან ერთი თვის შემდეგ, თბილისში მყოფი პუშკინის საპატივცემულოდ ორთაჭალის ბაღში გამართულ ნადიმზე უკრავდა რუსული სამხედრო სასულე ორკესტრი, რომელიც სხვადასხვა ოპერიდან მარშებს ასრულებდა.

მუსიკალური საღამოები ბინებზეც იმართებოდა. ელისაბედ როზენი ასეთ საღამოებს კვირაში ორჯერ აწყობდა და საკუთარი ქალიშვილებიც ჰყავდა ჩართული. ამგვარ საღამოებს აწყობდა რომან ბაგრატიონიც, სადაც მრავალფეროვანი რეპერტუარი სრულდებოდა, აქვე მონვეული ჰყავდათ ცნობილი მევიოლინე სტეფანე აპრაქსინი, რომელსაც ეხმარებოდა თბილისელთა საყვარელი კომპოზიტორი სოკოლოვიცი.

გაჩნდნენ ვიოლინოზე ქართველი დამკვრელებიც. ავლაბრის საპატიმროში დამწყვედული ალექსანდრე ორბელიანი მეუღლეს ასე მიმართავდა: თუ ჩვენთან დააყენებ ვისმეს, ისევე ყველას ყიფიანი სჯობიან, ძალიან მხიარული არის და სკრიპკაც იცის და უკრავს.

კლასიკური მუსიკა მოდაში შემოდიოდა.

ნათლად ჩანდა, თბილისს საკუთარი ოპერა ესაჭიროებოდა.

ქართული ოპერა, შეიძლება ასეც ითქვას, სამსონ ბალახაშვილის თვალწინ აშენდა. ეს კიდეც უფრო მეტად სტკენდა გულს სამსონს, მაგრამ სტალრები მაინც ეცოდებოდა, რადგან გულის სიღრმეში მათი დანაშაულის არ სჯეროდა. მართალია მოსამართლემ მუშა-ხელოსნები დასაჯა და მოყვანილ მტკიცებულებებსაც მიენდო, მაგრამ სამსონისთვის რამდენიმე რამ მაინც გაურკვეველად რჩებოდა. პირველი ის, რომ სიმწრით მოგროვილ ფულს, თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა, ბანქოს მოყვარულ ზეცერს არავინ მიანდობდა. ეს ამბავი სასამართლოზეც გამჟღავნდა და ზეცერის მიერ მოზრდილი თანხების თითქმის ყოველდღიური წაგება არც მის მეუღლეს უარუყვია. მეორე კიდეც ის, რომ მწირი შემოსავალით სტალრები ვერაფრით მოახერხებდნენ თბილისის ცენტრში დუქანში სიარულს, როგორც ეს ასევე სასამართლოზე ითქვა და აქედან გამომდინარე ველარც ცეცხლს გააჩენდნენ აღნიშნული სასაუზმოდან. ამის დამტკიცება სრულიად ადვილ საქმეს წარმოადგენდა, რადგან იმდროინდელი მუშა ხელოსნების შემოსავალი საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა.

ეს ყოველივე სამსონ ბალახაშვილმაც იცოდა.

დილით ჩაისა... 5 კაპიკი.

პური ჩაიზედ ... 5 კაპიკი.

სადილის ხორაგი... 10 კაპიკი.

სადილის პური... 5 კაპიკი.

არაყი ან სხვა რამ... 5 კაპიკი.

სალამოს ჩაი და პური... 10 კაპიკი.

სულ ყველა... 40 კაპიკი.

აქედანაც კარგად ჩანს, საქმე სხვა რამეში უნდა ყოფილიყო.

სამსონიც ასე ფიქრობდა.

როგორც უკვე ითქვა, თბილისის ოპერა სამსონ ბალახაშვილის თვალწინ აშენდა. ვორონცოვმა პირველი ათასი მანეთი გაიღო ტერიტორიის შესასწავლად და სანყისი სამუშაოების წარმოებისთვის. ეს საკუთარ წერილშიც დაადასტურა, რომელიც ვოლკონსკის მიწერა:

ვუცქერი რა თბილისში ოპერის თეატრის არსებობას, არა როგორც სიამოვნებისა და გართობის ერთ-ერთ საშუალებას, არამედ როგორც დაწესებულებას, რომელიც მეტად მნიშვნელოვან საქმეს ისახავს მიზნად: ადგილობრივი მოსახლეობის გაცნობას რუსულ ენასთან, რუსულ ჩვევებთან და მის თანდათანობით შერწყმასთან რუსეთთან, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვეცადო, რათა თბილისში იყოს კარგი რუსული თეატრი. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ თქვენი ბრწყინვალეობა არ მყოფს უარს ამ საქმეში დახმარებაზე.

როდესაც ეს წერილი ინერებოდა, თბილისში ოცდაათი ათასი სული ცხოვრობდა. ძირითადად აღმოსავლეთ ნაწილში ბინადრობდნენ, ერევნის მოედანი, გოლოვინის პროსპექტი და ახლო მდებარე ადგილები იმდროისთვის აუთვისებელი იყო. სოლოლაკში, ახლანდელი ამაღლების ქუჩიდან ღრმა ხევი იწყებოდა, ერევნის მოედანს ჭრიდა, სალდათის ბაზართან გადიოდა და მტკვარს უერთდებოდა, სწორედ ამ ხევიში ჰყრიდნენ ნაგავსა და უსუფთაობას თბილისის მაცხოვრებლები. ამას ისიც ემატებოდა, რომ მოედანს არ ერტყა ქვაფენილის აშია, არ იყო მოკირწყლული და წვიმის დროს ტალახით ივსებოდა. მოედანს გარს ერტყა სამიკიტნოები, ღამის გასათევი ადგილები და თავლები. იკრიბებოდა ათასი ჯურის ხალხი, თამაშობდნენ აზარტულ თამაშებს, ენუოდნენ სხვა საეჭყო საქმიანობას, ლოთობდნენ და დაუნდობლად ჩხუბობდნენ, კვირაობით კი ამ ყველაფერს ბაზრობა ემატებოდა.

აი, აქ ჩაიფიქრეს რუსებმა თეატრის გაშენება, მაგრამ თქმა ერთი გახლდათ, გაკეთება კი მეორე.

ვაჭრობა თბილისში მოედნიდან მოშორებით მიმდინარეობდა, ამას ერქვა ბნელი რიგები, რადგან დახლები სახურავქვე იყო მოქცეული. ქალაქის მმართველობამ ფულის მოგროვება სწორედ ამ ადგილიდან გადანყვიტა, თავის მხრივ ვაჭრებს შესთავაზა მიწის უსასყიდლოდ დათმობა, თუკი ისინი სავაჭრო ცენტრს ააგებდნენ, სადაც განთავსდებოდა კიდევ ოპერის თეატრი. მოლაპარაკება რამდენიმე თვე გაგრძელდა და უშედეგოდ დასრულდა, ვორონცოვი იძულებული შეიქნა ტერიტორია კერძო პირისთვის გადაეცა. ასეთი კაცი მალე მოინახა, თბილისის საპატიო მოქალაქე გაბრიელ თამამშვივი და არა მანთაშვივი, როგორც ეს ჭორად დადიოდა იმდროინდელ თბილისში, თანაც საუკუნო და შთამომავლობით მფლობელობაში, თანაც უბაჟოდ. პირობა ასეთი იყო: თამამშვივს ამ ადგილას, თავისი ხარჯით, უნდა აეგო ორსართულიანი შენობა თეატრისთვის ქარვასლასთან ერთად დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მშენებლობის დამთავრების შემდეგ ვაჭრის კი მფლობელობაში გადადიოდა ქარვასლა თავისი სარდაფებით, ხოლო ოპერა ქალაქს რჩებოდა.

ამაზე შეთანხმდნენ.

პროექტი შეადგინა არქიტექტორმა სკუდიერიმ, რომელიც საგანგებოდ მოიწვიეს ოდესიდან. მშენებლობას ცხრა წელი დასჭირდა, პროექტი რამდენჯერმე გადააკეთეს, რამაც კიდევ უფრო გააძვირა ისედაც ძვირი მშენებლობა. ახლა შიგნიდან უნდა მოეწყოთ. შეძენილ იქნა დეკორატიული მასალა, ფერადი ხავერდი, ოქრო-ვერცხლის სამკაული, ძვირფასი აბრეშუმი და სხვა ამგვარი რამ. პარიზიდან გამოიწვიეს ცხრა ათას ფრანკად ღირებული უზარმაზარი ჭალი, რომელიც მარსელში დატვირთეს და გემით გამოამგზავრეს ყულევში, იქიდან კი ურმებით ჩამოიტანეს თბილისში. მოგვიანებით ეს ჭალი ხელმეორედ გახდა გამოსაწერი, ვითომდა იმის გამო, რომ გადატანა-გადმოტანის დროს მთლიანად დაიმსხვრა.

ისიც უნდა ითქვას, რომ რუსებმა ჩაით ლხინის გარდა საყოველთაო ქრთამი და ალბ-მიცემობაც დანერგეს საქართველოში, კერძოდ კი თბილისში.

სამსონ ბალახაშვილს ეს მავნე ჩვევა ამჯერად სასიკეთოდ წაადგა, რადგან ერთმა დაბალი ჩინის მოხელემ გარკვეული თანხის საფასურად მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიანოდა სამსონს. ეს მოხელე სხვა ამბებსაც დაჰპირდა, გაცილებით დიდი თანხის სანაცვლოდ, მანამდე კი ბალახაშვილი ამით უნდა დაკმაყოფილებულიყო. თავად მოხელე, რომლის გვარ-სახელსაც სამსონი არაფრისდიდებით არ გათქვამდა, ფიქრობდა, რომ ოპერის ხანძარი სულ სხვა რამესთან იყო დაკავშირებული. კაცმა რომ თქვას, თვითონ ბალახაშვილიც ასე ფიქრობდა და ძიების გაგრძელებასაც აპირებდა, რა თქმა უნდა, სრული კონფიდენციალურობის დაცვით.

სამსონმა სხვა ბევრი რამეც გაარკვია.

საფრანგეთიდან ჩამოიყვანეს გამოცდილი დეკორატორი დერბეზი. ფურცლოვანი ოქრო შვიდასი წიგნაკის ოდენობით, ვითომდა სიიფის გამო შეიძინეს მოსკოვში, გასანათებელი ლამფები, სავარძლები და სკამები დაამზადეს საუკეთესო მასალიდან. ცალკე მხატვარიც დაიქირავეს, ვინმე გაგარინი, რომელმაც ყველა შიდა და სამხატვრო სამუშაო შეასრულა. სულ ოპერა იტყვდა შვიდას მაყურებელს, ჰქონდა პარტერი, ორი იარუსი და საგანგებო ლოჟები. თეატრთან ერთად ქარვასლაც შენდებოდა, სადაც ორას სამოცდაექვსი სხვადასხვა სიდიდის სავაჭრო განყოფილება იყო განთავსებული. ირგვლივ ქვაფენილიც დააგეს, მოედანიც მოანესრიგეს და საერთო სარგებლობის აუზიც გამართეს.

დადგა თეატრის გახსნის დღეც.

სუექტაკლის გამართვა იმ დღეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ბოლომდე არ იყო გამართული სცენა, მანქანები და დეკორაციები. ამის გათვალისწინებით ჩატარდა ბალ-მასკარადი და ალევრა ლატარეა წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ. მთელი მოედანი და ასევე თეატრი საგანგებოდ იყო განათებული, მუსიკა შეუსვენებლად უკრავდა, საზოგადოება მოუწესრიგებლად, დაბნეულად დაიარებოდა და გაცოცხლებული ათვალეურებდა ამ მართლაც გასაოცარ სანახაობას.

ქვედა იარუსის ლოჟებს შემოვლებული ჰქონდა თეთრი და ცისფერი ფართო აშია, შესრულებული მკრთალ იასამნის ფონზე. პირველი რიგის ლოჟები შემკული იყო ოქროს ფართო ზოლით, რომლის გასწვრივ სიმეტრიულად იყო ჩახატული ვერცხლისფერი სურები. ზედა ქანდარას მოაჯირის ნაცვლად გავლებული ჰქონდა მოხარატებული, გამჭვირვალე, თეთრი რიკული, რომელსაც ასევე მიჰყვებოდა ოქროსფერი აშია, აქვე სწორ ადგილებზე იდგა გემოვნებიანი კანდელები. თეატრის სიღრმეში, მოოქროვილი გუმბათის ქვეშ მოსჩანდა ოდნავ წინ წამოწეული სამეფო ლოჟა, რომელსაც ორივე მხარეს ეკვროდა მოოქროვილი ხარხიბით შემოვლებული ცალკეული ლოჟები.

გვერდის პირველი ლოჟები გამოირჩეოდა საგანგებო არაბული სამკაულებითა და ნაირფერი აშიით, აქაც როგორც დარბაზის სხვა ნაწილებში, ერთმანეთს ცვლიდა ფირუზისფერი და ოქროსფერი ვარაყი. ოქროსფერ პლაფონზე, მოხატულ, ჩუქურთმოვან ქერზე მიმაგრებული იყო ქალის ფიგურა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენდა ფანარს, ირგვლივ გაკეთებული კოხტა სანთლებითა და მუქი წითელი ფერის ფორებით. ამდაგვარი, ოღონდ უფრო პატარა სამკაულებით იყო მორთული მეფის ლოჟა და მიმდებარე ლოჟები. გარდა ამისა, პლაფონზე, თითქოსდა დრამატურების გასამხნეებლად მედალიონები იყო ჩამწკრივებული: ესქილეს, პლავტეს, შექსპირის, კალდერონის, მოლიერის, გოლდონის და გრიბოედოვის სახელებით. მოაჯირს რომ ცისფერი ხავერდი ჰქონდა გადაკრული, ეს თავისთავად იგულისხმებოდა.

იმხანად პარიზში გამოდიოდა დიდი ფორმატის ილუსტრირებული უნივერსალური ჟურნალი, რომელიც მთელს ევროპაში ვრცელდებოდა. სწორედ ამ ჟურნალმა მთელი ორი გვერდი დაუთმო თბილისის ოპერის თეატრს და ვინმე ედმონდ დე ბარერმა სტატიაც კი მიუძღვნა ამ მნიშვნელოვან მოვლენას. რა თქმა უნდა, ამ ყოველივეს, როგორც წესად იყო მიღებული, თან ერთვოდა თეატრის შიდა ხედის რამდენიმე სურათი. სურათებს მინანქრიც ჰქონდა:

ეს ერთადერთი თეატრია, რომლის შიგა სამკაული აგებული და მორთულია მთლიანად მავრიტანული სტილით, უდაოდ და უეჭველად წარმოადგენს ერთ-ერთს ყველაზე უფრო ელევანტურს, მოხდენილ, ყველაზე უფრო წარმტაც სათეატრო ნაებობას, რაც კი შეუძლიან წარმოიდგინოს ადამიანმა. ნამდვილ სასწაულს მოასწავებს დანახვა ამ დიდებულებისა ცხოველ სინათლეზე, ჭაღების განათების შუქის ნიაღვარში, გრაციოზულ და მსუბუქ არაბულ სასანთლეთა ბრწყინვალეობაში. შექმნილია ერთადერთი თავისებური რამ უამრავ დაბრკოლებათა გადალახვით, ღირსი აღტაცების გამოწვევისა და მიბაძვისა დასაველეთში. ქმნილება, რომელსაც მესწვეს უნარი მინიჭოს აღმაფრენა და ცხოველმყოფელობა აზიის ხელოვნებას.

ოპერის თეატრი, ისევე და ისევე იმ სახელმწიფო მოხელის მტკიცებით, რომლის ვინაობის დასახელებიდან ბალახამვილი ვერჯერობით მაინც თავს იკავებდა, დამჯდარა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი, რაც, მიუხედავად ასეთი ფუფუნებისა, მაინც გაზვიადებული ჩანდა.

საოპერო სპექტაკლები სააბონემენტო სისტემით დაიწყო.

გამოშვებულ იქნა ორი სახის აბონემენტი, თითო თორმეტი სპექტაკლისა. პირველი აბონემენტის სპექტაკლები

იმართებოდა სამშაბათობით, ხოლო მეორესი პარასკეობით. თბილისელი მაყურებელი ისევე აბონემენტს ამჯობინებდა, რადგან ცალკეული ბილეთი საკმაოდ ძვირი ღირდა და ხარჯიან საქმეს წარმოადგენდა. ზედა ლოჟები ღირდა ორმოცდაათი მანეთი, ქვედა რიგის ორმოცი მანეთი, პარტერის პირველი სამი რიგი თხუთმეტი მანეთი, მეოთხე რიგიდან უკვე ათი მანეთი, ქანდარა ოცდაათი კაპიკი. უბრალო ხალხისთვის ეს კაპიკებიც ძნელი გადასახდელი იყო, მაგრამ ოპერის სიყვარულის გამო სხვა რამეს იკლებდნენ და ქანდარას ყველა სპექტაკლზე ავსებდნენ.

ბილეთის შოვნა მაინც ჭირდა. იყო გამუდმებული ხვეწნა-მუდარა და მეტილეთებზე შეტევა. ყველა წარმოდგენის წინ მოჰკრავდით ყურს ასეთ შეხლა-შემოხლას.

— მისადგმელი სკამი მაინც მომეცით?!

— არ შეგვიძლია, ისედაც არ ვიცით, როგორ უნდა გაიკვლიოს ადამიანმა გზა თეატრში, ყველაფერი ჩახერგვილია.

მაინც არ იშლიდნენ თავისას და იქვე დერეფანში ტრიალებდნენ, რათა როგორმე ყური მოეკრათ მუსიკისთვის.

— საითკენ მიიწევთ თქვენ, ბატონო, თქვენი ბილეთი?

— ბილეთი არ მაქვს, მაგრამ აქედან ფეხს არ გავსდგამ.

თეატრთან თავმოყრილი, სერიის მაყურებელი კინტოები ხელებს შლიდნენ და გაკვირვებულები კითხულობდნენ: რა ხდება, ეგ რა ყაიდის სიზმარია?

პირველი წარმოდგენა, რომელიც სამსონ ბალახაშვილს უნახავს ყოფილა ბელინის „ნორმა“, სადაც იმდროინდელი ოსტატები მღეროდნენ, ქალბატონი მინოცი, ფასკეტი და ვიკი. ამ წარმოდგენას დარდის გასაქარვებლად დასწრებია ჰაჯი-მურადიც. ეს ის ჰაჯი-მურადია, რომელიც რუსებმა კავკასიის იმამს, შამილს წაჰკიდეს, ერთმანეთთან აჩხუბეს და აიძულეს, რომ იმპერიის მხარეს გადასულიყო. კაცმა რომ თქვას, ჰაჯი-მურადს სხვა გამოსავალი არც ჰქონდა, ისევე და ისევე იმ ცნობილი მოთხრობის მიხედვით.

სპექტაკლს სპარსეთის პრინციც ესწრებოდა.

თბილისურმა გაზეთმა ასე აღწერა ეს მოვლენა:

თეატრი სავესე იყო. სასიამო სანახაობას წარმოადგენდა პარტერის მუქი მასა და ჩამწკრივებული ბრწყინალე ლოჟები. ევროპელები და ადგილობრივი მკვიდრნი, სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურენი, ყველა ერთად არეულიყო. ევროპელ მანდილოსანთა კოსტიუმები და მათ გვერდით აქაური, წარმტაცი მორთულობა. მაყურებელთა შორის განსაკუთრებით შესანიშნავი იყვნენ სპარსეთის პრინცი ბექმენ მირზა და შამილის ექს-ნაიბი, მამაცი მხედარი ჰაჯი-მურადი.

იტალიური ოპერა თბილისში და ჰაჯი-მურადი, რა დაახლოებაა.

პრინცის მშვიდი ცქერა გულგრილად მისრიალებდა ქალთა სახეებზე და დროგამოშვებით სცენაზე ჩერდებოდა, იგი თითქოს გამალებით უგდებდა ყურს უცნობ, მაგრამ საუცხოო ჰანგებს.

ჰაჯი-მურადის გაბრწყინებული თვალები განუწყვეტილი უცქეროდნენ ხან ერთს, ხან მეორე ქალის სახეს და ფორტე ფორტისიმოს დროს სცენისკენ მიემართებოდნენ, მაგრამ ისინი არ გამოხატავდნენ რაიმე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას. ჰაჯი-მურადი თითქოს განსაკუთრებულ სახიფათო ფიქრს მოეცვა.

სხვაც ბევრი დაიარებოდა.

სამსონი ერთხელ ილიასაც კი გადააწყდა წარმოდგენაზე და ამ შემთხვევამ გვარიანად გაკვირვებულს კი დასტოვა. ამის მიზეზი სამსონის ნამდვილად ჰქონდა. ეს ის დღე იყო, როდესაც თბილისის ოპერაში „ტრავიატას“ წარმოდგენა ჩაიშალა, თანაც უკვე დაწყებული.

ილიას არც სტუმრად უყვარდა სიარული და არც თეატრში მისვლა-მოსვლით იკლავდა თავს. ეს იმის ბრალი იყო, რომ ილიას მუსიკა არ ესმოდა, უფრო სწორად, სმენა არ ჰქონდა. ცოტა მეტს რომ დაღევედა, აეშლებოდა სიმღერის საღერღელი, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა.

ერთხელ მაინც დაითანხმეს ოპერაში წასვლაზე. ეს მოახერხა ვინმე სოსიკო ბაქრაძემ. სოსიკო იყო ლაზღანდარა კაცი, მოსწრებული სიტყვის პატრონი, მუდმივი საქმე არასდროს ჰქონია, რაც ხელს მოხვდებოდა, იმას გაჰკრავდა. ერთ დღეს ბანკში მსახურობდა, შემდეგ ცირკში გადაინაცვლებდა ჯამბაზად, მერე კარუსელს გამართავდა, სასრილო რუსულ გორკებს, მოკლედ, არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა. ილიას უყვარდა ასეთი ტიპები, რაც სოსიკოს შელაზღანდარების საშუალებას აძლევდა.

ილიამ უცხო ენები არ იცოდა, მართალია ამაზე სწუხდა, მაგრამ ამის გამოსასწორებლად მცდელობას არ ენეოდა. ერთხელ სოსიკომ, წარდის თამაშის დროს, ასეთი რამ უთხრა:

— ილია, ეს სომხური მაინც შეისწავლე, ნახევარი გვერდი ხომ მაინც სომხისა მოგდევს.

— მერე, რომელ ფილოსოფიურ ტრაქტატებს წავიკითხავდი მაგ ენაზე? ბაზარში კი მე არ დავდივარ. — მოჭრა ილიამ და კამათლის გორება განაგრძო.

ილიას დედა გრიგორიანელი ჰყავდა და ხშირად აძახებდნენ ხოლმე. ბანკშიც კი უთხრა ვილაც სომეხმა.

— ილია, შენ იმიტომ ხარ ჭკვიანი, რომ დედა სომეხი გყოლიაო.

— შენ ხომ დედაც სომეხი გყავს და მამაც, მაშ შენ ჩემზე მეტად ჭკვიანი უნდა იყოო.

მოკლედ, რალა ბევრი გავაგრძელოთ და ამ აბეზარმა სოსიკომ დაპატიჟა ილია ოპერაში. იმხანად სოსიკო თეატრის დასში ირიცხებოდა მეზარაბნედ და ამიტომ ზედმეტსახელად ბარაბანჩიკს ეძახდნენ.

— ილია, დღეს საღამოს ოპერაში მობრძანდით, „ტრავიატას“ თამაშობენ, გამოჩინილ იტალიელ მომღერლებს მოისმენთ.

— კარგი, სოსიკო, წამოვალ, მხოლოდ ერთი პირობით, სიტყვა მომეცი ამისრულო, რაც დაგავალო.

— ბატონი ბრძანდებით, თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვიყო.

— მაშ აბა, როდესაც ორკესტრი მიწყნარდება და მომღერალი ქალი სიმღერის ეშში რომ შევა, რაც ძალი და ღონე გქონდეს, ბარაბანს დაჰკა მაგრად.

— ბატონი ბრძანდებით, მაგაზე ადვილი რა არის.

სოსიკოს, თავადაც ასეთი ოინების მოყვარულს, დიდად ეამა ილიას დავალება, მით უფრო ესიამოვნა, რომ ეს ამბავი მთელს ქალაქს აალაპარაკებდა და სოსიკოს სახელი ყველას პირზე ეკერებოდა. ჰოდა, იმასაც მეტი რა უნდოდა, ნუ აჭმევდით, ნუ ასმევდით, ოღონდაც მისი სახელი ყბადასალები გამხდარიყო.

ილიამ ბილეთი შეიძინა და პარტერის პირველ რიგში დაჯდა. დაიწყო წარმოდგენა, მოახლოვდა ის დრო, როდესაც

საც ვიოლეტა ნაზი ხმით ეთხოვება სიცოცხლეს, ორკესტრი ჩუმად უკრავს, დამსწრე საზოგადოება სულგანაბული მისჩერებია სცენას. მოულოდნელად საშინელი ბრაზხუნი გაისმა, მეხის ჩამოვარდნას ჰგავდა, მაყურებლები შეკრთნენ, ატყდა ჩოჩქოლი, მომღერალმა სიმღერა შეაჩერა, ყველანი აქეთ-იქით იყურებოდნენ, ნეტავ რა მოხდა? არც არაფერი, სოსიკომ თავისი დანაპირები შეასრულა და ბარაბანს დანიშნულ დროს დაჰკრა. ორკესტრის დირიჟორი ტრუფი, რომელიც საგანგებოდ ჰყავდათ მონვეული, ასეთ რამეს, რა თქმა უნდა, არ ელოდა და სიმწრისგან კინაღამ გადახირია, სოსიკოს რალაც მიამახა იტალიურად და მისკენ გაქანდა, თითქოს ცემას უპირებდა. მაგრამ სოსიკოს ველარ მიაკვლია, რადგან ის უკვე ქუჩაში იყო და ლილინ-ლილინით მიემართებოდა სახლისკენ, კმაყოფილი საკუთარი საქციელით, მეორე დღეს ხომ მთელი თბილისი მასზე ილაპარაკებდა და აბა სოსიკოსაც მეტი რა უნდოდა.

სასაცილო ამბები სხვა ბევრიც ხდებოდა.

„კარმენის“ წარმოდგენის დროს ხოზეს პარტიის შემსრულებელს სცენაზე, სავარაუდოდ სიმთვრალის გამო, ბოლო აქტში დანის გამოტანა დავინწყნია და კარმენი თითოთ მოუკლავს. ისედაც უკმაყოფილო ხალხი, იმის გამო რომ მსახიობთა შემადგენლობა სპექტაკლისთვის შეუსაბამო ყოფილა, დაუფარავად გამოხატავდა აღშფოთებას. პრემიერა მარცხით დასრულდა, ამან კიდევ ის მოიტანა, რომ „კარმენი“ თბილისში გვარიანი დროის განმავლობაში აღარ იდგმებოდა.

მიუხედავად ამგვარი ოხუნჯობებისა, რომელიც ევროპულ ქალაქს ნამდვილად არ შეეფერებოდა, თბილისის ოპერა მოქალაქეთა გულ-სულში მაინც პირველობას ინარჩუნებდა, ადამიანს ეგონებოდა, ამაზე მთავარი საქმე ქალაქში არ არის და აღარც იქნებაო.

სამსონ ბალახაშვილი ასეთი ამბის მომსწრეც გამხდარა.

დები ლუიზა და ადელაიდა ვიზოლები ოპერის თეატრის ახალი ვარსკვლავები გახდნენ, მართალია ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ უკვე პაექრობას უწევდნენ პრიმადონა რამონის. თბილისი ორად გაიყო, რამონისტებად და ვიზოლისტებად, უკან დახევას არავინ აპირებდა, წერდნენ კიდევ:

ყველიერში თბილისმა თითქოს დაივიწყა ცეკვა-თამაში, ბლინები, ყეენობა, ბერიკაობა. მას სწყუროდა ენახა რობერტი მეიერბერისა. უკანასკნელი წარმოდგენის დღეს ყველა მოუთმენლად ელოდა დაღამებას, ყველა თეატრისკენ მიისწრაფოდა, ყველას ერთი სურვილი ჰქონდა: კიდევ ერთხელ მოესმინა მუსიკა და ეხილა გადაწყვეტილება დამსწრე საზოგადოებისა, ვის მიენიჭებოდა პირველობის გვირგვინი, რომელ პრიმადონას: ქალბატონ რამონის თუ ქალიშვილ ვაზოლის.

ამჯერად პრესა არ სცრუობდა. ხალხი შეგროვდა, რომანისტები და ვიზოლისტები თეატრში შედიან, ყოველი მხრიდან ისმის კითხვა:

— თქვენ რამონისტი ბრძანდებით?!

— თქვენ უეჭველად ვიზოლისტი იქნებით?!

იმ დღეს საქმე ჩხუბამდე არ მისულა, დამსწრე საზოგადოებამ მოულოდნელად, მაგრამ სამართლიანად გადასჭრა საკითხი, მან ორივე პრიმადონას გაუნაწილა გვირგვინი და ორივეს ღირსება სცნო

მუსიკა ყველგან აღწევდა. ასე მოხდა, როდესაც თბილისში ვერდის „რიგოლეტო“ დაიდგა, ცნობილი არია ლამაზი ქალი სწრაფად გავრცელდა და ქალაქმა ერთხმად აიტაცა. მართალია, სიტყვები ყველას არ ესმოდა და ბევრი სწორადაც ვერ გამოსთქვამდა, მაგრამ სიმღერას მაინც არ იშლიდნენ. ჩვენს ვინაობა და დაკლავილ ქუჩებში თითქმის განუწყვეტილი იხმოდა „ლა დონა ე მობილე“. მღეროდნენ ყველგან, ქოხმახებში, მდიდრულად განყოფილ ბინებში, სამზარეულოებში, სამიკიტნოებში, მღეროდნენ ნასწავლნი და უსწავლენი, ფრანტები და ჩინოსნები, შეგირდები და ლაქები, მუსიკალურ განათლებასა და სმენას, ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა ნაკლებად ჰქონდა.

როდესაც თბილისში იტალიელი ტენორო ლოდი გამოჩნდა, წამსვე შეარქვეს თბილისელ მანდილოსანთა კერპი, იშვიათი სილამაზისა და ასევე არტისტული იერის გამო. რაფიელ ერისთავმა თბილისელ ბარიშნებს დასცინა კიდევ და ასეთი რამ გამოუთქვა:

**ბაღში რად არ მელოდია,
მიყვარს შენი მელოდია!
მასაკუთრეთ მე ლოდია,
ანუ გულზე მე ლოდია!**

ერევის მოედანი ახალი ცხოვრების ცენტრი გახდა. ქუჩაში გამოუდგებოდა ოპერაზე ლაპარაკობდნენ, ერთი რომ მეორეს შეხვდებოდა, აუცილებლად მუსიკაზე ჩამოუგდებდა სიტყვას, პირველი ფერარას სიმღერის ქებაში იყო, მეორე პონტიროლისა, მესამეს კი ფერზინგი ერჩივნა ყველაფერს. ირგვლივ მხოლოდ კომპოზიტორთა სახელები ისმოდა, როსინისა, ბელინისა, დონიცეტისა, ვერდისა, ვაგნერი-სა, ამის გამო კაცს თავი მილანში ეგონებოდა და არა გორგასლის ქალაქში. მეტიც, დედ-მამა მიივიწყეს და ახლა კომპოზიტორების თავს ფიცულობდნენ. შესაძლოა გადაწყდომოდით ყმანვილ ჩადრიან ქალს, რომელიც მიდიოდა და გზადაგზა იხახდა: თქვენი ბელინის მზემ, ჩადრზე ფეხი არ დამადგათო. იმერელ მუშებს ხომ ტვინი ჰქონდათ ნაღებული ფიგაროს სიმღერით.

**ფიგარო აქა, ფიგარო იქა,
ფიგარო ზევით, ფიგარო ქვევით.**

ყველას მოსდებოდა ოპერის სწეულება. აი, ასეთი დღესასწაული, ასეთი ცხოვრების წესი გაანადგურა ხანძარმა, უფრო კი ხანძრის გამჩენმა სტალრებმა, რაც დადასტურდა კიდევ აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ქუჩაში დარჩენილი მსახიობები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით იტალიელები, რომლებსაც პატრონი არავინ ჰყავდა და არც უკან გასამგზავრებელი ფული მოეპოვებოდათ. მსახიობებს სხვა რაღა დარჩენოდათ და მეფისნაცვალს თხოვნით მიმართეს:

თავად ვორონცოვის განკარგულებითა და თხოვნით, ჩვენ, კეთილშობილი ნოდების ადამიანები იძულებულნი გახვდით შევსულიყავით საოპერო დასში. ერთის მხრივ იმ იმედით, რომ ეს დასი მუდამ იარსებებდა, როგორც პირადად მეფისნაცვალის თავადი ვორონცოვი გვარნმუნებდა, ხოლო მეორეს მხრივ, კეთილშობილი ნოდების ქალიშვილებს, რომლებიც მსახიობები გახდნენ, შეეძლოთ ცოლად

გაჰყოლოდნენ მსახიობებს და ამ გზით მოეწყობათ თავიანთი ბედი.

გრძელი წერილი ასევე თხოვნით სრულდებოდა, რათა დასს, თუნდაც სხვა ადგილას, დროებით მაინც მისცემოდა საშუალება გაემართა წარმოდგენები და ცოტაოდენი სახსარი ჰქონოდა საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად.

თხოვნამ შედეგი არ გამოიღო, სამკვირიანი ლოდინის შემდეგ პასუხიც გამოჩნდა:

რადგან თქვენი თხოვნა დაწერილია უბრალო ქალაქზე, ხოლო მასში აღნიშნული არაა შემდგენისა და გადამწერის გვარები, კავკასიის მეფისნაცვლის ამ თვის 909 ცირკულარული მოწერილობის თანახმად იგი უშედეგოდაა დატოვებული.

თამამშვეთანაც მისვლა-მოსვლამაც მარცხი განიცადა. ვაჭარი უარზე დადგა და თეატრის აღდგენა საკუთარ ქარვასლაში გადაიფიქრა. მაშინ ერევის მოედანზე უფასოდ მიცემული ნაკვეთის საფასური მოსთხოვეს, რომელიც შეადგენდა ასორმოდანათ ათას მანეთს, ეს თანხა თამამშვემა სრულიად ადვილად გადაიხადა. თბილისში ჭორად დადიოდა, რომ თამამშვეის უარის მიზეზი სულ სხვაგან იყო დამარხული. როგორც ამბობდნენ, ქალაქის საპატრიარქოს მოქალაქეს მანთაშვეის ვალი ჰქონია, იმასაც კიდევ ან თავისი ფული მოუთხოვია, ანდა კიდევ ის ნაკვეთი ფულის სანაცვლოდ. ასეთი გარიგება ორივესთვის სიკეთის მომტანი იყო, თამამშვეი ნაგებაში მაინც არ რჩებოდა, რადგან შენობის დაზღვევის თანხა გაცილებით მეტი მიიღო, აბეზარი თეატრიც მოიცილა თავიდან, ნაკვეთიც დარჩა თბილისის ცენტრში, რომლითაც ვალი გაისტუმრა და საკუთარი ქარვასლაქ შეინარჩუნა.

ვინ იცის, ასე კი ამბობდნენ. ამის შემდეგ სამსონ ბალახაშვილის დღიურში, სადაც ყველა თბილისური ამბავი შეჰქონდა, ასეთი სევდიანი ჩანაწერი გაჩნდა, ისევ და ისევ ოპერის გადამეტებული სიყვარულის გამო.

თეატრი აღარ არის. გამოვეთხოვეთ ჩვენს ბუღბულებს. თბილისი ცარიელდება. ზვატიანი დღეები, შეხუთული საღამოები და ღამეები შეუბრალებლად ჰქანცავენ აქ დარჩენილთ.

აფსუს! როდესაც ჩრდილოეთის სატახტო ქალაქები გატაცებით უსმენენ შტრაუსის, გუნგლის და საქსის შესანიშნავ ორკესტრებს თბილისი დამუნჯებულია. არც ერთი ბგერა, არც ერთი დამამშვიდებელი აკორდი არ გაისმის მის მტვრიან ქუჩებში. დალილი და სევდიანი მემატინან თეატრისა ხელს ჰკიდებს კალამს, რათა მოგონებით მაინც განიცადოს განვლილი სეზონი.

შეწყდა სპექტაკლები, მაგრამ როდი მიწყნარდა მათ შესახებ ხმები, მსჯელობა, მითქმა-მოთქმა. ოპერამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისელებზე, რომ ისინი აქამდე ბგერათა გავლენას განიცდიან და როგორი უნაროც შესწევთ, იმგვარად იმეორებენ ხოლმე ამ ბგერებს. კერძო სახლებში ბელინის, როსინისა და ვერდის მუსიკა გაისმის, სრულდება არიები, დუეტები და ტერცეტები.

დღიურში სხვა ბევრ რამესაც ნააწყებოდა ადამიანი, თუკი სამსონ ბალახაშვილის ნაწერებს თვალს ჩაჰკრავდა. აქვე იმ ადამიანის გვარ-სახელსაც იპოვნიდით, რომელიც სამსონს გარკვეულ ინფორმაციას აწვდიდა მოკრძალებული ანაზღაურების საფასურად.

ეს ადამიანი გახლდათ კონსტანტინე პაული, რომელიც მუყაითად შრომობდა ქალაქის მმართველობაში და ევალებოდა სხვადასხვა სახის დოკუმენტების გადაწერა თუ წესრიგში მოყვანა.

ამ დოკუმენტებიდან ირკვეოდა შემდეგი: თბილისის ოპერის თეატრის შენახვა წლიურად ჯდება 37000 ათასი მანეთი, აქედან 31000 ათასი მთავრობის იყო, ხოლო 6000 ათასი ქალაქის მმართველობისა. ამ ციფრებით ნათლად ჩანდა რომ სახელმწიფოს თეატრი დოტაციაზე ჰყავდა, ანუ დახმარებაზე. მიუხედავად ამისა, ოპერის თეატრი ყოველ წელს ზარალით ამთავრებდა. ამის მიზეზი, სხვა ბევრ რამესთან ერთად, ისიც იყო, რომ ხუთი თვის განმავლობაში უმოქმედო დასის შენახვა 27000 ათასი მანეთი ჯდება, რაც, რბილად რომ ითქვას, მეტად უცნაურად ჩანდა და სრულიად უნაყოფო ხარჯად გამოიყურებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ თეატრის დეფიციტი ყოველწლიურად მატულობდა. არადა, თბილისში წარმატებით მუშაობდნენ სხვა გასართობი ადგილები, სური, მუშთაიდი, სან-სუსი, მონ-პლუზირი და კინ გრუსტი, მარტო მუშთაიდს ღამეში 250 მანეთი შემოსდიოდა. დიდი მიხვედრა აღარ ჭირდებოდა, ძალის თავი სხვაგან უნდა ყოფილიყო დამარხული და ეს თავი გახლდათ ქრთამი, ალებ-მიცემობა და თანხების მითვისება. ფულს ყველა ისე იპარავდა თუ აკეთებდა, როგორც შეეძლო. დირექციამ, ვითომდა დისციპლინის დასამყარებლად, ჯარიმებიც კი შემოიღო და ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო დარღვევაზე ყველას ფულის გადახდას სთხოვდა. ასე დაუჯარიმებიათ, რამდენიმე წუთით გადაცილებული ანტრაქტის გამო, მემანქანე ლეიციკი 15 მანეთით, მისი თანაშემწე დუბჩენკო 3 მანეთით, ხოლო დურგალი კონდრატიევი 5 მანეთით.

დირექცია არც სოლისტებს ინდობდა, თუმცა დაჯარიმების ფორმალური მხარე ყოველთვის მოწესრიგებული ჰქონდა. ასე ყოფილა მომღერალ პიციგალის შემთხვევაში, რომელსაც 550 მანეთის გადახდა მოუწია, ვითომდა იმ მიზეზით, რომ მისი ახირების გამო წარმოდგენა ჩაიშალა. წარმოდგენა მართლაც ჩაიშალა, პიციგალს ფეხი ჰქონდა ნატყენი და სცენაზე გადაადგილება უჭირდა, თუმცა ამით არავინ დაინტერესებულა.

იყო სხვა შემთხვევა: თეატრის მთავარმა რეჟისორმა ფორკატმა ბარიტონ ობრასცოვს სპეციალურ ბლანკზე ასეთი შინაარსის წერილი მისწერა.

მონყალეო ხელმწიფევე, ბატონო ობრასცოვ!

ამით გაუწყებთ, რომ შინაგანანესის 92 მუხლის მიხედვით თქვენ დაჯარიმებული ბრძანდებით კუთვნილი ხელფასის ოცი პროცენტით ოპერა „ჰენზელ და გრეტელში“ პეტრეს პარტიის შესრულებაზე უარის თქმისთვის.

ეს პარტია განკუთვნილია მაღალი ბანისთვის, ამის გამო შესაძლებელი იყო პარტიის დაკისრება დრამატული ბარიტონისთვის, ობრასცოვი კი ლირიკული ბარიტონი გახლდათ. თანხის ოდენობით გამწარებული მსახიობი არ დაიბნა, ღირიჟორ პალიცინს სათანადო დასკვნა გამოართვა და საქმე გაასაჩივრა. თეატრის დირექტორმა სამართლიანად სცნო ობრასცოვის უარი, უკანონო ჯარიმა მოხსნა და პარტია ბარიტონ მაქსაკოვს დააკისრა.

მოკლედ, ოპერაში უცნაურობები ხდებოდა.

საჩივრები მატულობდა, ჩიოდნენ მსახიობები, რეჟისორები და მუშა-მოსამსახურენი, რა თქმა უნდა, სხვისი დახ-

მარებითა და შედგენილი ქალაქით, რადგან თავად მათ ამის ძალა არ ჰქონდათ წერა-კითხვის უცოდინრობის გამო.

ამ საჩივრების შედეგად იმპერიის დედაქალაქში გადამწყვეტილება მიუღიათ, თბილისში გამოეგზავნათ რევიზორი, რომელიც ოპერის თეატრის ამბებს შეისწავლიდა და სათანადო დასკვნას წარადგენდა ისევე და ისევე დედაქალაქში. ეს ამბავი დიდ არეულობას გამოიწვევდა, რევიზორი უცილობლად მოითხოვდა საბუთებს, როგორც მშენებლობის, ასევე მიმდინარე საქმეების, დასთვლიდა ყველა ჭანჭიკს, ყველა სკამს, ნათურას, ჭალს, გამოიკითხავდა მათ ლირებულებას, შეადარებდა ქალაქში გამოყვანილ ციფრებს, დაჰკითხავდა მუშა-ხელოსნებს, მსახიობებს, ადმინისტრაციას, ქალაქის ხელმძღვანელობას, მოკლედ, ყველას, ვინც კი ოპერის თეატრს ვაჰკარებია. აქედანვე ჩანდა, თუკი რევიზორი გულმოდგინედ მოეკიდებოდა საქუთარ მოვალეობას, ათიოდე კაცს ციხე-კატორღა არ ასცდებოდა. რჩებოდა მხოლოდ ერთი გამოსავალი, ოპერის თეატრი უნდა გამქრალიყო, კვალის ნასაშლელად კი ხანძარზე კარგი რამ ადამიანს არ მოუგონია.

ასეც მოხდა, მაგანთა დავალებით თეატრს ცეცხლი წაუკიდეს, ყველაფერი კი ველურ ქართველებს დაბრალდა, როგორც იყო კიდევ ჩაფიქრებული. ყველამ იხიერა, რუსებმა, რომლებმაც ფული გაფლანგეს და მიითვისეს, თამამშვემა, რომელმაც დაზღვევის გვარიანი თანხა მიიღო, მანთაშვემა, რომელსაც ამ ფულიდან საკუთარი ვალი ერგო. დაიჩაგრნენ საბრალო სტალრები და ქართული საზოგადოება, რომელიც კიდევ ერთხელ დარჩა თეატრისა და ევროპული კულტურის გარეშე.

ამ ფიქრში იყო სამსონი.

მართალია, თვითონ სამსონ ბალახაშვილი პირდაპირ ვერაფერს ამტკიცებდა, მაგრამ გარკვეული ეჭვების შეტანას კი შეძლებდა იმ წერილში, რომლის დაწერა-გამოქვეყნებას აპირებდა, რომ არა ერთი გარემოება: ერთ დღესაც რედაქციის კარი გაიღო და სამსონს თავზე წამოადგა ყოფილი შლანნიცა, ხოლო ამჟამად ხელზე მოსამსახურე ფონა თედორეს ასული მელნიკოვა-მაისტრენკო, რომელმაც უცნაური, მეტად კი დაუჯერებელი რამ განაცხადა:

- თქვენ ბრძანდებით ბალახაშვილი?
- გახლავარდ, ვის ვესაუბრები?
- ფონა მელნიკოვა-მაისტრენკოს.
- რაზედ შენუხებულხართ?
- ამბის სათქმელად მოვედი.
- გისმენთ.
- მე ვარ დედა მომღერალ შალიაპინისა.

სამსონი, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთში მუშაობდა და თბილისელ მაცხოვრებელთა უცნაურობებს შეჩვეულიც კი გახლდათ, ასეთ რამეს მაინც არ ელოდა და, როგორც იტყვიან, სახტად დარჩა. ასე რომ, სამსონ ბალახაშვილმა, დროებით მაინც, გაჩუმება ამჯობინა.

მექუდე, იგივე მეშლაპკე.

ამ ხელობის მიმდევარი ხალხი ქალაქში ძალიან ბევრი იყო. ისინი უმეტესად იყვნენ გლეხი ხალხის შვილები და თბილისის მოქალაქენი. დუქნებიც ჰქონდათ გახსნილი და გასამრჯელოსაც ასატანს იღებდნენ თავიანთ სამუშაოში, ასე რომ, შეძლებულ მექუდესაც წაანყებოდა ადამიანი. ეს დუქნები ძირითადად განთავსებული იყო ქალაქის ყრუ და

ჭუჭყიან ქუჩებზე ქვემო ბაზართან. აქეთა მხარესაც არიან, ერთი-ორი ქარვასლაშიც ზის, ერთ-ორს დიდი სახლების ალაყაფის კართან ნაანყდებით, ზოგსაც ერევის მოედნიდან სასახლის ქუჩის ქვემოთ, ზოგიც სახლში მუშაობს და კვირაობით იარმუკაში ანუ ბაზრობაზე გააქვს გასაყიდად თავისი საქონელი, მაგრამ წვალემა და გარჯა ყველას ერთნაირი ხვდება.

ადრე, სანამ ევროპიდან მზა საქონელი შემოვიდოდა, მეშლაპკეების ცხოვრება უფრო დაღბნილად ჩანდა. ერთი ნაცნობი მეშლაპკე ამბობდა: ჩვენი ფულის მოგება ადრე იყო, ხომ ხედავ, ისე გავლარიბდი და ისე დავეცი მთანმინდაზე სამეტაჟიანი სახლი გამიყიდეს, დუქნის თანხა შემისუსტდა და ეგრე ტანჯვაში ვარო. ერთით მაინც ბედნიერები არიან, რადგან ისინი ისე არ ავადდებიან, როგორც პარტნოვები ანუ მკერავები და მხედველობასაც დიდხანს ინარჩუნებენ.

მეშლაპკეებს კერვაში ცოლებიც ეხმარებოდნენ და შვილებიც, თუმცა უმეტესობა მაინც დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. ეს გაჭირვება განსაკუთრებით გამოჩნდა დიდი შიმშილობის დროს, რომელიც თბილისს დაატყდა თავს. ერთი მეშლაპკეების ოჯახის ბურჯი დასწეულდა და გარდაიცვალა. სამუშაო აღარსად იყო, ოჯახის საქმე უკან-უკან წავიდა, ხუთი ქალიდან მხოლოდ ერთმა უშველა თავს გათხოვებით. ერთი ბორჯომისკენ წაიყვანეს და ნამუსი ახადეს, მეორე დიდუბის დუქნებში ჩავარდა, მესამე ყვავილით გარდაიცვალა, მეოთხე სწორედაც რომ უსახსრობის გამო გაუთხოვარი დაბერდა.

ვინ მოსთვლის რამდენი ყოფილა ასეთი შემთხვევა.

მეშლაპკეებს გაზაფხულის მოსვლა ყველაზე მეტად უხაროდათ, ამ დროს მათი შემოსავალი იზრდებოდა, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი თვე გრძელდებოდა. ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისელები თეთრ, საზაფხულო ქუდეებს იხურავდნენ, ანდა შავ ქუდეებზე გადასაკვრელ პირებს ცვლიდნენ.

სხვა მხრივ, თბილისელი შლაპნიკები ისევე ცხოვრობდნენ, როგორც სხვა ქალაქელი მუშა-ხელოსნები და გაჭირვებაში სწევდნენ საკუთარ ჭაპანს.

— რა ბრძანეთ? — გონს მოეგო სამსონ ბალახაშვილი და ყოფილ შლაპნიკს შეხედა, რომელიც ამჟამად, თავისივე დასტურით, შინამოსამსახურე გახლდათ.

— მომღერალ შალიაპინის დედა გახლავართ...

— ეგ როგორ? — ალბათ სწორი, თუმცა ცოტა სულე-ლური კითხვა დასვა სამსონმა.

— დიახ, ეგრე მოხდა ჩემს ცხოვრებაში. — დარცხვენით მიუგო მელნიკოვამ, თავი დახარა და საკუთარი სევდიანი ამბის თხრობა განაგრძო.

მელნიკოვა ყოფილა სტავროპოლის გუბერნიის, ალექსანდროვსკის მაზრის, სოფელ სოლდაცკაიას მცხოვრები. იგი მოსამსახურედ ჩამოუყვანიათ თბილისში, სადაც ადვილად შეუცდენია ვინმე ბახუტოვს, იგივე ბახუტაშვილს. ეს ბახუტაშვილი იყო შეძლებული, მეტიც მდიდარი კაცი, ღვინის მალაზიებისა და მინების მეპატრონე, ცოლიც ჰყოლია და შვილებიც. მელნიკოვას შეძენია ვაჟი, ეს ამბავი შეუტყვიათ ბახუტაშვილებს და ბავშვის წაყვანა მოუწოდებიათ, ასე უთქვამთ, შენ მაინც ვერ გაზრდი, ჩვენთან, კახეთში წაყვანთ, მამულში და კარგად მივხედავთო. მელნიკოვამ

ბავშვი არ დაანება, მაგრამ ცნობილ მთანმინდელ ბები-ქალს, რომელსაც მელნიკოვა მოულოგინებია, ბავშვი მედუქნე სიკოს კარზე მიუგდია, ისევე და ისევე ბახუტაშვილებთან შეთანხმებით. მედუქნის ცოლს სიამოვნებით აუყვანია ბავშვი, მაგრამ თავად სიკოს უთქვამს უარი. ამ დროს პოსტზე მდგარა რიგითი პოლიციელი ივანე შალიაპინი, რომელიც შესწრებია კიდეც ხსენებულ დავიდარაბას და ბავშვი მას წაუყვანია.

იმ დროს შალიაპინს სახელი უკვე შორს ჰქონდა გავარდნილი, არც სახელი აკლდა, არც პატივისცემა და გასამრჯელოსაც გვარიანს იღებდა. ერთ რამეში მაინც მოსამსახურე ქალი მართალი იყო, შალიაპინი თბილისში ცხოვრობდა და მეგობრებიც ბლომად ჰყავდა. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობდა, თბილისში ბაქოდან უნდა მოხვედრილიყო, სადაც სადგურში მგზავრების ბარგს ეზიდებოდა და საიდნაც ვიღაც მადლიანმა მტვირთავმა ექვს შაურად ჩამოიყვანა თბილისში საბარგო ვაგონით. აქაც ქუჩაში მოუწია ცხოვრება, თავისნაირ უსახლკაროებს შეეკედლა, სვამდა, ღრეობდა, დროდადრო მღეროდა, მოკლედ, მოუსვენარ ცხოვრებას ეწეოდა. ერთხელ, როგორც ამბობენ, მისი ხმა სრულიად შემთხვევით მოუსმენია ვინმე უსატოვს, რომელიც კერძო პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, სწორედ მან იკისრა შალიაპინთან უსახსრობად მეცადინეობა. მეტიც, ფრაკიც აჩუქა, აფთიაქის მეპატრონე კანიფოლოვს თუმანი დაანიშნინა და თხუთმეტი მანეთი სამუსიკო წრეს დაამატებინა. უსატოვს ორი იმედიანი მონაფე ჰყოლია, მეორე ყოფილა მომავალი ლოტბარი ნიკო სულხანიშვილი, რომელსაც უსატოვი შალიაპინზე მეტად აქებდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა, შალიაპინმა სახელი გაითქვა და გამდიდრდა, სულხანიშვილს მშობლიური მუსიკის სამსახურში ამოხდა სული, რუსებისგან დამცირებულსა და მშიერ-მწყურვალს.

თბილისში შალიაპინი ქართველ მსახიობებთანაც მეგობრობდა, ლადო მესხიშვილსა და ვალერიან გუნიასთან, სწორედ გუნიამ უყიდა ცნობილ მომღერალს პირველი ახალი ფეხსაცმელი. სიმართლე უნდა ითქვას და არც შალიაპინი ივიწყებდა ძველ მეგობრებს, ხან ფულით ეხმარებოდა და ხანაც სხვადასხვა საჩუქრით. წრესა და წარმომავლობას მისთვის მნიშვნელობა არასდროს ჰქონია, მეგობრობა ყველასთან შეეძლო. ამ სიას ავსებდნენ გრიმორი მხეიძე, დარაჯი ტროფიმი, რომელიც უსახსრო მომღერალს მთელი დღის განმავლობაში პაპიროსის ნაშნავებს უგრეობდა, აფიშიორი გიგო, დარდიმანდი, მეტსახელად პაჭიკა, დირიჟორი ივანე ფალიაშვილი, ბარიტონი კაზიმირ ცხომელიძე, ჩელოზე დამკვრელი სარაჯიშვილი, კბილის ექიმი ცეცხლაძე, მოკლედ, აქედანაც კარგად ჩანდა, რომ ნაღდი თბილისელი კაცი იყო და თბილისურად ცხოვრობდა.

შინამოსამსახურის ნაამბობი ნელ-ნელა სიმართლეს ემსგავსებოდა.

სამსონ ბალახიშვილისთვის ისიც იყო ცნობილი, რომ შალიაპინი კიდეც ერთხელ უნდა ჩამოსულიყო თბილისში, რამდენიმე კონცერტის გასამართად. მართალია ოპერის თეატრი აღარ დახვდებოდა, ყველასთვის ცნობილი მიზეზის გამო, მაგრამ რამე დარბაზს აუცილებლად შეარჩევდნენ, რაც უნდა იყოს, საქვეყნოდ ცნობილი მომღერლის სტუმრობა სახუმარო საქმე ნამდვილად არ იყო.

ეს რთული საქმე, იგულისხმება მოლაპარაკება-ანაზ-
ლაურება და სხვა საორგანიზაციო საქმეები, მოუგვარებია
აკაკი წერეთლის ერთადერთ შვილს, რომელიც ასეთი ამბე-
ზის ნამდვილ მცოდნედ ითვლებოდა და დიდი გამავლობაც
ჰქონია.

დარწმუნებით სამსონი ვერაფერს იტყოდა, მაგრამ გუ-
ლი უგრძობდა, რომ რალაც უცნაურის თუ დაუჯერებე-
ლის მომსწრე უნდა გამხდარიყო.

— გინდაც ეგრე იყოს, ჩემთან რად მოხვედით ? —
იკითხა სამსონმა.

— ღვთისნიერმა ხალხმა მომასწავლა, პეჩატნი სიტყვას
დიდი გამავლობა აქვსო, თქვენ თუ მიშველით...

— მე რა შემოძლია, ამ ყველაფერს შესწავლა, გამორკ-
ვევა, დამტკიცება სჭირდება. — თქვა სამსონმა, თუმცა
კარგად იცოდა, რომ იმდროინდელ პრესაში სენსაციურიც
ბევრი რამ იბეჭდებოდა, რომელსაც ნამდვილ ამბებთან სა-
ერთო არაფერი ჰქონდა.

— მამ ამათზე უპრავა აღარ ყოფილა, მამ უნდა დამჩაგ-
რონ უბედური ქალი, ჩემი ქონება მიითვისონ, დასამარხი
ფულიც აღარ დამიტოვონ, ისევე შვილი თუ უშველის საკუ-
თარ დედას, ჩამოვა ჩემი თევდორე, აუცილებლად ჩამოვა...

— რა ქონება, რა ფული... — სამსონი მოთმინებას კარ-
გავდა.

— აბა ეგრე როგორ იქნება, ჩემს მიწაზე აშენებული სა-
ვაჭრო სახლიდან ერთი ოთახიც აღარ მეკუთვნის მოხუცე-
ბულ დედას?! — განაგრძობდა მემლაპაკე და სამსონის მოს-
მენა აღარც კი უნდოდა.

— რომელ მიწას გულისხმობთ?

— ერევნის მოედნისა...

— ქარვასლა? — ჩაეძია სამსონი.

— სწორედაც რომ ევა — დააზუსტა მელნიკოვამ და სა-
კუთარი სევედიანი ამბის თხრობა განაგრძო. — სიკვდილის
წინ ბახუტოვმა ბიჭი გამომიგზავნა და თავისთან დამიბარა.
ნასვლა არ მინდოდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე მისვლა,
რაც უნდა იყოს, ჩემი შვილის მამა მიხმობდა. მივედი, გუშინ-
დელივით მახსოვს ყველაფერი, იქ დამხვდა ჩემი ბებიაქალი
და მოსამსახურე ბიჭი, რომელიც ჩვენს საუბარს არ დასწრე-
ბია და მალევე გავიდა ოთახიდან. ბახუ-
ტოვს ბევრი არ ულაპარაკია, ძალა
აღარ ჰქონდა, უკანასკნელ წუთებს
ითვლიდა, მაგრამ ამის თქმა მაინც მო-
ახერხა, ერევნის მოედანზე რომ მიწის
ნაკვეთია, ჩემია, ამის მეტი არაფერი
გამაჩნია და შენ გიტოვებ ძველი ცოდ-
ვების საფასურად, როგორც გინდა,
ისე მოიხმარეო, მერე გამზადებულ ქა-
ლალზე ხელი მოაწერა, ბებიაქალსაც
მოაწერინა და მე ვადმოძცა.

— ესხა სად არის ეგ ქალალდი?

— თან წამოვიღე. — მელნიკოვამ
ჭუჭყიანი ფუთა გახსნა და დაკეცილი
ფურცელი სამსონს გადააწოდა.

— აქამდე ჩუმად რად იყავი? —
იკითხა სამსონმა და ცალი თვალით
წაწერს ჩახედა.

— დაკარგული მეგონა, მაგრამ
ღმერთის წყალობით ვიპოვე.

ერთი შეხედვით მართლაც ისე ჩანდა, რომ ეს ბახუტო-
ვი აღნიშნული მიწის ნაკვეთს მელნიკოვას გადასცემდა
უსასყიდლოდ და საჩუქრად. შესაძლოა ყურადღებით შეს-
წავლისას ქალალდს ხარვეზებიც აღმოჩენოდა, მაგრამ ეს
მომავლისა და სპეციალისტების საქმე იყო. სამსონმა, რო-
გორც გაზეთის კაცმა, კარგად იცოდა, რომ თბილისში,
კერძოდ კი პრესაში, მრავლად იყო ცალმხრივი ინფორმა-
ცია, ტყუილი, ცილისწამება, ვითომდა სენსაციური რამ,
მაგრამ ამ ყველაფერს რეალური ნიადაგი არ გააჩნდა. მიუ-
ხედავად ამისა, ასეთ სტატიებს ბევრის გამწარება შეეძლო
და ამ სიმწარეში შესაძლოა სიმართლაც დადგენილიყო. ასე
რომ, სამსონ ბალახაშვილს შურისძიების საშუალება უჩნ-
დებოდა იმით მიმართ, ვინც თბილისი ოპერის გარეშე დას-
ტოვა. სიმართლეს თუ ვერ დაადგენდა, გვარიანად ხომ მა-
ინც შეანჯღრევდა მთელს ქალაქს, თბილისელი ჟურნა-
ლისტის საქმე ხომ მეტი არც არაფერია. მერე პატიებაც შე-
იძლებოდა, რადგან შურისძიების შემდეგ პატიებაც გაცი-
ლებით ადვილი ხდება.

— ვინმეს თუ აჩვენეთ ეს ქალალდი?

— ვისთვის უნდა მეჩვენებინა, შვილო, გაუბედურებულ
ქალს ვინ მოუსმენს, თამამშვეთან მინდოდა შეხვედრა, მაგ-
რამ ახლოს არ გამიკარა, ერთი თქვენ დამრჩიოთ იმედად და
ჩემი შვილი, იმას მაინც ხომ ველარ გაუბედავენ ეგრე აგდე-
ბულად ლაპარაკს.

— თუ საქმის წინ წაწევა გვინდა, ეს ქალალდი უნდა და-
ვიტოვო.

— მაგდენი როგორ არ მესმის, მაგრამ მეტი არაფერი
გამაჩნია უბედურ ქალს.

— სხვანაირად ეგ საქმე არ გამოვა. — მოჭრა სამსონმა,
რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ეს საუბარი უკვე გვა-
რიანად ჰქონდა მობეზრებული.


— ღმერთი თუ დამიფარავს, ჩემი შვილი თუ მიშველის...

— მოჰყვა მოთქმას მელნიკოვა და ერთი-ორი ცრემლიც
გადმოაყოლა ნამტირალეე ხმას.

ასე მორჩა ეს საუბარი.

სამსონ ბალახაშვილმა გადაწყვიტა, რომ დროებით მა-
ინც აღნიშნული საუბარი საიდუმლოდ შეენახა და კოლეგე-
ბისთვისაც კი არაფერი ეთქვა. ასე რომ,
სამსონს მართო უნდა შეესწავლა ყვე-
ლაფერი, რაც გაცილებით მეტ დროს
მოითხოვდა, ისევე და ისევე დამხმარე-
ების არყოფნის გამო.

გადადებული საქმე რომ ეშმაკი-
საა, სამსონმა კარგად იცოდა, ამიტო-
მაც მალევე შეუდგა საქმეს, როგორც
იყო კიდეც მიჩვეული. გამოკვლევის
შედეგად სამსონმა დაადგინა შემდე-
გი: აღმოჩენილ იქნა ლაბორატორიის
შენობა მეჯვეაიას ქუჩაზე, მთანინ-
დაზე, სადაც იმშობიარა მელნიკოვამ.
დადგინდა ისიც, რომ ამ ქუჩაზე შენ-
დებოდა გაბაშვილის სახლი, მის
გვერდზე კი მდებარეობდა ბახუტაშ-
ვილის საცხოვრებელი. ასევე გამო-
ირკვა, რომ პოლიციელი ივანე შალი-
აპინი ბოქაულ ერისთავთან მსახუ-
რობდა, მას კარგად იცნობდა ამჟა-



მად კანცელარიის დარაჯი ვინოკუროვი, რომელიც მიუხედავად მრავალწლიანი ლოთობისა, ბავშვის შექმნა-გაშვილების ამბავს ადასტურებდა, რა თქმა უნდა, არყის საფასურად. თავის მხრივ, ვინოკუროვი ასახელებდა მუშა ყულკოვსკის, რომელიც ჭიქასა და ჭიქას შუა ხშირად იგონებდა თავის განუყრელ მეგობარს, ჭაბუკ შალიაპინს და იმასაც ამბობდა, რომ იგი აქაური ქალის შვილი იყო, ოღონდაც შლაპნიკის მაგივრად მას მრეცხავად მოიხსენიებდა, თუმცა ეს დეტალი ძირითად ამბავს ვერ აზარალებდა. ერთადერთი, რისი შემონეშვაც ვერ მოხერხდა, პეტრე მირიანაშვილის ამბავი იყო, რომელსაც თბილისელები დაჟინებით ამტკიცებდნენ. როგორც ამბობდნენ, მელნიკოვა მირიანაშვილის სახლში დადიოდა და სარეცხს ურეცხავდა, მას შემდეგ, რაც შლაპნიკოვაზე ხელი აიღო. ეს ამბავი პეტრესაც სცოდნია და ამის გამო თურმე ხშირად იმეორებდა, იმ სახლზე, სადაც შალიაპინი დაბადებულა, მემორიალური დაფა უნდა გაკეთდესო.

სულ ეს იყო, რისი გაგებაც სამსონ ბალახაშვილმა მოახერხა.

რჩებოდა თბილისის საპატიო მოქალაქე თამამშევი, რომელსაც ბევრ რამეზე შეეძლო პასუხის გაცემა, თუკი მოისურვებდა. მასთან შეხვედრა იოლი სულაც არ გახლდათ და სამსონისგან ბევრ დროსა თუ ძალისხმევას მოითხოვდა. სამსონ ბალახაშვილი ისევ თბილისურმა ურთიერთობებმა გადაარჩინა. შეხვედრის ორგანიზება ითავა ბუკინისტური მალაზიის მფლობელმა ხურცილავამ, რომელმაც ამ მისიას წარმატებით გაართვა თავი. შეხვედრის დრო და ადგილი დღემდე საიდუმლოდ რჩება იმ თბილისელთა ჭორიკენებისთვისაც, რომლებიც ასეთი საქმეების ნამდვილ ოსტატებად ითვლებიან და სხვისი ამბებით ცხოვრება წესად აქვთ გადაქცეული.

— მაშ ისე გამოდის, რომ ოპერა ჩემი დამწვარია. — იკითხა თამამშევიმ მას შემდეგ, რაც სამსონმა გრძელი მოთხრობი დაასრულა.

ბალახაშვილმა დუმილი ამჯობინა.

— ეს შლაპნიკიც მე დამიჩაგრავს და ლუკმა-პური წამირთმევია?! — განაგრძო თამამშევი.

სამსონი ამჯერადაც სდუმდა.

— მაგ თქვენს ქალაქებს და ჩემი ძაღლის პრუნუნს ერთი ფასი აქვს, დანერა და დაბრალება კი ყველაფრის შეიძლება, ჭკვიან ხალხს ეგეთი საქმეებისთვის სული მოუგონია, წავიდეს და სადაც უნდა, იქ მიჩვილოს.

ეს იყო და ეს.

მიუხედავად ამისა, თბილისში ორი მნიშვნელოვანი რამ მაინც მოხდა:

ერთი, რომ თამამშევი სამსონი გვარიანად გააბრაზა, რითაც საგაზეთო სტატიის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა.

მეორე კიდევ ის, რომ თბილისს ეწვია საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი შალიაპინი.

თავიდან კონცერტის გამართვაზე შალიაპინმა კატეგორიული უარი განაცხადა, რადგან ოპერის თეატრი

ალარ არსებობდა, ხოლო მისი ხმის შესაფერისი დარბაზი თბილისში ალარ მოიპოვებოდა, ეს სამწუხარო ამბავი მომღერალს გზაშივე ჰქონდა გაგონილი, მაგრამ ნახევარი მანძილი გამოეწეო და უკან გაბრუნებაც გადაიფიქრა. მასთან მოლაპარაკება კვლავ ითავა აკაკი წერეთლის ვაჟმა და მხოლოდ მისთვის ცნობილი არგუმენტებით კონცერტის მოწყობაზე დაითანხმა საგასტროლოდ ჩამოსული მომღერალი.

კონცერტი შედგა თბილისის საკრებულოს დარბაზში და მთელი თანხა გადაეცა ქართულ დრამატულ საზოგადოებას. შალიაპინმა რამდენიმე სიმღერა იმღერა იმის გამო, რომ კონცერტს სხვა მონაწილეებიც ჰყავდა, კერძოდ, აკაკი წერეთელი, ანდრონიკაშვილი, სარაჯიშვილი, ორბელიანი, პოხომოვი და სხვა მსახიობები. პოხომოვმა წაიკითხა აკაკის „სალამურის“ რუსული თარგმანი. თვითონ აკაკიც გამოვიდა და საკუთარი ლექსები გააცნო შეკრებილ საზოგადოებას, დიდი ტაშიც დაიმსახურა, გაცილებით მეტი, ვიდრე რუსმა მომღერალმა.

შალიაპინი გამწარდა, კონცერტების გაგრძელებაზე უარი განაცხადა და საკუთარი ბარგი-ბარხანის შეგროვება დაიწყო. ეს ბარგი-ბარხანა განთავსებული ჰქონდა სასტუმრო „ლონდონში“. აქვე შედგა მელნიკოვასა და მისი შესხვედრა, ისევ და ისევ რედაქციის დახმარებით. მომღერალმა გულისყურით მოუსმინა ყოფილ მეშლაპკეს, ყველაფრის გამორკვევას დაჰპირდა, ქალს ასე მანეთი აჩუქა და მომავლის იმედით დაემშვიდობა.

ამის შემდეგ არც შალიაპინი უნახავს თბილისს და აღარც მისი ფული.

მოკლედ, ყველამ თავის საქმეს მიხედა.

საქმე სამსონ ბალახაშვილსაც ჰქონდა, თანაც რა საქმე. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, უკვე დაწერილი ნაშრომი გაზეთში დაებეჭდა და თბილისისთვის ერთხელ და სამუდამოდ სიმართლე ეთქვა, ოპერის, შალიაპინის, ერევნის მოედანზე განთავსებული მიწის და იმ მდიდარი მოქალაქეების შესახებ, რომლებსაც, სამსონის გაგებით, ამ საქმეში ხელი ჰქონდათ გარეული.

წნორედ ამ იმედით გამოვიდა სამსონი შინიდან კონცერტიდან მეორე დღის თავზე და რედაქციისკენ გაემართა, რათა ასოთამწყოებისთვის საკუთარი ნაშრომი გადაეცა.

სამსონი, როგორც თბილისელთა უმეტესობა, ფეხით გადაადგილდებოდა. ის იყო გოლოვინის პროსპექტზე გამოვიდა, რომ მის წინ ეკიპაჟი გაჩერდა.

— მიცანი? — იკითხა კაცმა და ეკიპაჟიდან ოდნავ გადმოიხარა, რათა მოსაუბრეს კარგად დაენახა.

აბა, ვინ არ იცნობდა თბილისის საპატიო მოქალაქეს, პირველი კომერციული ბანკის მეპატრონეს, ქარხნებისა და ფაბრიკების მესაკუთრეს. არც სამსონი გასჭირვებია და სრულიად ადვილად ამოიცნო ალექსანდრე მანთაშევი.

— ერთი აქეთ მოინი, სათქმელი მაქვს. — თქვა ეკიპაჟში მჯდარმა მამაკაცმა და კიდევ უფრო გადმოინია.

სამსონი დამორჩილდა და ორი ნაბიჯით წინ წაინია.

— გინდა კაცად გაქციო?!



მაკა ჩარკვიანი

მეორე ცვლა

სამყაროსთან ერთიანობა დაიკარგა და წყალში უხსნადი ნივთიერებასავით დავრჩი მის ზედაპირზე... ყველაფერი ასე დაიწყო: რალაც შემოვიდა ჩემს სახლში, არ ვიცო, ფანჯრიდან, კარიდან თუ ტელეფონის ყურმილიდან. ღამეც არ მასვენებდა რალაც თუ ვილაც. ეს “რალაც” შავი წვრილი ბოლივით იყო, რომელიც იზრდებოდა, ბევრდებოდა, სახლი კვამლით მევესებოდა და ვიხრჩობოდი. ერთხელ ამ უხილავმა ძალამ ფეხებში ჩამავლო ხელი და მთელი ძალით მიმახეთქა კედელს, რალაც გაუგონარ ბრალდებებს მიყენებდა, გიჟივით მატრიალებდა მანამ, სანამ გონებას დავკარგავდი... ან იქნებ გონდაკარგულსაც არ მომეშვა, არ ვიცი... მერე კი ჰამაკში გამოვფხიზლდი, ტკივილის კვალიც აღარსად იყო, მონმენდილ ცაზე აქა-იქ თხელი ღრუბლები ეფინა, ბალახის და ნაძვის სუნი იდგა, მარჯვნიდან ზღვის მშვიდი სუნთქვა ისმოდა. ვილაცამ ძალიან მომიარა, მიმკურნალა, ტკივილი დამიამა, მომეფერა და წავიდა. სად წავიდა, რატომ წავიდა ან ვინ იყო, არ ვიცი... იქნებ ერთიდაიგივეა ის, ვინც ასე უმოწყალოდ მეტყევა, და ის, ვინც ასე უანგაროდ და თავგანწირვით მივლის. მაგრამ რატომ? მოგვიანებით ეს თეორია თავიდან გადავიგდე, თუმცა ახლის შექმნის სურვილი დამებადა, ყველაფერი ლოგიკურად მინდოდა ამესხნა. ამასობაში სახლში სიუცხოვეც შემოვიდა. ბოლმა იმატა და რალაც ამოუხსნელად უცნაური შიში გაამრავლა. შემდეგ გარკვეული ცვლილებები აღმოვაჩინე ჩემში — ზედმეტად გაუბედავი და დამყოლი გაეხდი. თავიდან ღვთისმოსაობად და მორჩილებად ჩავთვალე ეს ახალი თვისებები, მაგრამ ბოლომდე ვერ ვირწმუნე მათი კეთილი ბუნება. თავსმოხვეული და ნაძალადევი მეჩვენა ჩემი ასეთი მეტამორფოზა, ხელოვნურობის შეგრძნება გამუდმებით მდევდა თან და ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ეს სიახლე ბოროტისაგან იყო. ნელ-ნელა ისიც აღმოვაჩინე, რომ ძალზე ადვილად რექცივეი ადამიანთა ზემოქმედების ქვეშ, რომ საკუთარი აზრი დავკარგე, რომ უპირობოდ ვიზიარებ სხვათა მოსაზრებებს... შფოთვამაც იმატა, მოსვენება დავკარგე და ცხოვრებაში პირველად შევიგრძენი ბოლმა, ღვარძლი, პირველად დამებადა შურისძიების სურვილი და მიეხვდი — ამდენი წინააღმდეგობის განევა ჩემს ძალებს აღემატებოდა. ახლობლები კი პეპლებივით ამჩატდნენ, ყველა თავის ერთდლიან პრობლემებში ჩაეფლო და ერთმანეთისთვის აღარავის ეცალა. სიცოცხლემ ფასი დაკარგა, ადამიანები მარხვას იცავდნენ და თან ბუზებივით კლავდნენ ერთმანეთს. ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ, მზეზე აფეთქებები დაიწყო, ატმოსფეროში ოზონის სერელები გაჩნდა, უსაყვარლესმა მეგობარმა კი ხელი მკრა და უფსკრულში გადამავლო.

სიმაღლის სულ არ შემშინებია — მზაკვრობამ გამაოგნა, ღალატმა დამასახიჩრა. ვიდრე ვარდნას განვიცდიდი, დრო მქონდა, გამეაზრებინა, თუ რა მოხდა. სამყარო აშკარად ორად გაიყო და ერთი დაუჯერებლად განსხვავდებო-

და მეორისაგან. რალაც მსგავსი თითქოს ბავშვობაშიც განმიცდია. გონება მოვადუნე და ფეხდაფეხ მივდიე ფერმკრთალ მოგონებას. მაშინაც ასე იყო, ზუსტად ასე, როგორც ახლა, ოღონდ მაშინ ექვსი წლისა ვიყავი, სკოლის დერეფანში ვიდექი ორ რიგად ჩამწკრივებულ, მშობლის მომლოდინე მონაფეთა შორის. რიგი ძალიან მალე განახევრდა, მე-რე თითქმის დაიცალა, არავის ეტყობოდა შფოთვის ნატამალი... ბოლო ბავშვი რომ დარჩა, ჩემში უკვე ტალღებად დაიწყო შემოსვლა რალაც უცნობმა ავმა განცდამ. ჩემს ნასაყვანად არავინ მოდიოდა... ცრემლმაც მიმტყუნა, შიშმა გამეინა და ემოცია მთლად წამართვა, აზრი გამომაცალა... წუთი საუკუნედ მომეჩვენა, არ ვიცი რა ხანი გავიდა, მაგრამ ჩემს ნასაყვანად ისევ არავინ მოდიოდა, ის ერთი ბავშვი იყო ჩემი ბოლო იმედი, რომელიც ჩემსავით მშობელს ელოდა — ბოლო ხელმოსაჭიდი, ბოლო ნიშანი იმისა, რომ ლოდინის დრო ჯერ კიდევ არ ამოწურულიყო; მაგრამ მასაც მოაკითხეს და ნაიყვანეს. შუშის თვლებით ვიყურებოდი იქით, საიდანაც საშველი უნდა გამოჩენილიყო. სახლის გზა ვიცოდი, ხუთი წუთის სავალი იყო, ნასვლაც შემეძლო, ასეთი სიშორეები დამიპყრია თამაშის დროს? მაგრამ ახლა ის გზა სხვა სამყაროში დარჩა, აქ კი აღარ არსებობდა შინ მისასვლელი ნაცნობი ქუჩა, არ იყო სახლი, აღარაფერი იყო, მხოლოდ მე ვიყავი და კიდევ რალაც უცხო გულგრილი მასა მოძრავი ფიგურებისა. საყრდენი გამომეცალა, ცა თავზე ჩამომექცა, თავშესაფარი დავკარგე, ავტირდი...

ისევ ღერეფანში ვიდექი, პირველად სწორედ აქ მწვდა ეს შავი ბოლი კისერში, ვილაც არ მოდიოდა ჩემს ნასაყვანად — ვილაც, ვისაც ძალზე ვუყვარდი, ვინც მივილიდა და ახლა კი ასე გამწირა. მაშინ ის ვილაც დედა იყო. მაგრამ დედა როგორ დამტოვებდა? ის კი, ვინც დამტოვა, დედა ვერ იქნებოდა. ასე გაორდა სამყარო და მომეჩვენა, რომ ჩემი ორი თვალი ორ სხვადასხვა სინამდვილეს ხედავდა, ერთი სხვას, მეორე — სხვას. კიდევ უფრო შემეშინდა, გავქვავედი.

მეორე ცვლა დაიწყო, ახლა უკვე ხმით ვაპირებდი ტირილს, როდესაც სკოლის დერეფანში აჩიკო შემოვიდა, ჩემი პირველი სიყვარული, ბაღში გვიყვარდა ერთმანეთი... დედას მოჰყვებოდა ხელჩაკიდებული, ზურგჩანთით. შიგნიდან, მზის წნულთან ვილაცამ თითქოს ხელი მაგრად მომიჭირა და გამიშვა, სული შემეკრა, გული ამიჩქარდა, სისხლმა დაიწყო მოძრაობა. სასწრაფოდ მოვიწმინდე ცრემლები, თმაც გავისწორე და უნებლიე ღიმილით შევეგებე მას, ვინც ასეთივე გაუბედავი ღიმილით შემომხედა და უჩუმრად გაუშვა დედას ხელი, უფრო ძლიერი, უფრო დიდი და დამოუკიდებელი რომ გამოჩენილიყო ჩემს



თვალში. სიხარულის მძლავრმა ტალღამ წუთით შემაგრძნობინა ფეხისგულეებზე აკრული მარმარილოს სიმყარე და წუთით დამაბრუნა დაკარგულ სამყაროში. აჩიკო მეორე ცვლა იყო...

დრო გადიოდა, მე უკვე ვქვითინებდი, ჩემი ხმა ექოდ მიბრუნდებოდა დაცარიელებული დერეფნის სიღრმიდან, სწორედ იქიდან შემომესმა ფეხის ხმა... ჩემს დანახვაზე ნაბიჯი ააჩქარა ვილაცამ, მოვიდა და თავზე ხელი გადამისვა კედელთან ჩაცუცქულს, რა გატირებსო... დარეტიანებულ პატარა ცხოველს ვგავდი. პასუხს აღარ დაელოდა. სახლის გზა იცით, მკითხა, თავი დაუჭენიე... თითქოს სადღაც ეჩქარებოდა და გზად კეთილი საქმის გაკეთება სურდა სახელდახელოდ. ხელი მომიკიდა და გარეთ გამიყვანა. ნაცნობი ფილაქანი დავინახე. ახლალა ავხედე — მაღალი, ქერათმიანი ქალი იყო, კეთილი თვალები, მოლიმარი სახე და თეთრი კბილები ჰქონდა.

ქალმა ფრთხილად გადამიყვანა ქუჩაზე, სწორად მივდივართო, მეკითხებოდა. მე ის მიმყავდა, მას — მე. ყველაფერი ისე იყო, როგორც ამ დილით, ნაცნობი შენობები, ნაცნობი ხეები, ნაცნობი სახეები. აი, ჩემი ყოფილი ბაღის კარსაც ჩავუარეთ. რა გვარის ხარო, მკითხა, ვუპასუხე, შორიდან ვიცნობ თქვენებსო, მითხრა... ქუჩის იქით მეზობელი დავინახე, საქმიანად მიდიოდა. მერე ნაცნობი ეზო შემხვდა, სადაც დედაჩემის ამხანაგი ცხოვრობდა. სულ უფრო და უფრო ვუახლოვდებოდი სახლს, მგონი აღარაფერზე ვფიქრობდი, ბოლომდე მივინდე ვილაცას და უკვე ნამდვილად ვიცოდი, რომ სახლში მივდიოდი. კარი დედამ გააღო, შეიცხადა, უცხო ქალმა რომ მომიყვანა, გაკვირვებული ჩანდა. ქალმა ჩემი თავი ჩააბარა, გაცნო, დაუსწრებლად გიცნობთო, უთხრა, რალაცეებზე ისაუბრეს, დედა მადლობას უხდოდა, არმოკითხვის აბსურდულ მიზეზს უხსნიდა... მე კი აღარაფერი მაინტერესებდა, ვიცოდი, რომ სამყარო ერთი იყო და რომ დედა არასდროს დამტოვებდა. ჰო, იყო, იყო რალაც საერთო ბავშვობის ამ მოგონებასა და დღევანდელ კომპარს შორის.

მოგონება დასრულდა, მე კი უკვე ძირს დანარცხებულს, დაღვნილი, დანგრეული და გაქვავებული ვინეკი სავარძელში, შინაგან დიალოგს თავი და ბოლო არ უჩანდა. ხან ვჩხუბობდი, ხან ვიმუქრებოდი, ხან მოსიყვარულე და ლმობიერი ვიყავი, ხანაც საყვედურებით აღსავსე სულისშემძვრელ აზრებს ვაგებდი, ხანაც ბოდიშს ვიხდოდი უნდობლობის, უსაფუძვლო ეჭვისა და ბრალდებების გამო. გონება ათას სიუჟეტს მთავაზობდა და ყველა გავათამაშე, ყველა როლი მოვისინჯე...



მხატვარი ქეთევან დავლიანიძე

დრო გადიოდა, მე სულ უფრო ღრმად შევდიოდი ჩემსავლე აგებულ ლაბირინთში. სინამდვილე დილას მივინყებულს სიზმარივით ქრებოდა თვალსა და ხელს შუა. დავიკარგე, დავიბენი, შიშმა ამიტანა, შიში არ იყო ბუნებრივი, შიში არ იყო მართო, მას რალაც ახალი, ჯერაც განუცდელი შეგრძნებები მოჰქონდა თან, რომლებიც მაჯლაჯუნეზივით მეზღანდებოდნენ თვალებში, თითებს მიტრიალებდნენ და ძალით მიმათრევდნენ სიმარტოვის ნესტიან და ცივ მღვიმეში.

აღარც მახსოვს, როგორ მოვხვედი სრულიად უცხო ოთახში. ჩემს წინ მოძღვარი იჯდა, ჩემი ამბავი მოვუყევი, მორჩილად მისმენდა, თავს მიქნევდა, არაფერი უთქვამს.

მითხარით რამე, მამაო, ვთხოვე, გაიღიმა, მერე გაიცინა და წითელი კბილები გამოაჩინა, შეეცბი, მერე პირიდან ნაცნობი შავი ბოლი გამოუშვა, მუცელი ხელით დაიკავა და ხარხარი ატეხა. კიდევ ის შევნიშნე, რომ ამ ხელის ნეკა თითზე ფრჩხილი ჰქონდა მოშვებული. ტვინში მენტოლივით დამიარა რალაც ცივმა და ცხელმა ერთად, სამრეკლოში შიშის ზარმა ჩამოჰკრა, კედლები დაიბზარა, გიჟივით გამოვიქეცი, უმისამართოდ მოვრბოდი, სხვა ვინმე სულიერი მინდოდა მეპოვნა. უკან რომ გამოვიხედე, დავინახე, რომ ცარიელი ანაფორა მომდევდა. კიდევ კარგი, შემხვედრი ქარი უბერავდა, რომელსაც ჩემი ხორცშესხმული სხეული უფრო ადვილად უწევდა წინააღმდეგობას, ვიდრე სიფრიფანა სამოსი. ვერ დამენია...

მერე უკვე ხალხმრავალ ქუჩაში აღმოვჩინე საკუთარი თავი, ადამიანებს წვეტიანი ნიკაპები ჰქონდათ, იცი-ნოდნენ ჩემს დანახვაზე. იქითა ქუჩიდან თითს იშვერდნენ ჩემსკენ. მარჯვნიდან წყვილმა გამოიარა, ბიჭმა ხელი წაჰკრა გოგოს და ჩემზე მიანიშნა, გაიცინეს. გარშემო მაღალსართულიანი სახლები იდგა, ღია ფანჯრებში ხალხი იყო გადმომდგარი და მე მიყურებდა. მგონი, მთელი სამყარო ჭოგრიტით მიმზერდა.

ქუჩის იქით ქალი იდგა, მხარბეჭიანი სხეულით და თითქმის გადაპარსული თმით, კაბა რომ არ სცმოდა, კაცი მეგონებოდა, ხალხით იყო გარშემორტყმული და რალაცას ჰყვებოდა... რომ დაამთავრებდა, ჩემსკენ გამოიხედავდა და კაცის სახელს დამიძახებდა... მერე ცახცახს იწყებდა, ხითხითებდა, სხვებიც იღმიჭებოდნენ, ხტოდნენ და მიწაზე წვებოდნენ — მგონი სიცილისგან... ორატორი კი ახალი ისტორიისთვის ემზადებოდა. ქუჩაში საშინელი აურზაური და სიმჭიდროვე იყო, ადგილი აღარ იყო ცარიელი, რალაც გაუგონარი არსებები მიდი-მოდიოდნენ, ხან მარჯვნიდან მივლიდნენ, ხან მარცხნიდან. განუწყვეტელი

ვტრიალებდი, თავბრუ მეხვეოდა, მტვერი და ბული იდგა, შავი ბოლით იყო გაჭვარტლული ყველა და ყველაფერი.

უკნიდან ზანზარის ხმა გავიგონე, შემოვტრიალდი — ვილაც უანგისფერი მოაპობდა მყარ და გაბუღულ სივრცეს... პირველად ნიკაპმა გამოარღვია ჭვარტლის ბარიერი. კაბა ეცვა, თმა გრძელი ჰქონდა, ქალი უნდა ყოფილიყო. დაჭყეტილი თვალები გადმონეოდა ორბიტებიდან და აქეთ-იქით ატრიალებდა, მეშინებულს ჰგავდა. ფეხების ნაცვლად ორი უზარმაზარი, ამორფული სხეული ჰქონდა გამობმული და უმონყალოდ ჩატენილ-ჩაჭყეცილი ფეხსაცმლის მსგავს მონყობილობაში. საზარლად მოახატუნებდა ასფალტის ზედაპირს და ბზარავდა — თითქოს განგებ — დედამინის ისედაც დაზიანებულ და შერყეულ ქანებს. ისე უხერხულად და მოუქნელად მოჰქონდა ტანი, თითქოს დასაზეთი იყო. მერე ჩანთიდან რომელიღაც ჯერარშობილი თაობის ყურმილი ამოიღო და თავიდან შეუფერებლად ნაზად, თითქოს “მიაუს” ამბობსო, შემდეგ კი იმ შემზარავი ხმით და იმ უცხო ენაზე დასჭექა, რომლითაც მსოფლიოს გლობალიზაციის საბოლოო ვერდიქტს გაახმოვანებს სულმიყიდული კაცობრიობა. მომიახლოვდა, მოჩენილივით შემომხედა, გაიღმიჭა, ორი კოტიტა თითი ასწია გამარჯვების ნიშნად (ალბათ, საკუთარ გამარჯვების) და გამიარა. ახლა უკან მოიხედა, თვალები უფრო გადმოკარკლა, ყბის სახსრებს ძალა დაატანა, დაიჭრიალა და კიდევ უფრო გაიღმიჭა. რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო აბრუნებდა თავს, ტანი კი ზედმინევნიტ წინ მიიწევდა. ...საიდან უნდა მეცნო, მაგრამ მაინც გამიჩნდა უკვე ნანახის მძაფრი განცდა, რაღაც მენიშნა თუ მომავლი. ჰეგ-ზამეტრით დანერილ ანალებში ამოკითხულს ჰგავდა ეს მოგონება. კიდევ ცოტაც და მეხსიერებაში ამოტივტივდა ვილაცის თბილი ტემბრი და ტკივილამდე ნაცნობი ხმა, ბუნდოვნად ჩამესმა ამ ტემბრით ნიჭიერად და საგანგებოდ ჩემთვის ნაამბობი, დამოკიდებულებებითა და განწყობებით გადმოცემული ზუსტი აღწერილობა ამ მოძრავი სხეულისა. სხვა ვერაფერი გავიხსენე, დროც არ მქონდა... ერთ-ერთი ნაბიჯი საბედისწერო აღმოჩნდა, ფეხი ისე ჩაჰკრა ასფალტს, რომ გაჩენილ ღრმულში ფეხსაცმლის ქუსლი მოჰყვდა და ჩაეჭყადა... რამდენიმე ხანს უშედეგოდ იბრძოლა, ბოლოს კი ძირი საერთოდ დასძვრა და ახლა აჩქარებული ნაბიჯით და კოჭლობით განაგრძო გზა. ისტიბარი მაინც არ გაიტეხა და გამარჯვების ორი თითი ისევ წამოსწია, მაგრამ ახლა გაუბედავად — უკვე წამხდარი იყო... ისევ ჩემსკენ გამოიხედა, ისევ გაღმეჭა სცადა... მერე დიდ რკინის ბოძს შეასკდა და მცირე მექანიკურ ნაწილებად დაიშალა, რაღაც მავთულის ხლართებსაც მოვკარი თვალი... მის ნარჩენებს შავი ბოლი ასდიოდა. მოშლილი მექანიზმი ერთ სიტყვას იმეორებდა გაუთავებლად: იინჩ, იინჩ, იინჩ... აქცენტით მეორე ი-ზე მოდიოდა. ალბათ, რაიმე უცხოური სიტყვის ნაწილი იყო ან იქნებ ლეონარდო დავინჩის ბოლო მარცვალე ჩაიხვია გაფუჭებულმა მექანიკურმა სათამაშომ, ვინ იცის... ორ განუფითარებელ თითს კი ისევ ლათინური V-ს ფორმა შერჩენოდა, ფრჩხილებზე ბოლი ასდიოდა და თითებს შორის სხეულის რომელიღაც უკვე შებოლილი ნაწილი ჰქონდა გაჩრილი — თუ რომელი — ვერ გავარჩიე.

ამ სცენის გააზრება ვერ მოვასწარი, რომ საშინელი ღრიალი მომესმა, ისევ შემოვტრიალდი... ჩემს წინ ფამე-

გადმოვდებული გაღეშილი კაცი იდგა, საზარელ ხმას გამოსცემდა და “ორმანეთიან არაყს” ისხამდა ბილნიან გაქონილ პირში. სითხე წვერებზე ენუნებოდა და იქიდან მინაზე უკვე კუპრისფერი განებილი ნივთიერება წვეთავდა. ჭუჭყიანი ფრჩხილები და ხელები ჰქონდა, მთლიანად უკან იყო გადახრილი, ცოტაც და კეფით მინას დაასკდებოდა, მაგრამ რალაცნაირად მაინც ინარჩუნებდა წონასწორობას. ჩასისხლიანებული თვალებით და დაჟინებული მზერით მიყურებდა, თითქოს ჩემს ჯინაზე აკეთებდა ამას, თითქოს „აბა, რა გეგონაო“ მეუბნებოდა, თანაც შიგადაშიგ გადაიხარხარებდა, მერე ისევ ნიშნისმოგებით მომაშტერდებოდა და თითქოს ჩემსკენ იწევდა, თუმცა ნაბიჯიც არ გადმოუდგამს, ერთ ადგილს ტკეპნიდა. ერთ ბოთლს რომ ჩაისხამდა, ისევ ამოუშვებდა უწმინდურობით გამაძლარ ხმას, მერე უკან გაიშვერდა ხელს და გამყიდველი ქალები, რომლებიც მრავლად იყვნენ მის გვერდზე, უმალ ახალ ბოთლს აწვდიდნენ. ისინიც მიმზერდნენ, ცქმუტავდნენ, ხითხითებდნენ, კრეჭდნენ ჩაოხრებულ, განლეულ მოკლე კბილებს, თვითონაც მაძღრები და გაღეშილები იყვნენ. აღარც მახსოვს საიდან და როგორ მივიღე ეს ცნობა, მაგრამ ბუნდოვნად მაგონდება, თითქოს ოდესღაც დაკარგულ ინდულგენციას ითხოვდა ცოდვილიანი გამტყვრალი...

დიდხანს გაგრძელდა ასე, მერე უცაბედად, სრულიად მოულოდნელად, გაღეშილი წელში გასწორდა, საწყალობლად შემხედა, წამით გააშტერა დაღვრემილი თვალები, თითქოს რაღაცას იგონებდა, ზევით აღაპყრო ტრაგიზმით განმსჭვალული მზერა, შემზარავი ხმით დაიღრიალა — ზეცაში სდებდა ვილაცას ბრალს. შემდეგ წინ გადაიხარა, საგულდაგულოდ მომზადებული ორი აგური აიღო და გამეტებით დაიშინა თავში. სისხლი თქეშად წამოუვიდა საფეთქლებიდან... ცოტა არ იყო გამიკვირდა და თან გაუგებარი იმედი ჩამესახა, სისხლი რომ დავინახე, რადგან აღარავინ მეგონა აქ თბილისისხლიანი. სულისწამლებად ღრიალებდა ბოლო ხმაზე, ვერ იმორჩილებდა ძრწოლაატანილ ტანს, რაღაცის გაგლეჯა და ბოლომდე ჩაკვლა სურდა, თავგანწირვით ინგრევდა და წამებით იკლავდა თავს. გამყიდველები მის ირგვლივ დახტოდნენ, ამკარად არ მოსწონდათ მისი ეს მდგომარეობა, თითქოს მის გამოფიზლებასა და უწინდელ მდგომარეობაში დაბრუნებას ლამობდნენ, ბოთლებს აჩეჩებდნენ, ახლოს ვერ ეკარებოდნენ, ყველა მხრიდან უვლიდნენ, წინინებდნენ, რაღაც გაუგებარ დიფთონგებს გამოსცემდნენ, მაგრამ ამაოდ... თუმცა რამდენიმე ხანში თვითონვე შეწყვიტა საქმიანობა, სახე ისევ აელენა, ისევ უტიფრად და ნიშნისმოგებით გამიღიმა, მერე გადაიხარხარა, გადაიზნიქა, ხორხისმიერი “ჰააას” მსგავსი ხმა გამოსცა, ხელი გაიშვირა და მორიგი არაყი ჩაიცალა ბნელ ხახაში. შემეცოდა და გამიკვირდა, რომ შემეცოდა, რადგან ამ გაუგებრობასა და ორომტრიალში საცოდავი თითქოს მხოლოდ მე ვიყავი. მოგვიანებით ისევ აგურებს დაავლო ხელი.

აღარაფრის მეშინოდა, დარეტიანებული ცხოველივით ვიყავი, როგორც მაშინ. ჩემს უკან გაბზარული ვიტრინა იყო, თვალი მოვკარი საკუთარ თავს, ცარიელი ნერვი მიყურებდა შუშიდან, ზედა კიდურის მსგავსი ორი განშტოება ზეცისკენ იყო აპყრობილი. მერე შავი ბოლი მომიახ-

ლოვდა, ნაზად შემომიცურა ხელი სიფრიფანა წელზე და გრაციოზულად გამიყვანა ცეკვა-ცეკვით ქუჩის ცენტრისკენ. დავნებდი. მოძრაობა შეწყდა. ქუჩა გაიყურსა. ასეთი სიჩუმე არასდროს მიგრძენია. მერე მელოდია ისმოდა, ხმამალალი და ნაცნობი, მე და ბოლი კი ვასრულებდით ულამაზეს ტანგოს. თვალები დავხუჭე და მივენდე გაუგონარ პარტნიორს, რა გქვიათო, მეკითხებოდა... აბა, სად მახსოვდა ჩემი სახელი... თქვენ უკეთ იცით-მეთქი, ვპასუხობდი... თვალი რომ გავაღე, ისევ ჩემს სავარძელში ვინექი, გაჭვარტლულ ოთახში აღარაფერი ჩანდა, კარზე ვილაც აკაკუნებდა.

ჯერ არ ვაპირებდი ადგომას, მაგრამ კაკუნი გაძლიერდა, ვილაც ნერვიულად ანვალებდა სახელურს. ვინ არის-მეთქი, ვიკითხე... სანეპიდსადღურიდან ვართო. გავლიზინდი, კოლოები არ მყავს-მეთქი, მივუგე... არც შავი ბოლი განუხებთო? წამით შევეყოფნდი და კარი გავაღე.

ორი ჰაეროვანი ქალბატონი შემოვიდა თეთრ, გამჭვირვალე პერანგებში. ერთ-ერთს მუქი და ხვეული თმა თითქმის ყიფლიბანდთან ჰქონდა შეკრული, თხელი, მაგრამ ძარღვიანი და ძლიერი ხელები ჰქონდა. სიყვარულით აღსავსე თვლებით შემომხედა, თავი დამიქნია, თითქოს ყველაფერი ჩემზე უკეთ იცოდა, და საქმეს შეუდგა. მეორე უფრო ღია და ჭოკივით მაღალი იყო... გილოცავთო, მითხრა, გამილიმა და მხარზე ხელი ჩამომისვა. ვერაფერს მივხვდი. პირველმა, ჩემი გაკვირვებული მხერა რომ დაინახა, გადარჩენას გილოცავთო, მახვილი გადარჩენაზე გააკეთა, ჩვენც გადარჩენილები ვართო, დააყოლა. მე ისევ ვერაფერს მივხვდი, მაგრამ მათ ეს სულ არ გაკვირვებიათ. მერე დიდხანს ფუთფუთებდნენ, ჩურჩულებდნენ. ჭოკივით მაღალი მონითალო სითხეს აწვეთებდა ხელისგულზე საგანგებოდ გადაფარებულ თეთრ აბრეშუმს, ცოტას მოიცდიდა, მერე ძალიან ახლოს მიიტანდა ხელს მოჭუტულ თვლებთან, მკითხავივით დააკვირდებოდა, რაღაცას დაინახავდა და შესაბამის მითითებებს აძლევდა შავგვრემანს. ასე დაიარეს კუთხე-კუნჭული, ახლა უკვე უფრო სითხეს ასხურებდნენ ირგვლივ ყველაფერს, ლანდებივით დაცურავდნენ ოთახებში, მეც მაპკურეს ის სითხე და წამომანვინეს. ბანგით მომერია ძილი, თავს ვეღარ ვიჭერდი, დაიძინეო, თითქმის მიბრძანეს, თითქოს შემეძლო, არ დამეძინა. ბოლოს შავგვრემანმა შუბლზე მაკოცა, რაღაც ჩამჩურჩულა, არ მახსოვს რა, თავზე მომიფერა, ხელი მაგრად მომიჭირა ხელზე და წავიდა, მეორემ გამილიმა და უკან გაჰყვა.

დილას ჰაერის სუნმა გამაღვიძა... ვიდრე თვალს გავახელდი, ვერ მივხვდი, გულაღმა ვინექი თუ პირიქით, სხეული თითქოს არაფერს ეხებოდა და ნეტარებად შემიპყრო, უწონადობის გრძნობამ აღუნერელ სიმყუდროვეში გამხვია, რაღაც მელოდიაც გაისმა, ისეთი, მე რომ მინატრია... ჩემი მუსიკა-მეთქი, უსიტყ-

ვოდ აღმომხდა — თითქოს აქამდე სხვის მუსიკას ვისმენდი. მზის წნულთან თავისუფლება შევიგრძენი. დიდხანს მინდოდა ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, მაგრამ მივხვდი, თვალის უნდა გამეხილა და კიდევ რაღაც დამენახა. ოთახი მზის ათინათებით იყო სავსე, სხივებს მცოცავი ვარდი მოჰყვებოდა ფეხდაფეხ, წითელი და ქორფა კოკრები თვალსა და ხელს შუა იშლებოდნენ. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ყველაფერში მე ვიყავი განსხეულებული, ვგრძნობდი თითოეული კოკრის გაშლას, მეც ვიფურჩქნებოდი, ვგრძნობდი თითოეული სხივის ლიცლიცს — მეც სხივი ვიყავი და არ ვიცოდი, სად მთავრდებოდა მათი რხევა და სად იწყებოდა ჩემი. შეგრძნებებს ავეყვი და წამოვდექი... ცოტა ხანში ეზოში აღმოვჩნდი, შემდეგ ქუჩაში. დამათრობელი სუნი ჰქონდა ჰაერს, ჟანგბადით დახუნძლულსა და სუფთას, სადღაც წყლის ხმაც ისმოდა და ამ ხმაში იკითხებოდა მისი სიკამკამე, ჩუხჩუხა და მოცისფრო იყო ეს ხმა.

განუწყვეტლივ რაღაც ემატებოდა ჩემს შეგრძნებებს, მივხვდი — ყველაფერში შელწევა შემეძლო, უკიდევანობა შევიგრძენი... ჩემს სახლთან კაცი იდგა, ფუნჯებიანი და კედელს ღებავდა, გადარჩენილია-მეთქი, ვიფიქრე, არც ვიცი, რატომ ვიფიქრე ასე... ისიც ჩემნაირი იყო... საფეთქლებზე ნაიარევი უჩანდა — სტიგმატებს წააგავდა ეს ნაიარევი. უცნაურია, მაგრამ თითქოს ვიცნობდით და არც ვიცნობდით ერთმანეთს.

ირგვლივ სხვა არავინ ჩანდა, მთავარ ქუჩაზე რომ გავედი არც იქ იყო კაცის ჭაჭანება, ახალმოკირწყლული გამზირი ძვირფასი თვალივით ბრჭყვიალებდა და გასაოცარი სიძლიერით ირეკლავდა ათიათას ფერს, ამ ნეტარ სიმშვიდეში განუწყვეტელი მოძრაობა და სისავსე შეიგრძნობოდა. ორსართულიანი სახლები მარგალიტებივით იყვნენ ჩამპკრივებული ქუჩის გასწვრივ, მცოცავი ვარდი ყველა აივანს მიჰყვებოდა. ამასობაში მეათე, ორმოცდამათე გრძნობამ გაიღვიძა ჩემში, საზღვარი აღარ უჩანდა მრავალფეროვნებას, თითქოს მილიარდი საიდუმლო იხსნებოდა თვალსა და ხელს შუა, შხაპუნა წვიმასავით აღწევდა ღია და ხალას გონებაში ახალი და ახალი სასწაულები, ზეცა იხსნებოდა, უკანმოუხედავად აშიშვლებდა და ფენა-ფენა ხდიდა ფარდას ციურ იდუმალებას.

ჩემს წინ, ცოტა მოშორებით ქალი მიდიოდა, ფეხშიშველი... ახალა შევნიშნე — მეც ფეხშიშველი ვიყავი, მინა კი — ხავერდოვანი და ცოცხალი. ცოტა ხანში ქალს თითქმის დავენიე — ვილაც მომაგონა — მაღალი, ქერათმიანი ქალი იყო, კეთილი თვალები, მოლიმარი სახე და თეთრი კბილები ჰქონდა... უსიტყვოდ მივედიტ ცისა და მიწის გასაყართან, არც ვიცი, მე გადავიხედე თუ ზეცამ გადმოიხედა, არც ის მახსოვს, ზევით ვიყურებოდი თუ — ქვევით, მაგრამ დედამიწის ღერძი კი დავინახე — უნაკლოდ გამართული და სწორი..

აი, შენი სახლიო, ქალმა მითხრა და ხელით მთელი სამყარო შემოხაზა...



მაკა ჯოხაძე

შენი სახელი

როდესაც ადამიანს დიდი სულიერი სტრესი აქვს გადატანული, მისი გული ან მთლიანად იხურება, ან სრულად იხსნება გარე სამყაროსათვის. ასეთ დროს იგი ხედავს იმას, რასაც ყოფითობაში ჩართული, მოფუსფუსე ადამიანები ვერ აღიქვამენ. ისინი რალაცით ჭიანჭველების გრძელ მწკრივს მოგვაგონებენ — მექანიკურად მიზანსწრაფულს, მიზანმიმართულს შიგადაშიგ „ინდივიდი“ მწერებიც გამოერევიან — მწკრივიდან ამოვარდნილი, განზეგამდგარი „გმირები“, მხარზე ტვირთადებული ჭაპანწყვეტით, მაგრამ მაინც რალაც ამოუცნობი სიჯიუტითა და შეუპოვრობით რომ ეზიდებიან საზრდოს. ერთი შეხედვით, ასეთი სასაცილო და უმნიშვნელონი, აშკარა თანაგრძნობითა და რიდით განგვანყობს.

აბსოლუტური გახსნილობა დიდხანს არ გძელდება. დენის დარტყმას ჰგავს და დაახლოებით იმ ინტენსივობით მეორდება, საშინელი ჭექა-ქუხილის ჟამს ცა რომ გადაიხსნება და განათდება ბავშვობაში: მთელი არსებით გრძნობ, რომ იქ, ზევით, რალაც დიიდი საიდუმლო ხდება, რომელიც შენთვის ჯერჯერობით დაფარულია.

აი, დიდობაში კი მაკა ჩარკვიანის მოთხრობის „მეორე ცვლის“ პერსონაჟი ოდნავ დამფრთხალი, გაოგნებული უყურებს ამ „გამოცხადებას“, ოღონდ ამჯერად აქვე, ნაცნობი ქალაქის ქუჩებში, მოედნებზე... მიუხედავად სასტიკი, მახინჯი ხილვებისა, მაინც მაღლირი რჩები, რომ დეპრესიის უძირო ჭაობმა მდორე, ხაოიანი თათით არ დაგიფარა, დასახრჩობად არ გაგიმეტა. თვალი აგიხილა, გამოგაფხიზლა; დაიმსხვრა ილუზია, რომ დედამიწაზე მთარული ადამიანები ერთმანეთს ვხედავთ. სამაგიეროდ რალაცაზე აშკარად მიგვანიშნა. უცნობი მოხაზულობით, და მოულოდნელი ჩვენებებით უძველესი იეროგლიფებით ნამდვილი გამოწვევა მოგვიწყო.

რაზედაც მაკა ჩარკვიანი მოგვითხრობს, თითქმის აღარ წერენ. და არა იმიტომ, რომ ამაზე ფიქრი და წერა რთული და სახიფათოა, ფილიგრანულ სიზუსტეს მოითხოვს და ე.წ. „ახალი ტალღის“ წარმომადგენლები საქმეს იიოლებენ, არამედ, უბრალოდ, თითქმის აღარ არსებობს საკუთარ თავში ჩაბრუნების არც სურვილი, არც ენერჯია, დრო, მოთხოვნილება და, რაც მთავარია, ნებელობა.

ხელოვნური სიუჟეტებით ხალისიანობა, თავისუფლებით ტკობა, პოსტსაბჭოური სივრცის მწერლებისათვის ძირითადად დიდი დოზით სექსუალური სცენების სკრუპულოზური აღწერილობით რომ შემოიფარგლა; არასრულფასოვნების კომპლექსების ალკოჰოლით დაღობა და სულიერი სიცარიელის ბილნსიტყვაობით ამოქოლვა, აბსურდული სიტუაციებით თამაში; დეტექტიური ელემენტების უხვად შემოტანა; ვნებების გამძაფრება, ძალადობა და მანიაკალური სურვილების ნებისმიერ ფასად სისრულეში მოყვანა და ასე უსასრულოდ /ბოროტების ამ მდაბიურ არსებას რა გამოლევს/. ყოველივე მითხველის მისაზიდად და ხაფანგში გასაბმელადაა მოგონილი.

სამყარო, რა ხანია დემონიზირებულია, მაგრამ როდესაც ვნების სიმძაფრე პიკს აღწევს ცოდვით შედეგებული დღე-ღამეები ღვთაებრივი რიტმით აღარ ენაცვლებიან ერთმანეთს, დეზორიენტირებული, უპიროვნო არსებები უმიზნოდ, უგზოუკვლოდ დახეტებებიან. დექრისტიანიზაციამ დეჰუმანიზაცია გამოიწვია და შემთხვევითი არ იყო, რომ ბერდიევემა

ადამიანის დაშლა-დაქუცმაცება ორი მიმართულებით, ცხოველურობის ან მანქანურობის მიმართულებით იწინასწარმეტყველა. ამ აზრის ილუსტრირებას ვხედავთ მაკა ჩარკვიანის მოთხრობაშიც.

„მეორე ცვლა“ არც გონებითაა დაწერილი და არც ემოციით. მით უფრო არც მზიური ენერჯით, რადგან დაკარგულია სამყაროსთან ერთიანობის ნეტარი განცდა, დიდი ინტიმი. მოთხრობის პირველივე ფრაზა, რომ „სამყაროსთან ერთიანობა დაიკარგა და წყალში უხსნად ნივთიერებასავით დავრჩი მის ზედაპირზე...“ კამერტონია, ტექსტის როგორც ინტონაციურ, ისე აზრობრივ სულისკვეთებას რომ განსაზღვრავს. აქედან მოყოლებული, მოთხრობის გმირი დაძაბული ადევნებს თვალს, რომ საკუთარ არსებაში თვით უმცირესი ცვლილებაც კი არ გამოეპაროს.

მაკა ჩარკვიანი ჯერჯერობით ერთადერთი წიგნის ავტორია. „დახრილი მგზავრები“ — ასე ჰქვია ესეების, ჩანახატებისა და ფერწერული ტილოების შთაგონებით შექმნილი მისი წერილები კრებულს, რომელიც — უაღრესად თვითმყოფად მხატვარს გიორგი მირზაშვილს ეძღვნება. ამ კრებულში ცხადად გამოჩნდა მაკა ჩარკვიანის ნიჭიერება, სამყაროს ფილოსოფიური ხედვა, ფართო ინტელექტი და უაღრესად დახვეწილი გემოვნება. მაგრამ მომეჩვენა, რომ მაკა გაცილებით ბედნიერი და თავისუფალია, როცა ხელოვნებით მიღებულ /მხატვრობა, პოეზია, მუსიკა/ სიხარულს უზიარებს მკითხველს. ამიტომაც წიგნი სინათლით, სიკეთით და სამყაროს უთვალავი ფერით გაჩანჩახებული. მოთხრობას კი მწუხარებისა და უფრო სიღრმისეული შრეებიდან ნამოსული განცდების შუქი აფენია.

მაკას დაწერილი აქვს ერთი ციკცენა ესე — „რწმენა“, რომელიც ავტორის მსოფლგანცდის, მისი სულისკვეთების, სარწმუნოებასთან მისი უაღრესად სერიოზული დამოკიდებულების ნიშნულად შეიძლება ჩაითვალოს.

ბოროტ ანგელოზს არ სძინავს. ფრთის მოულოდნელი აქნევისას ჰაერის ტალღებს შხამიანი ისრებით გამოაყოლებს ეჭვის ნემსებს და ზედ გულში ჩაგასობს... „რომ აღარ დაბრუნდეს“ ... მზე?

რწმენის ყოველწამიერი ნამცვრევი, ემპირიულ წვრილმანებში განაბული, ხანდახან ეშმაკურად გეთამაშება.

ეს სულის შემამოფოთებელი „თამაში“, ალბათ, ყველას გამოეცდიათ. ვთქვათ, ფოტო, რომელიც მუდმივად ერთსა და იმავე ადგილას იდო, სადღაც გაქრა, დაიკარგა... გამწარებული ეძებ და ნელ-ნელა რწმუნდები, რომ ველარასოდეს იპოვნი. არადა, ისევე იქ დევს, ზუსტად იმ ადგილას, სადაც წლების განმავლობაში იდო. „ან ის ლექსი სად წავიდა...“ წიგნში ჩანიშნული, თითქმის გამუდმებით რომ მიგიწვევდა მისკენ გული... და ასე თანდათან, ნელ-ნელა უფრო ძვირფასსა და მნიშვნელოვანს უახლოვდება ისარი და გულს გიხეთქავს: „ეჭვი უვარაუდო, უსაფუძვლო, გაუმართლებელი, ნაცარტუტად მქცეველი, ეჭვი-სატანა, ეჭვი-ჯადო, ეჭვი-უსაგნო, ღიმილის მწარედ მომგვრელი და მაინც უეჭველი“.

ეჭვის ნამქერი შენი სიყვარულის, განცდების, საგნების, შენი რწმენის ძვირფას ფერდობებზე თანდათან ძალას იკრებს, მოქრის, მოღელავს, მძიმედ მოგორავს და სულ მალე ზვავის სტიქიური უბედურებითა და ზათქით გადაუვლის ყველაფერს ძვირფასს, რაც გაგაჩნია... ასე ეკარგება მარადიული ერთგულების ფიცით შეკრული ქალი და კაცი, ორი ადამიანი ერთმანეთს, ასე ხდება გათიშვა და გაგულგრილება, ასე სკდება გულის არტერიები... თრთოლვით უახლოვდები ბოლო იმედს და სასონარკვეთილს ლოცვასავით აღმოგხდება: „ან ვინ იტყვის და ვინ გამოთქვამს, რა უნაპირო წუხილი გიპყრობს, ღვთის არსებობაში რომ დაეჭვდები“.

ღვთის არსებობაში დაეჭვებული, დამბლადაცემული სამყარო. უღვთოდ დარჩენილი ადამიანები მანამდეც არსებობდნენ, მაგრამ ასეთი სიმძაფრით ვერც ხედავდი და ვერც აღიქვამდი მათ ცხოვრებას. სანამ უშუალოდ ზეციური სამშობლოდან, ბავშვობისეული სამოთხიდან პირადად შენი გამოდევნა არ მოხდა.

„სიმაღლის სულ არ შემშინებია — მზაკვრობამ გამოაგნა, ლალატმა დამასახიჩრა... სამყარო აშკარად ორად გაიყო და ერთი დაუჯერებლად განსხვავდებოდა მეორესაგან“.

ამ წამიდან იწყება ჯანსაღი ჰაერივით უბრალო, სადა, ბუნებრივი და უანგარო რწმენის მწვერვალიდან დაშვება.

ადამიანის სულიერი სამყარო მყიფეა და იოლად მსხვერველად, ბავშვობაშიც და ზრდასრულობაშიც. ზრდასრული — ეს სიტყვა პირობითად გამოხატავს ადამიანის არსს. უფრო სხეულს ეკუთვნის, ვიდრე მის სულიერ ან თუნდაც ფსიქოლოგიურ მომნიშვნებას ცხოვრებისათვის. ამიტომ ერჩიან, ებრძვიან განსაკუთრებული ძალისხმევით დემონები რწმენას, ტალანტს, პატარებს. ბავშვობაში /ხშირად დიდობაშიც/ ყოველგვარი ვარდნა, იმედგანზილება, ყოველგვარი განხიზვლა იმდენად საშიში და საფრთხილია, რომ „შემთხვევითობამ“ შესაძლოა სრულიად შეცვალოს ადამიანი.

„მეორე ცვლის“ დემონიზირებულ მრუმე ლანდშაფტში ძვირფასი თვალისათვის ჩასმული, ერთი შეხედვით, სრულიად დამოუკიდებელი უღამაზესი მოთხრობა, საოცარი სიღრმითა და დამაჯერებლობით რომ ხსნის ბავშვის შინაგან სამყაროს. დედამიანისაგან „სულგაუმიჯნავი“ მისი განცდები გულივით ფეთქავს და ისეთი ძალით გადმოდის მკითხველში, რომ განგამი გაპყრობს...

ჩვენს მექანიზირებულ, პერმანენტული ნერვოზული რიტმის პირობებში თითქოს სრულიად ტრივიალურ სტრესზეა საუბარი. მშობელს სკოლაში მისვლა დაავიანდა და მომლოდინე ბავშვის მსოფლგანცდა ისე უცბად, მტკივნეულად შეიცვალა, რომ წუთები საუკუნის ტოლფასი გახდა:

„ისევ დერეფანში ვიდექი, პირველად სწორედ აქ მწვდა ეს შავი ბოლი კისერში, ვილაც არ მოდიოდა ჩემს წასაყვანად-ვილაც, ვისაც ძალზე ვუყვარდი, ვინც მივლიდა და ახლა კი ასე გამწირა. მაშინ ის ვილაც დედა იყო. მაგრამ დედა როგორ დამტოვებდა? ის კი, ვინც დამტოვა, დედა ვერ იქნებოდა. ასე გაორდა სამყარო და მომეჩვენა, რომ ჩემი ორი თვალი ორ სხვადასხვა სინამდვილეს ხედავდა, ერთი — სხვას, მეორე — სხვას, კიდევ უფრო შემშინდა, გავქვავდი“.

მსგავსი განცდები მსგავსივე სიმძაფრით უკვე წლების მერე არაერთგზის მეორდება სულ სხვა გარემოში და სხვა მიზეზთა გამო.

წმინდა მამა, იუსტინე თანამედროვე ცივილიზაციას „ადამიანის პიროვნების წინააღმდეგ ორგანიზებულ აჯანყებას“ უწოდებს.

ბოროტი ძალებით აჯანყებულ და დასერილ გარემოში უწევს მოთხრობის გმირს ცხოვრება. ახლა უგონო, უსულო, უსისხლო მანქანა — ადამიანები წარმართავენ სამყაროს პროცესებს, აუვნებელყოფენ პიროვნულ, ეროვნულ, მენტალურ თვისებებს, ოსვენციმისა თუ აუშვიცის საკონცენტრაციო ბა-

ნაკებში დანომრილი ტყვეების მსგავსად თანდათან ელექტრონული შტრიხკოდებით, ათასგვარი ციფრებით პიროვნების ყველანაირი სტატუსის სრულ კონტროლირებას ენევიან.

მოსიარულე ლითონი, რკინა, ურჩხულად ქცეული კაცი-რობოტი მაკა ჩარკვიანის ხილვებში საშინელი ზათქითა და არაბუნებრივი ხმაურით მიაპობს ქუჩას. ზღაპრული ურჩხულივით ცეცხლისმფრქვეველსაც კი მოსწყინდა საკუთარი აგრესია. ამ უზარმაზარი, ჭკვიანი ჯართის გროვაში, ჯავშნის დაფარულ ფირფიტაში რომელიღაც ატომი თუ მოლეკულა, ოდესღაც მისი ადამიანად ყოფნის დამადასტურებელ საბუთს ინახავს.

ამიტომ ეს ხილვა, სურათ-ხატი, პირადად ჩემთვის, სიმბოლურად იკითხება იმ წამებში, როცა ურჩხული მთელი რადიუსით მოატრიალებს თავს და ადამიანს უყურებს. თითქოს ამ გამოხედვით თავის დაკარგულ არსს, თავდაპირველი ადამიანური სახის ნოსტალგიას განიცდის და მის დამახსოვრებას ცდილობს, ტანით, მთელი სხეულით კი ისევ წინ მიინევს. ეს აპოკალიფსური მხეცი აღიქმება როგორც სულიერი ტანჯვა კაცობრიობისა, რომელმაც ღვთისაგან განდგომილებითა და სრული დამინებით, აბოზოქრებული ფანებისა და სულიერი გამოფიტვის ფაშს თავისი ახალი პირმშო შექმნა, თავად კი სამყაროს ბატონ-პატრონის იერარქიიდან სულ მალე ამ პირმშოს მონობამდე ჩამოქვეითდა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად დარბეული, დასახირებული სამყარო, ასე შთაბეჭდავდა რომ გამოიხატა საღვადორ დალის ფერწერაში, დღემდე აბსურდშია ჩაძირული: „აბსურდი ნორმაში“, როგორც თავის დროზე ირონიულად შენიშნა ერთმა ჩვენმა თანამემამულემ.

„თანამედროვე ცხოვრება მიძიმე და ნაკლებსაამაჟურია, მაგრამ ის, ვინც აზროვნებს, სვამს კითხვას — რა იმალება სინამდვილეში თანამედროვეობის მატყუარა საფარქვეშ ჩვენს უცნაურ სამყაროში, ვერასოდეს იგრძნობს თავს ცოტათი მაინც მყარად, ვერასოდეს მიიღებს ამ სამყაროს, როგორც ნორმალურს“ /სერაფიმე როუზი/.

ამიტომ „მეორე ცვლის“ მთელი რიგი შეგრძნებები და ხილვები, ოთახში მახრჩობელა შავი ბოლით დანყებულნი /ეს კვამლი, ბოლი, წმინდა მამათა განმარტებთი, ეშმაკის სუნთქვაა, მისი ანაორთქლია/ ღია ცის ქვეშ, ქალაქის ქუჩებში გასული და გასაგნებული, სიმპტომატური და მრავლისმთქმელია.

მსგავსი სცენები, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, პირადად ჩემთვის, არც ბელეტრისტიკაა და არც ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფი. ეს არის ელვის მათრახებით ნაგვემი სულია და გონების წამიერი გამოფხიზლება, რომ უღმერთო ადამიანების დემონური სახეები დაინახოს და სამარადეუამოდ დაიმახსოვროს...

ავტორის მიერ ისეთი ზედმინენითი თვალმდევნება და აღწერა ამ ხილვებისა, რომ ჩვენც, მკითხველებიც გამალებით ვიმახსოვრებთ. თითქოს პროცესებს გონიერი თვალი წარმართავს, რათა შეგვზაროს ღმერთისაგან საყოველთაო განდგომამ და მთელი ჩვენი არსება ამიერიდან მაინც რწმენის მოსაპოვებლად საჭირო მიძიმე სულიერ გარჯას მივუძღვნათ.



მაკა ჩარკვიანი

რა სიმბოლური, ბუნებრივი და ზუსტია მაკა ჩარკვიანის რეაქცია, როცა ქუჩის მტვერში, მრუშობის, ბინიერების, ლო-
თობისა და ღრიანცელის შუაგულში ჩამდგარმა დეფორმი-
რებულმა, გაღებულმა კაცმა მოულოდნელად: „ორი აგური
გამეტებით დაიშინა თავში. სისხლი თქემად წამოუვიდა სა-
ფეთქლებიდან. ცოტა არ იყოს გამიკვირდა და თან გაუგება-
რი იმედი ჩამესახა, სისხლი რომ დავინახე, რადგან აღარავინ
მეგონა აქ თბილისისხლიანი...“

ამ ბალაგანში, საყოველთაო ვაკუანალიაში, ამ ამბარზენ
მანჭვა-გრეხასა და დაცინვა-ქილიკში, რა ხანია, დაიკარგა
მხურვალე, მოსიყვარულე გულიდან წამოსული ხალასი სიცი-
ლის მაცოცხლებელი ძალა და ენერგია. სიცილმა ახლა მასობ-
რივი იარაღის ფუნქცია შეიძინა, რომელიც დასცინის ყველა-
ფერს ნამდვილს, სუფთას, ტრადიციულს, კეთილს, ამაღლე-
ბულს, ლირიკულს, რომანტიკულს... სიცილს ახლა ღირსე-
ბისშემდგამი სადიზინფექციო მანქანის ფუნქცია მიანიჭეს
და წყლის უმძლავრესი ჭავლივით მიუშვირეს ყველაფერს ნა-
თელს, მშვენიერს, სუფთას, კეთილს, ლამაზს, რათა გადა-
რეცხოს, მის მიერ დაღვრილი სისხლის კვალი არ დატოვოს.

ერთი მართლმადიდებელი ფსიქოლოგი ამგვარი სიცილის
ზემოქმედებას გადაბრუნებული დურბინით საგნების თვა-
ლიერებას ადარებს, რომლის დროსაც ისინი თითქოს გვმორ-
დებიან და პატარავდებიან.

ფანტასტიური შედარება! ასე ხდება განეიტრალება, გა-
უგნებელყოფა. რადგან ამ დროს სიცილის საგანი /ობიექტი
თუ სუბიექტი/ ნაკლებადმნიშვნელოვანი გვეჩვენება, ხოლო
მისადმი დამოკიდებულება კი აშკარად მსუბუქდება. ამგვა-
რად ამცრობენ როგორც სიკეთეს, ისე ბოროტებას. თუ კარგ
რამეს ან ვინმეს დავცინით, იგი თითქოს ძველებურად
მიმზიდველი აღარ გვეჩვენება და მის მოსაპოვებლად ან მი-
სამსგავსებლად ყოველგვარი გარჯა თითქოს ამაოა. ხოლო
თუ ბოროტს დავცინით, ეს ბოროტებაც უწყინარდება, თავი-
სით დნება და მასთან ბრძოლასაც აზრი ეკარგება.

მაგრამ ბრძოლას არასოდეს ეკარგება აზრი. როგორც
თითოეულ ჩვენთაგანს, ისე მაკა ჩარკვიანსაც თავისი მფარ-
ველი ანგელოზი ჰყავს (მაღალი, ქერა, კეთილთვალბიანი
ქალი), რომელთან ერთადაც ხანგრძლივი და სახიფათო
მოგზაურობის შემდეგ ცისა და მიწის გასაყართან მივიდა,
ოღონდ არ იცის, თვითონ გადაიხვედა თუ ზეცამ გადმოხვედა,
არც ის ახსოვს, ზევით იყურებოდა თუ ქვევით, მაგრამ
დედამიწის ღერძი კი ნამდვილად დაინახა — უნაკლოდ
გამართული და სწორი.

აი, შენი სახლიო, — უთხრა ქალმა და ხელით მთელი
სამყარო შემოხაზა...

„...ხელოვნებასთან ჭეშმარიტი ურთიერთობა თავადაა
ხელოვნება, რომელიც საკმაოდ რთულ და მძიმე მუშაობას,
გამძლეობას, სიფრთხილეს მოითხოვს... მას მხოლოდ სიხა-
რული როდი მოაქვს, ტანჯვაც მოაქვს, შესაძლოა-სამოთხი-
სეული, მაგრამ-მაინც ტანჯვა. ყოველი განწმენდა ხშირად
მტკიცენული და აუტანელია. აქ არაფერია სახალისო. ის მად-
ლი, რაც შედევრთან ურთიერთობისას მოდის, მსუბუქიცაა
და მძიმეც, უდიდესი ნეტარების მომტანია, მაგრამ, ამავე
დროს, უკიდურესად გავალდებულებს, პასუხისმგებელს
გხდის... ჩემთვის გავიფიქრე, ღმერთო, რა სიმუხრვალეს უძ-
ლებს ტილო...“

მაკა ჩარკვიანის ამ სიტყვებით მინდა გავასრულო ეს წე-
რილი, როგორც გარანტი და საბუთი იმისა, რომ მას მთელი
სისასხითა და სიფხიზლით აქვს გაცნობიერებული, რას ნიშ-
ნავს იყო პროფესიონალი და ნამდვილი ხელოვნების მსახური.



გივი ალხაზიშვილი

დიალოგი
ნაცნობთან

— გახსოვთ, ის ქალი,
თითქმის ყოვლდღე
ჩემთან ერთად რომ სეირნობდა,
კოლეჯის ბალთან, იმ ხეივანში?!

— ქალი?! ბუნდოვნად. თქვენთან ერთად?!
კი, მგონი მახსოვს, ჰო, გამახსენდა...
რომ აღარ ჩანს, ახლა სად არის?!

— ახლაც აქვია,
მაგრამ სხვები ვეღარ ხედავენ...

მონატრებისთვის
თითქოს, საცაა კარს შემოაღებ
და ღიმილიან მზერას შეავლებ
ყველას,
ვინც დაგხვდა,
ან ვინც გზაშია —
ვისაც უცნობი დრო შეაღიე...

სიტყვა ინახავს გულის სინათლეს
თვალეში სიტყვით გაბრწყინდებიან
და კარსმომდგარი საღამოების
მოლოდინები აღარ მწყინდება.

ისინი ჩემში სიტყვებს ართავენ
და უცნობ ზღვართან დაფრენს ფარტენა,
ნიშნად იმისა, რომ ეს სიცოცხლე
გაყურსულია და ფარატინა.

აჰა, საცაა კარს შემოაღებ
და მკლავებს ისე გაშლი ჩელტებად,
რომ ეს სამყარო წამით ისვენებს
და შენს ცისხელა გულში ჩერდება...

აქვე ხარ, მაგრამ, მაინც არა ხარ,
ჩემთან ხარ, მაინც ვერჩები უშენოდ,
შენი სიშორე დავიანხლოვე,
იქნებ ერთმანეთს რამე ვუშველოთ.
უნდა ჩავიკრა გულში ეს ნატვრა
და ობოლივით უნდა ვიშვილო.

წუთის განახვა

ცხოვრება ისე ახლოსაა, მასაც ვბეზრდები,
ზოგჯერ წაეა და შემატოვებს ირეალობას,
სადაც წარსულის წარჩენები მირიალებენ
და ჩავლილ დღეებს ღამეების ფრთები ეზრდება...

რა ახლოს იყო ის ქვეყანა, თვალწინ რომ ქრება,
რა სინანული არ აღმავსებს ჩვეულ სიმძაფრით?!
აღარ მომიწევს მეათასედ ძალის მოკრება,
აღარ შეინოვს ამ სიცოცხლეს მზერა ძაბრივით.

ჭილყვავებივით გადაუფრენს თვალებს ბინდბუნდი,
ზამთრის გულიდან შავ ლაქებად რომ ამოცურდა,
იქ მიბრუნება ვცადე, მაგრამ ველარ მივბრუნდი,
იმ ნათელ დღესთან, ამავე დროს ბინდით მოცულთან..

ჩემშია იგი, მარადლე ხომ იმ დროს მოიცავს,
აქაც რომ არის, ზოგჯერ სიტყვებს თავს რომ აფარებს,
უხილავ ჭიშკარს გაცრეცილი სალამო იცავს
და ღვთის კრავივით აყურადებს მის დანაბარებს.

იგი სულია და ამ ქვეყნის რა ეკითხება,
რადგან სულია და ირწევა როგორც შეუული,
არც ახსენდება მინა, სად და ვისთვის ითხრება,
ის სხვა სიცოცხლით მწყურვალეა და დამშეული.

ავიკრეფ მკლავებს, ნაბიჯს, ვტოვებ ოთახს — კიდობანს —
დილის ნაპირთან გამორიყულს მაშინ შევუვლი,
როდესაც სხივი საკუთარ თავს გაეკიდება,
როცა სამყარო ინაბება როგორც შეუული.

იანვრის ზოლო დღე

ხანდახან მისი სიყვარულით ისე იცვები,
ისე, ისე, რომ სული გელევა,
თუმცა ნათელი ზოგჯერ გაბრმავებს,
და ველარ იგებ —
სინათლეა თუ სიბნელეა?!

მზერას იქითკენ გადაანაცვლებ,
სადაც შეგრძნება სიღრმეს ჩაწვდება
და ახელ სიტყვებს,
ხუჭავ და ახელ
დაბადების და სიკვდილის ზღვართან...

ის, რაც შენია უფალი მოგცემს,
ხოლო თავისას წაიღებს შენგან,
და მარტოსული შეხვდები ზამთარს.

შურის თვალთა ყინულის ბროლი;
დაინყო შენთვის საფლავის გაჭრა —
წარმოსახვაში და ცბიერ გულში,
რადგანაც სხვაგან ის აღარაა....
ის დასცემს წერაქვს,
დამზრალ მინას წამოსტიკვდება
უცნობის ძვლები
და კნინი ყოფა — აღრენილი და ფარლალაა.

რა უნებლიეთ დაგიდნა გული,
გექცა სიტყვები შუქის ჩქერებად,
როგორ გინდოდა იმ წუთში შესვლა,
ჩუმად შელწევა და შეჩერება...
ყური მიუგდე, წარმავალ დღეებს,
ზოგჯერ ტყუილიც დაეჯერება.

* * *

სიტყვა მინათებს წყვილადს, როცა შენით ვივსები
და მარტოკაცი მარტო არაა,
თავისთავს თვალი რომ აარიადა...

დროდადრო მტოვებ, უჩინარდები,
შენ სხივად იქეც,
გადმოწყურებს ხსოვნა მთვარიდან..

უხილავ მზესაც შესძლება ცეცხლის გაჩენა
და აღარ მიკვირს,
რომ მე შენი სუნთქვით ვინწყები.

ზოგჯერ შენ სითბოს ვეძებ ბრმასავით,
ვერ გხედავ,
მაგრამ შენ გეფიცები.

უბრალო სიტყვა

ის ჩვენთან იყო,
ვერ ვამჩნევდით, მაგრამ აქ იყო,
ვგრძნობდით და მისი გულისცემა
წვდებოდა ყველას,
ვინც მის სიტყვებში ხედავდა სივრცეს
და პოულობდა იმავე დუმილს,
მაგნიტივით რომ იკრობს და იკრებს
აღამიანურ სისუსტეებს, რომ არ გვეთმობა..
ან რა შეგვეძლო დუმილის გარდა
უხილავ ძაფზე ჩიტებივით ჩამომსხდარ ფიქრებს..

ის ალებს ჩემში ჩამალულ სარკმელს,
ის ჩემშია და გულივით მიცემს,
როცა ვპოულობ უბრალო სიტყვას,
როგორც ყვავილი გასაშლელ სივრცეს.

**გუნდის ლოტბარს, ვიოლინოსა და
საჰვირზე: სიმღერა სიყვარულისა**

ნეტარ არს, ვისაც ეპატია დანაშაული...
ფს. 31.1.

შენთან მოვალ დილის ნამივით
და გამოვყვები შენ სუნთქვას,
როგორც შრომანის სურნელს,
სადაც თანდათან ერთმანეთში გავიდვით ფესვი,
ერთმანეთში აღმოვცენდით
და ირწეოდი ქარის მკლავებში
ზეთისხილის მსუბუქ რტოსავით.

დაბრუნდებიან კედარის ჩრდილში მსხდომნი
და მზერას მოატარებენ საკუთარ ფიქრებს,
თავთავებივით მარცვლავენ დღეებს,
პურივით ცხვება სიყვარული
და გვეცნობა არსობის სუნით.

ბერსაბე,
უცაბედი ნიავი გაგხვევს
ვაზის ყვავილის სურნელებაში...

ბერსაბე,
შენ ღვინოსავით მათრობელა ხარ
და ლიბანის ღვინოსავით გაითქვამ სახელს.

შროშანო, რომ არ მოგხვეოდი,
მოვკვებოდი
და შენს თვალში ამოვიდოდი კვამლის სვეტივით...

„ნეტარ არს ვისაც ეპატია დანაშაული“..

...გაცვითა ძვლები ჩემმა გოდებამ ყოველდღიურმა..
უფალო, ...ცოდვა ჩემი გაუნყე; არ დამიძალავს..
...მიითვალე სიკეთე და ხბორების ნაცვლად
შემოგწირავთ ბაგეებს მსხვერპლად...

თვალთ ბინდი კი არ გადამეკრა
ან ეშმაკმა კი არ მაცდუნა,
მზემ მიგვიზიდა და უნებლიეთ მოგვედო ცეცხლი..
მზემ გაშალა კარავი მთაზე და შეგვიფარა.

ბერსაბე,
ჩვენ შეგვიწყალა უფალმა და
მსხმოიარე ბალი გვიბოძა
და გვასაზრდოვა მიწიერ ხორბლით
და კლდის თაფლით,
რომლის სურნელიც, არავინ იცის სად მთავრდება,
შენს ბაგეებთან რომ იწყება
ვარსკვლავების სკამდე ვრცელდება.

...ჩვენი დღეები სადღაც მიაქვს უდაბნოს ნიავეს,
და ჩვენი ცოდვა — სიყვარულით გამოსყიდული...

პინო

„პიანნი,“ პიანო!
ეი, ღი-პიანო!
დაასხი პინო,
არ გააპიპინო,
არ გააფორტეო, არ გააპიანო,
აჯობებს ერთბაშად აფორტეპიანო,
ბგერები მოვლენ და ნავლენ და კვლავ მოვლენ,
ისინი არასდროს დაფორდებიანო,
მე შენ შეგიყვარე და ველარ გვიწყებ,
წარსულის კორდებო აკორდებიანო
და ვილაც მაფრთხილებს: გისმენენ! პიანო...

ხმას ნუ ამოიღებ, გაკვირდებიანო.
მისმინეთ, კახპებო,
ჩემში რომ ლაქლაქებს,
ის მე კი არა ვარ = პინოა.
პინოა, პიანნი, პიანო... პიანო! პინოა...

განდობა...

...მოვლენ დღენი, თქვენ დამინყებთ
ძებნას და ვერ მიპოვებით მე...
თომას სახარება (აპოკრიფული ტექსტი)

ახლოა ზღვარი,
ყველა წუთი ჩემთვის ზღვარია...
ხელისგულში
ცისიქითა ცა დავინახე
და ცასავით გამეხსნა გული..

ჩემში გაივლის ელვა — ცაზე გადარბენილი,
ყველა თვალი რომ აირეკლა
და იმ სიტყვაში ჩაიმალა,
ზოგჯერ სული უხმოდ რომ ამბობს...

შენ გამაგონე,
ცხრაკლიტული დუმილის სუნთქვა,
ეს გულისცემა —
არქაული პულსის ექოა, ჩემში გრძელდება
და მაშინებს გამჭვირვალეობით.

გვაჩვენე შენი სამყოფელი,
რადგან უშენოდ ველარ გავძლებთ
და თუ არ გვეტყვი, როგორ მოგძებნოთ?!

არ ვემგვანებით ფარისევლებს,
ხე რომ სძულთ და ნაყოფი უყვართ
და პირველობით თავს იწონებენ...

...არის სინათლე ადამიანში,
ის ანათებს მთელს სამყაროს...
თუ არ ანათებს,
ყოველივეს ბნელი მოიცავს...

შენი სიტყვა ნათელია ჩემი სულისა,
მეტისმეტად ნუ მიმატოვებ;
თვალმა დაასწრო განთიადს რომ
შენს ნათქვამზე ვილაპარაკო..

ჩვენ აქ ვართ ყველა;
ყველა სუნთქვა და გულისცემა
გარშემო უვლის დედამიწას,
სულს უბერავს
და ასაზრდოებს დროს,
რომელიც არსად მიდის და დუმილს ეძებს,
განდობისთვის, იმ სიტყვისთვის,
დასაბამიდან რომ ვერ ამოთქვებს.



ჯემალ აჯიაშვილი

სონეტები

* * *

ლეგენდის მიხედვით, იეჰუდა ჰალევი — ებრაელი პოეტი შორეული ანდალუსიდან — რომელიც პირველად მოდიოდა ნმინდა მინის მოსალოცავად, ხანგრძლივი ხეტიალით დაღლილი, ზედ იერუსალიმის კარიბჭესთან განუგმირავს ცხენზე ამხედრებულ სარკინოზს. პოეტი მუდამ გზაშია...

მთვარის ნაშთი და ნატამალი, მთვარის ნალევი მოჩნდება ხევთან, ხელეურობს ხელში დაიჭერს და ბედუინი — გაცრეცილი, ნაფერმკრთალევი უდაბნოს ქარში გააჭენებს დამფრთხალ ტაიჭებს.

გამოვა სძალი — სეფექალი, ქალთან — თვალევი, — ყველა მეტროფეს და მერაყიფეს თავზე დაისევს, მოთქმას აღავლენს კოჰლეეთი, მოვა ჰალევი და ცისკრის ნათელს დაღამება დაადაისებს.

იარა ქარმა, მიდამოებს მიედ-მოედო, შენ კი გზაში ხარ, რახანია, დიდო პოეტო! გადმოგისერავს სივრცეები — სტიქსი, ნილოსი

და მზე, რომელიც სიყვარულით გაიმედებს, მკვდრად დასთამაშებს ბედისწერას, და სარკინოზი ხმალშემართული გელოდება ტაძრის კედელთან...

„მედიტაციები“

ნარნერა მენახემ მენდელ შნეერსონის წიგნზე

კლიტეს გვარგებდი ჩაკლიტულებს, თანაც რა კლიტეს, მაგრამ ჩანელდა თანისთანად ვნების აღმური, ჭერი აგვხადეს, მეუფეო, სული გალიტეს და ქარებს შერჩა მევენახის ბოლო ფსალმუნი.

მაგრამ ვიდრემდე ხელმეორედ ვენახს ჩაყრიდეს, ისევ მოგვმადლე მსასობლებს შენი სალბუნი, ცეცხლი მოეც და დაუამე ჩვენს ჰერაკლიტეს ყოფნა უმზეო, უღიმღამო და ყაზარმული.

წინ კვლავ გზა გვიდევს — გაუვალი, გაუკვალავი, მაგრამ ვინ არის გამკვალავი, — ღმერთო, არავინ! დრტვინვენ მართალნი, მოდგებიან, აღთქმებს დადებენ,

ეშმის მოძღვრებას მოაქცევენ საღვთო სწავლებად და თვალშეუდგამ სივრცეებში დაფარფატებენ ზესკნელ-ქვესკნელის მარადიულ თანამგზავრებად...

* * *

სიმგაცვეთილო ჩანგოსანო, მწყემსო ქაცვია, მზემ სატრაპეზოდ გამოგიხმო, ლხინს დაგანვია, თითქოს მხნედ ზიხარ სიყვარულის დღესასწაულზე, მაგრამ ძონის წილ განდევილის ჯვალო გაცვია.

ღანვი რომ ღუის მეფის ბაღში, — ატმის ღანვია, განა გაცლიან, — ჩაკბეჩამდე ღდინს აგაცლიან, მაგრამ ნუ დარდობ, — დაგიუნჯა ღმერთმა საუნჯე, თავნი მოგცა და სარგებელიც უხვად გაძლია.

ხედავ, ინათა, ბაიყუში რისთვის გვამხელდა?! — სერზე ცხვარი ძოვს, მტილოვანში ჩიტი ამღერდა; სხივი ძალს იკრებს, იცრიცება ჩრდილი აივნის,

და უკვე ჩნდება მიზანსცენა ფარსის მორიგის: გადავა ცისკრის ლიტანია და გადაივლის გრძნება და ხიბლი სევდიანი ამ ბუკოლიკის...

* * *

დასთმე მცხეთა და ბეთანია, დასთმე ბეთლემი, უხმოდ განდექ და რინდად იქეც, მეც გამერინდე, კალო დაველენე, ამოგივსე მარცვლით ბელევი და ცრემლებს ვიმკი საზღაურად, როგორც შემინდე.

მივდევ შენს ქარებს, მივიქცევი, სივრცეს ვეხლები — სივრცეს, რომელიც უნაპირო ბინდით შებინდე, შენი მონა ვარ, სასჯელს ვინეც და ვიბეგრები და მაინც შენსკენ მოვისწრაფი, — ღმერთო, შემინდე!

მზე კი კვლავ მზეობს, ობობამაც ქსელი მობლანდა და მთვარეც ისევ აბლაბუდობს ჩვენს ნასოფლართან; სადღაც ჩანგს დაჰკრებს, ჩანგოსანმაც გაიჩხაკუნა

და სახლაკს — სანთელ-დავინწყებულს და უკანდელოს — ისევ მოადგა სასუსნავად მინდვრის თავუნა და კაკლებს ცინცლავს კერიასთან მთვლემარ ანგელოზს...

* * *

ეცემა ფარდებს შეღამების გრძნეული სხივი, ნოემბრის თვალი დასთამაშებს მძინარე მანგლის,

აკვდება ბაგეს მთვარეულის უაზრო ღიმი
და ბნელში ქრება ათინათი ჩამქრალი სანთლის.

და ისმის ხმები მსაჯულისა — მჭახე და ცივი, —
ერთია მსჯავრი განსასჯელის — მრუდის თუ მართლის,
ღრუბელთა წიაღ იფანტება სხივების მძივი
და ქართლის მთებზე უსაშველოდ ბარდნის და ბარდნის.

მაშვრალთა დახსნად ჭალებიდან გამორბის შემწე
და ჩუმად კვდება მომაკვდავი გოლგოთის თხემზე;
დამშვიდდი, სულო, უძღურია სამსალის წვეთი,

როკაპის თვალცი მიძინებულს ვერაფერს გავნებს,
უკვე ფანჯრებთან ირეკლება სინათლის სვეტი
და განთიადის სიახლოვე ამღერებს მამლებს...

მარკო პოლოს სიზმარი

*პოლიეუდის მელიოდრამა
(ვარიაციები)*

ასე ურჩი და თავქეიფა, ასე გოროზი
კვლავ შემწეობას ევედრება ცას და ზეციერს,
დგას მტვრიან გზაზე ორეული მარკო პოლოსი
და დუნიაზე საყილოდ მიზეზს ეძიებს.

მაგრამ მოჩნდება საიდანღაც კუშტი კოლოსი
და კვლავ შარს მოსდებს თავანყვეტილ შარახვეტიებს,
უხმოდ მიდგება მეოცნებე მინდვრის ბოლოში
და კეთილ ბოლოს აფიქსირებს — ანუ ჰეპი-ენდს.

და ჰეპი-ენდის მოყვარული — საჰეპიენდო
სურვილს აჰყვება და უჩვეულო ხილვებს მიენდო;
მერე კი — თრობა, გარინდება, თვალის მილულვა

და განძის მპოვნელს საგანძური გზებზე მოებნა
და გრძელულ წყალში ჩასარკულმა და ჩამინულმა —
ჩქამი გაიღეს ვენეციის პალაცობმა...

* * *

მიყვარს შენი ხმა — შარიშური უცხო ნიჟარის,
მაგრამ მაგიჟებს, ღვთისნიერო, ერთი თვისება, —
რომ ჩამჩინებ — კაციო გასაგიჟარი
და გიჟებს მისვამ იდეალად, — რა მეგიჟება!

ნაიჯარევი სიყვარული, ცოლიც — იჯარით,
ნეტავ რას გაძლევს უაზრობის გაფეტიშება!
დროზე მომწყვიტე თვალებიდან ეს სახიჩარი,
თორემ თავ-ტვინი უიმედოდ გამეთიშება.

მერე ფრინდი და ინდი-მინდი, — ვერას გახდები,
უკან ქაჯი და მაცილია, წინ — ბაყბაყდევი;
სხვა წესით ვაჭრობს, ჩემო კარგო, სოფლის დუქანი,

გავა ქარი და გაიბრძოლებს, გაითარეშებს,
გადი-გამოვა ნაომარი, ნათუხთუხარი
და ისევ ჩუმად უბრუნდება თავის სარცეელს...

* * *

ქუსლი გაგიპო შენმა მტერმა, — მტერს რა დაგილევს, —
და შენს დავლასთან — ჩინ-მედლებთან და აღმასებთან —
ისე იძმო და იყისმათა, ძმაო აქილევს, —
სულ ფრენა-ფრენით აზეურდა — ცამდე აზევდა..

აგერ ეს კაციც, ნამდაუნუმ შენ რომ გაგინებს
და არად უჩანს სატკივარი ნადარბაზვეთა, —
შენს დარბაზებთან ახვავებდა მოკლულ აქიმებს
და მოლაღატე აქიმბაშებს თავზე გასევდა.

იბრძვის ძუ ლომი ამძუენებულ ამორძალებთან, —
სისხლის წამალი სისხლიაო, — ვიღაც ბრძანებდა;
და კვლავ მიძიდება სისასტიკით ლორთქო ჰაერი,

მეფის დარბაზი ემსგავსება თათრის ნაბაზრალს,
მალე ტრამალებს გადმოთქერავს ჩინგის-ყაენი
და მოსისხართა ლეგიონებს სისხლით გაბასრავს...

* * *

დასრულდა უქმის ქმედებანი, ჯავშნის ცვეთანი,
მზე ღრუბელ-ღრუბელ ირეკლება ოქროს ტახტებად, —
გადავა თოვლი, ჩათავდება ბოლო ქვეთავი
და დიონისეს ოდინდელი ნატვრაც ახდება.

და გაზაფხულის ნედლი ყლორტი, ყლორტი ნეტარი, —
ქარს რომ შეუნდო დიდსულოვნად თავის აგდება, —
სურნელს გადმოღვრის ფოთლებიდან, და ნანვეთალი
ლალის ბაგეზე მაჭარივით დაბადაგდება.

წვენში ჩადგება სიტკბოება თაფლად, ვაჟინად, —
ისევ გრძელდება პაემანი, რამ შეგვაშინა!
დრტვინვენ ვიეთნი, ნასახლართან კოშკებს იგებენ,

ხელი დარია მოგონებებს შორმა ბალლობამ,
სალამი, კერის სიტკბოება, — და შემრიგებელ
წუთებით თრობავ, სიხარულო და ნეტარყოფავ!

ტვიპის სიზმარი

(ვარიაციები)

წიგნების ჭია, მოაზროვნე ვინმე მონტენი
ტყის ბინადრებმა სათაკილო წრეში შერიეს
და ნედლი მთვარე — მდელიობზე ღამის მომთევი
სიზმრებში ახვევს ღამის კლუბებს და ატელიეს.

სიგარის ბოლში დაბოლმილი ბოლავს ბორდელი,
ბოლსაც, ეტყობა, ღამეები მოათევიეს
და უსირცხვილოდ გაპუდრული დემიმონდენი
მერძევეობით ათაკილებს სანყალ ტევიეს.

დაბინდულ სერზე შემართულა მთვარის კომპასი
და კაცებს ეძებს უკაცრიელ ანატოვკაში;
ნოემბრის თალხით იმოსება ნისლის თალარი

წვიმაც, საცაა, მოგონებებს მოატალახებს
და სანადიროდ გამოსული ნამეძავარი
კვლავ პაემანზე გამოიხმობს სოფლის დალაქებს...

* * *

მთიდან ეშვება განდგომილი ქადაგი ერთი,
მოდის, მობორგავს, შეჩერდება ორგან თუ სამგან:
რამდენჯერ სიტყვით გამიპეო ძუძუ და მკერდი,
რამდენჯერ დანა დაუნდობლად დამეც და დამკარ!

ფეხზე ჰკიდია მისი დარდი ამ მზეს და ამ ქარს, —
წერე და წერე, ჩემო ვარდენ, ვითარცა წერდი! —
დუქანთან თავი მოუყრია ლოთების ამქარს
და მორიგ ამფსონს ელოდება საღვინე წერტი.

ღრუბლებს სხივების ათინათი ათბობს და აპობს
და ნელი თვლემა ეუფლება ნაზამთრალ ტაფობს;
ის კი მოინევს, ძველი ბოლმა დაღავს და შანთავს, —

იფქლი და ღვარძლი მოიმკეთო,

საფქვავეცი დაფქვით! —

მაღე ქუჩებში გამოფენენ ოქროსფერ შანდალს
და ქრისტე-ღმერთი ჩამოივლის საგზაო აბგით...

* * *

კვლავ იახსარის ორეულთან ჩქეფდა ორწყალი,
ცას მირკალავდა სამხრეთისკენ გუნდი წეროთა
და მიმქრალ თვალებს აცეცებდა მზე — კიბორჩხალი,
რომ ცის ბორჯღალი ამჯერადაც ხელში სჭეროდა.

ისევე მოძღვრავდა მიდამოებს მინდვრის მოძღვარი,
უცხო სურნელი იღვრებოდა მთის კენწეროდან
და ობლის ხელით მონყევტილი და ნაფოცხარი —
ვერხვის ფოთოლი შემოდგომის ქარში მღეროდა.

ცის მაყრიონი მომდგარიყო უცხო კლდეკართან
და გადაღმიდან საიქიოს ზარი რეკავდა;
თითქოს ყველანი აბრეშუმის ძაფით დაგვაბეს

და შეგვაგებეს სიხარული შესაგებართა,
დასთუხთუხებდა ოხშივარი დახშულ საქვაბეს
და გოგოთური კოპალასთან ხინკლებს კეპავდა...

* * *

როგორ ჩაახშეს ველურებმა ეს ამბოხება,
ფუჭი გამოდგა ალამდრობა, ხალხის ხმაური,
კვლავ სასიმღეროდ წაყილდა ჩვენი ბოჰემა
და სმენას მოსწვდა განდგომილთა ხმა გაღმაური.

არც სხვებს უნახავთ, კაცმა რომ თქვას, დიდი მოგება,
მხოლოდ ეს კია — აჭახჭახდა ვილაც დაუნი,
როცა ხალხის წინ მზარეულმა ხორცი მოკეპა
და ცხელი კერძით დაანაყრა მთელი აული.

ბრბო თავს იდრეკდა საღვთო წიგნის ლურჯ გარეკანთან
და უდაბნოდან ზანზალაკი გაბმით რეკავდა;
ვბჭობდით დუქნის წინ, მუეძინი ლექსებს გვასმენდა,

თაფლის კასრებთან დაბზუოდა უფლის ფუტკარი,
თარს აკენესებდნენ დერვიშები ჭრელ ქარვასლებთან
და ნიავს გაღმა გადაჰქონდა ეს ნაზუთხარი...

* * *

გავცდი სათავეს, უგზო-უკვლოდ ბევრი ვიარე,
გზა დამიძძიმა უნდობლობის წყეულმა დამღამ,
წლებს მიფურცლავდა ბიბლიური მემატინე
და მივიწყებულ საგალობლებს გალობდა ღამ-ღამ.

შენ გთხოვ, შენი ვარ — დამანათლე ცეცხლის სიაღვე
ყოვლის თავო და დასაბამო, ძირო და ქარგავ,
მხრები შემასხი, სიცოცხლესთან შემაზიარე
და დღემდე ფრთხილად მაკონინებ,
მძერწავ და მჩალხავ...

ვიდრე ფიქრი და სინანული ამიმზეურებს
ბინდის ბურანში გარინდებულ გზებს და ხვეულებს;
მაგრამ რად მზარავს ზართა ცემა და დარისხება,

ძველმა ელდამ და გაოგნებამ რატომ მომცელა:
ისევე მსხვერპლს სწირავს სიყვარული, — უკვე იწყება
კედლის ჩამოშლა სამსხვერპლოსთან და ჩამოქცევა...

* * *

დადის გლეხი და დაფაცურობს, ბაღში — დასახლენ
ატმებს არჩევს და ამარაგებს მეფის სასახლეს,
რომ გაინაფოს მლიქვნელობის ანაბანაში
და ცოტა თვალი შეაჩვიოს ამ სისაძაგლეს.

ბედმა, ხომ ხედავ, ჩემო ძმაო, შარში გაგრია,
მე შენ გეტყვი და, საზრუნავი ისეც ვაკლია,
ხან ბანანი გაქვს გასაფცქვენელი, ხან ანანასი,
შენ კი დახვალ და დატინგიცობ, — რამ გადაგრია!

ნა, გზას ენიე, იმთაბარე, იმთაგრეხილე,
ნუ გავინყდება — მებაღე ხარ, განა მეხილე!
შორია ცის ხმა — შორზე შორი და უშორესი,

სოფლის მღვდელი კი, — ვიდრე სამწყსოს
დაამწყალობნებს, —
ახალ წესს ნერგავს სახვალეო ეპისტოლეში
და ახლებური ლიტანიით ართობს მგალობლებს...

* * *

უნდა შეგეძლოს ოდინდელი სიბრძნის შენახვა,
რომ გზა, რომელიც გაიარეს თხამ და ვენახმა,
არ წარიხოცოს უთავბოლო სოფლის ბრუნვაში
სისხლით, რომელიც, მოსისხარო, ხელზე შეგახმა.

ხამს, დაიხსომო — ვინ დაეცა, ვინ აღმალა
და წრე, რომელიც შემონერეს თხამ და ვენახმა,
ღირსყო, ვითარცა ღირსეული მამის უღვაში
და გამარჯვების სადღეგრძელო წართქვა ხელახლა.

მკვლელი მკვლელს ამთობს, ენირება ზვარაკს ზვარაკი,
ამას გვაუწყებს უძველესი იგავ-არაკი;
მკვრივდება გრდემლი — განალობი, ტყვია-გამბალი,

ისევ ნიშნს უგებს ქონდრისკაცი შემთვრალ არქიელს
და აჭაშნიკებს ჭაშნაგირთა ძველი ამქარი
ზესკნელ-ქვესკნელის უსასრული იერარქიებს...

* * *

შეეყურებ მთვარეს — შაირებით სავსე შარადას,
მთვარეს და თანაც როგორ მთვარეს — რაზომს, რამოდენს,
გამოვა ქარი, გამოაღებს დახშულ კარადას
და თაღჩებიდან მოგონების ფურცლებს გამოდებს.

ბევრიც იარო, იყილო კარის-კარადაც,
მაინც ის ელდა მოუშლელად ყველგან გაბოდებს,
რადგან, ყარაბას, — დაბოღმილო ჩვენო ბარაბას, —
დღემდე ვერ ავცდით სისხლის წვიმებს და ეშაფოტებს.

ასგან გავედი, ათასნაირ წყალში გავცურე, —
ყველგან სიყალბე, უხამსობა და სიავსულე;
ქანაობს თოკი, მუშაითი ართობს ათასებს —

შიშით და ელდით გადამქრალებს, გადაზაფრულებს,
გამოდის ვილაც ბოროტების კლოუნადაზე
და უზრუნველად ბედისწერის ბორბალს აბრუნებს...

* * *

ტყდება ღრუბელი — ქარიატის ქართან ნახალი,
გამოვა მზე და გაიზმორებს, გარემოს განბანს
და მკვდარი თვალით დააკვდება ბინდის მყარი
ძველ სამაროვანს — სიბნელეში ჩანთქმულს და ჩამპალს.

წერამწერელმა გადაშალა გვერდი ახალი, —
ცა არტანუჯის ოქროქსოვილს ქსელავს და ლამბავს
და კოშკებიდან გადმოჰყურებს მზეთუნახავი
სარკინოზებთან საბრძოლველად შემართულ მამფალს.

დედდება მტკვარი, ტაშისკარი ეხლება ტაოს
და დიონოსი უთენია რუსთველთან დაობს;
სხივს მოსწყენია სიბნელეში ხელის ფათური

და მკვდარ კამარებს საფირონის ბეჭდებით ბეჭდავს
და სიყვარულით ეგებება ფატმან-ხათუნი
ფარისეველთა ტყვეობიდან გამოხსნილ ნესტანს...

* * *

აბა, რა გითხრა, ჩემო კარგო, — მთელი ეს წლები,
ნესს რომ გვიგებს და გვაბურთავენს, როგორც წესია, —

ჰგავს კლოუნადებს, გასართობად რასაც ესწრები, —
ხორხოცებს ხალხი, — მაღალ მთაზე დუმს ეკლესია.

კიდევ სხვა სცენა — სისასტიკის მწარე ნესტრები:
მკვლელი, რომელსაც ავსულები თავზე ესია,
დადის ლალად და უზრუნველად, და მენესტრელი
უგალობს სატრფოს... მაღალ მთაზე დუმს ეკლესია.

და კითხულობენ — ვისიაო ეს ეკლესია:
თეკლეს ამბობენ, ბატონიშვილს, — ჩანს, თეკლესია!
მოკვდა ოზირის, გაიხურა კარი იზიდამ,

მაინც ხსნას ველით მლოცველების ღალადისიდან,
სისხლი კი მიწას შერევიდა და შეგლესია,
თარეშობს ცოდვა, გმინავს ხალხი... დუმს ეკლესია...

* * *

როსმე ფიცხი და შემართული, ჯიქურ შემტევი —
ვზი უილაჯო, უპოვარი, უხმლო, უფარო,
ცრემლად მაქციე, ნიჭარაში ობლად შემდევი,
რომ მეც გავუყვე ნაცნობ ბილიკს, ცოლ-შვილს ვუგანო.

ნუთუ მართლა გსურს დამახვავო მიწის ბელტები,
სისხლით გაბასრო შენი მონა, დღე დაულამო,
უჩუმარი ვარ, უდრტვინველი, უნმოდ ვბერდები
და მაინც გზისკენ ვიყურები... გმადლობ, უფალო!

სამრეკლოს ზარებს ესიტყვება მწუხრის ტროპარი
და ბნელში ჩუმად მიწიკნიკებს დრო უნდობარი;
ცა კი ყველაფერს უჩვეულო შუქში აზავენს,

სულ სხვა ხმებია შინ და გარეთ, სხვა გარემოცვა, —
მზე შემოაქრა გაუქმებულ ნადარბაზალებს
და ფერდობებზე შემოდგომის ბინდი შემონვა...



ებრაელი პატარბალი

შალომ კობოშვილი

2011 წელი — ნობელის პრემიის ლაურეატის ჩესლავ მილოშის დაბადებიდან 100 წლისთავი — მთელ მსოფლიოში მილოშის წლად იყო გამოცხადებული. „ახლა, როგორც არასდროს ადრე, ვხედავთ, რომ მილოში XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი. მისი მსგავსი სამი ან ოთხი შეიძლება ყოფილიყო ამ საუკუნეში. მის გარდა ესენი არიან: ელიოტი, კავაფისი და მანდელშტამი“ — წერდა 2004 წლის 27 აგვისტოს, ანუ მილოშის გარდაცვალების დღეს, ლიტველი პოეტი თომას ვენკლოვი. ლიტერატურის ისტორიკოსები მილოშს მეორე დიდ პოლონელ პოეტს, მიცკევიჩს ადარებენ და თანხმდებიან, რომ პოეტის სიკვდილით ერთი ეპოქა დასრულდა. და-ახლოებით ისე, ილიაზე რომ ბრძანა გალაკტიონმა: „წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი“.

ჩესლავ მილოში

ფრაგმენტები ბიოგრაფიიდან

მილოშმა გამოიარა XX საუკუნის თითქმის ყველა ჯოჯოხეთი და ზოგიერთი სახის სამოთხე... უიმისოდ ჩვენი ცოდნა ამ ეპოქაზე მეტად მწირი იქნებოდა.

მარია კრონსკი

„მილოში, აზრისა და პოეზიის ისტორიიდან“

ბავშვობა (1911-1920 წლები)

მომავალი დიდი პოლონელი მწერალი ჩესლავ მილოში 1911 წლის 30 ივნისს, ლიტვაში, დედუღეთში, ვილნიუსის ახლოს, სოფელ შეტიენაში დაიბადა. მამამისი, ალექსანდრე, ინჟინერი გახლდათ, ხოლო დედა, ვერონიკა, დიასახლისი. როგორც შემდგომ თვითონ პოეტი დანერს, მას ეს სახელი დედამ იმიტომ დაარქვა, რომ თურმე ოდესღაც პან ჩესლავ ნეკრაშა და მას ერთმანეთი ჰყვარებიათ.

ეს ის ეპოქაა, როდესაც რუსეთის იმპერიას საფუძვლები ერყვება, ხოლო ლიტვაში, მდინარე ნევიასის სანაპიროებზე, თითქოს დრო გაყინულა. აქ კვლავაც XIX საუკუნეა და ერთად კეთილმეზობლურად ცხოვრობენ ლიტველი გლეხები, პოლონელი თავადები, ებრაელი ვაჭრები და რუსი მოხელენი.

მალე პოეტის მამას ციმბირში გაგზავნიან სამუშაოდ. პატარა ჩესლავი იმდენად ჯანმრთელი ბავშვი ყოფილა, რომ დედას გაუბედვს და მასთან ერთად შორეულ ციმბირში, კრასნოიარსკში გადაუნყვეტია წასვლა. იქ მომავალი პოეტის მამა, კონტრაქტის თანახმად, რკინიგზის მშენებლობაზე მუშაობდა. გზად დედა-შვილს პეტერბურგი გაუვლიათ, სადაც ბიჭმა პირველად ნახა ავტომობილი, რომელსაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია.

მალე მსოფლიო ომიც დაიწყება და ჩესლავის ოჯახი სახლის მიტოვებასა და სხვაგან გადასახლებას გადაწყვეტს. ის თავშესაფრის ძებნას ქალაქად, ვილნიუსში დაიწყებს. სახლის მოძვრელად და საპატრონოდ მხოლოდ ვერონიკას მამა, ჩესლავის პაპა დარჩება.

1915 წლის შემოდგომით ვილნიუსს გერმანელები დაიკავებენ. ვერონიკა თავის ბიჭთან ერთად ქმარს გაჰყვება. 1917 წელს მილოშებს მეორე ვაჟი, ანდრეი გაუჩნდებათ. ამასობაში, 1918 წლის მარტის დამდეგს, ბოლშევიკები გერმანელებთან ზავს დადებენ და ევროპის რუკაც შეიცვლება: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და პოლონეთი დამოუკიდებლობას მოიპოვებენ. ალექსანდრე ოჯახთან ერთად ლიტვაში, სოფელ შეტიენაში, თავისი სიმამრის მამულს მიაშურებს. ისინი მატარებლით ბრუნდებიან, რომლის ვაგონებიც

ისეა გადატვირთული, ხალხი მათ სახურავებზეც კი ამძვრალა. რომელიღაც სადგურზე ჩესლავს, რომელიც ამ დროს უკვე 6 წლისაა, მშობლები დაკარგავენ. ის იყო მატარებელი უნდა დაძრულიყო, რომ ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა ატირებული ბიჭი მშობლებს მიჰგვარა.

ლიტვაში გატარებული წლები სამარადისოდ დარჩება პოეტის მეხსიერებაში. სხვათაშორის, ლიტვაში, შეტიენას ახლოს იყო ასევე მეორე სოფელი, გინეიტა, საიდანაც არის ალბათ წარმოებული გინეტების გვარი, რომლითაც ასე იწოდებდა თავს მარშალი პილსუცკი. აქ ჩამომავალი მდინარის სიახლოვეს მდებარეობს 1911 წელს კიევში მოკლული რუსეთის იმპერიის პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის ადგილ-მამულიც. ამ ადგილებიდან ვილნიუსამდე ჩასვლას მაშინ ურემი თითქმის სამ დღეს უნდებოდა.

„რა მახსოვს ლიტვაში გატარებული ბავშვობიდან? — წერდა შემდგომ პოეტი, — ის, თუ რა არ უნდა გამეკეთებინა: არ უნდა გადამეფურთხებინა ცეცხლში, არ უნდა დამედო თავდაყირა პური, მით უმეტეს, არ უნდა გადამეგდო ის ნავაგში, არ უნდა მეველო უკან-უკან, რამეთუ ეს დედისათვის საფლავის მოზომვას ნიშნავდა...“

პატარა ჩესლავს სკოლაში არ ატარებდნენ. მისთვის დაწყებითი განათლების მიცემა დედამ ითავა, რომლისთვისაც არც ისე ადვილი იყო ბაღში მოთამაშე ბავშვის დაჭერა და ამ საქმისათვის შინ შეეყვანა. „რადგან არ მიყვარდა სწავლა, ამ დროს ვტიროდი და ვყვიროდი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვცდილობდი დედას ხელიდან დავსხლტომოდი და კვლავ სათამაშოდ გავცქეულიყავი“ — იგონებს ხანში შესული პოეტი და დასძენს: „არ ვნანობ, რომ ასე და არა სხვაგვარად აღვიზარდე...“

ჩესლავის თვალში დედა ყოფილა მეტად ჭკვიანი, ლობიერი და შემწყნარებელი. ამასთან, ადამიანებთან ურთიერთობაში იმდენად უბრალო, რომ უკვე წამოზრდილ მილოშს ხშირად ეუხერხულებოდა კიდევ ვერონიკას ძალზე უშუალო საქციელი, რომელთანაც მეზობელი გლეხის ქალები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც თავისიანთან.

საკმაოდ უბრალო ხასიათისა ყოფილა ჩესლავის მამაც, — ვილნიუსის რეალური გიმნაზიის კურსდამთავრებული, გოგოლის შემოქმედებისა და რუსულ ანექლოტთა დიდი მოყვარული. თურმე ალექსანდრეს კარგი ცეკვა-თამაშიც ეხერხებოდა, რის გამოც მისი ახლობლები უმისოდ სუფრას არ გაშლიდნენ.

ის, დიდი, გრვიული ბავშვია — წერდა ჩესლავი მამის შესახებ — სულ მოგზაურობაზე მეოცნებე. პრაქტიკული ცხოვე-



რება მაინც და მაინც არ ეხერხება. თუმცა უდიდესი ენერჯის პატრონია, ვნებიანად უდგება თავის საქმეს (ინჟინერია). გულუბრყვილოა და მეტისმეტად ენდობა ადამიანებს, რომლებიც ბოროტად იყენებენ მის ნდობას და ხშირად ატყუებენ... არ შეეძლო კარიერის გაკეთება, მიუხედავად ფულის შოვნისა. არ ძალუძდა კარიერისათვის ვინმეს შებმობა. ტაქტიკას, მით უფრო, რაიმე სახის ინტრიგას, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუკი სურდა რაიმე მიზნისათვის მიეღწია, ძალზე არაკეთილშობილურ საქციელად მიიჩნევდა. როგორც კი არაჯანმრთელ ატმოსფეროს გადაეყრებოდა, დაუყოვნებლივ თავს ანებებდა სამსახურს და სხვაგან იწყებდა მუშაობას. ამასთან, თავგადასავლების დიდი მოყვარული გახლდათ და ბუნებრივ წინააღმდეგობათა გადალახვა მისი დიდი ვნება გახლდათ“.

როგორც ჩანს, ეს ვნება მის ორივე ვაჟს გამოჰყვა, რომელსაც, ვიდრე ციმბირში სამუშაოდ წავიდოდა, მანამდე მოვლილი ჰქონდა დანია და ჰოლანდია (იქიდან ჩამოტანილ ალბომის თვალიერებისას პატარა ჩესლავს ძალიან აკვირვებდა ამსტერდამის არხები). ალექსანდრე ბრაზილიაშიც იყო ნამოვ ბაჟური.

„ლიტვის შუაგულში დავიბადე და ამდენად უფრო მეტი უფლება მაქვს დავწერო „ლიტვა, სამშობლო ჩემო“, ვიდრე ჩემს კუმირს, ადამ მიცკევიჩს“ — წერს „სამშობლოს ძიებაში“-ის ავტორი. სხვათაშორის, 20-30-იანი წლების ლიტვაში მცხოვრები პოლონელები საკმაოდ ქედმაღლურად დაჰყურებდნენ პოლონელებს პოლონეთიდან და ცივად ხვდებოდნენ ვარშავიდან ჩამოსულ პოლონელ ინტელიგენციას. ვილნიუსელი პოლონელები მათ არა მხოლოდ იმიტომ ხვდებოდნენ ასე, რომ ახალჩამოსულნი ადგილობრივებს თანამდებობებს ართმევდნენ და ბევრ სხვა რამეშიც ეცილებოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ ინტელექტით მათზე მაღლა მდგომად გრძობდნენ თავს. ამ ამბავს პოეტი ასე გადმოსცემს: „ერთხელ ურმით მივდიოდით. პოლონურად ვლაპარაკობდით — ეს დამოუკიდებელ ლიტვაში ხდებოდა, პოლონეთის საზღვართან ახლოს. ამ დროს ერთ-ერთმა იქ მყოფმა წარმოთქვა: „აქ ჩვენები არიან, ხოლო იქ პოლონელები“.

სწორედ ასეთი პოლიტიკური თვითშეგნების გამო იყო, რომ მიუხედავად წითელი რუსეთის მხრიდან მოახლოებული საშემოებისა, ლიტვამ და პოლონეთმა ძველებურად საერთო ენის გამონახვა ვერ შეძლეს, ისინი განსაკუთრებით ვილნიუსის გამო ვერ შეთანხმდნენ. ეს ქალაქი 1919 წელს პოლონელებმა საბჭოთა ჯარების აქედან გაყრის შემდეგ დაიკავეს. ეს იყო პარადოქსული მცდელობა პოლონელთა მხრიდან ლიტვისათვის პოლონეთთან ფედერაციის იდეა მოეხვიათ თავს. ეს აქცია მომზადებული იყო პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციის მიერ. ამ უკანასკნელს სურდა აქ ახალი მთავრობა ჩამოეყალიბებინა, რომელიც პოლონეთთან ლიტვის გაერთიანებას დაუჭერდა მხარს. ლიტვის დაზვერვამ ეს მცდელობა დროულად აღკვეთა და მისი მეთაურები და მათ შორის, ჩესლავის მამა, დააპატიმრა. შედეგად ალექსანდრეს აუკრძალეს ლიტვის ტერიტორიაზე შესვლა და, შესაბამისად, ცხადია, ჩამოართვის ის უძრავ-მომრავი ქონებაც, რომელსაც მილოშები ლიტვაში ფლობდნენ.

ამ დროისათვის ის სამხედრო დანაყოფი, რომლის რიგებშიც ალექსანდრე იბრძვის, ვილნიუსშია და ამიტომ ვერონიკა ქმართან შესახვედრად კიდევ ერთხელ გაემგზავრება. ამჯერად მატარებლის ნაცვლად — ურმით. თან მიჰყავს ასევე თხაც, რათა ბავშვები გზაში გამოკვებოს. ბოლშევიკებთან პოლონეთის ომი გრძელდება, წითელი არმია კვლავ უახლოვ-

დება ვილნიუსს. პოლონეთის არმია იძულებულია უკან დაიხიოს, მას მიჰყვება მოსახლეობის დიდი ნაწილიც, რომელმაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ინგონა ბოლშევიკური ტერორი. მილოშთა ოჯახი იძულებული ხდება კიდევ ერთხელ გაიყოს. ვერონიკა, შვილებთან ერთად, შეტინში ბრუნდება. თუმცა მათ დიდხანს არც აქ შეეძლოთ გაჩერება. ისინი, ისევე, როგორც მრავალი სხვა პოლონური ოჯახი, ვილნიუსში გადავიდნენ საცხოვრებლად. ამასთან, იმის გამო, რომ პოლონეთ-ლიტვის საზღვარი ჩაიკეტა, მილოშებს მშობლიურ სახლში დაბრუნება არ ძალუძდათ. მათ ეს მხოლოდ არალეგალურად შეეძლოთ. მალე ეს საზღვარი ისე მაგრად ჩაკეტეს, რომ მისი გადაკვეთა მხოლოდ პასპორტის მეშვეობით იყო შესაძლებელი. ამასთან, მათი ცხოვრება სხვა მხრივაც გართულდა. თუ ჩესლავის პაპა დედის მხრიდან, ზიგმუნდ კუნატი, ადგილობრივებს თავისიანად მიაჩნდათ, მის სიძეს უკვე ასეთად აღარ სცნობდნენ. ამ მიზეზით ერთხელ მათ სახლში ბომბიც კი შეაგდეს. ამიტომ მილოშები იძულებული გახდნენ კვლავ აყრილიყვნენ და სხვაგან გადასახლებულიყვნენ.

ყრმობა (1921-1929 წლები)

მილოშების ოჯახი ვილნიუსში დამკვიდრდება. ის კალენდოსკოპივით ცვალებადი ცხოვრება, რომელიც პოეტის ბავშვობას ახლდა თან, დროებით მოწესრიგდება. ამ პროვინციული ქალაქის არჩევა, სადაც მამამ 120 ათას კაცამდე ცხოვრობდა, შემთხვევითი როდი ყოფილა. აქ იყო სკოლები და უნივერსიტეტი, და იმის შანსიც, რომ ადამიანს სამუშაო ეპოვნა, აქვე ცხოვრობდნენ მათი ნათესავები.

თუ გავითვალისწინებთ მამინ აქ მცხოვრებთა უაღრესად მძიმე მდგომარეობას, ვილნიუსში მილოშებს დიდი გაჭირვება არ დასდგომიათ. ჩესლავის მამას გარკვეული შემოსავალი ჰქონდა, ბებიაც, როგორც იანვრის აჯანყებულის ქვრივი, პენსიას ღებულობდა. ამრიგად, ოჯახი ახერხებდა თვიდან თვემდე თავის გატანას. ჩესლავისთვის ხანდახან ახალი შარვლის შეკერვასაც ახერხებდნენ, თუმცა საკმაოდ დიდხანს, რამეთუ მომავალი პოეტი სწრაფად მატულობდა სიმაღლეში და ის დიდხანს უნდა ჰყოფნოდა. ჩესლავის ტანსაცმელზე განუთლი ამგვარი ეკონომია ალბათ არც თუ ისე ეპიტანავებოდა პატარა ბიჭს, რომელსაც კომუნიაობა ძალიან უყვარდა. აქი წერს კიდევ ერთ ნერილში ამის თაობაზე: „თუკი საშუალება მქონდა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიყვარდა ლამაზად ჩაცმა-დახურვა“.

პოეტის მამა, რომელსაც ცოლი და ორი ვაჟივითი ჰყავდა და შესანახი, წლებზე ფეხს იდგამდა მათ გამოსაკვებად. დემობილიზებული მათორმა სამუშაო ჯერ ხიდების მშენებლობის კომპანიაში ნახა, ხოლო შემდეგ თვითონვე ჩამოაყალიბა საკუთარი ფირმა. ძნელი სათქმელია, როგორ მისდიოდა საქმეები, თუმცა ის ფაქტი, რომ ფირმის ბუღალტერმა ისარგებლა ალექსანდრეს მეტისმეტად მიმდობი ხასიათით, მთელი ფული გაიტაცა და არგენტინაში გაიქცა, ბევრისმთქმელია. გაკოტრებული ჩესლავის მამამ გადაწყვიტა ბედი ახლა სხვა კონტინენტზე ეძება, და 20-იანი წლების შუაში ბრაზილიას გადასახლდა. როგორც ჩანს, გამოცდილი ინჟინერი ალბათ ფიქრობდა, რომ ამ დიდ ეგზოტიკურ ქვეყანაში — როგორც კონსტრუქტორი და როგორც თავგადასავალთა მოყვარული — ფრთების გაშლას შეძლებდა. თუმცა ალექსანდრემ ოჯახის გარეშე მარტობას დიდხანს ვერ გაუძლო და კვლავ სამ-

შობლოში დაბრუნდა. ამასთან, როგორც ჩანს, მან რაღაც კაპიტალიც ჩამოიტანა, რადგან ჩამოსვლისთანავე ვილნიუსის გარეუბანში პატარა სახლი შეიძინა. ამასთან ბოლომდე კმაყოფილი როდი იყო პოლონეთში ცხოვრების.

აი, რას წერს პოეტი ამის თაობაზე: „რუსეთი დიდი სივრცეა, აქ ადამიანი იძულებული არაა ყოველ ნაბიჯზე სხვა ადამიანს შეეჩეხოს. ამიტომ უფრო ცივილიზებულ, თუმცა მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში თავს კარგად ვერ იგრძნობს. ასე დაემართა მამაჩემსაც. მოუწია რა შემდგომ პოლონეთში ცხოვრება, სულ ჩიოდა ყველაფრის მცირე მასშტაბებისა და იშვიათობის გამო“.

მილოშის პირველი ლიტერატურული, პოეტური მცდელობანი იმ დროს მიეკუთვნება, როდესაც გიმნაზიის მესამე კლასში სწავლობდა. როგორც მოწოდებით მწერალს, მას შემდეგაც არაერთხელ მოუსინჯავს კალამი, მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 1928-29 წლები, როდესაც ახალგაზრდა შემოქმედთა წრეში — „პეტუ“ გაერთიანდა.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ ჩესლავი სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე უნდა დაფიქრებულიყო. ჯერხნობით არ აპირებდა შეტყინში მეურნეობის გაძლოლას, არც ოჯახის მხრიდან დიდ ფინანსურ დახმარებათა იმედი უნდა ჰქონოდა, რჩებოდა ბოლო არჩევანი — სახელმწიფო ადმინისტრაციასა ან განათლების სისტემაში მუშაობის დაწყება, ან რომელიმე თავისუფალი პროფესიის ისე დაუფლება, რომ მისით თავის რჩენა შეძლებოდა. და მან პოლონური ლიტერატურის ღრმად შესასწავლად 1929 წელს ვილნიუსის სტეფანე ბატორის სახელობის უნივერსიტეტში შეიტანა საბუთები. მაშინ ამ სპეციალობას, გავრცელებული აზრის თანახმად, დამწყები პოეტები ან გათხოვების მოსურნე ქალები ეუფლებოდნენ. ეს უკანასკნელი ჭაბუკ პოეტებზე ბევრად მეტნი იყვნენ.

აქ სწავლა ადვილი არა ყოფილა. არ იყო საკმარისი სახელმძღვანელოები, სალექციო დარბაზებს იმდენი მსმენელი ავსებდა, რომ მათ ხმაურში ძნელდებოდა ლექტორის საუბრიდან რაიმე გაგეგო.

„არასოდეს არა მქონია იმის სურვილი, რომ ლიდერი ვყოფილიყავი. არასოდეს. მე ყოველთვის რიგითად დარჩენას ვცდილობდი. ეს იყო ჩემი იდეალი“ იტყვის წლების შემდგომ პოეტი და მართლაც სიცოცხლის ბოლომდე ამ იდეალის ერთგული დარჩება. თუმცა, როგორც რიგითი წევრი ამა თუ იმ ორგანიზაციის თუ კავშირისა, ლიდერებზე ნაკლებ აქტიური არასოდეს არა ყოფილა. პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად გაუარესებული სიტუაცია იმხანად ოცი წლის ახალგაზრდებს ეხმარებოდა უფრო სწრაფად მომნიჭებაში. სწორედ ამ ხნისა იყო მილოში, როდესაც ინტელექტუალთა კლუბში განეწიანდა.

ვის არ მოსვლია ახალგაზრდობაში შეცდომა, რომელიც ხანშიშესულმა შეცდომად კი არა, შეიძლება ცოდვადაც აღიარო?! ამ მხრივ არც მილოში ყოფილა გამონაკლისი. და ის როდი მალავდა, მეტიც, ხშირადაც იხსენებდა, რომ მის ბიოგრაფიაში არის ზოგიერთი ისეთი მტკივნეული მომენტი, რომელთა გახსენებაც მრავალი წლის გასვლის შემდეგაც ადვილად არ შეიძლება. ერთ-ერთი ასეთი, და შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანიც, ეპიზოდია მისი გულწრფელი და ტრაგიკული სიყვარული ყმანვილობისას...

იადვიგა ვაშკევიჩოვნა 1910 წლის 11 ივლისს დაიბადა. დედა დასახლსი, ხოლო მამა ცნობილი გინეკოლოგი იყო. მათი ოჯახი ვილნიუსის გარეუბანში, მწვანე ტბის სიახლოვეს ცხოვრობს. იადვიგა მეტად განათლებული და საკმაოდ

თავისუფალი პოლიტიკური შეხედულებების ქალიშვილი ყოფილა, რომელსაც თურმე არ აინტერესებდა გაუნათლებელი, უნიგნური ადამიანები.

ჩესლაგმა და იადვიგამ ერთმანეთი 1931 წელს გაიცნეს... თუმცა მოდით ამ თემაზე მილოშის ერთ მოთხრობას გავეცნოთ, რომელიც დაახლოებით წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ როგორ განვითარდა შემდგომ მათი ურთიერთობა. „დაახლოებით“ იმიტომ, რომ ძნელი სათქმელია, თუ რამდენად გულწრფელი, ბოლომდე გულახდილია მასში მილოში.

მოთხრობაში მოქმედ პირთა სახელები შეცვლილია და ისინი, როგორც ნარცისი და ელენე, ისე მოიხსენიებიან.

...გადის არცთუ ისე დიდი ხანი და ელენე დაფხმძიმდება. ნარცისი ამ დროს ვილნიუსშია. ქალმა ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობა შეყვარებულს, სთხოვა, პირობა შეესრულებინა და შეერთო. ნარცისს რამდენიმე წერილზე არ უპასუხია, ხოლო როდესაც ქალმა მკაცრად მოითხოვა შეხვედრა, მან საერთოდ დატოვა ეს ქალაქი და ვარშავაში წავიდა. ელენემ იქ ჩააკითხა, კითხვა-კითხვით მიაგნო და შეხვედა შეყვარებულს. როგორ ევედრა მას, ესნა ქალი ასეთი კრიტიკული სიტუაციიდან. ნარცისი მას დაეთანხმა და კვლავ დაარწმუნა მისადმი თავის სიყვარულში. მაგრამ საკმარისი იყო ქალი უკან, ვილნიუსში დაბრუნებულიყო, რომ ნარცისს მისთვის საშინელი წერილი მიენერა; წერილით ვაჟი ქალს აცნობებდა, რომ მის გამო თავისი მომავლის ნახდენას არ აპირებდა. ნარცისი იმის დაწერასაც კი არ მორიდებია, ისიც არ ვიცი, თუ ვინაა ამ ბავშვის ნამდვილი მამაო. ქალი ვილნიუსში მის მეგობრებსაც ხომ ეარშიყებოდა?! წერილის ბოლოს კი აცნობა, რომ მცირე ხანში ვარშავას ტოვებდა და დიდი ხნით საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა.

ელენე სასონარკვეთილებაში ჩავარდება. ერთხანობა თავის მოკვლაზეც კი ფიქრობს. ბოლოს თავისი უფროსი მეგობრის დახმარებით პოულობს ექთანს, რომელიც მას აბორტს გაუკეთებს. ოპერაციის დღეს ელენეს მაღალ სიცხეს მისცემს და მძიმედ დაავადდება. საავადმყოფოში მიყვანილ ელენეს გადარჩენით კი გადაარჩენენ, მაგრამ ოჯახთან მისი ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბება. დამნაშავედ ის მიაჩნიათ. მაშინ იგი ოჯახს სტოვებს და ერთ-ერთ რაიონში შეუდგება მუშაობას. ომის დაწყებისას ვილნიუსში დაბრუნდება. აქ მას სიამოვნებით მიიღებენ ფერმაში სამუშაოდ, რადგან დაქირავებულ მუშასა და მის ცოლს იქაურობა მიუტოვებიათ. თუმცა ელენე არ შებრალებიათ და ყველაზე მძიმე საქმეებს მას ავალებდნენ. როდესაც ბოლშევიკებმა ხალხის მასობრივი აყრა და განდევნა დაიწყეს, ყველანი დაიძალნენ და მხოლოდ ელენე დარჩა მეურნეობაში, რათა მისთვის ეპატრონა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძნელი სათქმელია, რამდენად ჰგავს ეს მონათხრობი მილოშის ნამდვილ თავგადასავალს. ყოველ შემთხვევაში საფიქრებელია, ძალზე დაშორებული მაინც არ იქნება. მასში რომ ნარცისის ბევრი თვისება იყო, ამაზე არასდროს არავინ კამათობდა.

რაც შეეხება იადვიგას, მან მრავალი წლის შემდეგ შეუნდო მილოშს ეს ცოდვა. მეტიც: „მხოლოდ ის მსურს, სულ მუდამ გახსოვდეს და არასოდეს არ დაივიწყო, რომ შენ არა ყოფილხარ ბოროტი, იყავი ოდენ ძალზე ბავშვური და ძალიან ახალგაზრდა... ჩემი აზრით, შენ აირჩიე სწორი, შენთვის შესაფერი გზა, რადგან მან მიგიყვანა იქ, სადაც ახლა ხარ“. — ეს იადვიგას წერილიდანაა მილოშისადმი.

პოლონურიდან თარგმნა

საპარ ეშყი-სანი — ირანელი გრაფიკოსი და დიზაინერი; ირანის გრაფიკოს-დიზაინერთა კავშირის წევრი 2005 წლიდან; გრაფიკული დიზაინის სააგენტო „სეფიდ გრაფიკის“ დირექტორი.

მონაწილეობდა გამოფენებში: პლაკატების ჯგუფური გამოფენა „ოცის წლის ასაკი“ – გალერეა „ვიჟე“, 2009; პლაკატების ჯგუფური გამოფენა „მდინარე და ქალაქი“ – გალერეა „ვიჟე“, 2009; გრაფიკის ჯგუფური გამოფენა „გამოცდილების 365 დღე“ – გალერეა „ვიჟე“, 2010; გრაფიკის ჯგუფური გამოფენა „კვლევის, პროგრამირებისა და სწავლის 5 წელიწადი“ – ირანის ხელოვანთა სახლი, 2010; პლაკატების ჯგუფური გამოფენა „შეხვედრა“ – ილიას უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზი (საქართველო), 2011; პერსონალური ფოტოგამოფენა და ნიგნის „პარიზიდან აკროპოლისამდე“ პრეზენტაცია — ირანის ხელოვანთა სახლი, 2011.

გავლილი აქვს მასტერ-კლასები უცხოელ სპეციალისტებთან: პოსტერების დიზაინი — რენა ქრისტიკოპოლუსა და მიქაელ დევიდთან (საბერძნეთი); ექსლიბრისის დიზაინი – კვიპროსის -ს უნივერსიტეტის პროფესორებთან; ფოტოგრაფია და ეფექტური ფორმა – ბრუნო მონგუზისთან (შვეიცარია); „ნესრიგიდან უნესრიგობამდე“ — ნიკოლას ტროქსლერთან (შვეიცარია).

გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნოველა, სტატია და ნიგნი „პარიზიდან აკროპოლისამდე“.

ეს ჯადოსნური ქართული ანბანი

(საუბარი საპარ ეშყი-სანისთან)

— საპარ, უკვე მეორედ იმყოფებით საქართველოში. ამჯერად თქვენი პერსონალური გამოფენა ეწყობა. ვიდრე თბილისური გამოფენების თემას შევეხებოდეთ, მინდა მკითხველს უამბოთ თქვენს შესახებ. დავიწყოთ თავიდან: როგორ და როდის გაგიჩნდათ ინტერესი ხელოვნებისადმი და რა გზა გამოიარეთ დღემდე?

— გახლავართ საპარ ეშყი-სანი, ხელოვნებითა და ლიტერატურით გატაცებული. გავიზარდე ოჯახში, სადაც კულტურას პატივს სცემენ. დედა მხატვარია და კერამიკოსი, ხელოვნების ყველა დარგი უყვარს, სულ მუდამ ახალ მიმართულებას ეუფლება ხელოვნებაში. მეც ეს თვისება მისგან მემკვიდრეობით მივიღე, მამისგან კი მონდომება და შრომისმოყვარეობა გამომყვა. ნებისმიერი სიახლე ცნობისმოყვარეობას აღმიძრავს. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, ასე, 13 წლის ასაკიდან დავინტერესდი მხატვრობითა და დიზაინით. 13 წლისა ვიყავი, როდესაც ერთ-ერთ სამხატვრო კონკურსში მივიღე მონაწილეობა და ჩემი ნამუშევარი თეირანის მერიიაში მოწყობილ ჯგუფურ გამოფენაზე გამოიფინა. მეორე გამოფენა, რომელშიც 19 წლისამ მივიღე მონაწილეობა, ჯგუფური იყო. 14 წლიდან დედასა და დასთან ერთად კერამიკის ცნობილ ოსტატ ანუშფარის კლასში ვმეცადინებოდი. 20 წლისამ კერამიკის ჯგუფურ გამოფენაში მივიღე მონაწილეობა.

უნდა ვაღიარო, რომ ცნობისმოყვარე ადამიანს არ შეუძლია ერთ რომელიმე საქმეზე დიდხანს ყურადღების კონცენტრირება და მეც ყოველთვის ახალი იდეებითა და ახალი გეგმებით ვარ ხოლმე დაკავებული. ამდენად, როცა გრაფიკით დავინტერესდი, მხატვრობასა და კერამიკას იმდენ დროს აღარ ვუთმობდი. გრაფიკულ დიზაინსა და შესაბამის კომპიუტერულ პროგრამებს თავდაპირველად თვითონვე დავეუფლე. 23 წლისამ დავაარსე გრაფიკის სტუდია სახელწოდებით „სეფიდ გრაფიკ“. იმავე წელს ირანის გრაფიკოს-დიზაინერ-



თა საზოგადოების ოფიციალური წევრი გავხდი. შემდეგ ცოდნა გავიღრმავე სახვითი ხელოვნების სასწავლებელში ისეთ ცნობილ პროფესორებთან, როგორებიც არიან: რეზა აბედიანი, მაჯიდ აბასი და მეჰდი საიდი.

შარშან, როგორც ფოტოგრაფმა და მწერალმა, გამოვეცი ნიგნი „პარიზიდან აკროპოლისამდე“ — საფრანგეთსა და საბერძნეთში ჩემი მოგზაურობის დღიურები. რასაკვირველია, საქართველოში ჩემი პირველი ვიზიტის დღიურებიც დაწერილი მაქვს და, იმედია, მომავალში ისიც გამოიცემა.

— შარშან პირველად ეწვიეთ საქართველოს. მონაწილეობა მიიღეთ „ვიჟეს“ გრაფიკული სკოლის პლაკატების ჯგუფურ გამოფენაში, რომელსაც ილიას უნივერსიტეტმა უმასპინძლა. გვიამბეთ, როგორ გაჩნდა საქართველოში გამოფენის მოწყობის იდეა და როგორ წარიმართა ეს გამოფენა.

— ჩვენ ტურისტულ მოგზაურობას ვაპირებდით, რომელიც შედგა კიდევ ჩემი 8 მეგობართან ერთად — უმეტესობა ხელოვანია. გამომგზავრებამდე ერთი კვირით ადრე ასეთი აზრი დაგვებადა: დავკავშირებოდით საქართველოს საელჩოს თეირანში და შეგვეთავაზებინა გრაფიკულ ნამუშევართა გამოფენის გამართვა. მართლაც, ჩვენმა ერთ-ერთმა თანამგზავრმა სახვითი ხელოვნების სასწავლებლის (სადაც ჩვენი ჯგუფის წევრთა ნაწილი ვსწავლობთ) დირექტორთან ერთად საქართველოს საელჩოს მიაკითხა. საელჩოს მრჩეველი კულტურის დარგში, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი — უაღრესად განსწავლული ადამიანი, მიესალმა ამ ნაშრომებს და დიდი თანადგომა გავგინია. მცირე დროში ამ სასწავლებლის სტუდენტთა ნამუშევრებიდან 120 პლაკატი შეირჩა და დამზადდა. გამოფენის პოსტერისა და მოსაწვევის დიზაინიც ჩვენს ერთ-ერთ მეგობარს ეკუთვნოდა. ჩემი წინადადებით, გამოფენას „შეხვედრა“ ეწოდა. ვიმედოვნებთ, რომ ერთ დღესაც ქართველი გრაფიკოს-დიზაინერი სტუდენტების გამოფენაც მოეწყობა ირანში და მას „ხელახალი შეხვედრა“ დაერქმევა.

ამ გამოფენაზე ხუთი ნამუშევარი მქონდა წარმოდგენილი. საბოლოოდ, ძალზე კმაყოფილი დავრჩი. გამოფენა ილიას უნივერსიტეტის თბილ და გულთბილ გარემოში ჩატარდა, მნახველისა და მასმედიის ინტერესი გამოიწვია. ბოლოს ნამუშევრები უნივერსიტეტს ვაჩუქეთ, რათა შეძლებოდათ სხვა გამოფენებზე მათი გამოყენება.

მინდა მადლიერება გამოვხატო ბატონ ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ იმის გამო, რომ ასეთი შესაძლებლობა მოგვცეს. ამგვარი შეხვედრები და გამოფენები ორი ქვეყნის კავშირებისა და კულტურულ ურთიერთობათა ამაღლებას ნაადგება.

— რამდენადაც ვიცი, ქართული ანბანით სწორედ თბილისში ყოფნის დროს დაინტერესდით. უამბეთ მკითხველს, როგორ მოხდა ეს და რით მოგზიბლათ ქართულმა ანბანმა?

— დიას, თბილისში გახლდით — ძველ, ლამაზ ქალაქში. როგორც ყოველთვის, ახალი ადგილებისა და მოვლენების ხილვით გამონვეული მღელვარებით მოცული. უძველესი კულტურის სიღრმიდან ამოზრდილ ძველ, წლებგამოვილ შენობებს რომ შევცქეროდი, ჩემს ყურადღებას იქცევდა წარწერები მალაზიების აბრებზე. ვათვალიერებდი წიგნების გარეკანსა და კომპაქტდისკებზე დაბეჭდილ ასოებს. ქართულ ასოებში მოხდენილი ხაზები და ხვეულები აღმოვაჩინე. ამ უცხო, უწერტილო ნიშნების ზღაპრულმა დინებამ გამიტაცა. თითქოს ამ ნაწერების აზვირთებულ ტალღებზე თოლიასავით დავნავარდობი.

პირველად ხდებოდა, რომ წაკითხვა არ შემეძლო, მაგრამ ამ ხვეულებსა და ფიგურებს თვალს ვერ ვწყვეტი. აი, მაშინ მივხვდი, რომ ამ ასოთა მოხაზულობის სინატიფე უფრო მრავლისმეტყველი იყო, ვიდრე ტექსტის შინაარსი. გავაცნობიერე, როგორი ღრმა ვიზუალური ეფექტი შეიძლება მოახდინოს გრაფიკული გამოსახულებითა და გარეგნული ფორმით ნაწერმა მნახველზე, თუნდაც ჩემნაირ მნახველზე, რომლისთვისაც უცხო და უცნობია მისი შინაარსი.

„მშრალ ხიდზე“ მენვრილმანისაგან რამდენიმე ძველი წიგნი შევიძინე. გონებაში ერთი, ჯერ ბუნდოვანი, იდეა მიტრიალებდა: რაიმე ტიპოგრაფიული ნამუშევარი შემექმნა კოლაჟის ელემენტების გამოყენებით.

ირანში დავბრუნდი. ამ მშვენიერი ასოების შესაძლებლობებთან შეთამაშების ყინი არ მტოვებდა. ქართველ მეგობრებს დავუკითხე. ჩემი მეგობარი თეა შურღაია ინტერნეტით ქართული შრიფტების მოძიებაში დამეხმარა. ასე შემოვიდა ჩემს შემოქმედებაში ჯადოსნური ქართული ანბანი.

დარწმუნებული ვარ, რაიმე გამოცდილებამ, თუნდაც რაიმე მოგზაურობამ — იქნება ეს ჩემი თუ სხვისი — თუ რაიმე სახით ასახვა არ ჰპოვა, თავისთავად არანაირი ღირებულება არ ექნება და ოდენ პირად გამოცდილებად დარჩება. საკუთარ მოგზაურობებს მხოლოდ გართობად არ აღვიქვამ; ცდილობ ამ დროს რაიმე ვეძიო და აღმოვაჩინო, რაიმე, რისი გამოხატვა თუ გამოცემა შემიძლე შესაძლებელი იქნება; რაც კულტურათა შეცნობის, ცივილიზაციათა დიალოგისთვის გამოდგება. მაგალითად, საფრანგეთში პირველად რომ გავემგზავრე, მოგზაურობის ჩანაწერებთან ერთად ფოტოებიც გადავიღე. ირანში დაბრუნებისთანავე დავიწყე ჩანაწერების რედაქტირება და ფოტოების მომზადება. საბერძნეთში მოგზაურობისასაც ასევე მოვიქეცი. ასე გამოიცა ჩემი მოგზაურობის დღიურები. საქართველოში ლამაზი ქართუ-

ლი ასოების ნახვის მერე დავიწყე დიზაინი ამ ასოების გამოყენებით. გამოფენა „ქართულ ასოთა საიდუმლო“ ჩემი ქართული გამოცდილების ნაყოფია.

თავდაპირველად რაიმე კონკრეტული მიზნის გარეშე შევუდექი მუშაობას. შემდეგ გადაწყვიტე ნამუშევრები ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და თეა შურღაიასთვის მეჩვენებინა. ორივეს ნამუშევრები საინტერესოდ ეჩვენა. ამან ენერჯია შემმატა და მონდომება გამოიორკეცა. ამ პოსტერებზე მუშაობამ წყვეტილობით თითქმის ერთ წელს ვასტანა. თუმცა, როგორც ყოველთვის, ჩემი გონება რამდენიმე საქმით ერთდროულად იყო დაკავებული. სწორედ იმხანად დაიბეჭდა ჩემი პირველი წიგნი „პარიზიდან აკროპოლისამდე“, რომლის პრეზენტაციაც ფოტოგამოფენაზე მოხდა. ამას დიდი დრო დასჭირდა. ერთი რომანიც დავწერე, რომლის რედაქტირებაზეც ახლა ვმუშაობ.

მონაწილეობა მივიღე შვეიცარიელი გრაფიკოს-დიზაინერის ნიკოლას ტროქსლერის ერთდღიან ვორკ-შოპში, რომელსაც ვაჩვენე ჩემი ნამუშევრები ქართული ასოებით. მოეწონა. მეჰდი საილის ტიპოგრაფიის მასტერ-კლასშიც მივიღე მონაწილეობა და ის, რაც იქ შევისწავლე, თბილისური გამოფენისთვის გამოვიყენე.

მართალი გითხრათ, მეტი დრო რომ მქონოდა, მეტსაც ვიმუშავებდი და უკეთესი შედეგი მექნებოდა, რადგან დარწმუნებული ვარ, შემოქმედებითი სამუშაო, განსაკუთრებით გრაფიკაში, დაუსრულებელია, ყოველთვის არსებობს უკეთესი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.

— თქვენი პერსონალური გამოფენა „ქართულ ასოთა საიდუმლო“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა გამართა, დედაენის დღეს მიეძღვნა. თუ გსმენიათ რაიმე მანამდე ამ დღის შესახებ?

— არა, არაფერი ვიცოდი ამ დღის შესახებ, ვიდრე ჩემი ნამუშევრების ნახვის შემდეგ თეა შურღაია შემომთავაზებდა „დედა ენის დღეს“ გამოფენის ჩატარების საუკეთესო თარიღად. რა თქმა უნდა, შესაფერისი წინადადება იყო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც ეს იდეა გაიზიარა. მეც ძალიან მიხარია, რომ გამოფენა ჩატარდა განსაკუთრებულ დღესთან დაკავშირებით, რომელიც ქართველი ხალხისთვისაც ძვირფასია და გამოფენის თემატიკასაც ემბიანება.

— ერთგვარად გავაგრძელებ ჩემს წინა შეკითხვას: რა იციან ირანში ქართული მხატვრობისა და ხელოვნების შესახებ? აქვე გავიხსენებ, რომ მხოლოდ ბოლო ორი წლის მანძილზე თბილისში ირანელ ხელოვანთა რამდენიმე გამოფენა გაიმართა: 2010 წ. სამხატვრო აკადემიამ უმასპინძლა მამა-შვილ ჰოსეინ და ფარზანე მაჰჯუბების გამოფენას; 2011 წ. გალერეა „ვერნისაჟში“ ახალგაზრდა მხატვრის შიმა ესფანდიარის პერსონალური გამოფენა გაიმართა; ეკონომიკური კოოპერაციის ორგანიზაციის კულტურის ინსტიტუტის (ეკო) ეგიდით სახელმწიფო მუზეუმმა ირანელ კალიგრაფთა და მინიატურისტთა შემოქმედებას უმასპინძლა, რომელთა შორის იყვნენ ისეთი ცნობილი



ციკლიდან „ქართული ანბანი“

მხატვრები, როგორებიც არიან: ასადოლა ქიანი, ნასროლა აფჯეი, მაჯიდ მეჰრეგანი, ასევე, ახალი თაობის წარმომადგენელი, ფერიდნელი ქალბატონი მოთაჰარე მოყადასი. შარშან შედგა ცნობილი ფოტოხელოვანის ქამრან ადლის გამოფენა „გალერეა №9“-ში. ერთი სიტყვით, საქართველოში თანდათან ექმნებათ წარმოდგენა ირანული ხელოვნების შესახებ. რას იტყვით ამ მხრივ ირანზე?

— მე პირადად, საქართველოში შარშანდელი მოგ ზაურობის შემდეგ გავიცანი ეს ლამაზი ქვეყანა; საქართველოს საელჩოს მრჩეველის, ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და მისი მეუღლის გაცნობის, ამ განათლებულ ოჯახთან ურთიერთობის შემდეგ გავაცნობიერე, თუ რაოდენ ორიგინალური კულტურა აქვს ქართველ ხალხს, ვნახე, რაოდენ დიდია ინტერესი სპარსული ლიტერატურისა და კულტურის მიმართ.

შარშან დავათვალიერე მამა-შვილ დავით და გიორგი გაგოშიძეების ნახატების გამოფენა, რომელიც თეირანში, გალერეა „შირინში“ გაიმართა. ძალიან მომეწონა ნამუშევრები საქართველოს ლამაზი ხედვებით. ასევე ვენვიე ანა კალატოზიშვილის ნამუშევრების გამოფენას, რამდენიმე თვის წინათ რომ გაიმართა თეირანში. ძალიან ლამაზი, ორიგინალური ნამუშევრები იყო. ვესაუბრე ქანას — სულით ხორცამდე ხელოვანს, შემოქმედს, თავმდაბალ ადამიანს, რომელსაც ძალიან უყვარს ირანული კულტურა.

იმედი მაქვს, ქართველ ხელოვანთა გამოფენები უფრო ხშირად გაიმართება ირანში და ირანელ ხალხს მიეცემა საშუალება, უფრო მეტად გაიცნოს ქართული ხელოვნება. ასევე, ირანელი შემოქმედებიც ენვევიან საქართველოს. ამ საქმეს კი ხელშეწყობა უნდა, რადგან ნამუშევრების ბეჭდვა, ტრანსპორტირება და უცხო ქვეყანაში გამოფენის ჩატარება სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. აქვე მინდა მადლობა ვუთხრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას თბილისში ჩემი ჩამოსვლის ხარჯთა ნაწილის თავის თავზე აღების გამო.

ხელოვნება საერთაშორისო ენაა; კულტურათა საერთო ენაა. მსოფლიოს ხალხები ერთმანეთისთვის მნიშვნელოვანნი არიან, ერთმანეთი უყვართ. დღეს საუბრობენ იმაზე, რომ მსოფლიო პატარა სოფლად იქცა, სხვადასხვა კულტურები კი ერთი მიმართულებით ვითარდებიან. ხელოვნებას ძალუძს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაძლიერება. ირანელი ერიც ჰუმანური ერაა მრავალი ათასი წლის კულტურული გამოცდილებით, რომელიც ყოველთვის მიე-

სალმება თანამშრომლობასა და კულტურულ საქმიანობას. ჩემი აზრით, დახურულ სივრცეში ხელოვნების ჩაკეცვა მის განვითარებას აბრკოლებს; ხელოვანი სხვა ხალხებისა და ქვეყნების კულტურასთან შეხვედრის დროს ვითარდება და იხვეწება.

იმედია, ირანელებსა და ქართველებს შორის კულტურული მეგობრობა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხელოვანთა ნაცნობობას, საბოლოოდ კი ხელოვნების განვითარებას.

— გრაფიკული ნამუშევრების გარდა სხვა პროექტებიც გქონდათ. თქვენი უკანასკნელი გამოფენა ირანში თქვენს ფოტონამუშევრებს მიეძღვნა, რომლებიც ნიგნად გამოიცა. ეს თქვენი ახალი გატაცებაა? ახლა ამ მიმართულებით აპირებთ მუშაობას თუ ეს ერთ-ერთ სფეროდ დარჩება თქვენს შემოქმედებაში?

— შარშან რამდენიმე ნოველა და სტატია გამოვაქვეყნე პერიოდულ გამოცემებში. უკვე მოგახსენეთ იმის თაობაზე, რომ ნიგნიც გამოვეცი „პარიზიდან აკროპოლისამდე“ — საფრანგეთსა და საბერძნეთში ჩემი მოგზაურობის მონაგარი. ნიგნი მთლიანად ფერადია, ასზე მეტი ფერადი ფოტოთი. ისეა დაკაბადონებული, რომ თითოეულ გვერდზე ტექსტის შესაბამისი ფოტოა მოთავსებული, რაც განმარტებებს უფრო თვალსაჩინოს ხდის, მკითხველს საშუალებას აძლევს, უფრო ზუსტი წარმოდგენა შეიქმნას



თეა შურღია, მაჯიდ სამად ზადე საბერი (ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი), საჰარ ეშყი-სანი, ეჰსან ზაზი (საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი)

ნაკითხულზე. ნიგნში მოგზაურობის რეალური ისტორიაა მოთხრობილი ქრონოლოგიის დაცვით.

ტექსტი მოგზაურობის დროს იქმნებოდა, ისევე, როგორც ფოტოები, რადგან, ასე მწამს, რომ ჩანანური იმავე გარემოში, იმავე დღეს და წამს უნდა გაკეთდეს, რათა ნაწერი რეალობისა და ხელშესახებობის განცდას ბადებდეს. ირანში ჩასვლის შემდეგ გადავიკითხე ჩანანურები, ათასობით ფოტოდან მონათხრობისთვის შესაბამისი შევარჩიე. ნიგნის გრაფიკა, დიზაინი და დაკაბადონებაც მე მეკუთვნის. ერთი სიტყვით, ამ პროექტს წელიწადზე ნაკლები დრო დასჭირდა, რაც არ ყოფილა იოლი და იაფი საქმე. საბოლოოდ ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ძალისხმევის შედეგით.

ამ ნიგნის საპრეზენტაციოდ „ირანის ხელოვანთა სახლში“ ფოტოგამოფენა გავმართე, სადაც წარმოდგენილი იყო ამ მოგზაურობათა ამსახველი 24 ფოტო.

ძალიან მიყვარს მოგზაურობა და ყოველ წელს რამდენჯერმე მივდივარ სამოგზაუროდ. სამომავლოდაც ვაპირებ ვიმოგზაურო, დავწერო დღიურები და გადავიღო ფოტოები. იმედი მაქვს, მოვახერხებ მოგზაურობის ახალი ნიგნების გამოცემას. როგორც მოგახსენეთ, შარშან რომანიც დავწერე,

რომლის რედაქტირებაც ახლა ხდება. განზრახული მაქვს რამდენიმე კონცეპტუალური გამოფენისა და ინსტალაციის მოწყობაც და, ვიმედოვნებ, გამოვივა.

— ისლა დამრჩენია, წარმატებები გისურვოთ თქვენს საქმიანობაში და მადლობა გითხრათ არაჩვეულებრივი ნამუშევრებისა და ინტერვიუსთვის. თუმცა, ვიდრე დაგემშვიდობებოდეთ, მინდა ერთი ანალოგია გავიხსენო: საქართველოში ყველასთვის ცნობილია მეფე თეიმურაზ პირველის გამონათქვამი: „სპარსთა ენისა სიტკობიან მასურვა მუსიკობანი“. სწორედ ეს ფრაზა გამახსენდა, როცა გვიამბობდით, როგორ მოიხიბლეთ ქართული ანბანით. თქვენი გამოფენა „ქართულ ასოთა საიდუმლო“ შეიძლება თეიმურაზ პირველის კეთილგანწყობის ერთგვარ საპასუხო რეაქციად აღვიქვათ.

— დიას, სავსებით ვეთანხმებით. რამდენადაც ვიცი, თეიმურაზ პირველმა ეს ისეთ ვითარებაში თქვა, როცა მისი ახლობლები ირანის შაჰის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ამ ფაქტს შეუძლია ფარდა ახადოს ხელოვნების საიდუმლოს: ხელოვანსა და ხელოვნებას შეუძლია პოლიტიკისა და ხელისუფლების ინტერესებს გაემიჯნოს, გასცდეს კაცობრიობის ზღვარსა და ზღუდეს, რიგითი ადამიანის თვალთახედვაზე

ამაღლდეს და მსოფლიო აღიქვას ადამიანისთვის ჩვეული მიკერძობის გარეშე. დღეს მომავალი მსოფლიოს ხელოვნება წარმოუდგენიათ როგორც ხელოვნება საზღვრისა და შეზღუდვის გარეშე; ხელოვნება, რომელიც გასაგები იქნება სხვადასხვა კულტურებისთვის.

მე, როგორც ხელოვანი, ჩემს გარშემო სამყაროში ვეძიებ ახალსა და ნედლს. გრაფიკოს-დიზაინერისათვის ნედლ მასალად შეიძლება მოგვევლინოს ორნამენტი, ფოტო, ასოები; როგორც ეს მოხდა საქართველოს შემთხვევაში: ცნობისმოყვარეობით მიმოვიხიდე გარშემო და ქართული ასოების ხილვამ „მასურვა“ ეს ლამაზი ფორმები და ფიგურები რაიმე ახლის შესაქმნელად გამომეყენებინა. ამ ასოების დანახვას ადამიანში, ვინც იცის ქართული, იქნებ ასეთი ასოციაციები არ გამოენვია. მე, რომელიც ამ ასოებისა და სიტყვების შინაარსს ვერ ვწვდებოდი, მოვიხიბლე მათი ფორმით და სილამაზით იმდენად, რომ შევძელი შემექმნა ისეთი რამ, რაც სილამაზეს ეფუძნება და არა — მის მიღმა არსებულ შინაარსს.

ახლა იმას ვნატობ, ერთ დღეს გავიგო ამ სიტყვების მნიშვნელობა და შევისწავლო ქართული ენა.

— დიდი მადლობა, ქ-ნო საშპრ. გისურვებთ წარმატებებს ყველა წამოწყებაში. იმედია, ჩვენი შემდეგი საუბა-

ნამცვრპვი

გიორგი გაბუნია

ეს ჩაკარბული „ჰიმნები ხაეზისადმი“

ამა თუ იმ დიდი კალმოსნის სქელტანიანი მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვისას ხშირად ხდება ხოლმე, რომ მაღალიდებული, მძაფრსიუჟეტისანი ქმნილების შინაარსი „მოუთმენელ“ მკითხველს, რომელსაც ერთი სული აქვს შეიტყოს, როგორ განვითარდება თხზულებაში მოვლენები, თავისდაუნებურად, „ნასტყუებს“, „ნაართმევს“ თვალს და რომანის ესა თუ ის უბრწყინვალესი პატარა პასაჟი მისთვის „შეუმჩნეველი“, ნაკლებად ყურადსაღები „ხდება“. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, წინამდებარე პუბლიკაციით მკითხველს გვსურს საგანგებოდ შევთავაზოთ კონსტანტინე გამსახურდიას დიდაქტიკურ-შემეცნიებითი დატვირთვის მქონე ერთგვერდიანი გენიალური ოდა — „ჰიმნები ხეებისადმი“, რომელიც ბატონ კონსტანტინეს ჩართული აქვს თავის „დიონისოს ლიმილიში“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას შემდეგ, ბუნების ამ უნიკალური სამკაულებისადმი მიძღვნილი მსგავსი საგალობელი ქართულ მწერლობაში არავის შეუქმნია. როგორც თავადვე დიდოსტატი შემოქმედი ბრძანებდა, ჩვენი ფლორის ეს იგავიწმუნებელი ჯარისკაცები ერთგულად დგანან დედაბუნების — ადამიანთა მოდემის ამ უპირველესი ბაზისის სადარაჯოზე, რუდუნებით იტანენ მრავალ შეურაცხყო-

ფას, დამცირებასა და უგვანთა მხრიდან გაუგონარ ხელყოფას, რითაც განგებისაგან ხელდასხმულ ამ მწვანე ნარგავებს უცილობლად ემუქრება ალგვა პირისაგან მიწისა, რაც უეჭველად გამოიწვევს გარესამყაროს არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ გადაგვარება-დამახინჯებასაც.

ვიმედოვნებთ, რომ ყველასთვის, განსაკუთრებით კი იმ პირთათვის, რომელთაც უშუალოდ ევალებათ — და ვალდებულნიც არიან — მკლავმოუღლელად იზრუნონ და დაიცვან ბუნების ეს ფესვმაგარი ბინადარნი, წინამდებარე პუბლიკაცია არ დარჩება „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და ჩვენი დიდი წინაპრის მიერ ქებაშესხმული „ქართული ხეები“ კვლავაც ლაღად იმრიალებენ და მრავალჟამიერ დავგატკობენ თავიანთი როგორც მჭექაერ, ომახიანი „შემოდახილებით“, ასევე ნაზი, ნარნარი „ჩურჩულითაც“...

...ხეები, ხეები, რა საყვარელი, ერთგული, უწყინარი არსებებია ეს წყნარი ხეები:

რა მოწყენა იქნებოდა ჩვენს მიწაზე, ეს ხეები რომ არ ყოფილიყვნენ! ისინი გვაფარებენ მაღლიდან კალთას წვიმისა, ქარისა და სიცხის დროს.

მაპატიეთ, ჩემო კარგებო, ჩემი ბავშვობის შეცდომები და ცილისწამება (როცა მეგონა, რომ უთქვენოდ ქარი არ იქნებოდა ამ მიწაზე!).

ჩვენ ეს ხეები გვასწავლიან თავმდაბლობას, სათნოებასა და შეუპოვრობას, გრიგალის მოლოდინში უშიშრად დგომას.

ეს ფიჭვები მაინც... ტანაყრილი, აშოლტილი, ახოვანი რაინდებივით სდგანან და უცდიან... სდგანან და ისწრაფვიან ცისკენ, მზისკენ, უსაზღვროებისაკენ.

და როგორი სიხარულია, როცა ეს ზურმუხტისმუზარადიანი რაინდები ამღერდებიან, აღილინდებიან,

როცა ქარი მინაზე გადაირბენს, ფარჩის შლეიფის შრი-
ალით გადაეშვება სერებს გადაღმა!..

ამ ხეებს დიდი მოთმინება აქვთ, მათ დიდი და გაუმ-
ხელელი სიხარული აქვთ გულში. მათი გამირობა — ლო-
დინია, მათი სიცოცხლე — ჩუმი მარტვილობა.

მასწავლეთ, ჩემო კარგებო, როგორ უნდა იცოცხ-
ლო უჩივლელად, უდარდელად, უშიშრად და როცა უამი
მოვა, როცა შეუძლებელი იქნება იქ დგომა, სადაც შენი
წინაპარი ოდესმე მდგარა, იქვე ნაიქცე, სადაც თესლი

შენი დაეცა და შენივ ცხედრით დაფარო ეს შენივე მი-
ნის ნაჭერი.

მათგან უნდა ისწავლოს კაცმა გარინდებული ალტა-
ცება და გამირული სიკვდილი.

ხეებო,

ხეებო,

ხეებო, საყვარელნო, უდრეკნო, ამაყო ხეებო.

ამ დედამინის სიხარულნო ცად ატყორცნილნო!

ამ დედამინის მისტიურო ორნამენტებო!

რეპორტაჟი

ეკა ბუჯიაშვილი

მისი ცხოვრების მისტერიები

(ლიანა ელიაშვილი
წიგნის წარდგინება)

„ვმუშაობდი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, ჯერ რეჟი-
სორის თანაშემწედ, მერე — დამდგმელ რეჟისორად. გადაღებუ-
ლი მაქვს ორი სრულმეტრაჟიანი და ოთხი მოკლემეტრაჟიანი
მხატვრული ფილმი, ზოგან სცენარის ავტორიც ვარ. ფილმმა
„სინემა“ საერთაშორისო ფესტივალებზე აღიარება მოიპოვა.

გარკვეული პერიოდი ვიმყოფებოდი მოსკოვში.

ამჟამად მეუღლესთან, პოეტ და მთარგმნელ — რობერტ
ვინონენთან ერთად, ვცხოვრობ ჰელსინკიში.

სხვადასხვა დროს თბილისში ქართულ ენაზე გამოიცა ჩე-
მი ოთხი პროზაულ-პოეტური კრებული.

ლექსები ითარგმნა რუსულ, ფინურ, შვედურ ენებზე.

საქართველოს მოქალაქეობა არსად დამითმია“, — თვითონ
ასე წარუდგენს თავს მკითხველს წიგნში „კინო უეკრანოდ“,
რომლის პრეზენტაციაც „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმარ-
თა. **როსტომ ჩხეიძე** კი ამ შეკრებაზე ასე შეაფასებს კინორე-
ჟისორისა და მწერლის **ლიანა ელიაშვილი** შემოქმედებას:

— იყო დრო, როცა მას იცნობდნენ, როგორც საკმაოდ
პერსპექტიულ კინორეჟისორს და, სამწუხაროდ, არ მიეცა
საშუალება ბოლომდე გაემყლაგნებინა თავისი უნარი ამ
სფეროში. მისი რამდენიმე ფილმი კი სულაც კინოკლასიკის
კუთვნილებად იქცა. ძალაუვნებურად გაგახსენდებათ „სინე-
მა“, „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, „ბზიანეთი“...

გავიდა ხანი და მათი რეჟისორი ლიანა ელიაშვილი წარმოგ-
ვიდგა როგორც მწერალი, თანაც სხვადასხვა ჟანრში —
ესეები, პუბლიცისტური წერილები, დოკუმენტური პროზა
— და ყველგან ერთნაირი წარმატებით.

სანიმუშოდ მინდა გავიხსენო „სიყვარულის მისტერიები“,
როგორც ესეის შესანიშნავი ნიმუში, „ფარაჯანიერება“ — რო-
გორც ნიმუში პუბლიცისტიკისა; მისი დოკუმენტური პროზა კი
თავმოყრილია წიგნში „კინო უეკრანოდ“, რომლის ძირითადი
ლერძია მისი ფილმების დრამატული თავგადასავალი და ეხება
არა მარტო კინოს, საერთოდ, ქართულ კულტურას და ჩვენს სა-

ზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. წიგნი მკვლევართათ-
ვის ძვირფასი და სანდო მასალაა, რომელიც ამასთანავე, ძალი-
ან ცოცხლადაა გადმოცემული და, კარგს ვერა, მაგრამ სრულ
და მიუკერძოებელ შთაბეჭდილებას გვიქმნის ამ სფეროზე.

ეს „სრული და მიუკერძოებელი შთაბეჭდილება“ გავგიზი-
არა შეკრებაზე **ინგა მილორაგამ**, ვრცელი მოხსენებით რომ მი-
მოიხილა წიგნი, რომელშიც მწერალი მოგვითხრობს თავის
ცხოვრებაზე, ამ სამყაროს ქვედინებებზე; ცდილობს ჩვენი ყო-
ფიერების შიდა პირი ამოაბრუნოს და ის, რაც გარედან მომხიბ-
ლავი, ელვარე და ფერადია, შიგნიდანაც დაგვანახოს, თავის
სულიერ ქურაში გამოატაროს სამყარო — კარგითაც, ცუდი-
თაც — და სამზეოზე გამოიტანოს, როგორც საინტერესო სახე-
ები.

ქალბატონი ინგას თქმით, ეს წიგნი გულწრფელობითა და
მიუკერძოებლობითაც გიზიდავს. ამავე დროს მნიშვნელოვა-
ნია ის, რომ დაუნდობლობა — გინდა თუ არა, რასაც მე ვამ-
ბობ, ის არის ერთადერთი ჭეშმარიტება — ასე რომ გვახასია-
თებს პოლემიკისას, ამ წიგნში არსად არის. ავტორს სჯერა
თავისი სიმართლის, მაგრამ ტოვებს ადგილს საპირისპირო
აზრისთვისაც. მისი მიზანი ბრძოლა კი არა, მხილვაა.

„კინო უეკრანოდ“ ორი არათანაბარი ნაწილისაგან შედგება.
პირველი დოკუმენტური პროზაა, თავისი ცოცხალი სახეებით,
სიუჟეტური ხაზებით, მხატვრული ხერხებით, რელიეფური ხა-
სიათებით. ქალბატონი ინგა ცალ-ცალკე მიმოიხილავს მხატვ-
რულ-დოკუმენტური პროზის ამ შესანიშნავ ნიმუშებს, თემებსა
და სატიკვარს, რომელზეც მოგვითხრობს ავტორი: მაგალითად,
როგორ იზრდება შემოქმედი არა მხოლო გადასაღებ მოედანზე,
არამედ ყოველდღიურ ნაბიჯებშიც, ტკივილში, ყოფით ნიუან-
სებში, პირადულ განცდებში... როგორ დგამს ახალგაზრდა ქალი
პირველ ნაბიჯებს ხელოვნებაში — ძიძმეს, არათანაბარს... მაგ-
რამ იმდენად ძლიერია მასში შემოქმედი, რომ როგორც უნდა
უშლიდნენ ამ ნაჭუჭის გამომტრევეს, მაინც ახერხებს.

— ტრაგიზმი ჩვენს ცხოვრებაში ხშირად თეატრალურ იერ-
სახეს იძენს თავისი გადამეტებული გამოხატვით და გადაჭარ-
ბებული ექსპრესიით, აქ კი, ერთი შეხედვით მშვიდ, რაციონა-
ლურ თხრობაში, იუმორით მოთხრობილ ამბებშიც კი, დიდი
ტრაგიზმია შეფარული, როგორც ამოუხეთქავი ვულკანი.

არ მეგონა, რომ ჩემი გზა კინოში ია-ვარდით მოფენილი იქ-
ნებოდა, მაგრამ ვერც იმას ვიფიქრებდი, ასეთი მოკლე და ეკ-
ლიანი თუ აღმოჩნდებოდაო, — წერს ქალბატონი ლიანა თავის
წიგნში და ეს სევდა თითქოს ყველა მის თხზულებას გასდევს.
თითოეული მათგანი კი გიზიდავს ნიუანსებით, რომლებშიც
ბევრი რამ იხსნება ჩვენი ეროვნული ხასიათისათვის ნიშან-
დობლივი, და რომლებიც ზემოთ უნდა ამოვიტანოთ, რადგან

სიღრმეში ჩაშვებული სენი მოურჩენელი რჩება ხოლმე.

და რაც მთავარია: როგორც ჯანსაღი პოლემიკა ვერ შედგება სიმშვიდის, შინაგანი კულტურის გარეშე, ისე წარმოუდგენელია ნებისმიერი განსჯა ტაქტის გარეშე. რაც უნდა მიძიმე საკითხებზე წერო, თუ ტაქტი გიღალატებს, შეიძლება ამან მკითხველი გააღიზიანოს. „კინო უეკრანოდ“ კი სწორედ ამ ტაქტით გამოირჩევა. ავტორი ძალიან მორიდებით, საკუთარი განცდებით, საკუთარი გადასახედიდან — ისე, რომ თავს არაფერს გახვევს — გუბნება თავის სათქმელს: იფიქრე ჩემთან ერთად. და შენც ასეთი გულწრფელობის გამო მისი თანამოაზრე ხდები და იჯერებ დაუჯერებელ ამბებსაც კი.

ეს ყველაფერი კი გაძლევს სტიმულს, მოძებნო შენი მონოდების სიმაღლე და იბრძოლო ასეთივე შემართებით.

ნიგნის პირველ ნაწილში მოქცეულ რკალს კრავს წერილი, რომელსაც ქალბატონი ინგა იმედის ხიდს უწოდებს, ძველ და ახალ კინოსტუდიას შორის გადებულს და მკითხველსაც უჩენს იმედს, რომ ლიანა ელიავა შეძლებს კიდევ ერთხელ დაგვანახოს თავისი შესაძლებლობები — „ისე ძალუმად, იმ სიმძაფრით, რომელიც სჩვევია სიტყვას და ვიზუალს ერთად“.

ნიგნის მეორე ნაწილში კი, წერილებს კინოზე რომ აერთიანებს, ლიანა ელიავა გამოვლინდება როგორც პოლემისტი. ქალბატონი ინგა მათ შორის გამოარჩევს „ფარაჯანოვას“ — წერილს სერგო ფარაჯანოვის სამყაროზე, რომელიც შესაძლოა თავისთავად საინტერესოც არის, მაგრამ მატრიცად, ყალიბად არ უნდა იქცეს ქართული კინოსთვის;

ასევე საგანგებოდ გამოყოფს წერილს „ქართული კინო ეროვნულ საწყისებზე“, რომელშიც ავტორი სულაც ფორმულაში მოაქცევს თავის სათქმელს, როგორი უნდა იყოს შენი კინო, როგორ უნდა მიუდგე ხელოვნებას და შემოქმედებას.

— ლიანა ელიავამ ნიგნით „კინო უეკრანოდ“ არაჩვეულებრივი სამყარო შექმნა სიტყვით და ვინატრებდი, ასეთივე სამყარო კინოფირზეც შეექმნას კვლავაც და კვლავაც.

* * *

— ეს ნიგნი არ არის მარტო კინოს ისტორია, მისი ნატყვები ყველგან შეიძლება გაბრწყინდეს და რაღაც ძირეული გარდატეხაც მოახდინოს ბევრი რამის გადაფასებაში, — ამას **სალომე კაპანაძე** იტყვის, ლიანა ელიავას ცალკეულ ესეებსაც რომ გაიხსენებს და მათ შორის გამოარჩევს წერილს მის მოსახელე და მოგვარე შესანიშნავ მსახიობზე, რომელთანაც ქალბატონი ლიანას, როგორც რეჟისორს, მუშაობა მოუწია. მერე კი დასძენს, — საზღვრებს მიღმიდან დანახული საქართველო ჩემთვის ყველაზე საინტერესოა, რადგან ყველაზე ობიექტური მგონია, რაკი იქ არ არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები მოვლენათა შესაფასებლად. ამიტომ, ვფიქრობ, ეს ნიგნი უწინარესად ახალმა თაობამ უნდა იცოდეს და იქნებ მოხერხდეს თითო ეგზემპლარის შეტანა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში.

გოგი დოლიძე კი იმ დროს გაიხსენებს, როცა ქალბატონი ლიანა მოვიდა კინემატოგრაფიაში და აღნიშნავს:



ლიანა ელიავა

— „ბზიანეთი“ ისეთი რანგის ფილმია, კაცმა რომ თქვას, მეორე ფილმი აღარც არის საჭირო სახელისა და დიდებისათვის. ქალბატონმა ლიანამ ამ ნამუშევარში ჩადო ყველაფერი, რაც დიდმა პედაგოგმა მიხაილ რომმა მისცა. ეს არის უმაღლესი პოეზია. თუმცა, რა თქმა უნდა საჭიროა, რომ ასეთი რეჟისორის სახელმა კიდევ ერთხელ დაიქუხოს. მისი რთული გზა კინემატოგრაფიაში უკომპრომისო ხასიათმაც განსაზღვრა. სულ მარტოსული იყო და უჭირდა კინემატოგრაფიულ ბოსებთან ურთიერთობა. ამიტომაც ყველაფერი გვერდით გადადო და თავდაპირველ პროფესიას დაუბრუნდა. ის ახლაც ბევრი ჩვენგანის საქმეს აკეთებს, მისი ნიგნებიც კინომცოდნეობითი უფროა, ამიტომ ვისურვებდი, კიდევ ერთხელ მენახა კამერასთან.

— გული არ დაგწყდეთ, ქალბატონო ლიანა, იმაზე, რაც ვერ გააკეთეთო, — ასე ანუგეშებს **მანანა გაბაშვილი** კინორეჟისორს მას მერე, რაც ამ იდეასაც გაუზიარებს შეკრებილებს:

— როცა XX საუკუნის ანალიზი მომზადდება, ჩემი აზრით, ცალკე ნიგნი უნდა მიეძღვნას ამ ეპოქის ქართველ ქალებს, რომელთა შორისაც გამორჩეული ადგილი ექნება ორივე ლიანა ელიავას. რეჟისორი ქალის ბედი კინემატოგრაფიაში კი საერთოდაც ცალკე დასაწერი თემა მგონია.

სხვათა შორის, შემთხვევით ვარ აცდენილი კინოს. მეც მინდოდა რეჟისორობა, ეს პროფესია ყველა დარგს მოიცავს და შესაძლოა ამიტომაც მიზიდავდა. ოცნება ცხოვრებაში სხვანაირად ამიხდა.

ქალბატონმა ლიანამ მართლაც უკომპრომისოდ იცხოვრა და ძალიან ბევრი რამ დაკარგა ამის გამო, თუმცა ბევრი რამ შეიძინა კიდევ. იყო ზნეობრივი მავალითი, იოლი არ არის. ხანდახან საკუთარი შემოქმედების საზიანოდ ახერხებ ამას, მაგრამ ასეთი დამარცხება პირადად მე გამარჯვების ტოლფასი მგონია. ნიჭიერი ხელოვანი ყოველთვის თავისი საქმითა და საფიქრალითა დაკავებული, ამბიციებისთვის არ სცალია, ამიტომაცაა, რომ სამყაროს საშუალო ნიჭის ადამიანები იპყრობენ — ისინი ახერხებენ გზა გაიკვალონ იმ პრინციპებით, რომლებითაც ნიჭიერი ხელოვანები ვერ იცხოვრებენ.

ამიტომაც, ქალბატონო ლიანა, გული არ უნდა დაგწყდეთ იმაზე, რაც ვერ გააკეთეთ. რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ხარისხია და თქვენი ფილმები ყოველთვის იქნება ქართული კინოს ისტორიის ნაწილი.

ეს უკვე გამარჯვებაა.

ისე კი... მეც, როგორც არშემდგარი რეჟისორი, ხანდახან ჩემს გადაუღებელ ფილმებზე ვდარდობ ხოლმე, ამიტომ თქვენი გულისტკივილიც მესმის. ტკივილი კი ზოგჯერ საჭიროც კია, შედეგები რომ შეიქმნას.

ასეთი რამ ხელოვნების შესახებ ხშირად გაგვიგონია. აი, თუნდაც **რენე კალანდია** გაიხსენებს შეკრებაზე — ფედერიკო ფელინის უთქვამს ინგმარ ბერგმანის შესახებ: ის ჩემზე უბედური იყო.

ჩემზე დიდციო, — უთუოდ ამასაც თუ გულისხმობდა თვითონაც დიდი რეჟისორი.

გენო და რენე კალანდიებს დიდი ხნის მეობრობა აკავშირებთ ქალბატონ ლიანასთანაც და მის მეუღლესთანაც — ბატონ რობერტთან. ამიტომ ისინი იმ დროს მოიგონებენ, როცა ბატონი რობერტი მოსკოვში ერთ-ერთი დიდი გამოცემლობის ხელმძღვანელი იყო პოეზიის დარგში და ყველანირად უწყობდა ხელს ქართველ კოლეგებს.

კარლო ლონტი კი დარბაზიდან რომ დაუდასტურებს სიყვარულს რეჟისორ ქალბატონს, იუმორნარევი გულისტკივილითა თუ ტკივილიანი იუმორით ჩაილაპარაკებს:

— მაინც როგორ მოახერხა ჩვენმა უცხოელმა სიძემ, როგორ ნაგვართვა და ნაიყვანა საქართველოდან ამისთანა ქალბატონიო.

აბა, სიყვარულს რას გაუგებ!

სიყვარული ხომ მისტერიაა — ამოუცნობი და იდუმალი.

ყოველ შემთხვევაში, ქალბატონი ლიანა ასე მიიჩნევს და ასეც უწოდებს თავის წიგნს დაგნი იუელის ტრაგიკული ბედისწერის შესახებ: „სიყვარულის მისტერიები“. ამ თხზულებას თავის გამოსვლაში **მაია ჯალაშვილიც** გაიხსენებს:

— ესეც როგორც კინოსცენარი.

როგორც ლიტერატურული დეტექტივი...

მისი ფილმები გამოირჩევა აზრობრივი სიღრმითა და ლირიზმით, ეს ხელწერა იგრძნობა მის პროზასა და პოეზიაშიც.

იგი თავისი შემოქმედებით საქართველოსა და ფინეთს შორის ხიდად იქცა. ამან კი უფრო გამოკვეთა ფესვების სიყვარული.

ერთ ლექსში ამას მეტაფორულად ასე გამოხატავს:

„სამშობლო დამაქვს თან, როგორც ბაკანი“.

რით იქცევს ყურადღებას?

უპირველესად, თხრობის ხელოვნებით. ავტორი მოგვითხრობს ლაღად, თავისუფლად, ქართული ენის ზედაპირული თუ სიღრმისეული ხვეულების ცოდნით, მდიდარი ლექსით, ფერწერული და პლასტიკური ნიუანსებით. ლარივით არის გაჭიმული სიუჟეტური ხაზები და მასთან დაკავშირებული ამბები ბუნებრივად დასხმული ისე, რომ მკითხველი წამითაც არ ეთიშება მათ მდინარებას.

თანაც როგორი ამბების —

მათი ნატყევი ხომ ყველგან შეიძლება გაბრწყინდეს და რაღაც ძირეული გარდატეხაც მოახდინოს ბევრი რამის გადაფასებაში.

* * *

თბილისში ჩამოსულს, მიხაილ რომის მიერ დამტკიცებული სცენარით, არანაკლები წინააღმდეგობანი დახვდება გადასალახავი, მაგრამ ღმერთი აქაც არ განირავს: ტელეფილმების სტუდიის იმჟამინდელი სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე რეზო ჩხეიძე ამოუდგება მხარში და ხელმძღვანელობას განუცხადებს:

— თუ ამ სცენარს არ ჩაუშვებთ, სამხატვრო საბჭოს დავტოვებო.

ქადილი გაჭრის და ფილმს წარმოებაში ჩაუშვებენ.

ასე აგვიწერს ამ ამბავს თვითონ ქალბატონი ლიანა წიგნში, რომელშიც არაერთი საინტერესო პერსონაჟი იხატება იმდროინდელი ეპოქის ფონზე და **მარინე გელაშვილი** მღელვარებითა და გულისფანცქალით წაიკითხავს ამ ეპიზოდსაც, რადგან:

— გეშინია, როგორები წარმოჩნდებიან შენთვის საყვარელი ადამიანები, ავტორიტეტები, რომელთაც კინოხელოვნება შექმნეს. ქალბატონმა ლიანამ არა მხოლოდ ის უჩვენა ახალგაზრდობას, „ვინ არის, საიდან მოდის და რას წარმოიდგენს“,

არამედ ისიც დაანახა, რომ ნიჭიერმა ადამიანმა ყველას და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვას. როცა ისინი ამ წიგნს წაიკითხავენ, დაფიქრებიან იმაზე, როგორ უნდა იცხოვრონ და იღვანონ იმ დროში, რომელიც მათ არგუნა უფალმა; როგორ უნდა შექმნან ხელოვნება ისე, რომ სხვას არ გადაეღობონ, სხვა არ ნაშალონ, თორემ გამოჩნდება ლიანა ელიავასნაირი ნიჭიერი ადამიანი და მათ სახელებს დაუტოვებს შთამომავლობას ისეთს, როგორებიც იყვნენ, და მერე ვერანაირი მითები და ჩინ-მედლები ვერ დაიხსნით.

რეზო ჩხეიძე კი მარინე გელაშვილს შეხვედრის დაწყებამდეც შეეხმინება: ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ვახერხებ დასწრებას, თორემ უთუოდ მანდ ვიქნებოდი... ძალიან ვწუხვარ, რომ თავისი სიმნიფის წლებში, როცა ის უნდა გაბრწყინებულიყო როგორც დიდი რეჟისორი, სწორედ მაშინ შეწყვიტა მოღვაწეობა.

არადა, მისი ფილმების სია შეიძლება გაცილებით დიდი ყოფილიყო.

— მე არ ვარსებობ ქართულ კინოში... და ჩემთან ერთად იჩაგრება ის ხალხიც, ვინც თავისი ნიჭი, ენერჯია არ დაიშურა ამ ფილმების შესაქმნელად, — ამბობს კინორეჟისორი, რომლის ნამუშევრებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს და დღესაც არ განელებულა ეს ინტერესი.

იქ — საერთაშორისო ასპარეზზე.

თორემ აქ, საკუთარ ქვეყანაში სცენარები არ შემდგარი კინოფილმებისა „სიზმრად ნანახ ფილმებად“ ექცა. ამიტომაც იქცევის **ნანა კუცია**:

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვიკი, ქართული და მსოფლიო ლიტერატურული თუ კინოკლასიკის უზადო ცოდნა, არნოლდ ჩიქობავასა და მიხაილ რომის შეგირდობა, თენგიზ აბულაძის ასისტენტობა, ელდარ რიაზანოვის ოპონენტობა (ათასი განსაცდელის მიუხედავად), ღვთით-ნაწყლობევ ნიჭთან ერთად, ბედისწერის ის ბედნიერი საჩუქარია, რამაც შვა ლია(ნა) ელიავას პიროვნული ფენომენი, ნათელი დასტური იმისა, რომ თუ კამერას ფუფუნებად მიქცევენ, კალამი — „ნა რხეული“ შენია, სიზმრების ფერად მელანში ამოანობ და შავ-თეთრ ყოფას ზმანებისეული „უთვალავი ფერით“ მოაფრადებ, რადგან, უფლის ნებით (ქალბატონი ლია(ნა)ს მეუღლის ლექსის პერიფრაზებით) არსებობს ფუფუნება წერისა, ყველაფრით — ყველაფერზე...

აკი წერს კიდევ:

კინოზეც, სიყვარულზეც, სამშობლოზეც, თავისი ქვეყნის სატკივარზეც...

რამდენიმე წლის წინათ მის წერილს „ფარაჯანირება“ დიდი ხმაურიც მოჰყვა და შეკრებაზე ამ თემით რომ დაინტერესდება ვახტანგ ბახტაძე, ქალბატონი ლია ასე უპასუხებს:

— რამე განსაკუთრებული რეაქცია ქართველი საზოგადოების მხრიდან „ფარაჯანირებას“ არ მოჰყოლია. ჩემს წიგნში არის სტატია „ვინ ამრუდებს და რად ქართული სულიერების სარკეს“, სადაც ქართველებს ვპასუხობ ამ საკითხზე. ერთი სომეხიც შემეხმინა. ძირითადად იმას მელავებიან, ასეთ გენიოსს როგორ შეეჭიდო. ნურავინ დამწამებს, რომ მისი, როგორც შემოქმედის წინააღმდეგი ვარ. მომწონს თუ არა ფარაჯანოვის ნამუშევრები, ჩემი ნება და უფლებაა. მე არ ვღებულობ მის ესთეტიკას, მაგრამ შემოქმედებითად არ შევჭიდებვარ. ჩემი მღელვარების მიზეზი ის არის, რომ იგი სულიერებას ამღვრევს. სომეხი ოპონენტი მიმტკიცებდა: ხომ იყო ესპანელი პიკასო საფრანგეთში.

კი ბატონო, იყო, მაგრამ „პიკასირება“ ფრანგულ ენაში არ გაჩენილა. თანაც, რაც მან შექმნა, არაფერი გაუგზავნია

ესპანეთში, ყველაფერი გეოგრაფიულ სამშობლოს დაუტოვა, განსხვავებით ფარაჯანოვისგან.

ჩვენი ქვეყნის „ფარაჯანოების“ მოსურნენი კი, ნანა კუციას თქმით, რელსით მიაკრავენ კედელს მავანს (შეგეცოდება კიდეც უცხო რეჟისორი), რათა ფრენის ილუზია შექმნან, მაგრამ სადღაც, სხვა სივრცეებში დიდი ხანია დალივლივებს ფერადი ბურთი მეოცნებეთა („სინემა“ სიფრიფანება, ყოფის სიმძიმეს ფერადი საჭაერო ბურთით განრიდება მარადი იგავია, ათასგზის სახილველ-გასაზრებელი მეტაფორა, ყოველი ხილვა-გაზრებისას ბურთს რომ გჩრის ყელში და თვალცრემლიანს გტოვებს) — ბურთი კამერიდან სიტყვისკენ, ყოფითობიდან უფლისკენ გაფრენილი.

როსტომ ჩხეიძე კი შეკრებაზე რეზო ქეიშვილთან შეხვედრასაც გაიხსენებს, მისი წიგნის „ახალი კურუს“ წარდგინებაზე მწერალი იმ ნოველას წაიკითხავს, „ბზიანეთის“ გადაღებებს რომ ეხება, და ამ იუმორით გაჯერებული ეპიზოდის კითხვისას კინორეჟისორ ქალსაც რომ ახსენებს, მოულოდნელად, **მაკა ჯოხაძის** ტელეფონი ახმიანდება და აღმოჩნდება, რომ ქალბატონი ლიანა რეკავს ჰელსინკიდან.

— უცნაურიცაა ეს დამთხვევა და კანონზომიერიც, — იტყვის ბატონი როსტომი.

ლიანა ელიავას და მაკა ჯოხაძეს კი დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს და შორეული ჰელსინკიდან ხშირად ეხმიანება ხოლმე მეგობარი მეგობარს — თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი სიახლეების გასაზიარებლადაც და სამშობლოში მიმდინარე მოვლენების გასაგებადაც. ამიტომ, სრულიად კანონზომიერად, ახლა ქალბატონი ლიანას შესახებ **მაკა ჯოხაძე** საუბრობს:

— შემთხვევითი არ არის, რომ წიგნის დასასრულს ქალბატონი ლიანა საგანგებოდ მიმართავს ახალგაზრდებს: თუკი ამ ქვეყანაზე კიდევ არსებობს ჩემი ცხოვრებისეული ბედის მქონე ადამიანი, რომლისთვისაც საქმეში ხელი არასოდეს არავის წაუკრავს, ყველაფრის გაკეთება და გადატანა მარტო უნევდა და უნევს, ეს წიგნი ერთგვარ სახელმძღვანელოდაც გამოდგება.

მართლაც ასე... ლიანა ელიავამ ღირსეულად გაუძლო განსაცდლებს და ბევრი კოლეგისაგან განსხვავებით ნამდვილ პიროვნებად დარჩა. შემთხვევითი არ იყო რომ „ბზიანეთი“, „ფერმა მთაში“, „სინემა“ (კიდევ არაერთი გაუხმაურებული ფილმი ინახება მისი შემოქმედებით ლაბორატორიაში) გამოჩენისთანავე შეიყვარა მნახველმა.

არც ისაა გასაკვირი, რომ მის წიგნებსაც მაღალი ფილოლოგიური სკოლის კეთილშობილური გავლენა ეტყობა. იგი ხომ დიდი მეცნიერის არნოლდ ჩიქობავას უსაყვარლესი სტუდენტი იყო.

იესოს ერთ-ერთი სახელია სიტყვა და ხანდახან მიფიქრია, იქნებ საოცრად ეკლიანი გზა კინოში იმის გამოც გხვდათ წილად, რომ თქვენ სიტყვას...

ლიანა ელიავა: ვუღალბათ.

მაკა ჯოხაძე: არა, სიტყვა ღალბატი არანაირ კონტექსტში არ შეიძლება თქვენი მისამართით ვიხმაროთ. უბრალოდ აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდობის ადრეულ გარიჟრაჟზე კინემატოგრაფი ბედისწერასავით შემოიჭრა თქვენს ცხოვრებაში და ყველა დანარჩენი გადაწონა.

კინოსა და მისი ინდუსტრიის სამყაროდან ლიანა ელიავა, ბიბლიური შვილივით, ისევ სიტყვიერ ხელოვნებას დაუბრუნდა და ერთმანეთზე უფრო საინტერესო წიგნები შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიფრიფანა ლამაზი ქალბატონი ასე ძალიან წააგავს მისსავე უფაქიზეს ფილმს „სინემა“, ვეფხვივით შემართული და დაუნდობელი ხდება, როგორც კი საქმე სამშობლოს დაცვაზე მიდგება. ამის დასტური ის ბრწყინვალე ნერილებია, რომელშიც ასე უკომპრომისოდ, მაღალპროფესიულ დონეზე განიხილავს, პროცესებსა და მოვლენებს ქართული მენტალობის შეცვლას რომ ემსახურება. ამ მხრივაც, უცხოეთში მცხოვრები ქართველობისთვისაც ლიანა ელიავას მოღვაწეობა ხილული მაგალითია თუ როგორ უნდა გახსოვდეს და გიყვარდეს შენი ქვეყანა. როგორი თავდადებითა და მოუწყენლობით უნდა იბრძოდე ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

— იყო დრო, როცა მას იცნობდნენ როგორც საკმაოდ პერსპექტიულ კინორეჟისორსო, — ძალიან სევდიანი ფრაზით დაიწყო საღამო ბატონმა როსტომმა და ეს სევდა მთელი შეხვედრის განმავლობაში გაჰყვება **თემურ ნადარეიშვილს**, ვისაც ლიანა ელიავას შემოქმედებიდან განსაკუთრებით „სინემა“ უყვარს. როცა კინემატოგრაფია ფესს იდგამდა, არასერიოზულად უყურებდნენ და ფილმის მთავარი გმირი, რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის ამ დარგის დამკვიდრებისათვის, მისთვის გაიგივებულია ლიანა ელიავასთან. და კიდევ:

— ასეთი საღამოების არსი ისიც არის, რომ გაგვახსენდეს ჩვენს ცნობიერებებში რაც ილექება. გოეთეს ფრაზა მომაგონდა: „ადამიანს უნდა ეყოს გამბედაობა, რომ იარსებოს მთელში“. და იმ ეკლიანი გზის მიუხედავად — რომლის შესახებაც მაკა ჯოხაძე საუბრობდა — რომ არ იმალები, არ გაურბიხარ წინააღმდეგობებს და უკომპრომისო რჩები, ე.ი. გაქვს გამბედაობა მთელში არსებობისაც და ღირებულის შექმნისაც.

ეს კი ქალბატონმა ლიანამ ჯერ კიდევ ათეული წლების წინათ დაამტკიცა.

თვითონაც გაკვირვებული კითხულობდა იტალიურ პრესას თავისი ფილმების შესახებ. ერთი საქვეყნოდ ცნობილი კინომცოდნე ვენეციის ფესტივალზე ასეთ რამესაც დაწერს: „ეს არის კეთილშობილი ყვავილი სარეველა ბალახით ნალექში მიწოდორზე“.

— ვერ წარმომედგინა, ასეთი რამ თუ შეიძლებოდა ეთქვათ ჩემს ფილმებზე, თანაც „ა“ კლასის ფესტივალზე, სადაც არავის გაუფზავნივარ, თვითონ წაიღეს ჩემი ნამუშევარი. ვერ წარმომედგინა, რადგან საქართველოში ცხრა ქართულ ფილმს შორისაც ვერ მოხვდა, რომ ფესტივალზე ეჩვენებინათ თელავსა თუ ზუგდიდში. თუკი სადმე რამე კინოჩვენებას მართავენ ქართველები, ჩემი ფილმები არსად ახსენდებათ. „ბზიანეთსაც“ კი ტრავიკული ბედისწერა დაჰყვა. შარშან შვეიცარიიდან შემეხმინენ — რას წარმოვიდგენდი, 40 წლის წინანდელი ფილმით თუ დაინტერესდებოდა ვინმე — და „ბზიანეთის“ გაგზავნა მთხოვეს ფესტივალზე საჩვენებლად. კინოცენტრს მიმართეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ფილმი არ გააჩნიათ. კინოცენტრმა ჩემთან „გადმოამისამართა“, ჰელსინკიში. V ვერსია კი მაქვს, მაგრამ ჩემი სახსრებით ჩაწერილი და, სამწუხაროდ, არ არის იმ ხარისხის, ფესტივალზე ჩვენება შეიძლებოდა. საგანგებოდ ჩამოვედი თბილისში, ვიფიქრე, ნეგატივს მოვიძიებ და თავიდან ჩავწერ-მეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნეგატივიც არ არსებობს, თან ეს ისე მშვიდად მითხრეს, თითქოს ჩვეულბრივი ამბავი იყოს. მე კი მეგობარ, დაცული იყო, საგანგებო საცავში ინახებოდა გარკვეული ტემპერატურისა და ტენიანობის გათვალისწინებით.

ყველა ინსტანცია მოვიარე, ამ თავგადასავალზე მოთხრობაც დავწერე, როგორ დამატოვებინეს ტელევიზიის თავმჯდომე-

მარის მისაღები ამერიკელი სტუმრების მოლოდინში. კანცელარიაში მაინც დაველოდე განცხადებას. პირადი პრობლემების გამო წელიწადზე მეტხანს ფინეთში მომინა ყოფნა. როცა ჩამოვედი, მოვიკითხე და... ამაოდ. არც არავინ დაინტერესებულა ჩემი განცხადებით.

ინტერნეტსივრცისა და თანამედროვე ტექნიკური მიღწევების საშუალებით სულ მოვლენების ცენტრში ვარ, მაინტერესებს და ვიგებ, რა ხდება საქართველოში. ამას წინათ შემთხვევით ერთ-ერთი გადაცემა ვნახე ტელეფილმების სტუდიის პირველ ნამუშევრებზე. დავჯექი ეკრანთან იმ იმედით, ახლა მაინც როგორ არ მახსენებენ-მეთქი... მერაბ კოკოჩაშვილი საუბრობდა და ჩვენ, ვინც გამოვრჩით, ბოდიში მოგვიხადა იმისათვის, რომ არ გავახსენდით.

ჩემი ერთადერთი სუბტიტრებიანი ფილმი „სინემა“ კი ჩვენს კინემატოგრაფისტებს ფლორენციაში წაუღიათ და იქიდან, საყიდლებით დატვირთულებს, ტვირთისთვის განსაზღვრული წონა არ ეყოთ ჩემი ფილმის წამოსაღებად.

ამიტომ და კიდევ ბევრი რამის გამო ჩემს ერთ წიგნში დაწვრილ ქართული კინოს ფუნქციონერების შესახებ:

— ვუმაღლი იმათ, რაც გავაკეთე, და რაც ვერ შევქმენი, ესეც მათი ბრალია-მეთქი.

მათი და ალბათ კიდევ იმისიც, რომ:

— ქალბატონ ლიანას და მისწრაფებს ბევრი რამ დააკლდათ იმის გამო, რომ დიფერენცირებულ კლანებში არ ჩაენერნენ, — ამას შეკრებაზე ლია სტურუა იტყვის, — მას მძიმე პროფესია აქვს. პოეტი დაჯდება სახლში და დაწერს, ვინ დაუშლის, თუ თითები არ დამამტვრიეს, დაწერს სანთლის შუქზეც, სიცივეშიც... დამინერია კიდევ, მაგრამ რეჟისორი მარტო ვერ გადაიღებს ფილმს.

მადლობა უფალოს, მას აქვს სიტყვის ფლობის უნარი. ცხადია, ეს კომპენსაცია ვერ იქნება, ეს იგივეა, ადამიანს, რომელსაც შეუძლია ნაყოფის მოცემა, ძალით აბერნებდე, მაგრამ... ერთი კარგი შედეგი ხომ მაინც გვაქვს:

„კინო უეკრანოდ“ მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი ლიტერატურული და კულტურული ცხოვრებისათვის და ლიანა ელიავას სახელიც მის განუყოფელ ნაწილად დარჩება.

...ამიტომ, რომ ეს წიგნი არ არის მარტო კინოს ისტორია.

ამიტომ, რომ ავტორი ქართული სიტყვის მადლთანაა ნაზიარები.

ამიტომ, რომ სიყვარული მისტერიაა და იქ, საქართველოდან შორს, ამ მისტერიას სხვა განზომილებები აქვს.

კიდევ იმიტომ, რომ „სამშობლო ყოველთვის თან დააქვს, როგორც ბაკანი“ და ამ ბაკანქვეშ დაბადებული სიტყვაც თავის ქვეყნის მზით თბება.

თავისი ქვეყნის წვიმით სველდება.

და თავის სამშობლოს ჰაერითაა გაჟღერ-

ერთი გვარის საბა

17 თებერვალს გამომცემლობა „დიოგენეს“ წიგნის მალაზიაში **ბექა ქურხულმა** ახალი რომანი „**ორი მთვარის ამბავი**“ წარუდგინა საზოგადოებას.

„ორი მთვარის ამბავი“ წარმოადგენს ერთი გვარის ამბავს, რომელიც ლეგენდის თანახმად ტბაში ბინადარი ალისგან წარმოიშვა. რომანის ნარატივი ისეთივე არეული და წყვეტილია, როგორც საქართველოს ისტორია. საერთოდ: რომანი ეპიზოდებად ვითარდება, სადაც მამა-პაპათა და შვილიშვილთა ამბავი, დიალექტი და თბილისური სლენგი ერთმანეთში გადადის. ეს არის საბა, რომელშიც გასაბჭოებამდელ, საბჭოთა და პოსტ საბჭოთა პერიოდების აბსურდულ კარუსელში ძველი და ახალი თაობები კარგავენ და ხელახლა პოულობენ ერთმანეთს. და ყველაფერი თავიდან იწყება...“ — ვკითხულობთ წიგნის შესავალში.

რომანი დაბეჭდა გამომცემლობა „სიესტამ“.

სალამოს უძღვებოდა **გურამ მეგრელიშვილი**. მან საზოგადოებას მიულოცა ახალი, კარგი წიგნის გამოსვლა და ტრიბუნა სხვა გამომსვლელებს დაუთმო.

ალექსი ჩიღვინაძე გაიხსენა, როგორ იქმნებოდა წიგნი. აღნიშნა, რომ ბექა ქურხული ძალზე მიმზიდველად წერს; თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში იშვიათია ისეთი პერსონაჟები, რომელთა სიტყვებითაც იწყებს მკითხველი ლაპარაკს. მისი თქმით, ბექას მოთხრობები სწორედ ასეთია.

ბექა ქურხულმა აღნიშნა, რომ ამ წიგნში გარდა რომანისა, შესულია ნოველებიც. „ორი მთვარის ამბავი“ კი არის ძალიან ძველ, უცნაურ გვარზე, რომლის წარმომადგენელიც თვითონაა. ავტორმა საკუთარი გვარის ისტორია მოაქცია მხატვრულ ჩარჩოში.

„აღტაცებული ვარ ბექას ნოველებით. ეს არის ისეთი მართალი, ბუნებრივი, ტკივილით დაწერილი, ისეთი დონის ლიტერატურა, რომ ამას შეგრძნება, გაგება და დანახვა უნდა.“ — აღნიშნა **ირაკლი ლომოურმა**.

გაგა ნახუცრიშვილი თქმით, არიან მწერლები, რომლებიც ისე წერენ, როგორც ცხოვრობენ. ბექა არის სწორედ ასეთი შემთხვევა. ამითაც არის საინტერესო მისი ნებისმიერი წიგნი. მკითხველს ენატრება გულწრფელი სიტყვა. ბექა ქურხულის შემოქმედება კი ნამდვილად გულწრფელი და ალალია.

რატი ქართველიშვილი: „ბექა არის ერთ-ერთი მეტძობი სულისკვთებით აღსავსე რომანტიკოსი ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს დროში. ეს ნიშნავს ძიებას სხვა სინამდვილისა, ანუ მიუღებლობას იმ სინამდვილისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ეს კი ხშირად დრამატულია და შინაგან ტრაგიზმთან არის დაკავშირებული. ბექას ნაწარმოებები ყოველთვის აღსავსეა ამ შინაგანი დრამატიზმით, არსის ძიების პროცესის აღწერით. ეს ძიება მას მრავალი მიმართულებით აქვს წამოწყებული და უნდა ვთხოვოთ, რომ ასე გააგრძელოს.“

ბაჩო კვიციანი მიესალმა ავტორს და აღნიშნა, რომ ბექა ქურხული თვითონ წიგნია, ძალიან საინტერესოდ წერს და მომავალშიც ძალიან ბევრი სათქმელი აქვს.


ბესო ხვედელიძე გაიხსენა, როგორ გაიცნო, დამეგობრდა ავტორთან და შემდეგ როგორ მუშაობდნენ ერთად წიგნის გამოცემაზე.

შორენა შავერდაშვილმა მოიწონა ახალი რომანი, მადლობა გადაუხადა ავტორს, შემდეგ აღნიშნა, რომ ბექა ქურხული გარდა მწერლობისა ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწევა და საზოგადოებას ურჩია მისი სტატიების წაკითხვა.

მიხო მოსულიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ბექა ქურხული საკუთრად განცდილს აღწერს ხოლმე და მისი წერის სტილი ჰემინგუეის სტილს შეადარა.

დამსწრეთა საერთო განწყობა ახალი წიგნით სიხარულს ადასტურებდა და მომავალში უფრო მეტის იმედსა და მოლოდინს გამოხატავდა.

გრძელდება ძიება, შინაგანი წვაც, რომანტიზმიც.



თეკლა ჯანელიძე

ზურაბ მარშანია

კონსტიტუციონალიზმი ანუ რეალური დემოკრატია

(ფიქრები პაატა ჩხეიძის ნიბნეა „კონსტიტუციისათვის“)

ყოველთვის ძნელია მეგობრის ქმნილების პირუთვნელი შეფასება. თუმცა ამ შემთხვევაში კარგად ვიცნობ რა პაატა ჩხეიძეს, ისიც ვიცი, რომ მისთვის სოკრატესეული — პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება მეტი — ლიტონი სიტყვები არ გახლავთ. ამიტომაც შევეცადე დავიცვა ერთობ მყიფე წონასწორობა ავტორის იდეებთან თანხმობასა და კრიტიკულობას შორის.

პირველი დავინწყებ.

სამწუხაროდ, არავისთვისაა საიდუმლო, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება უხვდაა გაჯერებული ყალბი მითოსური სულისკვეთებით. პაატა ჩხეიძე ერთ-ერთია იმ მკვლევართაგან, რომელიც არამარტო ცდილობს დააღწიოს თავი მითოსური მისტიფიკაციის მარწუხებს, არამედ მტკივნეულ დარტყმასაც აყენებს ქართული სახელმწიფოებრიობისა და ცნობიერების დამანგრეველ ამ ბოროტებას.

გვარიანი გამბედაობა უნდა, რათა ვაჟკაცურად განაცხადო ასეთი რამ: **ქართველ ხალხს სურდა თავისუფლება, ანუ რუსეთის კოლონიური უღლისაგან გათავისუფლება, ოღონდ ცოტას თუ ესმოდა, რომ რუსეთისაგან გათავისუფლება და თავისუფლება ერთი და იგივე არ იყო. ძნელი იყო აგეხსნა აღტაცებული და ამბოხებული მასებისათვის, რომ თავისუფლება არის არა ბორკილების მსხვერვა, არამედ — რელიგიის, ტრადიციის, ადათ-წესებისა და, რაც მთავარია, კონსტიტუციის ჩარჩოში ცხოვრება.**

ზემოთ წარმოთქმული ნამდვილად უპირისპირდება ჩვენ საერთო-ეროვნულ მითს იმის თაობაზე, რომ:

— 1989 წლის 9 აპრილს თურმე სრული თავისუფლება მოგვიპოვებია;

— ჩვენი ხალხი ბრძენია, არასოდეს ცდება, ყოველთვის სწორ არჩევანს აკეთებს და ა.შ.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური მითომანიის მოტრფიალეთა აზრით, ნებადაურთველია წამითაც შეიტანო ეჭვი ქართველი ერის გენიალურობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჭეშმარიტ პატრიოტთა რისხვა დაგატყდება თავზე. ვშიშობ, ჩვენ ავტორსაც არ აცდება ეს რისხვა, თუნდაც ამ სიტყვებისათვის: **არავის ახსენდება, რომ ხალხს, ვისაც...საკითხის გადაწყვეტა უნდა დაავალონ, არაფერი გაეგება...ხალხმა მხოლოდ ის იცის, რომ ძლიერს უნდა გაჰყვეს, ძლიერი იმარჯვებს.**



აი ასე აკეთებს ხალხი ბრძნულ არჩევანს:

— 1991 წელს ზვიად გამსახურდიას ირჩევს ხმების თითქმის 80-90%-ით;

— სულ ცოტა ხნის შემდეგ იმავე შედეგით ზვიადის სრულ ანტიპოდს ედუარდ შევარდნაძეს;

დღემდე გრძელდება საქართველოში ხელისუფლების ეს სამარცხვინო 80-90%-იან გამარჯვებათა ბაკხანალია, რაც სინამდვილეში ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის უსუსურობისა და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, ქართველი ამომრჩევლის დიდი უმრავლესობის პოლიტიკური უკულტურობის მაჩვენებელია.

სასაცილოა, სატირალი თუ არა, მრავალი ქართველი პოლიტიკოსის მიერ ყველაფერი ამის გაუთავებელი გამართლება არჩევნების ტოტალური გაყალბებით, როცა

ყველამ კარგად ვიცი, რომ თუნდაც წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით ამის გაკეთება უბრალოდ შეუძლებელია.

არ შემიძლია არ შევუქო ავტორს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ცენტრალიზაცია, მის შთამაგონებელ და მშობელ უმრავლესობასთან ერთად, დესპოტიზმისა და ტრანისაკენ მიუძღვის ნებისმიერ ქვეყანას.

რალა შორს მივდივართ, ჩვენი ქვეყნის ყველა უბედურება ცენტრალიზაციიდან და უმრავლესობიდან არ მოდის?

იმ ცენტრალიზაციიდან, რომელმაც სულაც ვერ იხსნა ჩვენი ქვეყანა დაქუცმაცებისაგან.

იმ ცენტრალიზაციიდან, დამოუკიდებლობის ოცივე წლის განმავლობაში მარტო ერთ კაცს — პრეზიდენტს რომ აკეთებინებდა საქართველოს მთელი მოსახლეობის გასაკეთებელს.

იმ მრგვალი, სამოქალაქო კავშირისეული თუ დღევანდელი — მთვლემარე საპარლამენტო უმრავლესობიდან, რომელსაც ტაშის დაკრის დროს ელვიძება მხოლოდ მაშინ, როცა პრეზიდენტი ეწვევა წელიწადში ერთხელ საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშის ჩასაბარებლად.

და ყოველივე ამის შემხედვარე როგორ შეიძლება არ დაეთანხმო პაატა ჩხეიძეს იმაშიც, რომ: **...მრავალჯერ ახდა ტოკვილის წინასწარმეტყველება, რომ თანაბარი ელექტორალური უფლებანი და პირდაპირი კენჭისყრა ყველანაირ უფლებათა აღსასრულს ნიშნავდა, და რომ საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვება მოასწავებდა არჩევნების დასასრულსა და დემოკრატიის თვითმკვლელობას.**

აი აქ კი შევეწყვეტ დითირამებს ავტორის მისამართით და შევეცდები კრიტიკულიც გავხდე. თუმცა, მართალი გითხრათ, განაფული კალმით შექმნილი ეს ნაწარმოები ამისთვის ნამდვილად არ მემეტება. განაფული კალამი შეცდომით არ მისხენებია. პაატა ჩხეიძე საოცარო ოსტატობით ახერხებს პოლიტიკური კორექტულობის შენარჩუნებას, მაგრამ მაინც თვალშისაცემია მისი ანტიპათია, მეტიც, საოცარი არატოლერანტულობა ლიბერალურ — დემოკრატიულ ფასეულობათა მიმართ, რასაც ნამდვილად ვერ მოვუნნებ. იმიტომ კი არა, რომ თავად ვარ ლიბერალი, არამედ — ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად რამაც საქართველო უბედურებამდე მიიყვანა, ერთია განსაკუთრებულად აღსანიშნავი.

ეს არის განსხვავებული აზრისადმი ტოლერანტულობის უზარმაზარი დეფიციტი, რაც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათიც კი გახდა მსოფლიოში.

ნუთუ მარტო ლიბერალები შეიძლება იყვნენ ტოლერანტულნი განსხვავებული აზრის მიმართ ჩვენ ქვეყანაში? სულაც არა! პირიქითაც ხდება.

დღევანდელი ხელისუფლება ავიღოთ თუნდაც, ლიბერალიზმის ბაირაღებით შეიარაღებული დაუნდობლად რომ ებრძვის ოდნავ განსხვავებულად მოაზროვნეებს კლასიკური ბოლშევიკური ლოზუნგის — ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია-ს — სულისკვეთებით.

განსხვავებულობა კი დიდად ვარდების ხელისუფლები-საგან ტოლერანტულობით სრულიად არალიბერალური, გაცილებით უფრო კონსერვატიული და ნამდვილად ეროვნული მრგვალი ხელისუფლება?

ექვთი მუპარება.

მაშასადამე, არატოლერანტული ლიბერალიზმიც შეიძლება იყოს და კონსერვატიზმიც და პრობლემა მსოფლმხედველურ სხვაობაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ზნეობრიობის, სულიერებისა და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის დეფიციტში, უმძიმეს სენად რომ შეგვყრია ჩვენ ყველას.

მინდა დავსვა ასეთი კითხვაც. მაინც რა დაუშავა ასეთი ჩვენ ავტორს ლიბერალურმა დემოკრატია?

არ ვაპირებ დასავლური დემოკრატიისა და ლიბერალიზმის ადვოკატობას. მითუმეტეს, რომ ჩემი მსოფლმხედველობა ავტორისეულისაგან დიდად განსხვავებული ნამდვილად არ არის. ჩვენთვის ორივესთვის ძალზე ახლობელია ედმუნდ ბერკისეული მიდგომები პოლიტიკური პროცესებისადმი.

უბრალოდ ამ წიგნის ნაკითხვისას იმის განცდა დამეფულა, რომ ავტორი მისდა უნებურად ეწინააღმდეგება საკუთარ თავს თანამედროვე ანუ დასავლური დემოკრატიის ზოგიერთ ასპექტის შეფასების დროს.

მაგალითად, სავსებით მართებულად მიიჩნევს, რომ: **დემოკრატიაში იგულისხმება იდეალურთან მიახლოებული მდიდარი სახელმწიფო, ქვეყანაზე მზრუნველი და სამართლიანი ხელისუფლებითურთ.**

შესანიშნავი განმარტებაა. მარტივი და ყველასთვის გასაგები, თითოეული ამომრჩევლისთვისაც კი, მიუხედავად განათლებისა და პოლიტიკური კულტურის დონისა.

მაშ ასე, გამოდის, რომ სულაც არ არის სადავო ის, თუ როგორი მიმზიდველი ყოფილა თურმე ყველასთვის და მათ შორის ავტორისთვის დემოკრატიული სახელმწიფო.

მართლაც და ასეთი ქვეყნები არ არიან: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, იაპონია, შვეიცარია თუ მრავალი სხვა?

რატომ არის მაშინ ავტორი ასეთი ირონიული თავისივე მოწონებული დასავლური დემოკრატიის მიმართ?

აბა დაუკვირდით პაატა ჩხეიძის დაუფარავ სარკაზმს, როცა აცხადებს, რომ: დემოკრატიის აუგად მოხსენიება არაკორექტულია, დასაგმობია, დემოკრატია დასახულია მსოფლიო ხალხთა უნივერსალურ მიზნად და როცა მსოფლიოში დემოკრატია დამყარდება, ადამიანები უსაფრთხოდ და უზრუნველად იცხოვრებენ... ცოტა კი ნააგავს თავისი მიზნებით ის კომუნისტურსა და ფაშისტურს... მაგრამ მათგან არსობრივად განსხვავდება.

ერთობ უცნაურია ავტორის მიერ დანახული ეს მსგავსება დასავლურ დემოკრატიას, კომუნისტსა და ფაშისტს, შორის, მაგრამ ზემოთ აღნიშნული სარკაზმის უკან დემოკრატიისა და გლობალიზაციის გაიგივების მცდელობა ხომ არ იმალება?

თუ ეს ასეა, რა ვუყოთ მაშინ იმას, რომ ბევრი დემოკრატიული სახელმწიფო (პირველ რიგში კი ეს მცირე ქვეყნებს ეხება) ყველანაირად ეწინააღმდეგება გლობალიზაციიდან გამომდინარე საფრთხეებს და არადემოკრატიულ სახელმწიფოებზე უკეთ უმკლავდება მის გამოწვევებს?

აი აქ არის, ჩემი აზრით, ის შინაგანი წინააღმდეგობა ავტორის მსოფლმხედველობასა და არსებულ რეალობას შორის, რომლის ახსნას, სამწუხაროდ, ამ ნაშრომში ვერ მივაკვლიე.

თუმცა ამავე დროს, უაღრესად საინტერესოდ აქვს ავტორს წარმოდგენილი იდეა ორი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული: მაჟორიტარულ — პლემბისციტურ და კონსტიტუციური დემოკრატიის არსებობის შესახებ.

სრულიად სამართლიანად მიიჩნევს პაატა ჩხეიძე, რომ: **მაჟორიტარულ დემოკრატიას დიქტატურისაკენ მიყვავართ და კონსტიტუციურს — თავისუფალი სახელმწიფოსაკენ.**

დაუკვირდით, რაოდენ საინტერესო პოლიტოლოგიურ — ლინგვისტურ პასაჟთან გვაქვს საქმე.

ავტორს შემოაქვს ახალი და, ჩემი აზრით, შესანიშნავი ცნება — თავისუფალი სახელმწიფო.

აქედან გამომდინარე, უპირანი არ იქნებოდა პაატა ჩხეიძეს ლოგიკურად დაესრულებინა თავისივე აზრი? თუნდაც ასეთი პოსტულატის სახით: **თავისუფალი ქვეყანა ნიშნავს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც მხოლოდ კონსტიტუციონალიზმზე ანუ კონსტიტუციურ დემოკრატიაზე შეიძლება იყოს დაფუძნებული, როგორც ეს არის ევროპის, ამერიკისა თუ აზიის უკლებლივ ყველა დღევანდელ დემოკრატიაში.**

პლემბისციტურ-მაჟორიტარულ ანუ ფასადურ დემოკრატიაზე (იგივე სუვერენულ დემოკრატიაზე) დაფუძნებულნი კი მხოლოდ არადემოკრატიული და დესპოტური რეჟიმები შეიძლება იყვნენ. ასეთ სახელოვან სახელმწიფოთა კოჰორტა ჯერაც საკმაოდ მრავალრიცხოვანია: რუსეთი, ჩინეთი, ბელორუსია, უზბეკეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, კუბა, ჩრდილოეთ კორეა, სირია, საუდის არაბეთი, ვენესუელა, სინგაპური, ბირმა.

საბედნიეროდ, მათი რიცხვი შაგრენის ტყავივით ილევა, თუმცა არცთუ ისე სწრაფად. სწორედ ზემოთ აღნიშნულის დასტურია არაბული გაზაფხულის ძლევამოსილი გავლლება ეგვიპტესა და ლიბიაში. სახელოვანი უფლებადამცველისა და ნობელის პრემიის ლაურეატის აუნ სან სუჯის პოლიტიკური ტრიუმფი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დესპოტურ სახელმწიფოში — ბირმაში. სირიის მოსახლეობის შეუპოვრად თავგანწირული ბრძოლა ბაშირ ასადის სისხლისმსმელ რეჟიმთან და რუსული დემოკრატიის ყველასთვის მოულოდნელი გამოღვიძება პუტინის დიქტატურის მიერ ამ ქვეყნისთვის თავსმობხვეული პოლიტიკური ლეთარგიული ძილის შემდეგ.

თავისუფლების აჩრდილი დადის მსოფლიოში და ამის თავი და თავი პაატა ჩხეიძის მიერ მოსწრებულად მოყვანილი ჯონ ლოკის ბუმბერაზი ფიგურაა. ჯონ ლოკისა, რომელმაც კაცობრიობა და მსოფლიო პოლიტიკური აზრი გაამდიდრა უბრწყინვალესი ბრილიანტით — ადამიანის ფუნდამენტალური უფლებები და თავისუფლებები რომ ჰქვია.

კი ცდილობს ავტორი თომას ჰობსისა და ჯონ ლოკის მოძღვრებათა დაპირისპირების გზით დააკნინოს პიროვნული თავისუფლების სიდიადე, მაგრამ არაფერი გამოსდის. უპირიანი იქნებოდა ამ ორი დიდი მოაზროვნის არა დაპირისპირება, არამედ მათი ნააზრვეის ურთიერთშერწყმა.

თომას ჰობსის სულიერება, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა და ტრადიციონალიზმი, რომელიც ეყრდნობა არა მონურ მორჩილებას და პირუტყვეულ შიშს სახელმწიფოს მიმართ, არამედ ჯონ ლოკისეული თავისუფალი ანუ ღირსეული ადამიანის გაცნობიერებულ, ნებაყოფლობით სამოქალაქო თავგანწირვასა და ადამიანთა სოლიდარობას.

უდავოდ მისასალმებელია, რომ ავტორის სიტყვებიდან სავსებით ლოგიკურად გამომდინარეობს მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ თავი და თავი საქართველოს უბედურებისა სწორედ მაჟორიტარული დემოკრატიის არსებობაა ჩვენ ქვეყანაში და, ვიდრე ამ სენს არ დავძლევთ, ვერ ეღირსება ქართველი ერი თავისუფალ, აყვავებულ და ბედნიერ სახელმწიფოში ცხოვრებას. ისეთ სახელმწიფოში ცხოვრებას, სადაც — ავტორისეული სიტყვებითვე — კონსტიტუციონალიზმი ზეობს.

კი ბატონო, კონსტიტუციური დემოკრატია მიზანია, მაგრამ როგორ მივაღწიოთ მას?

არის კი ეს რეალური დღევანდელ საქართველოში, როდესაც ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში კონფორმიზმია გაბატონებული, მეორე ნაწილს კი ფრუსტრაციის, ფანტომური ფობიებისა და ინტელექტის უკმარობის ჭია ღრღნის?

პაატა ჩხეიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის არ გაურბის ამ ურთულეს კითხვაზე პასუხის გაცემას და ღირსეულადაც პასუხობს თავისივე ბიძის, სახელოვანი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის სიტყვებით — **პარლამენტური სამეფო ხელისუფლება, რომელიც:**

1. ადადგენს დიდსა და საამაყო ტრადიციებს საქართველოს სახელმწიფოებრიობისა;
2. შექქმნის სამართლებრივ საფუძვლებს დამოუკიდებლობისა და უშიშროების;
3. გაათავისუფლებს ხალხს იმ წინააღმდეგობებისაგან, რაც შეიძლება მოჰყვეს ბრძოლას მეფის სანაცვლო სახელისუფლებო თანამდებობისათვის;

4. სულიერად აღამაღლებს ორასწლოვანი მონობისაგან დაბეჩავებულ ადამიანებს;

5. დროულად გამოიყვანს საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორს დაწინაურებული ქვეყნებისა, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული შესაძლებლობებითა.

კი, მაგრამ არის კონსტიტუციური მონარქია პანაცეა? ბუნებრივია, რომ არა, თუნდაც იმიტომ, რომ თვით პანაცეა ბუნებაში უბრალოდ არ არსებობს!

ზემოთ აღნიშნულ კონტექსტში კონსტიტუციური მონარქიის მონინააღმდეგეთა მრავალი არგუმენტი შეიძლება იქნას მოყვანილი, საფუძვლიანი და უსაფუძვლოც.

ერთ-ერთი ალბათ ეჭვიც იქნება იმის თაობაზე, თუ რამდენად გაართმევს თავს ამ ურთულეს მისიას ბაგრატიონთან სამეფო გვარის წარმომადგენელი.

სხვის აზრს ვერ განვსჯი, მაგრამ პირადად მე ვერ მივიჩნევ ზემოთ აღნიშნული ეჭვს საფუძვლიანად, ვინაიდან ბაგრატიონები ღვთის მადლით არიან მორწმუნებულნი საქართველოს ტახტზე. კვიცი კი, როგორც მოგეხსენებათ, გვარზე ზტის.

თუ ვიმე სხვანაირად ფიქრობს, საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეული არაბაგრატიონი პრეზიდენტების მოღვაწეობა და მიღწევები გაიხსენოს ბოლო ოცი წლის განმავლობაში.

მეფე პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი არ არის. ის მეფობს და არ მართავს!

მეფე ერისა და სახელმწიფოს ერთიანობის, ღირსებისა და ძლიერების სიმბოლოა მხოლოდ.

მომკალით თუ გნებავთ, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ ერთში. ეროვნული განსაცდელის ჟამს საქართველოს მეფე ქართველ ხალხს წინ ნაუძღვება და მტრის ტყვიასაც პირველი შეაგებებს მკერდს ისე, როგორც მის სახელოვან წინაპრებს გაუკეთებიათ მრავალგზის!

ამას ასეთი დარწმუნებით იმიტომ ვამბობ, რომ პირველ რიგში ქართველ მეფეთა და დიდებულთა თავგანწირვისა და პატრიოტიზმის შედეგია ის, რომ საქართველო არ აღიგავა პირისაგან მიწისა და, დიდი თხოვნა მაქვს, ნურავინ შემეკამათება ამაში.

მივესალმები პაატა ჩხეიძის ამ სიტყვებსაც, რომელიც სტატიის ბოლოთქმად მივიჩნევ: „კონსტიტუციონალიზმი კანონს პირად ნებაზე მაღლა აყენებს და ქადაგებს ნაციონალიზმს, დემოკრატიასა და შეზღუდულ მთავრობას. კონსტიტუციონალიზმის ლეგიტიმაცია მომდინარეობს საყოველთაო რწმენიდან, რომ მთავრობა მაშინ არის კანონიერი, როცა იცავს პოლიტიკურ კონსტიტუციაში მოცემულ კანონებს და არ ცდილობს საკუთარ თავზე მორგებას“.

ჩემი აზრით კი საქართველოში ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად, რომელსაც ავტორი კონსტიტუციურ დემოკრატიას უწოდებს, უპირიანი იქნებოდა პაატა ჩხეიძის ზემოთ ნახსენები შესანიშნავ თეზისისათვის დაგვემატებინა:

1. არჩევნების შედეგად უმცირესობაში დარჩენილი პოლიტიკური ძალების მიერ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე რეალური ზემოქმედების მყარი, კონსტიტუციონალური გარანტიების შექმნა;
2. ხელისუფლების რეგულარულ და ყოველ მიზეზ გარეშე ცვლილება (მმართველი პოლიტიკური ძალისა

და ოპოზიციის პერიოდული, კონსტიტუციით გათვალისწინებული სავალდებულო ურთიერთჩანაცვლების გზით);

3. სახელმწიფოზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ინსტიტუციონალური დაფუძნება (სხვადასხვა პოლიტიკურად აქტიური, ხელისუფლებისაგან არაანგაჟირებული, ფართო საზოგადოებრივი წარმომადგენლობითი გაერთიანებების აზრის რეალური გათვალისწინების უზრუნველყოფის მიზნით სახელისუფლებო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აღსრულების პროცესში);

4. რეალური, მყარი სოციალური გარანტიების არსებობა და სამოქალაქო სოლიდარულობის განცდის განმტკიცება ქართულ საზოგადოებაში;

5. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალური და არა დეკლარაციული დაცვა სახელმწიფო დონეზე.

აი ეს არის ის დემოკრატია, რომელსაც უინსტონ ჩერჩილი მმართველობის ყველაზე „უარეს ფორმას“ უწოდებდა, მაგრამ იმასაც დასძენდა, რომ არასოდეს არსებულა არაფერი მასზე უკეთესი.

ერთსაც ვიტყვი დასასრულს. კონსტიტუციური დემოკრატის ანტიპოდი, როგორც ეს ზემოთ ითქვა არა ერთხელ, მაჟორიტარული ანუ ცრუფასადური დემოკრატიაა. დემოკრატის ამ ამაზრზენ ფორმას მე ოქლოკრატიას ანუ ბრბოს მმართველობას ვუწოდებდი.

ეს ის უკეთური ოქლოკრატიაა, რომელსაც „დემოკრატიას“ უწოდებდნენ და დამსახურებულადაც მიიჩნევდნენ მმართველობის ყველაზე უარეს ფორმად პლატონი და არისტოტელე.


სწორედ ასეთ ცრუ, მაჟორიტარულ, პლებისციტურ დემოკრატიას ახვევენ დღემდე თავს დესპოტური რეჟიმები თავიანთ დაბეჩავებულ მოსახლეობას მსოფლიოს ბევრ კუთხეში.

პაატა ჩხეიძის მგზნებარე პამფლეტი „კონსტიტუციისათვის“ გაფრთხილებათა ქართველი ერისა. თითოეულ ჩვენგანს ის სერიოზული განსჯისაკენ მოუწოდებს. ამიტომაც უნდა დავეფიქრდეთ ყველა დღესევე და ძალიან კარგადაც, ვინაიდან ხვალ უკვე გვიანი შეიძლება იყოს. ავტორს კი მადლობა მივუძღვნათ ამ დიდებული წიგნის დანერისათვის.

ერთხელ არჩეული გზით

დაბრუნება საქართველოში — ასე უწოდა გივი მარგველაშვილთან შეხვედრას ნაირა გელაშვილმა 3 მაისს, გოეთეს ინსტიტუტში.

ქართველად დაბადებული, მაგრამ გერმანულენოვანი და რუსულენოვანი მსოფლიო მწერალი სამკვიდროდ და ნავსაყუდელად ირჩევს თბილისს. რომ დაკონკრეტებულიყო ბერლინიდან მისი გამოგზავრება, როგორც დაბრუნება სამშობლოში, მოსწრებულად შეირჩეოდა ამ მომცრო პუბლიკაციის სათაურადაც. წყვილ-წყვილი სიტყვათა შეთანხმებანი, ამჯერად მხოლოდ დასაზუსტებლადაა მოშველიებული, ეგებ გაუმიჯნავთ კიდევ საგანგებოდაც.



ჩინებული გახლდათ დახვედრა გოეთეს ინსტიტუტში. დედაქალაქის ძველ უბანში, ზანდუკელის ქუჩაზე დაფუძნებულ მისიას იმთავითვე ეწოდა მეგობრობის სახლი და კულტურული ურთიერთობების სასურველ კერადაც მოინიშნა. რასაკვირველია, არაფერი გახლდათ უცნაური, გივი მარგველაშვილი სწორედ ამ ჭერქვეშ რომ მიიპატიჟეს.

გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი შტეფან ვაევიცი არცთუ ხანმოკლე შესავალ სიტყვას წარმოთქვამს გივი მარგველაშვილისადმი გულითადი პატივისცემით. მან ისაუბრა მწერლის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით გზაზე, აღსაქმელად გამოგნებლად მის ტრაგიკულ ბიოგრაფიაზე. ხოლო გივი მარგველაშვილის შემოქმედება შეაფასა მაღალ რეგისტრში, როგორც თავისებური ხელოვნება, რაც განისაზღვრება ორ სამყაროს შორის მისი არსებობით. გერმანელი სწავლულის სიტყვას თარგმნიდა ნათია მიქელაძე, კულტურული პროგრამების კოორდინატორი.

ნაირა გელაშვილს, თავისი ნაყოფიერი ლიტერატურული მემკვიდრეობის დარად, ძალაც შესწევს მჭევრმეტყველებისა. მკაფიო, გულითა და ენერგიული სიტყვების მიმოხრით, ერთნაირად ხელენიფება მოინადიროს მკითხველიცა და მსმენელიც. ამჯერადაც არ გაძნელება ყურისმგებლად განენყო მრავალრიცხოვანი აუდიტორია; თანაც შექმნა ბუნებრივი, კეთილმოსურნე გარემო, ლამის ლიტერატურულ თეატრს მიმსგავსებული და, გახანგრძლივების მიუხედავად, არავის მოუწოდებია დარბაზიდან ადრიანად გასულიყო.

უპირველესად გამოხატა მადლიერება გოეთეს ინსტიტუტისადმი, სადაც უკვე მესამედ მასპინძლობდნენ ქართული საზოგადოებისა და გერმანულენოვანი მწერლის შეხვედრას. გულისწყვეტილი მოიხსენია ვახუშტი კოტეტიშვილი, ნათელა ხუციშვილი, კარლო ჯორჯანელი, დათო დავლიანიძე, რეზო ყარალაშვილი, სერგო ოქროპირიძე, ერთგული მეგობრობა რომ გაუწიეს გივი მარგველაშვილს იძულებით გამოწვეული მიქცევა-მოქცევისას.

იმდღევანდელი შეხვედრა კი შეაფასა როგორც ანგარიში საქართველოში დაბრუნებული მოღვაწისა. მიუთითა იქვე, თაროზე გამოფენილი წიგნებისაკენ და დასძინა, რომ იქ იყო გივი მარგველაშვილის ფილოსოფიურ ნაშრომთა ტომეულები, პროზაული და პოეტური გამოცემები. მოისაკლისა, რომ მოსანესრიგებელია ამ მრავალმხრივი მწერლის სრული ბიბლიოგრაფია, სხვადასხვა არქივში მიმოფანტული და გაბნეული ნიმუშები საჭიროებს დაბინავებას, შესაბამისად — გამოცემას, რათა გივი მარგველაშვილის შემოქმედებითაც გაეხსნას ჩვენს ახალგაზრდობას გზა ნამდვილი ლიტერატურული სამყაროსაკენ.

სალამოს მსვლელობისას, დრო და დრო, გერმანულად კითხულობდა გივი მარგველაშვილი თავის მინიატურებს, ნაირა გელაშვილი კი მათ ქართულ თარგმანებს ახმოვანებდა. სიუჟეტები ცინცხალ იუმორში ამოვლებულ სიბრძნედ რომ იღვრებოდა, ბოლოდებოდა კეთილადაც...

ასე რომ, ქართულ სალიტერატურო სივრცეში მკვიდრდება მდიდარი წარმოსახვისა და დიდად განსწავლულ-ერუდიტული მწერალი. რასაკვირველია, შემოქმედებითი გეგმებით, მიუხედავად 84 წლის ასაკისა.

შესახედავად კი, კადნიერებად თუ არ ჩაგვეთვლება, ელეგანტური, ევროპულად თავშენახული, პენიანი ბერიკაცი, ოდნავ ირონიული, გამჭოლი, მაგრამ ლიმიტაბუდებული მზერით, აგრეთვე, ენერგიული ცნობისმოყვარეობით.

ნუსა მარგველაძე

როსტომ ჩხეიძე

საუკუნის გვიანი მგზავრები

იქ, სივრცეებში გადაკვეთილიყო მიხეილ ჯავახიშვილისა და
გალაკტიონ ტაბიძის შედისწერა და გზასავალი: ვერც ერთი შეიგ-
რძნობდა თავს ამ დროის, ამ საუკუნის შვილად და ვერც მეორე.

— ფაკტიურად ჯავახიშვილის მიერ არის შექმნილი
„არიფონი“. მაგრამ იგი არასოდეს არ გამოდის როგორც
ლიდერი. იგი ეფარება ჯგუფს. იგი თავს იცავს ამით თავ-
დასხმებისაგან. თუ დრო მოითხოვს, ლიდერთაც გამოდ-
გება (ეს ისეთი ჯგუფია, რომ ყველა ლიდერები არიან). რამ
დააშინა ასე საწყალი? „ჩვენ საწყალი ხალხი ვართ, ჩვენ
არიფები ვართ“ — გაიძახის იგი.

რამ დააშინა ასე საწყალიო...

ნინ გამოჭრას რომ მორიდებოდა, ჯერ ისედაც არ უნდა
ნიშნავდეს დაშინებას — ხომ შეიძლება, რომ პიროვნული
ხასიათის გამო ხდება ასე ან სამოქმედო ტაქტიკა ან და
რალაც შორს გამიზნული ჩანაფიქრი. ისევე კიდევ რომ და-
შინებულყო, რა გასაკვირია, მითუმეტეს — გალაკტიონის
რატომ უნდა აოცებდეს, ვინც სულ ცოტა ხანს ეყურყუტე-
ბინათ ჩვეულებრივ საკანში, არა სიკვდილმისჯილთა, და
იქიდან გამოსულს ძველებური ხმაც დაეკარგა, არტისტუ-
ლი გრიმიც მოერგო და კომიკოსობისთვისაც მიეყო ხელი.

მიხეილ ჯავახიშვილი კი... თერთმეტჯერ გაეყვანათ და-
სახვრეტად საკნიდან... გალაკტიონისა ერთი პოემა დაეჭ-
რათ და ამოეგდოთ სალიტერატურო მიმოქცევიდან, მიხე-
ილ ჯავახიშვილი კი ჩეკისტური კრიტიკის თავდასხმების
ქვეშ მოყოლილიყო და წინაც რამდენი ელოდა.

სწორად მიმხვდარიყო გალაკტიონი: ამით თავს იცავს თავ-
დასხმებისგანო. და მან რატომღა წამოჰკრავდა ნესტარს?..

თუ დრო მოითხოვს, ლიდერადაც გამოდგებაო...

ჯერჯერობით კი სამოქმედო გზად დისკუსიები და რე-
ფერატები ესახებოდა მიხეილ ჯავახიშვილს.

ჯგუფს ამოეფარებოდა.

ჯგუფი გაიტანდა იმ დრომდე, რომელიც ადრე თუ გვი-
ან რალაცას „მოითხოვდა“, და მაშინ მიხეილ ჯავახიშვილ-
მაც თავისი საქმე იცოდა და გადასანყვეტსაც უკვე დაბე-
ჯითებით გადანყვეტდა.

ეგაა, გერონტი ქიქოძემაც და კონსტანტინე კაპანელ-
მაც იცოდნენ თავიანთი საქმე.

„არიფონი“ მიხეილის დაარსებული გახლდათ, მაგრამ
ეს ორნი ჯერ ისედაც არ აპირებდნენ მისთვის დაეთმოთ
პირველობა, და ახლა მარჯვე საშუალება მისცემოდათ, რა-
თა იმის სიფრთხილით ესარგებლათ და ჯგუფის წინამძღო-
ლობაც ხელთ ეგდოთ. ამისათვის კი ერთიმეორეც უნდა ჩა-
მოეცილებინათ ლიდერობისაგან.

შალვა დადიანი შეატყობდა მათ საამისო ფართოფურთს
და გალაკტიონსა და სხვა წევრებთანაც აღარ დაფარავდა:

* ბიოგრაფიული რომანიდან „კომიკოსი ტრაგედიაში
(გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა)“

— ყველაფერი კარგად წავა, თუ ამ ორმა ფილოსოფოს-
მა არ გააფუჭა საქმე.

„განსაკუთრებული სკეპსისია“, — დასძენდა მის ამ
ფრაზას გალაკტიონი, ვინც საგულისხმო ჩანაწერებს დაგ-
ვიტოვებდა ამ სამწერლო გაერთიანების ირგვლივ „არიფის
შენიშვნების“ სახელწოდებით, საგულისხმოს როგორც
პირწმინდად ლიტერატურული და ისტორიული, ისე ფსი-
ქოლოგიური თვალსაზრისით, და ერთხელ კიდევ დაგვი-
დასტურებდა თავის ბელეტრისტულ ოსტატობას, ორიოდ
შტრიხით სილუეტთა მარჯვედ მოხაზვის უნარს.

ნუ, რა არის, ჩვენთვის მოგიაძავეთ, თქვენც თორმეტნი
ხართო, — ბუზღუნებდა პაოლო იაშვილი და გალაკტიონი
არავითარ შენიშვნას არ დაურთავს ამ სიტყვებს, არ აზუს-
ტებს, რომ არიფონის ჯგუფი აერთიანებს არა თორმეტ,
არამედ ცამეტ - ის კი არა, სულაც თოთხმეტ - წევრს:

მიხეილ ჯავახიშვილი, ლევან მეტრეველი, სანდრო შანში-
აშვილი, ლეო ქიარელი, შალვა დადიანი, პეტრე ქავთარაძე,
ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი, კონსტანტინე კაპანე-
ლი, ვასო გორგაძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ ტატიშვილი.

გადათვლით და... ცამეტი აღმოჩნდება (ეს ამ სიის მი-
ხედვით, თორემ „არიფონის“ შესავალზე კიდევ ერთი წევ-
რიც მოაწერს ხელს, მეთოთხმეტი: კონსტანტინე ჭიჭინაძე)
და პაოლო რას ედავებოდათ, ველარ გაგიგია... თუმც გასა-
გებია მისი გულისწყრომა, საკმაოდ ძლიერ დაჯგუფებდა
რომ გამოჩნდებოდნენ არიფიონელები და თავშესაფარს
შესთავაზებდნენ გალაკტიონსაც.

1927 წლის 4 აპრილს მიხეილ ჯავახიშვილი დეკლარა-
ციის საბოლოო ტექსტს რომ გაუგზავნიდა ხელმოსანე-
რად, ბარათსაც აახლებდა: მოულოდნელად წახვედი ტფი-
ლისიდან და ველარ მოვასწარით შენთან დაწვრილებით მო-
ლაპარაკება, აქამდე ვიყავით დაუსრულებელ რჩევა-ბაას-
ში. შენც დაგვჭირდი, მაგრამ უკვე წასულიყავი. ახლალა გა-
ვათავეთ. გვაკლია მხოლოდ წესდება და შენი პასუხი. მერე
წარვდგებით, სადაც ჯერ არს, და ძალიან გესურს, რომ იმ
დღისათვის შენგანაც მოგვივიდეს თანხმობაო.

ამცნობდა, რომ თუმც ოფიციალურად ჯერ არ გამოჩე-
ნილიყვნენ, მაგრამ გახმაურებას ახალი ლიტერატურული
გაერთიანების შექმნისა უკვე დიდი ჩოჩქოლი გამოეწვია
მწერლებში. საზოგადოებაც ძალიან დაინტერესებულიყო.

ამ გაერთიანების თაოსანს ყველაზე მეტად ეამაყებოდა
ის, რომ უმთავრესი დულაბიც — ძმობა და პატივისცემა —
მრავლად დაგროვებოდათ.

მუშაობის გეგმას დაწვრილებით დაბრუნების შემდეგ
გააცნობდა. პირველ რიგში აღმანახის გამოცემა მზადდე-
ბოდა და მასალები უკვე გროვებოდა.

— იმედია, შენც დაიჭექებ ძველებურად. ველით მოუთ-
მენლად ორიოდ ლექსს — მიყვარსა და მქუხარს. თუნდა
ლირიკა იყოს — შენი სახელი და ოსტატური ხელი ყოველი-
ვეს მოერევა... ჩაუჯექი წერას და მალე გამოგზავნე. აღ-
ბათ, დაწერილიც გექნება — გამოაცალე.

ამას კი სთხოვდა, ეს დეკლარაცია არავის ნაუკითხო,
დაე პირველად აღმანახში გაეცნონო.

და კიდევ:

— ცხადია, შენც გაიგე საბოლოოდ, რომ განზე სიარუ-
ლი დავინყებას უდრის. ერთმანეთი უნდა გავიტანოთ
ყველგან და ყველაფრით, თორემ უპატრონო ქათმებივით
შეგვჭამენ. მეტი გზა არ არის, ეპოქის ნაბიჯს უნდა ავყვეთ.

ცხადია, შენც გაიგე საბოლოოდ...

რაოდენ მარტოსულიც უნდა ყოფილიყო გალაკტიონი თავისი ბუნებით, უკვე ისიც უნდა მიხვედრილიყო, რომ განცალკევებული მოქმედება ამაო იქნებოდა, თუკი რალაც გუნდში არ გაერთიანდებოდა, მისთვის ყველაზე შესაფერისში. ამ აზრს მიეყვანა არიფონელებთან და მიხეილ ჯავახიშვილს ახარებდა მისი ეს გადაწყვეტილება: არ არის დასაკარგი კაცი ამხელა შემოქმედი და კარგია, რომ ორჭოფულად კი არა, სულითა და გულით ჩაერთო ჩვენს წრეშიო.

ისე რა შემზარავი შეგრძნებაა: უპატრონო ქათმებივით შეგვჭამენო.

დავიწყებას კიდეც რა უშავდა, შენს ამალღებულ მისწრაფებებს თუ არ დაგაკლავდნენ ზედ.

თურმე ისე არ შეხვდებოდნენ ერთმანეთს არიფონის ნევრები, რომ გალაკტიონიც არ გაეხსენებინათ.

დაებარებინა, ორ კვირაში დავბრუნდებო, მაგრამ აგერ ორი თვეც იწურებოდა და მისი ამბავიც არ ესმოდათ.

— ერთი წერილი მაინც მოგვწერე...

ბარათი ამ სიტყვებით ბოლოვდებოდა: დაბრუნდი განკურნებული. ყველანი ვითვლით არიფულ სალამს და აქედან გინვდით ძმურ ხელბოსო.

ორი დღის შემდეგ ვასო გორგაძის მოკლე ბარათიც დაინერებოდა გალაკტიონის სახელზე: გიგზავნი „არიფონის“ განცხადებას. დანვრილებით მიშა გნერს ყველაფერს და მე აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ იმედი მაქვს, როგორც ახლობელი ძმა და პატივისმცემელი — ყურადღილებ ყოველივეს და დროით გვაცნობებ შენს აზრს — საბოლოოსო.

„არიფონის“ დროიდან ვასო გორგაძის კიდეც ერთი წერილი შემორჩებოდა, ის უკვე 1928 წლის 19 იანვრით დათარიღებული, და ამცნობდა, რომ იმ საღამოს მისულიყო მიხეილ ოკუჯავას ბინაზე, გალაკტიონის მისამართის გამოსარკვევად. ეს „გამოსარკვევად“ აღარ მოეწონებოდა და ასე ამჯობინებდა: უკეთ, გასაგებადო.

— სახლში დამხვდა, მგონი, შენი ოჯახობა. გავიცანი და გამეხარდა, რომ ასეთი კულტურული ადამიანი ყოფილა შენი მეგობარი — ეს სხვათა შორის.

რა გასაკვირია, ოღია ოკუჯავას ასეთი შთაბეჭდილება რომ მოეხდინა სტუმარზე.

ახლა კი თხოვნა „არიფონისაგან“.

ალმანახის ბეჭდვას ამ დღეებში შეუდგებოდნენ და... უგალაკტიონოდ არ ივარგებდა პირველი ნომერი.

— და აბა, შენ იცი, ერთი კვირის ვადით — ე.ი. 28 იანვრამდის თუ მოგვანოდებ მასალას.

და ვასო გორგაძე ისარგებლებდა შემთხვევით და უღრმესი პატივისცემით მოიკითხავდა „ალბად, უკვე მოხუცებულს, ჩვენი ბავშვობის დიდ ნამამაგარს — დედას და ძვირფას აბესალომს“.

თუმც მანამდე ჯერ ადრეა.

ჩვენთვის მოგზაბადეთო, - ჯერ უნდა ნაებუზღუნებინა პაოლო იაშვილს.

ასეა თუ ისე უფრო გამწვავებას მოერიდებოდა და წყენას გულში ჩაიბრუნებდა, განსხვავებით სიკო ფაშალიშვილისა და იოსებ გრიშაშვილისაგან, რომელნიც შეეცდებოდნენ ამ სახელწოდების გამასხრებას: არიფი მოსულელის ნიშნავსო.

მწერალთა ყრილობაზე ტიცაიანი „არიფს“ რომ ასხენებდა, მაშინვე: ვინ არის არიფი, რა არის არიფიო, — აღრიალდებოდნენ ფუტურისტები ჟანგო ლოლობერიძის პირით.

ფუტურისტების ხსენება ძალაუნებურად წამოაგონებდა გალაკტიონს, რომ ბენიტი ბუაჩიძე უკმაყოფილებას გამოთქვამდა ეგრეთწოდებული თანამგზავრებით, სამაგიეროდ, მოიწონებდა ფუტურისტების მოქმედებას. და გალაკტიონი ამ გარემოებას მხოლოდ ასე ახსნიდა: ეს უნდა მიენეროს ვილაციის პროვოკაციასო.

ხოლო მიხეილ ჯავახიშვილი სამოქმედო გზად დისკუსიებსა და რეფერატებს რომ შესთავაზებდა თანამოაზრეებს, მხარს არ დაუჭერდნენ არც გერონტი ქიქოძე და არც კონსტანტინე კაპანელი, და მათ განზე განდგომას გალაკტიონი ასე ახსნიდა: ჩვენ გზას კი არ ვუკვლევთ „არიფებს“, დაე „არიფებმა“ ჩვენ გაგვიკლიონ გზა, ჩვენ გამოგვაჩინონ ლიდერებადო.

ასეთი მოსაზრება იმ განდგომის გამო გასჩენოდა? არა, უფრო დამაჯერებელი საბუთებიც მოეძებნებოდა და ეს საბუთები, ცხადია, მას უკავშირდებოდა — გალაკტიონს.

კონსტანტინე კაპანელი ერთხელ არ მისულიყო გალაკტიონის საღამოზე. ვითომ შემთხვევით? არც გერონტი ქიქოძე გამოჩენილა. ესეც შემთხვევით ვითომ? აგერ ლეო ქიჩილას უარი ეთქვა მისი სახობტო წერილის დაწერაზე. ვასო გორგაძესაც გაეწილებინა.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს?

შეკითხვა რიტორიკულია და ეჭვთან ერთად ნაღველიც თვალნათლივია. რალაც არაბუნებრივი გზით მიემართება ეს ყველაფერი და გაძნელებდა გაერთიანების შენარჩუნება ასეთ გარემოში. თორემ, აბა, მიხეილ ჯავახიშვილისათვის რატომ უნდა ეკადრებინათ უარი მის შესახებ გამართულ დისკუსიაში?!

და მეორედ შეიცვალდა „ჯავაოს ხიზნების“ შემოქმედს ამ მცირე ფრაგმენტში:

— საწყალი ჯავახიშვილი! ვაითუ სულ ჩაუვარდეს კოვზი ნაცარში.

მეტი რა ელონა, წინამძღოლობას არ წაპოტინებოდა თავის მიერვე დაარსებულ გუნდში, მაგრამ მის გავლენას მაინც ვერ მოითმენდნენ და, მგონი... მგონი, მთლად დაჩაგრასაც უპირებდნენ.

„ტემპერამენტიანი“ გამოსვლა ბევრს რომ არ უყვარდა და, მათ შორის, არიფონის ნევრებსაც, ეს გასაგები გახლდათ გალაკტიონისათვის: ერიდებიან ორომტრიალის დაყენებას, მშვიდობიან პირობებში უფრო მოსახერხებელია მუშაობა. მაგრამ... უგამოსვლებოდაც რომ არ ივარგებდა?! ასეთ შემთხვევაში სამწუხარო შედეგი გარდუვალა შეიქნებოდა და, თუ ვინმესთვის უნდა დაებრალეებინათ სავალალო დასასრული, უპირველესად საკუთარი თავისათვის:

— ამით ძირს გამოვუთხრით „არიფონს“.

არადა, რა კარგი იყო ბანკეტი და ბჭობა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ჟურნალი, შეიქნებოდა თუ არა ერთმანეთში მტკიცე დამოკიდებულება, ითამაშებდა თუ არა როლს მათი ერთი მთლიანი ფრონტით გამოსვლა. კარგი იყო გადაწყვეტილება: მომდევნო კრება ორიგინალურ გარემოში მოენვიათ. ასეთ გარემოდ კი კახეთს შეარჩევდნენ.

23 აგვისტოს კიდეც ესტუმრებოდნენ ამ მხარეს, და გრიგოლ მუშიშვილიც რომ წაჰყვებოდათ, ბანკეტზე თავს გამოიდებდა: არიფონისთანა ჯგუფი საქართველოში არ არსებობსო, ეს არ არის ძველი მწერლების მსგავსი გაერთიანებაო. ლაპარაკში ახსენებდა ნიკოლო მინიშვილსაც, რომელსაც სჩვეოდა, მისულიყო ცენტრალურ კომიტეტში და ეთქვა: მწერლები მოითხოვენო; მწერლებთან მისულიყო და... ცეკა მოითხოვსო, ემტკიცებინა. თამადად პეტრე

ქავთარაძე დაეყენებინათ და მისი დამსახურებაც უნდა ყოფილიყო ის სიცილი, მხიარულება და სიმღერა, რომელსაც გალაკტიონი ასეთი ხალისით მოიგონებდა ხოლმე.

პატარა ნაწყვეტში ორჯერ ჩამოთვლის სტუმრების სიას და ორჯერვე შეკვეცილად, პირველად მინც განსაკუთრებით. და დღიურის ამ ჩანაწერს შთამაგონებელი ფრაზით რომ მოუნდომებს დამთავრებას:

— არ უნდა დავივიწყოთ ჯავახიშვილის სიტყვები: მწერლები ქეიფობენ...

ნირნამხდარი დასძენდა: ვისთანაო, აღარ მახსოვს.

ნეტა რა ეთქვა ამისთანა, გალაკტიონი საგანგებოდ ჩანიშვნას რომ აპირებდა... და ნეტა რამ დაავინცა? მართლა დაავინცდა თუ?..

24 აგვისტოს, თბილისში დაბრუნებულს, ლეო ქიაჩელი შეხვდებოდა და ეს გაუზიარებდა: კარგი იქნება „არიფს“ ჰქონდეს ყოველკვირეული გაზეთით. ის მაშინვე დაეთანხმებოდა: დიდებული იქნებაო. გამოივლიდა სანდრო შანშიაშვილი და ამ სურვილს რომ შეიტყობდა: მეც ხომ მაგას ვამბობო, — გაეხარებოდა.

— გადავწყვიტეთ მომავალ კრებაზე დავსვათ ეს საკითხი.

ყველაფერი კარგად წავა, თუ იმ ორმა ფილოსოფოსმა არ გააფუჭა საქმეო...

იქნებ მანამდე თვითონაც ფიქრობდა ასე გალაკტიონი, ან ეგებ შალვა დადიანის ამ ფრაზამაც უბიძგა უფრო დაკვირვებოდა ამ ორი პიროვნების მოქმედებას და თავის ჩანაწერებში პლუტარქესებური პარალელიზმის მოშველიებით ორივეს ფსიქოლოგიური პორტრეტი წარმოეჩინა.

— არის რაღაც იდუმალი ბრძოლა ამ ორ პიროვნებას შორის... ერთი წარმომადგენელია სკეპსიზის, მეორე ორგანოტროპიზმის, მაგრამ აქ უნდა იყოს აგრეთვე ბრძოლა პირველი იდეოლოგიის მოპოებისათვის.

იდუმალი ბრძოლა იმას მიანიშნებდა, რომ ისინი ისედაც ვერ რიგდებოდნენ, და თუმც სააშკარაოზე არ გამოუტანიათ რაიმე უთანხმოება, მაგრამ შინაგანი ჭიდილი დაკვირვებული თვალისათვის ამოსაცნობი გახლდათ; და ახლა ერთ ჯგუფში მოხვედრა ძალაუვნებურად უბიძგებდა ორივეს — გადაესწრო ფარული მეტოქისათვის, თორემ მიხეილ ჯავახიშვილის გადანევა გვერდზე სულაც არაფერს ნიშნავდა მათთვის.

გალაკტიონისათვის გერონტი ქიქოძის სკეპსიზი მარტოდენ მსოფლგანცდა კი არ გახლდათ, არამედ დამაშინებელი იარაღი ანალიზისათვის ანუ ფილოსოფიური სიდიხის იარაღი.

— ეს კი საჭიროა ავტორიტეტისათვის, რომ იგი იცნონ „არიფონი“-ს ლიდერათ, წინააღმდეგ კაპანელისა. „არიფონიში“ იგი მართლაც სკეპტიკია, თვითეულ ნაბიჯს სკეპტიკურად უყურებს, რომ სხვას გადაუდგეს წინ, დაასწროს

შემდეგ გამოსვლა და იგი უკვე მოქმედობს, როგორც მეთაური საზოგადოების წინაშე.

ნიგნში მოათავსებდა სახელმძღვანელო წერილებს და აგრეთვე წერილს შინაარსით „არიფონი ჰერეთში“?

მაშასადამე აქ იგი „არიფონის“ წარმომადგენელი გახლდათ და ლაპარაკობდა ამ სამწერლო გაერთიანების სახელით.

„ქართულ მწერლობაში“ მოათავსებდა ბიბლიოგრაფიას არიფის ხელმოწერით?

ეს კი თვითნებობა გახლდათ, რადგანაც ჯერჯერობით (ვინც უნდა ყოფილიყო იგი) ეს ნიშნავდა 12 კაცის (რატომ 12, აკი 14 იყვნენ?) სახელწოდების დასაკუთრებას ერთი პიროვნების მიერ და სწორედაც ამას ცდილობდა გერონტი ქიქოძე.

შემდეგ გამოვიდოდა მწერალთა კავშირის კრებაზე, როგორც არიფონის წარმომადგენელი და ავტორიტეტულად ილაპარაკებდა „არიფონის“, როგორც მთელი შემადგენლობის, პრინციპებზე, როგორც შემაკავშირებელ ბაზაზე წარსულსა და ახალ კულტურათა შორის?

აქ იგი უკვე ნამდვილ წინამძღოლად წარმოდგებოდა.

ამ გზას კვლავაც გააგრძელებდა და ასევე იმუშავებდა მომავალშიც ხელმძღვანელობის სადავეების ხელში ჩასაგდებად და, გალაკტიონის ვარაუდით, არც არავინ შეუშლიდა ხელს, თუ ეს კულტურული ფორმით „იმდინარეებდა“.

თვითონ ხომ არ აპირებდა და არა ხელის შეშლას, რადგანაც გერონტი ქიქოძე მისთვის პრინციპულად მისა-

ლები იყო, მაგრამ... ვაითუ მიემართა ჩვეულებრივი პროვოკაციული გზებისათვის გალაკტიონსა და სანდრო შანშიაშვილს შორის უქმყოფილების ჩამოსაგდებად?.. მაგრამ ამ ეჭვს მაშინვე უარყოფდა: საზოგადოდ მას ჩემთვის ხომ არა დაუშვავია რა და ეს კარგია, რომ მე ვიცი მისი შინაგანი ბუნებაო.

ხოლო კონსტანტინე კაპანელი... იგი აკი ორგანოტროპიზმს ეყრდნობოდა. ამტკიცებდა: ეს პოზიცია ყველაზე უფრო მისაღები უნდა იყოს „არიფონისათვის“ როგორც რეალური და უაღრესად თანადროული, შეგუების პოლიტიკაო, — და ამ იარაღით მოენადინებინა „არიფონის“ ლიდერის პოსტი. საამისოდ კი დაიწყებდა დაცვას თანამედროვე პროლეტარიატის დიდი როლისა ხელოვნების საქმეშიც.

ამას ადასტურებდა მისი წიგნები.

ამას ადასტურებდა მისი გამოსვლაც მწერალთა კავშირის კრებაზე.

დარწმუნებული გახლდათ: ორგანოტროპიზმი ორიგინალურზე ორიგინალური თეორიააო, — და ნუხდა, რომ სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. სურდა „არიფონში“ გაემეფებინა ორგანოტროპიზმის იდეა და გალაკტიონს მისი ეს მცდელობა ჭკუაში უჯდებოდა და სახსვებით შესაძლებლად მიაჩნდა, წინააღმდეგ გერონტი ქიქოძის სკეპსიზისა. და, „არიფონი“ მართლაც დადგომოდა ამ გზას,



მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე

ოლონდ... ოლონდ მიემატებინა კი ქიქოძის სკეპსისი, როგორც შემადგენელი ნაწილი ორგანოტროპიზმისა.

მის ამ სურვილსა თუ ვარაუდს რა უჭერდა მხარს?

განწყობილება, რომელსაც ინვევდა ამ ორი იდეის შეპირისპირება. დიდი რამ ბჭობა და დავა-კამათი არ დასჭირდებოდათ, რათა იქით გადახრილიყვნენ, და ეს იმიტომ, რომ:

— ჩვენ გვგონია, ორგანოტროპიზმი იგივე რეალიზმია. სკეპსიზმი ქიქოძის ცოტაოდნავ მაინც არის რომანტიული. „იდეალიზაციის წარსულს“ ვერ მიუდგება ორგანოტროპიზმი.

გერონტი ქიქოძე კი დარჩებოდა „წარსულის იდეალიზაციის“ ლიდერად, ბევრიც რომ ეუარა.

საერთო შთაბეჭდილება, რომ კაპანელი გამოვიდა ქიქოძის თანამომხსენებლად, გალაკტიონისათვის კარგს არ მოასწავებდა, რადგან ეს უკვე ნიშნავდა „არიფიონში“ შინაურ უთანხმოებას.

— ეს უთანხმოება ძირშივე უნდა ჩაიკლას, რათა შემდეგში „არიფიონი“ გამოვიდეს ერთი სახით...

მაგრამ გალაკტიონს ის ფიქრიც გაუეღვებდა: იქნებ ორის გამოსვლას საზოგადოდ პოზიციის გამაგრების მნიშვნელობაც ჰქონდაო?!

ოოო, მაშინ ამ ყოველივესთვის სხვაგვარად უნდა შეეხედათ.

აჩქარება არ ივარგებდა, მაგრამ არც ის ივარგებდა, უთანხმოება გაღვივებულიყო, თორემ მერე ვერავინ ველარას გაანწყობდა.

— რა თქმა უნდა, „არიფიონმა“ უნდა ჩასწეროს ერთი საუკეთესო ფურცელთაგანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ამ იმედოვნებისათვის კი შესაძლოა ფრთა შეეკეცვა გერონტი ქიქოძის გამოსვლასა და ფარულ წადილს, მახეში გაება მთელი „არიფიონი“ და წაერთმია საშუალება გამოსვლებისა. და ეს იმ დროსა და ვითარებაში, როდესაც ფუტურისტები მოითხოვდნენ ყოველგვარ ლიტერატურულ გათანაბრებას ანუ მთავრობის მხრივ თანაბარი პირობების შექმნას ყველა ლიტერატურული ჯგუფისათვის.

მაშ... დასაყრდენად კონსტანტინე კაპანელი უფრო გამოდგებოდა.

და გალაკტიონის ამ ვარაუდს ის ფსიქოლოგიური დაკვირვება განამტკიცებდა:

— ქიქოძე უფრო ინდივიდუალური გზით მიდის, ვინემ კაპანელი. კაპანელი უფრო საზოგადოებრივია.

ასე შეჯამდებოდა პლუტარქესებური შედარება ამ ორი ფილოსოფოსისა ჯგუფობრიობის თვალსაზრისით. და გალაკტიონი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შესწავლას რომ გააგრძელებდა, ამჯერად პროლეტარულ მწერლობასა და არიფიონს შეუდარებდა ერთიმეორეს, პროლეტარული მწერლობის, რომლის ასოციაციაც თანდათანობით ივსებოდა უმთავრესად მატერიალურად არაუზრუნველყოფილი ფენებიდან, მუშებისა და გლეხების შეიღებისაგან, მოსწავლე-ახალგაზრდობისაგან („აქედან არსებობს დამოკიდებულება პროლეტარული მწერლის ფსიხოფიზიკური განსაკუთრებულებათაგან, გარემონის პირობებთაგან“); ხოლო „არიფიონის“ ჯგუფი შედგებოდა უკვე სწავლადამთავრებულ, ცხოვრებაში გამოსულ ხელოვანთაგან: ექიმი, ინჟინერი, ვეჟილი, საბჭოთა მოსამსახურე (შვილები).

ამ მასალის დაგროვებასა და შესწავლას უნდა გაემყუდებინა საგულისხმო შედეგები, აეხსნა ერთმანეთში ორის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, სოციალური ყოფის

პირობებსა და, მეორე მხრივ, მწერალთა ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით.

ინტელიგენტური წრეების ბავშვები თავიდანვე იმყოფებოდნენ ინტელექტუალური განვითარების შედარებით ხელსაყრელ პირობებში, მათ გარშემო გადაშლილიყო ნიგნები, სურათები, სალმშენებლო მასალები და ბავშვი თავისდაუნებურად სწავლობდა წერა-კითხვასა თუ ხატვას დედ-მამისა ან უფროსი დებისა და ძმების შემწეობით. არ აკლდათ მოვლა-პატრონობა და ზოგიერთს შინ დასდიოდა აღმზრდელი. ამიტომაც 10-12 წლისანი ინტელექტუალურად საკმარისად იყვნენ განვითარებული, მაშინ, როდესაც დაბალი წრეები ჩვეულებრივ ამ დროს იწყებდნენ განვითარებას.

ძალზე შემწყნარებელი მოჩანს გალაკტიონი პროლეტარული მწერლობის მიმართ, უთანაგრძნობს, გამართლებას უძებნის, და ვერ გრძნობს იმ დიდ, საბედისწერო საფრთხეს, რაც მათ მომძლავრებას მოჰყვება, ხელისუფლების პროპაგანდისტ-აგიტატორებისა და სიცრუისა და სიყალბის დამამკვიდრებლების, უღმობლად რომ გაუსწორდებიან ნამდვილ მწერლებსა და ნამდვილ მწერლობას... გახელეხული, ველური ჟინით რომ დაეუფლებოდნენ ყველაფერს, გაგლეჯდნენ და მიისაკუთრებდნენ, და გალაკტიონსაც სიცოცხლე გაუმწარებდნენ, თითქოს ისე აკლდა შევიწროება თუ ათვალწუნება, შური და ქიშპი... თითქოს ისედაც არ მოსწეოდა დაწყვეტილი პოეტის ბედი!..

ნაცვლად ყოველკვირეული გაზეთისა, დასაწყისისათვის მაინც კრებულის გამოცემას ამჯობინებდნენ „არიფიონის“ სახელწოდებით, მანიფესტს რომ წარუმიძღვარებდნენ, და თუმცა გალაკტიონი მანიფესტსაც ხელს მოაწერდა და ამ ჩანაწერთა მიხედვითაც თავგამოდებულ წევრად მოჩანს, კრებულში ერთ ლექსსაც არ დაბეჭდავდა... ვერ აუდიოდა მათ თავმოყრას, იმდენი ჰქონდა, და „არიფიონისათვის“ ერთი მაინც რატომ არ გაემეტებინა?

— შემოქმედებითი პროცესი უაღრესად ინტიმურია და პიროვნული, — აღნიშნულიყო კრებულის შესავალში, — მაგრამ მხატვრული სტილის შექმნას აადვილებს კოლექტივი, რომელიც აერთიანებს თავის წევრებს სულიერი ნათესაობის საფუძველზე, ახალი შეგნების, შეგრძნობისა და გემოვნების დასამკვიდრებლად.

არიფიონელთა მიზანი რა გახლდათ?

ორთქლისა და ელექტრონის ეპოქას სრულიად სხვანაირი ესთეტიკური გემოვნება და შეგრძნება მოეტანა, ვიდრე ეს არსებობდა აბჯარ-კოშკების ხანაში; თანამედროვე დიდ ეპოქას ახალი ადამიანი წარმოემევა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნობა, მორალი და გემოვნება მიენიჭებინა, მაგრამ ამ ადამიანს ვერ ეპოვნა თავისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. და ამიტომაც დაესახა ასოციაცია „არიფიონს“ მიზნად ამ სახის გაცხადება ლიტერატურაში.

ხელოვნებისა და მწერლობის განახლება არ გულისხმობდა ძველი კულტურის უარყოფას, არამედ:

— მასში დამარხულ ზნეობრივ-ესთეტიკურ ღირებულებათა გამოყენებას დღევანდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით.

ახლის ძიებას ქართული ლიტერატურა საუკუნის დასაწყისშივე შედგომოდა, ხოლო არიფიონი აკავშირებდა იმ მწერლებს, რომელთაც ამ გზაზე უკვე შეეძინათ საკუთარი გარკვეული სახე მეტყველებისა და ესთეტიკის ხილვის.

არიფიონის წევრთა წარსული და ამჟამინდელი ლიტერატურული მოღვაწეობა ადასტურებდა, რომ ეს ასოციაცია ხელს შეუწყობდა თავის წევრთა შორის და ყველგან მხატვრული მეტყველებისა და აზროვნების კულტურის, ქართული სიტყვისა და თქმის დანმენდას და ადამიანობის კულტის განმტკიცებას.

შესავალი არ გახლდათ ვრცელი, ოღონდ მის ვინრო ჩარჩოში ბევრი რამის გაცხადება მოეხერხებინა მიხეილ ჯავახიშვილს, ისე მარჯვედ აეგო მსჯელობა, რომ ადვილად ვერავინ წაედავებოდა. ახალ მონესეთ ბევრიც ეჩხრიკათ მისი ტექსტი, ხელზე ვერაფერს დაიხვევდნენ.

სამაგიეროდ, თვითონ კრებულში მიაგნებდნენ ხელზე დასახვევს და...

* * *

კრებულის მეორე — სავარაუდო — ნომრის თაობაზე რომ ჩაინიშნავდა თავისთვის გალაკტიონი:

— მეორე ნომერი უნდა გამოირჩეოდეს დიდი კულტურით. არ უნდა იქნეს ვინრო ჯგუფი, მარტო ერთმანეთისათვის.

მკაფიოდ გამოსჭვივის შეფარული საყვედური პირველი ნომრის მიმართ, უკმაყოფილება მისი ვინროჯგუფობრიობით... მაგრამ განა გალაკტიონის ლექსების მიმატება დაამძიმებდა ამ ვინროჯგუფობრიობას? თუკი ასეთი პრინციპული პოზიცია ჰქონდა, ცხადია, პროტესტი კი არ უნდა განეცხადებინა, ჩემი მხრივ არაფერს წარმოგიდგენთო, არამედ ეზრუნა სხვათა, არიფიონელთა, ნაწერების მოძიებაზე — ვითომ მტკიცედ გადაუდგებოდა წინ ვინმე, ან ნამდვილი მეთაური და ან მეთაურობის მსურველი? არა, არცაა მოსალოდნელი, რომ გალაკტიონის პოეტურ ნიმუშთა არარსებობა „არიფიონის“ პირველ კრებულში პროტესტით ან რაიმე ამგვარით აიხსნას. ეტყობა, რაღაც განსაკუთრებულად ესახებოდა თავისი გამოჩენა ჟურნალის ფურცლებზე, უჩვეულო შთაბეჭდილება რომ უნდა მოეხდინა საზოგადოებაზე, აი, ისეთი, „მნათობისეულმა“ ასი ლექსის პუბლიკაციამ რომ გამოიწვია და ლამის გადარია მთელი თბილისი. უთუოდ საამისოდ ეშხადებოდა და პირველი ნომრისათვის ვერ მოასწრო, თორემ...

დიდად კი ეიმედებოდა „არიფიონის“ მომავალი და სიასაც შეადგენდა, თუ რა შემთხვევები იყო მოსალოდნელი მის და მის თანამოაზრეთა გამოსვლებისათვის.

გამოეხმაურებოდნენ 1 მაისს, როგორც მუშათა დღესასწაულს, და 7 მაისს — როგორც პოეზიის დღეს, გაამზადებდნენ „არიფიონის“ მეორე ნომერს და... გალაკტიონის იუბილეს, გამართავდნენ სალიტერატურო საღამოებს, ექსკურსიებს მუშებში (ფაბრიკა-ქარხნებში, უმთავრესად გასაცნობად), საღამოებს მუშათა რაიონებში, დელეგატებს გაგზავნიდნენ მთავრობასთან, დანიშნავდნენ „არიფიონის“ კვირადღეს, ყოველწლიური ბიულეტენით აღნიშნულს, გაგზავნიდნენ კაცს ურთიერთობის გასაბმელად რუს მწერლებთან, ან ერთიანად გაემგზავრებოდნენ მოსკოვში, დახვედებოდნენ მაქსიმ გორკის და აღნიშნავდნენ ლევ ტოლსტოის იუბილეს.

იმედოვნებით იმედოვნებდა, რომ თბილისში ძნელად აღმოჩნდებოდა ისეთი პიროვნება — გარდა რამდენიმესი — რომელნიც იტყოდნენ, რომ გალაკტიონი არ იყო ღირსი, დაფასებულიყო მისი ოცნლიანი სალიტერატურო გარჯა, მაგრამ, ცხადია, ეს არა კმაროდა, თუ შესაფერისად არ დამუშავდებოდა საზოგადოებრივი აზრი: ეს მწერალთა კავ-

შირო, ეს ხელოვნების სასახლეო, ეს ცენტრალური კომიტეტი, ეს ცეკას ბეჭდვითი განყოფილებაო, ეს განათლების კომისარიატიო, ეს სახელგამიო, ეს მუშათა სასახლეო, ეს მთავრობაო, ეს „არიფიონი“.

— თვითეული ამ დანესებულებათაგანი ღირსია ამ საქმეში უდიდესი ყურადღებისა...

მაგრამ ყველაზე ფრთხილი ნაბიჯიც რომ იყო გადასადგმელი ნიადაგის მოსამზადებლად, ეს მწერალთა კავშირში. და ეს იმიტომ, რომ იქ განსაკუთრებით ჭირვეული ხალხი თავმოყრილიყო.

თუ მთელი გეგმა არ შეიქმნებოდა მის დასამორჩილებლად, ისე არაფერი გამოვიდოდა. და კიდევ მოხაზავდა ზოგადად გეგმის კონტურებს:

— შესწავლილი უნდა იქნას მთელი რიგი მწერლებისა, რომელიც გავლენ ნევრებათ მომავალ გამგეობაში და თვითეულის მიმართ ცალ-ცალკე პოლიტიკით და შემდეგ საერთო გზის საშუალებით გამოტანილ იქნას ამის შესახებ რაიმენაირი დადგენილება.

მასშტაბური ჩანაფიქრია!..

თვითეულის მიმართ ცალ-ცალკე პოლიტიკით... მაგრამ რას იზამ, თუკი მათ ჭირვეულობას სხვაგვარად ვერ მოუვლი.

ისე ამ ცალ-ცალკე პოლიტიკას რა სჯობს, მაგრამ რისი იმედი ჰქონდა ამ ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად?

რისი და... ცხოვრების, რომელიც თვითონვე ასწავლიდა, რა სახით მიეღნია წარმატებისათვის.

ის უკვე იცოდა, რომ ამთავითვე უნდა გამოეგნოდა ძველ პოლიტიკას მეგობრული ბანკეტებისა, რომელსაც, მისი დაკვირვებით, უფრო მეტი ზიანი მოჰქონდა, ვიდრე სიკეთე. ოჯახური პოლიტიკა — აი, საუკეთესო საშუალება.

და კიდევ ლიტერატურული ზეგავლენის პოლიტიკა. რასაკვირველია, თავიდანვე უნდა ეგულისხმა დაუძინებელი („გაუსწორებელი“, თვითონ ამ ეპითეტს ამჯობინებდა) მტრებიც.

ნეტა როგორ გაგრძელდებოდა გალაკტიონისა და „არიფიონის“ ურთიერთობა, ეს სამწერლო გაერთიანება მალევე რომ არ შენარცხებოდა ახალ მონესეთა ყრუ კედლებს?.. არა, არ დაანებებდნენ არსებობას.

* * *

გერონტი ქიქოძე ავტობიოგრაფიულ რომანში „თანამედროვის ჩანაწერები“ ლაკონიურად გაიხსენებდა „არიფიონის“ ბიოგრაფიას. მისი დაარსების თაოსანს ცალკე სულაც არ გამოყოფდა და ამ შენიშვნას იკმარებდა: ამ ასოციაციაში მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად მეც შევდიოდით. აღნიშნავდა იმასაც, რომ ასოციაციის კრებულს დიდი შემოტევა გამოეწვია როგორც პარტიულ პრესაში, ისე კრებებზე. განსაკუთრებულად გავლიზიანებინათ მიხეილ ჯავახიშვილის ნოველას „დამპატიჟე“ და გერონტი ქიქოძის დიალოგს „არიფიონი ჰერეთში“.

„არიფიონი ჰერეთში“ დიალოგის სტრუქტურაზე აიგებოდა. კრიტიკულ-ესთეტიკური ჟანრებისათვის ნიშანდობლივია ეს ფორმა პირნიშნად მხატვრული თვალსაზრისითაც, ოღონდ მკაცრი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მარჯვე ხერხიცაა შენი სათქმელის გასამჟღავნებლად: დისკუსიის, კამათის ილუზიას ქმნი და ამით ნამდვილ სატკივარსაც შემოაპარებ, ისე, რომ ვერავინ წამოგედაოს.

უფრო ზუსტად — ყოველთვის ვერავინ.

თორემ აგერ გერონტი ქიქოძის დიალოგური ესეიც ვერ გადაურჩებოდა შერისხვას, მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრის მტკიცებას მოჰყვებოდა, რევოლუციასა და კომუნისტურ იდეალებს ჩვენი გაერთიანება არამცთუ არ ეწინააღმდეგება, არამედ მისი სულისკვეთებითაა განმსჭვალული.

მაშ ცალკე რატომ მიიღტვოდნენ:

წარსულ საუკუნეთა მოგონებანი სწორედ კომუნიზმის ეპოქამ გაგვიღვიძაო, — თავდასაცავად ეს მოეშველიებინა, — თემობრივმა გრძნობამ დაიცვა ქართველი ხალხი გადაგვარებისა და გადაშენებისაგან, უიმისოდ ჩვენი წინაპრები ვერ გაუძლებდნენ უცხო ნათესავის შემოსევას, შეუჩრებელ ომებს, სილატაკეს, ვერ აიტანდნენ მსოფლიო იმპერიების სიმძიმეს, ვერ გაუმკლავდებოდნენ ბიზანტიის იმპერატორებს, მონღოლ დამპყრობლებს, სპარსეთის შაჰებსა და რუსის მეფეებსო.

დაახ, იმ მეფეებს, რომელთა უკანასკნელი წარმომადგენელიც რევოლუციას ჩამოეგდო და ტახტი სულაც გაეუქმებინა.

ქართველი კაცისათვის უზენაესი კანონი რა გახლდათ? თემის ინტერესი და თემის ბრძანება.

თვით ქალაქებშიც აგერ, გერონტი ქიქოძის თაობამდე მოელწია შუა საუკუნეთა კორპორატიული სულს და ჯერაც გუშინ ტფილისის, გორისა და სიღნაღის ქუჩებში ამქრები დადიოდნენ მრავალფერადი დროშებით.

და იმ იდეოლოგიურ ილეთსაც შემოაცურებდა: „ერთობა“ გამათავისუფლებელი მოძრაობის დროს ყველაზე საყვარელი სიტყვა იყო ქართველი გლეხისთვისო.

რაო, რას შეიძლება წასაღებოდნენ „ცნობისმოყვარე ახალგაზრდად“ გასიმბოლოებული ახალი მოწესენი? — თქვენთვის პოლიტიკურ ორიენტაციას იმხელა მნიშვნელობა არა აქვს, რამხელაა ცეროვნული ენერჯის შენარჩუნებასა და კულტურული ტრადიციის ჯაჭვის უწყვეტობასო?

თავისთავად ცხადიაო, — უკან არ დაიხევდა გერონტი ქიქოძე, ოღონდ მოჰყვებოდა მტკიცებას, რომ რალაც შინაგანი კავშირი არსებობდა ძველ, არისტოკრატიულ საქართველოსა და ახალ, სოციალისტურ საქართველოს შორის; და რომ საბჭოთა ქვეყნების ერებს შორის ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულიყო კულტურული და სახელმწიფოებრივი ტრადიციებით და დღევანდელი ქართველი ამიტომაც იჩინდა ისეთვე შეუდრეკელობას რევოლუციის მემკვიდრეობის დაცვაში, როგორსაც ჩვენი წინაპრები სარწმუნოებისა და ეროვნულ თავისებურებათა დაცვისას.

და შთამაგონებლად დასძენდა:

— ეს თუ გნებავთ ერთგვარი რელიგიური ექსტაზია.

რაო, ნუთუ ერთნაირად აინტერესებდათ ამ გუნდის წევრებს მწერლობა და პოლიტიკა?

არიფიონელები ხომ ერთმანეთისაგან არა თიშავდნენ კულტურის სხვადასხვა დარგს და ოცნებობდნენ ისეთი ადამიანის მოსვლას, ვინც დილექტანტობის საზღვრებს გადალახავდა, მაგრამ ყოველმხრივი ინტერესით იქნებოდა განმსჭვალული, როგორც თუნდ იოანე ბატონიშვილი, დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი...

ვაქირიდან დაბრუნებულნი თავს შეზარხოშებულებად რომ გრძნობდნენ, ეს უფრო ნანახითა და განცდილით, ვიდრე ღვინით. და საერთოდ, თუმც „არიფი“ თანამესუფრეს ნიშნავდა, ხოლო „არიფონი“ შეზარხოშებულ ადამიანთა კავშირს, ამ შემთხვევაში სხვაგვარად გახლდათ:

— ჩვენ ვითრობით არა ღვინით, არამედ ურთიერთ შთაგონებით და შემოქმედებით.

და შეახსენებდა მკითხველს მრგვალ მაგიდას, რომელსაც კელტთა მეფე არტური და თორმეტი რაინდი შემოსხდომოდა გარშემო და ერთმანეთს „პარსიფალის“, „ტრისტანის და იზოლდას“ და „ლანსელოტის“ თავგადასავალს უამბობდნენ. მოიგონებდა პლატონის მიერ აღწერილ ნადიმსაც, სადაც სოკრატე და მისი მეგობრები სიყვარულის იდეას არკვევდნენ.

და შეგონებად გადმოისროდა:

— საქართველოში, სადაც... ასე ძლიერია კლასიკური კულტურისა და საშუალო საუკუნეების რაინდობის ტრადიციები, მეგობრული სუფრა შემოქმედებისა და დახვეწილი გემოვნების დასაწყისშია და ბევრს ჩვენს მწერალს არგებს, თუ ის განმარტოებული კაბინეტიდან ან მტვრიანი წიგნთსაცავიდან ხანდახან გაშლილ სუფრას დაუბრუნდება.

გადიკითხავდა ვაქირში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე აგებულ დიალოგს, მიხეილ ჯავახიშვილსა და სხვებსაც ნააკითხებდა და დაიმედებოდა: თქმით ყველაფერია ნათქვამი და თან მახვილგონივრულადაც შეფარულიო...

არც ისე შეფარული თურმე!..

განსაკუთრებით გაელეზიანებინათო...

მწერალთა კავშირში რამდენიმე საგანგებო სხდომაც გაიმართებოდა, სადაც კომუნისტი და უპარტიო მწერლები არიფიონელებზე იერიშს მიიტანდნენ ფილიპე მახარაძის მეთაურობით, ვინც მთელს მათ იდეოლოგიას „წარმართული მისტიციზმის“ სახელით მონათლავდა.

ეს ის ბრალდება გახლდათ, უკვე განაჩენიც, რაც წინასწარვე გულისხმობდა ამ ასოციაციის განადგურებას.

ესენი ადვილად დათმობას არ აპირებდნენ, მაგრამ ბრძოლა „არიფიონის“ წინააღმდეგ კარგა ხანს რომ გასტანდა:

— ზოგიერთი ჩვენი თანამებრძოლი შედრკა და დაშინდა, და ჩვენ იძულებული გახვდით თვითლიკვიდაცია მოგვეხდინა.

ალარ დაგვიზუსტებდა შედრეკილ-შეშინებულთა ვინაობას, ისევე, როგორც დუმილს ამჯობინებდა ასოციაციის შიდაწინააღმდეგობის თაობაზე. კონსტანტინე კაპანელს სულაც არ ახსენებდა ამ პასაჟში და ამით მოათავებდა მასთან იმ შეურთველ დაპირისპირებას, რასაც შესაძლოა ისედაც დაეშალა ეს სამწერლო გაერთიანება.

ეგაა, პარტიულ-ჩეკისტური შემოტევების ქარცეცხლში ალარ მოექცეოდნენ და ალარც მერე იქნებოდნენ გამუდმებულ შიშში: ვინ იცის როდის და რანაირად წამოგვაკეცავნო.

არა, ნეტა გალაკტიონი თუ შერჩებოდა ამგვარ გაერთიანებას ბუნებრივ პირობებში?!

პირველობისაკენ ყოველთვის მიმსწრაფი „არიფონში“ არ მიელტვოდა ლიდერობას და შორიდან ადევნებდა თვალს ფარულ ჭიდილს, ოღონდ თავის თავზე კი უნდა მოერგო ეს ასოციაცია, თორემ სხვაგვარად, მოსალოდნელია, იქ ყოფნის ხალისი დაკარგოდა და ისევე გამოსცლოდათ, როგორც ვერც სხვაგან მოეკიდებინა ფეხი.

თუმც... ზედმეტად ნულა ჩავეძიებით.

ახალი რეჟიმი არ მოითმენდა მწერალთა ამ გუნდის გაფართოებასაც, არ მოითმენდა და კიდევ ალკვეთდა.

მაცაცო ლოსაბერიძე

„და დაფარვატებს ადამიანი-პეპელა აუთვლელ დროში“

დრო მატერიის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, მარადიული და განუზომელი. ადამიანი გაჩენის დღიდან ეჭიდება მას — ზომავს და ითვლის, ანაწილებს, გაჰყავს და ატარებს. ის კი გარინდულია პირობითად შეკრულ ჩარჩოში — ანმყოფ, წარსულად, მომავლად დანაწევრებული. გვეგონია, მიდის, და სახელებსაც ვურჩევთ: წამიდან...საუკუნემდე სხვადასხვა ხანად და ეპოქად წარმოვისახავთ და საერთოდ, ჟამის მდინარეებს ვეძახით.

უძველეს ქართველს დროისათვის ჟამი უწოდებია, მაგრამ ჩვენს ლექსიკაში მსგავსი ბგერითი შედგენილობის და მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვაც მოიპოვება:

ჟამი — შავი ჭირი ან უჟმური.

საინტერესოა, რომელი მნიშვნელობით გამოიყენა პირველად ქართველმა სიტყვა „ჟამი“? ან რატომ გაჩნდა ასეთი ომონიმი? და თუ გაჩნდა, სიტყვა „ჟამით“ რატომ გამოთქვა „დრო“ ან „ჭირი“?

აღბათ იმიტომ, რომ არასოდეს ყოფილა უჭირო დრო, უჟამო ჟამი. ყველას თავისი დროის ჭირი ადევს ტვირთად. ყველა დროს მოველინება კუდიანი, კვიმატი ვარსკვლავი, რომელსაც მოაქვს თავისი ტკივილ-წუხილი, დარდი და სევდა.

„არ არსებობს დრო, რომლის ათვლაც ერთნაირად შეიძლებოდაც ყოველი წერტილიდან. დრო მიდის და დაფარვატებს ადამიანი-პეპელა აუთვლელ დროში, უთვალავი ფერით მოზოძებულ წუთისოფელში.“

ასე შეაფასა ადამიანისა და დროის თანხვედრა რეზო ჭეიშვილმა რომანში „კუდიანი ვარსკვლავი“, რომელშიც იგი თავის ჟამზე წერს, თავის წილ სევდა-წუხილზე. ესაა დოკუმენტური პროზა, მწერლის ფანტაზიის დიდი წილით. თუმცა, რატომ ფანტაზიის, რომანში მოთხრობილი ყველა ამბავი რეალურია, რომელიც ჩვენს ახლობლებს, ნაცნობებს გადახდათ და ახლა დაუჯერებლადაც გვეჩვენება.

ეს მწერლის გონებაში შემორჩენილი ამბებია, რომელიც სიყმაწვილიდან დაამასხოვრდა, ამიტომ რომანის ყოველი სტრიქონიდან იგრძნობა, „როგორ ზრიალებენ მასხოვრობაში წარსულის გაცრიატებული სურათები“:

„ქალაღმზე უნდა გადამეტანა ის, რაზეც ფიქრიც არ შეიძლებოდა, თუმცა დროის ცვალებადობა იგრძნობოდა, იგი იცვლებოდა კიდეც და იმედიც კრთოდა...“



რეზო ჭეიშვილი

მინც დროს ველოდი: დრო მოსულიყო და წასვლას აპირებდა. დრომ გამასწრო. ისე კი, დრო მუდმივია ჭეშმარიტი ხელოვანისათვის, — ის არც მიდის და არც მოდის, ნაქნარი თუ ფასს კარგავს, დროის ცვალებადობის მიხედვით, ის ნაქნარი არაა, დრომ ვერ უნდა მოსპოს, ვერც უნდა გაახუნოს ფოლიანტები.”

ვერ გაახუნა, ვერც დაიტია და გადმოიღვარა კიდეც.

რომანი „კუდიანი ვარსკვლავი“ მარადიული ხსოვნის განცდით დაწერილი ნაწარმოებია. მწერალი წინაპართა ვნებებით გრძნობს ჟამის ტკივილებს, რადგან ეს წუხილები მასშია

კოდირებული. არა მხოლოდ ერის მიერ განვლილი სივრცე, მთელი სამყარო ფეთქავს მის ყოველ უჯრედში. ავტორის სევდის სათავეც ამ უჯრედში აწყდება შემოსაზღვრულ ფარგლებს და „უძრავი სროლის“ შეგრძნება აღარ აძლევს მოსვენებას, ანვალებს ფიქრი — სადად აწყობილ სამყაროში რატომ აირჩია ადამიანმა რთულიდან რთულისაკენ მიმავალი გზა? ჭეშმარიტებისაკენ რატომ მიდის ხელისცეცებით?

ამიტომაც აუცილებლობად მიაჩნია მას უკან დაბრუნება, რათა დარწმუნდეს თავისი გაჩენის კანონზომიერებაში. უკან დაბრუნებული თავიდან დაიბადება, ჩამოიცილის ცხოველყოფილი წინაპრის ბურუსს, ადამის ძე ევას კალთაში მოითქვამს სულს, უფლის ძალას იგრძნობს, რომ ამოედნა სამყაროში უპატრონოდ არაა მიტოვებული.

ეს უჯრედში მოქცეული ხსოვნის ღელვა-ტორტმანია, მის მიღმა კი უკვე იდეოლოგიური რუტინიდან გათავისუფლებული სული

გრძნობს ჩვილობის სიზმრიდან გამორკვევას. ხედავს, **„ცხრაას აქლემს როგორ მიაქვს მზისფერი დღეები, როგორ მიიჩნევა ქარავანი სიცხეში, აღმურადენილ ქვიშის ჩხრიალში...“**

გრძნობს, როგორ ითენთება, ნანევრდება, იფანტება სიცხის აბლაბუდაში...“

ასე გაიარა მწერალმა უკანდაბრუნების ძნელი გზა, რომლის ბოლოში ბავშვობას ხედავს მრავალნაირი ფერებით და იმასაც ხედავს, როგორ მოიქნია კუდი კვიმატმა ვარსკვლავმა და ცეცხლოვან დრაკონზე ჯვარდანერილმა შავი დრო მოიტანა. უფრო შორს, მიღმიურში ხედავს, როგორ მოიგლარუნება რუსეთის იმპერია: პეტრე დიდის დიდი, მაგრამ ავადმყოფი რუსეთი, მერე პავლე პეტრეს ძის რუსეთი, ალექსანდრე III-ის, რასპუტინის... და ტახტის გარემოში შეთქმული ათასი ავანტიურისტის ავადმყოფი რუსეთის ასპარეზზე გამოსულმა შავნელი ისტორიის მამლუქებმა, „საჭილყვავითიდან ამოყელყვლავებულმა ლიდერებმა“, როგორ მოიტანეს ჟამიანი ჟამი ქართულ მიწაზეც.

ასე დაავადდა რეზო ჭეიშვილის თაობა წითელი სახადით, რომელსაც მოჰყვა დრო, „როდესაც ფიზიკურად ანადგურებდნენ აზრს, რომელიც არ სჭირდებოდათ“, თესავდნენ შიშსა და ძრწოლას, მაგრამ უცნაური ის გახლდათ,

რომ იყო შიში და იყო სიყვარულიც და შიშის სიყვარული ეამაყებოდათ კიდევ. შიშის სიმბოლოდ აგებულ „დიდი ქართველი“ ძეგლებს ყვავილებით ამკობდნენ მთელს საქართველოში, იმპერიას კი ყურს სჭრიდა სიტყვები: „მშობელი ხალხი“, „ქართველი“.

ეს იყო დრო-ჟამი თუ დროის ჟამი, როდესაც ყველა კუთხე-კუნჭულში ისმოდა: „დაიჭირეს, წაიყვანეს, გააქრეს, ხალხის მტერი აღმოჩნდა, როცა ადამიანთა გონებაში ტრიალებდა ერთი კითხვა: „ჩემთან რა უნდათ? ჩემისთანა მართალ კაცთან რა ესაქმებათ? როცა ადამიანები საკუთარ უდანაშაულობას უმტკიცებდნენ საკუთარ თავს“ და აღტაცებას გამოხატავდნენ იმის გამო, რომ დახვრეტა გადასახლებით შეეცვალათ, მიჰყავდათ საბარგო, საქონლის ვაგონებით, სული ეხუთებოდათ, მაგრამ მთავარია, ცოცხალი იყო... მერე ფოჯოხეთური წლები, უსაშველო ძრწოლვით სავსე წლები...

ზოგი დაბრუნდა... და შიშით გამხელილი მონატრება: „ხანდახან ძილში, ფიქრში ციმბირს ვხედავ: გამხელა მემინია, მაგრამ მომენატრება ხანდახან ტაიგა, სადაც ჩემი სიცოცხლის საუკეთესო, დაუბრუნებელი წლები ჩაიყინა...“

ასე იხატება რომანში თავზარდამცემი ტრაგიზმი ადამიანის ბედისა. ბედის მწერალი ის „დიდი ქართველი“ იყო, რომელიც ათასობით ადამიანს აუბედურებდა, იცოდნენ, რომ მათი ახლობელ-ნათესავები მან ამოჟუჟა, მაგრამ მის სადღეგრძელოს სვამდნენ მაინც:

„სოსოია სტალინის სადღეგრძელოს სვამს, თორმეტი თუ თოთხმეტი სული გაასაღა ჩემი ახლობელ-ნათესავებისა და მაინცაო... ამოგვჟუჟა და მაინც მიყვარს, იმიტომ, რომ დიდი კაცი იყო. ამაში მართალია, რას ერჩი ახლა სოსოიას... ხომ იყო დიდი კაცი, ჩათლახი, მარა დიდი.“

ამგვარად გაგებული სიდიდე, ამგვარი აზროვნება ორგანულადაა დაკავშირებული მწერლის ცხოვრების საუკეთესო წლებთან:

„ლენინში და სტალინში გაიარა ჩემი თაობის საუკეთესო წლებმა. ისინი მახსოვრობაა, ტკივილია, სიხარულია, ბავშვობაა, სიჭაბუკეა, დიდობაცაა. მახსოვს და არ მაიწყნარება. მახსოვს, ცოცხლებიდან და ქრებიან ძეგლები და ადამიანები... ლენინის ტრიბუნაზე, სტალინის ტრიბუნაზე მდგარი წერა-კითხვის მცირე მცოდნე, ღარიბი რევოლუციონერები მახსოვან დაკეცილი ქოლგებით. ისინი ზევით ჰყავდათ. ქვევით იყო ახალგაზრდობა, სინათლე, ყვავილები“.

ამ სტრიქონებმა მეც მიმახედა ბავშვობისაკენ. ჩემს თაობას არ უგრძენია რეპრესიების შიში. ჩვენმა სიყმაწვილემ დაფდაფების გუგუხსა და აღმების ფრიალში გაიარა და ეს ყველაფერი გვიხაროდა და გვხიბლავდა. უღრუბლო ზეცის ბედნიერ შვილებად ვთვლიდით თავს და გვაოცებდა კიდევ მაცხოვრის ხატთან წარმოთქმული ბებუის ლოცვა: „ღმერთო, აშორე ამათ თაობას ტკივილი, შიში...“

მაშინ ვერ ვხვდებოდი, ეს მერე გავიგე, რამ ათქმევინა გალაკტიონს: „ხანმა უნდობარმა გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“... და მერე შიშმა ამ ლექსზე 1914 წელი მიაწერინა, იმიტომ, რომ დრო იყო სამიში. დრო, როცა ციმბირის უთეთრეს თოვლზე სისხლის წვეთით ელავდა ტიცინის წითელი მიხაკი; როცა „დასხლექტილ ჩახმასხს პაოლოს ნატიფი ხელის სიცივე შერჩა; როცა დია-ჩიანელს არ აპატიეს ყველაზე დიდი ღირსება — სამშობლოს უდიდესი სიყვარული.“... მაგრამ პარადოქსი ის იყო, ამ უბე-

დურების შემოქმედისადმი ერთგულებით რომ გამოხატავდნენ საქართველოს სიყვარულს. ამიტომაც იმ ავბედით ნელს საქართველო დახვრიტეს საქართველოსთვის.

ჩემი თაობისათვის ეს მონათხრობი ამბავია, რეზო ჭეიშვილის თაობამ კი თვითონ განიცადა ის ტკივილი თუ შემადრწუნებელი შიში.

„დონ კიხოტო, სერვანტესმა ბრძანა, ჩემთვის დაიბადა ისე, როგორც მისთვის გავჩნდი მე.“

ჩემთვის დაიბადა ბესარიონ ერისთავი, ბუღუ ქვარია-ნი, ჟოზეფინა და სხვები და მათთვის გავჩნდი მეც! “ — დასძენს მწერალი და გვიხატავს სახეს თუ ხასიათს თაობისა, რომელიც თავისი ფიქრითა და ვნებებით ნაწილი იყო იმ „კვიმატი წლებისა“, იმ სივრცისა, დრომ რომ მოიტანა.

ბუღუ ქვარიანი ძირძველ მოქალაქეთა ნაწიერი გახლდათ არქიელის გორიდან. რეპრესირებული მამის შვილი ალიოშა ფლთაძეს ეხმარებოდა „ვენოკების“ დამზადებაში, კონია ნულუკიძემ უწინასწარმეტყველა კიდევ, „გასვენების კაცი დადგება ამ ბაღისაგანო.“ ბუღუც თავისი მოღვაწეობის ორ სფეროს — გასვენებას და თვითშემოქმედებას — კარგად უკავშირებდა ერთმანეთს. მიცვალებული არ იმარხებოდა ქალაქში ბუღუ ქვარიანის გარეშე. უფრო სწორად, ბუღუ იმ შავი დროის მესაფლავეა, ძეგლთა მმუსვრელი უწოდეს ენგელსისა და ლენინის ძეგლების აღების აქტიურ მონაწილეს. იცხოვრა თავისი ცხოვრებით, თავისი საკეთებელიც აკეთა „კუდიანი ვარსკვლავის გამობრწყინების“ ჟამს მოვლენილმა. ახსოვდა ბუღუს სამინელი რეპრესიების დროს უდანაშაულო მამა როგორ გაუყენეს ციმბირის გზას... დახვრიტეს! 1956-ში კი ჟოზეფინასთან ერთად სტალინის ძეგლს ედგა დარაჯად, მიაჩნდა, რომ „დიდ“ ქართველს იცავდა. იქიდან 33 წლის შემდეგ ბუღუ მასას მიუძღოდა წინ ლენინის ძეგლის ასაღებად:

„ის კაი იყო, სტალინის ძეგლები რომ დაღუნეს?! — უთხრა ვილაცას და გამოხატა გარემასის ალტყინებისა და მოლოდინის მოსალოდნელი შედეგი. სისტემას, სისტემის სიმბოლოს, კი არ ანგრევდნენ (ბევრისთვის ნადრევი იყო), არამედ სამაგიეროს გადახდის სანახაობას პირდებოდნენ მხოლოდ, რადგან მონობის უღლის გადაღების უზუნაესი მიზანი ამ ხალხს ვერ დაძრავდა, რამეთუ ამ უღლის გარეშე არსებობა შინაგანად ვერ წარმოედგინათ. სამაგიერო (vendetta)!“ — ასე შეაფასა მწერალმა გასული საუკუნის 90-იანი წლების საზოგადოებრივი აზროვნება.

ბევრი დაინერა და ითქვა ტოტალური უსამართლობის წლებზე, როცა ეჭვისა და უნდობლობის სინდრომით ინფიცირებული ადამიანები შიშით უფრთხოდნენ ერთმანეთს. რეჟიმის გარევის დროს უამრავი „გრიფით საიდუმლო“ საქმე გამოიტანეს სამზეოზე, ბევრიც მივიწყებას მიეცა. რეზო ჭეიშვილმა მიჩქმალული, უცნობი სახეების გასაცნობად აიღო კალამი და ასე გახდა ჩვენი განცდების თავშესაფარი კულაკიას, გერონტის, პედაგოგ გოგიაშვილის, მხატვარ შალვა ლებანიძისა და სხვათა თავგადასავლები. ასე გააცოცხლა მწერალმა ის წლები, უკვდავყო ადამიანები, რომლებსაც თავისებურად უყვარდათ საქართველო, ტოტალური რეჟიმის მარნუხებში მოქცეულნი თავისუფლებაზე ფიქრსაც კი ვერ ბედავდნენ, მაგრამ შეეძლოთ სიყვარული.

ადამიანმა თავისუფლად რომ იცხოვროს, შიშისაგან უნდა გათავისუფლდეს. რომანის გმირები შიშით შეპყრობილი ადამიანები არიან. მარტის იმ სუსხიან დღეს, როდესაც ბელადის ძეგლთან გნისაში იდგნენ, ბუღუ ჟოზეფინას „მისახედად“ წავიდა, ხილზე ვერ გავა, გზები არ იცის, კურსები

და მონამეთა უკან დარჩებაო. ჟოზეფინა კი მკერავთან იმ ავბედით დღეს რომ იხსენებს, ამბობს:

„ვინ ნახა ბუღუ, ხიდზე თვითონაც არ გასულა, მემგონი. გადააფრინდა მდინარე მტკვარს, რო დაკრა ფეხი, პირველი ტანკის დანახვაზე, მისი ლანდი არ გამილანდია მას უკან, რა დღეში ჩავვარდით, მერე გზაც ავგებნა, ერთმანეთიც დაკვარეთ“.

ბუღუს შიში იმით ახსნეს, რომ ორი დღით ადრე „ჩეკაში“ აუნევიათ ყურები მისთვის. ბუღუ, ჟოზეფინა და სხვები თავისუფალი ადამიანები არ არიან, ისინი ცხოვრობენ შიშში და მათ საზოგადოებრივ აქტივობას განაპირობებს vendetta.

როდესაც საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ბუღუ წარსულ ცხოვრებას თვალს გადაავლებს, ფიქრობს: „ მოკლე გზა დიდ, გაუგებარ მოვლინებაში გრძლად გაიარა თუ გრძელი გზა გაირბინა მოკლედ, ვერ გაერკვა. ისე იცხოვრა, როგორც უნდა ეცხოვრა თითქო, სადაც გარიეს, იქ გაეირა, სხვას აპყვა, სხვაც აიყოლია. მოვლენებს მოსდევდა, არ ჩერდებოდა, თუმც ვერ ასწრებდა, ფეხს ვერ უწყობდა ხშირად. არ მილაღტია, არ მომიტყუებია სერიოზულად, ადამიანიო! სწორად იარა, მრუდად თუ ზიგზაგებით, არ იცოდა და მიხვდა, რომ გზა იყო ერთი: იგი იწყებოდა და მთავრდებოდა, მთავრდებოდა არა იქ, საიდანაც დაიწყო, არამედ სულ სხვაგან...“

და მაინც, ვინაა ბუღუ ქვარიანი? ბრძოლის გამირი? არა — ის ხომ შარავანდედით არავის შეუმოსავს.

არც ზნეობრივი გამირია — მას ხომ საზოგადოებაში შექმნილი ცრუ მორალი არ დაურღვევია, არც გაბატონებული ეთიკური კატეგორიები შეუცვლია. შეჩვეულ ჭირში ცხოვრობდა, მაგრამ უყვარდათ „ზნამენიტი კუტაისკი“ და მასაც ყველა უყვარდა. ბუღუ ქვარიანი ერის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი გამირია, ბოროტების სიყვარულით დამმარცხებელი. მისი ცხოვრება, ერთგვარად, ქართველის სულის ყივილია. იმ შიშით სავსე დროსაც კი „კუდიანი ვარსკვლავის ბრწყინვალეობამ“ სიყვარული ვერ დაამცრო მასში და არა მარტო მასში, იმ კვიმატ დროსაც ცხოვრობდნენ ადამიანები,

რომლებმაც თავიანთ მკერდზე გადმოატარეს ადამიანურ ურთიერთობათა დიდი სიყვარულის გაუხუნარი გრძობა-განცდები, რომლითაც გამოჩნულსა და თავისთავადს ხდიდნენ რიონისპირა პატარა ქალაქს: „**მეობა გახსოვს? სოსოია? მამფი? მახიჭია? მთავარი მეობააო, გაგება, რა არის მთავარი, რას გაიგებ, ყველაფერი მთავარია...“**

მწერლობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა სწორედ ის არის, მთავარი დაანახოს ერს. რეზო ჭეიშვილისათვის მთავარი და მარადიული სიყვარულია, რადგან **„დრო ყველაფერს აფერადებს, ყველაფერს კურნავს, დრო დროს აბრუნებს, დროსაც აცამტვერებს. წარსული ხმების დაბრუნება შეიძლება, სულების გამოსმობაც, რაც მიდის, ბრუნდება კიდევ. ჩვენ ისევ შევხვდებით, დაუწყავებთ ერთმანეთს ლურჯ ნუხილში, დაღუპულებს მივეფერებთ, მტანჯველი ფიქრებისაგან გავთავისუფლდებით, მარადიულს მივუერთდებით...“**

...და გამადლობთ ყველაფრისათვის.“

ამ სიტყვებით დასრულდა რომანი. მადლობელია მწერალი, იმ ჯოჯოხეთურ წლებში სიყვარული რომ შერჩათ ადამიანებს. რომანის ყველა სტრიქონს ახლავს იმედი, რომ ყოველ კაცში ჩასახლებული სიყვარული საბოლოოდ დაამარცხებს შიშს, ეს კი მოიტანს სულის თავისუფლებას.

რომანის პასაჟებსა და მასში გაცოცხლებული გმირების არსებაში მწერლის პოზიციაა გამჟღავნებული. მისი განწყობა მკითხველსაც გადაეცემა, და იგი სულის უფაქიზესი ძაფებით აკავშირებს ერთმანეთთან მკითხველსა და პერსონაჟს. შენც გეჩვენება, თითქოს ამ ადამიანებს დიდი ხანია იცნობდი, მათთან მეგობრობდი. შენც იზიარებ მათ დრამატულ ბედს, ცხოვრობ მათი ინტიმით და არც კი გინდა მათთან გამოთხოვება, მათთან ურთიერთობის განწყვეტა, ამიტომაც რომანის ბოლო სიტყვებს იმეორებ ავტორის მისამართით:

„გმადლობ!“

ყველაფრისათვის გამადლობ!“

ასე გუღლიად რომ გვიამბო, რაც განუცდია, უნახავს, გაუგონია!

სოფიო ჯაფარიძე

პეიზა ნაბიჯებით

(გურამ პატრიკაშვილის ზღაპრების მიხედვით)

მართალია ზღაპრები ჰქვიათ, მაგრამ ვერსად მიაკვლევთ ქრესტომათიულ საზღაპრო ფორმულას — „იყო და არა იყო რა“... ვერ დალანდავთ ქართული ხალხური ზღაპრისთვის ჩვეულ და ყრმათა გულამჩვილებელ ფინალს „ჭირი იქა, ლხინი — აქა“, ან „ელასა, მელასა, ჯვარი გენეროთ ყველასა“... თუმცა გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების წიგნი „პატარა ქალაქის სასწაულები“ რომ ნაკვიკითხე, რატომღაც მაშინ ვიგრძენი ბავშვობის უზომო მონატრება. მივხვდი, რომ უკვე დიდი ხანია აღარ მრგებს პირველი მექუდის ნაოსტატარი ქუდი და ამიტომაც ახლა პეპლებზე მეოცნებე მებაღე თუ ვარ და არა ამ ბაღში გადაპარული პატარა გოგონა, მხოლოდღა ყოფით დავთარს „ჩანყენილი“ წვიმის მოყვარული ან ქალაქს შეჩენილი უფშური თუ უბრალოდ, პატიოსანი მოქალაქე...

ასე მგონია, აქამდე ამაზე სერიოზულად არც კი მიფიქრია, იქნებ უდროობაც იყო... ყოველ შემთხვევაში, ძალიან მომინდა იმ პატარების ადგილას ყოფნა, ვისთვისაც ეს წიგნი ჩაიფიქრეს.

„ჩუმიდა კრუსუნებენ, ჩუმიდა კენესიან ჩვენი ნაფეხურები“, — თავის ბავშვობას ეცრემლება ბესიკ ხარანაული. იქნებ გურამსაც ამ დარდმა შთააგონა ყრმათათვის ზღაპრების წერა, რომ მათთვის მაინც განევრცო ცხოვრების ყველაზე ხანმოკლე ხანა და ასე აერიდებინა ნადრევი ნუხილისათვის ჩვილი გულები. მართალია, ამ უმშვენიერეს ქმნილებათა ძალზე მსუბუქი რეგისტრი მათ საყმანვილო კუთვნილებას აფიქრებინებს მკითხველს, მაგრამ ფილოსოფიური სიღრმეებით ისინი ბავშვობადგინწყებული დიდებისთვისაც მისწრებაა. ვინ იცის, იქნებ მათზე დარდმა უფრო ააღებინა კალამი ავტორს. როგორც თვითონვე ამბობს: „საუცხოო ჰანგებს მხოლოდ დიდი ნუხილი ბადებს“... ეს ამბები პეპლის სინაზითა და მართლაც „საუცხოო“, მარადიული დარდითაა ნაქსოვი.

ყველამ ვიცით, რა უკიდევანო დარდიც ჩაედინება მის სამყაროულ სადარდელში. ჟამკარარეულ, სამშობლოს ნატრულ კაცზე შესაბრალისი ძნელად თუ იპოვება სულიერი ქვეყნად, მაგრამ არა შემოქმედი, აქეთ რომ გავციტხადებს: „ყველი ვიდრე მინაშია ფესვებით, მანამდე აქვს ნამდვილი სურნელი“. საპროგრამო, ტრანსპარანტული ფრაზაა, დღეს რომ მოუცი-

ლებლად ზეალმართული უნდა ჰქონდეს ყოველ ქართველს — იქნებ ამ შეგონებით მაინც დაუსხლტეს შეუქცევად მიგრაციას, საკუთარი კუთხეებიდან თუ მშობლიური ქვეყნიდან.

ასე რომ, თუკი ერთგულად და სიყვარულით მოეკიდები საქმეს, შეიძლება გაჭვარტლული ბუხარიც თეთრი ქუდით თავმორთულმა განმინდო.

აღბათ ამიტომაც გეოცება, რომ კაცობრიულ ცოდვებს თითქოს ვერ დაუმძიმებიათ გურამ პეტრიაშვილის ზღაპრის პროტაგონისტები. ისინი წინაპრის სითამამით, ერთგვარი საკრალური სიჯიუტითაც კი შეჰყურებენ სამყაროს ცარგვალს და „სიზმარახდენილი ბეჰემოთივით ნაზად და მსუბუქად“ ილტვიან მისკენ. ქართველი ხალხის სიყრმისდროინდელი ზღაპრული გმირებივით ცდილობენ ცამინის მოციქულობას, მარადიულ მედიატორობას.

თუ ნაცარქექია ცალი ხელით ცას ჰკიდია, რომ დედამინა არ დაამძიმოს, გურამ პეტრიაშვილის ყირამალა, „უკულმა“ სამყაროს გმირი, ფეხით მიბჯენია მას, მინას კი ხელებით ელოლიავება, ასე უკეთ შეუგრძენია ეს „მინამყარი“. მინაზე რომ აღარ ედგომება და ყვავილის სიტკობობაც მოაკლდება, მამინ ბუნების დიდი კანონით ცამდე იზრდება და ახლა ვარსკვლავების სურნელით ტკება.

აი, ხალხის ნათქვამიც: „ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, ვარსკვლავებსა დავენახე, მთვარემ კაცი მომიგზავნა: — თუ იქ იყავ, რად არ მნახე“. მართალია, შთამომავალს წინაპრის სითამამე თითქოს დაკარგული აქვს, მაგრამ მას მაინც გამუდმებით ცისკენ ეღერება თავი, იქ ეგულება მარადიული საჭვრეტელი, საიდანაც ნებისმიერ დროს რალაც დიდი საიდუმლოს გამჟღავნება ეიმედება. აკი გამჟღავნებულა კიდევ ხალხურ სიბრძნეში. „ნაცარქექიას“ ტყუილი, რომ ცასთან კავშირი ინვეს მის უნონადობას, სინამდვილეში ყველაზე დიდ სიმართლეს იტყვის.

გურამ პეტრიაშვილის კეთილი კლოუნიც ცდილობს ხელიდან გამოგლიჯოს მოყვას ფუყე, ეფემერული კეთილდღეობა, როგორც უსარგებლო ჩემოდანი, რომ ამსუბუქებულემა თამამად შემართონ მზერა და დაინახონ მათ ირგვლივ აფარფატებული ლურჯი პეპლები, როგორც ციდან მოვლენილი უტყვი წყალობა. „თუ ცა გახსოვს მუდამ, არ შეიძლება კარგი კაცი არ იყო“, — ურყევად სწამს ავტორს.

მინდა ისიც ვთქვა, რომ ამ უმშვენიერესმა ნოველებმა მკრთალად, მაგრამ გოდერძის ჩოხელის სამყარო ამომიტყვივეს. მერე ბატონი გურამისა და ბატონი გოდერძის შემოქმედებითი ტანდემიც მომაგონდა და თითქოს ყველაფერი გაცხადდა. მივხვდი, თავისი ერთ-ერთი ყველაზე უცნაური მოთხრობის ეკრანიზაციისას შემთხვევით არ ანდო გოდერძი ჩოხელმა მთავარი როლი გურამ პეტრიაშვილს. შემოქმედი ხომ უტყუარად გრძნობს ადამიანში მოზღვავებულ სულიერებას. გოდერძი ჩოხელმა დაუეჭვებლად იცოდა, მის ერთობ „უჩვეულო“ გმირს დამაჯერებლად და სასიერად, მისივე მონათესავე სულის „მექონი“ წარმოაჩენდა და არც შემცდარა.



გურამ პეტრიაშვილი

ფილმს რომ უყურებ, გვერა, მხარზე ნაძვამოსული კაცის განცდები მხოლოდ გოდერძისეული აღარაა, ის გურამისეულიცაა, ავტორ-შემსრულებელი ამ დროს თანაზიარი და ერთიანია. ბატონი გურამის აზრითაც, ყველაზე დიდი ბედნიერება ამქვეყნად ხომ ის არის, როცა შენს სიზმრის ყვავილებს ყველაზე ძვირფასი ადამიანები საკუთარ სიზმრისეულ ბალებში გადაინერგავენ და იქ ახარებენ.

„ეს ყვავილები ყოფილა პირველი ქოლგებიც ამქვეყნად“, მაგრამ დაუჭკნათ ბუნებრივი საჩრდილობები ბუნებიდან გახიზნულ ადამიანებს და ციდან მოტანილ ამბებს, „ცის წყალს“, მეხამრიდებივით ხელოვნური თავსაცავები მოუღერეს. ამით მაინც ვერაფერი უსაშველეს მტკივნეულ ხსოვნას პირველყოფილი სურნელოვანი ქოლგებისას.

ერთ დღეს დაუძლურებული და თვალისჩინდაშრეტილი დავით კლდიაშვილი თავისი ოდის აივნიდან რომ გაახედეს, თურმე გარკვევით შეუნიშნავს უზომოდ მონატრებული ხეობა და მთები. ბავშვობისას სწორედ იმ ადგილიდან დაუნახავს ეს მთები და, აი, იმ ბავშვის თვალეებით შევხედე ახლაცო, — უთქვამს მწერალს — მთელმა ჩემმა ცხოვრებამ თვალნი გამირბინა, საკვირველია, როდის გავიდა ეს დრო, როდის გავიარე ეს ცხოვრებამ?

„ამის მეტად აღარ უნახავს დავითს მთები“, — წერს მისი ვაჟი, სერგო კლდიაშვილი. ნუთით გაცისკროვნებული მისი თვალეები კვლავ ჩაბუტულა და დაუძლურებულა.

ამგვარ მყისიერ ჩვენებად მომევილინა გურამ პეტრიაშვილის საზღაპრო თუ ზღაპრული კრებულებიც. სწორედ ისე, უდიდესი მონატრების ჟამს, ყველაზე ძვირფასის კვლავ საჭვრეტად სადღაც თვალის კიდეში გადანახული მზერით ხარბად რომ შეინოვ და ხსოვნის უძირო კიდობანში გაამჟღავნებ ძნელ დღეთა დასაპურებლად... ახლალა ვიგრძენი, რომ დიდების სახეზე ალბეჭდილი დარდის მარადიული ტვიფარი სწორედ ის აუხდენელი სურვილი ყოფილა, როცა გინდა ჩიტებისსიზმრებიანი ქუდი გეხუროს და პატარა დინოზავრით თავაშვერილი მოუწყენლად ჭვრეტდე „დიდ ლურჯ თალს, ზედ მგორავი ნითელი ბურთით“. ისევ ხედავდე პეპლებს კლავიშებზე, გვეროდეს მფრინავი ვეშაპების, შეიგრძნობდე ყირამალა სამყაროს სურნელს, დადიოდე წვიმამი ყვავილის ქოლგით, დასდევდე ქარის მოტაცებულ ქუდს, თვალდახუჭული მიჰყვებოდე იდუმალ ხმას დაუეჭვებელი სანახებისაკენ.

...მართლაც, რა „ვეება ნახიჯებით“ გვივლია ჩვენი ბავშვობიდან ჩვენივ დიდობისაკენ...

ბატონ გურამს კი თამამად შეიძლება მივულოცოთ, რომ მისი ზღაპრების „სიზმრისმხედველი“ და „ახირებული“ გმირებივით თვითონაც ყველა სურვილისა და ოცნების შემსრულებელია. ამიტომ დღემდე ჩვეული სიმსუბუქითა და გაბედულებით უნათებს „უმთვარო ლამებს“ მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

აბა, „ადამიანები თუ არ გიყვარს, ისე რა ფასი აქვს ან ყვავილების სურნელს, ან ვარსკვლავებისას“...

ფრიდემ კარინტი

ორი ნოველა

ქალი

თოთხმეტი წლისა რომ ვიყავი, აგვისტოს საღამოებს აგარაკის წინ სეირნობაში ვატარებდი ხოროვეცის ცოლთან, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა და დამიმეგობრდა. ფერმკრთალი, ლურჯთვალეა ბიჭი მეზღვაურობაზე ვოცნებობდი. თვითონ ხოროვეცი სამი კვირით სადღაც გაემგზავრა და ქალი სრულიად მარტო დარჩა. ჩვეულებრივ ეცვა თეთრად დანინწკლული ცისფერი კაბა, წელზე სარტყლით შემოტმასნილი, ფართხუნა, თავისუფალი სახელოებით. ახლა მისი სახის ქვემოთა ნაწილი თვალწინ მიდგას, როგორც გაცრეცილნაკვთებიანი თეთრ-ყვითელი ლაქა, დანარჩენი აღარ მახსოვს. არადა იგი ჩემთვის ისეთი მახლობელი იყო, რომ დღეების განმავლობაში იმ სამყაროს და მომავლის ბუნდოვანი სურათის ნაწილად გადამეცვა, რომელსაც ვხატავდი გონების თვალით.

ერთი სიტყვით, ვფიქრობ, რომ ლამაზი იყო. ალბათ პირველად მასში დავინახე ის ამაყი და ქედმაღლური გამომეტყველება, რასაც დღემდე დავეძებ თვითული ქალის სახეზე. მაშინ, უვიცი რომ ვიყავი, ეს ჭკუის გამოვლინებად მიმაჩნდა. თოთხმეტი წლისა გახლდით და გადავწყვიტე, რომ ნავსულიყავი ზღვაზე, ძალიან შორს, რაც შეიძლება — შორს.

კაცმა რომ თქვას, ახლა ხომ შეიძლება ვალიარო (დროზე მივხვდი — ჩემგან მეზღვაური არ დადგებოდა), რომ არსებითად ვგულისხმობდი ჩრდილოეთ პოლუსს, მაგრამ ხოროვეცის ცოლისთვის ეს არ მითქვამს. მან იცოდა მართლ „ძალიან შორს, რაც შეიძლება — შორს“. ის თხოვნა ვაჩვენე, აკადემიას რომ გავუგზავნე. და მოკლედ, მკაცრი და მამაკაცური, გაბედული გამოთქმებით დაუხატე გემის იუნგას ცხოვრება და ისიც — როგორ მარხავენ მას ღამით, ქარიშხალში, რამეთუ განგმირა იგი ელვამ ზემოდან, მარხიდან.

— კაცს გაასწორებენ, როგორც საჭიროა, ფეხებს გაუკრავენ, დაადებენ ქვას და ჰაიდა!

მერე ბევრს აღარ ვაგრძელებდი ამის თაობაზე, ვაგრძნობინებდი, რომ აქ უკვე ყველაფერია ნათქვამი — არაფერი ეშველება. ხოროვეცის ცოლს ქალბატონს ვეძახდი ერთგვარი მინაზებული კეთილგანწყობილებით, რაც იმას ნიშნავდა, რომ წუთით არ დავივიწყებდი იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რაც ჩვენ გვაკავშირებდა და რომ სულაც არ მინდოდა მისი გაკვირვება ჩემი ცინიზმით: უბრალოდ, მის წინ იდგა კაცი, რომლისთვისაც ოდესღაც უცხო არ ყოფილა განცდები, სანამ ცხოვრება გახდიდა უხალისოსა და გულაცრუებულს.

ისე კი უკმეხი და ენამწარე ვიყავი, ვაფრქვევდი უცნაურობებს, ყველა სატიკვარს და იდეას, რაც კი ოდესმე კაცობრიობას აღელვებდა, ირონიულ შუქში ვხვევდი. ქალი კვერს მიკრავდა. ზოგიერთი ჩემი გამონათქვამის პასუხად სახეზე შეცბუნებისა და გაკვირვების ღიმილი გადა-

ურბენდა ხოლმე და უფრო ახლო იწედა. ვგრძნობდი, რომ ჩემი ინტელექტი სძრავდა და ვჩუმდებოდი...

„შენ რომ იცოდე, მე ვინა ვარ!“ — გამიელვებდა თავში. ჭკვიანი ქალია. საზრიანი პირი აქვს. ეს ვთქვი ჩემთვის საღამოხანად, ლოგინში, და უეცრად ვიგრძენი, რომ სულმთლად ვკანკალებ. ამასობაში ბუნდოვნად მომელანდა ჩვეულებრივი სურათები: წყლის უსასრულო ზედაპირი ვარსკვლავიანი ცის სიღრმეში — წყლის ზედაპირი, გადაჭიმული შორეულ ვარსკვლავეთში. ჩემი თვითმფრინავი — თეთრი აფრიანი გემი — წყვდიადმი იხატებოდა. აი, გაშალა ფრთები და შეცურდა: მაშინვე გამორჩნდა პლეადების თანავარსკვლავედის მკაფიო კონტურები. მე მაგრად ჩავაფრინდი შტურვალს და მანქანა მალა აიჭრა. პლანეტების მკრთალი ოვალები გადიდდნენ, განსაკუთრებით — ნეპტუნის ოვალი. მე ვიცოდა, რომ იგი დახვეული ნისლეულებისგან შედგება: მინა და წყალი ჯერ კიდევ არ გამოყოფილა მისი ვეებერთელა ფაშარი მასისგან, სქელი ორთქლი კი ფანტასტიკურ ჩრდილებს ქმნის. შორს მზეა: ნისლში მბჟუტავი ვარსკვლავი. და დედამინა — ნამცეცი-სოდენა, ქინძისთავისხელა ციციანათელა ცის თალის სიღრმეში. და აქ პირველად დამატყდა თავს რაღაც მძიმე, ჯერ განუცდელი ტკივილი იმის შეგნებისგან, რომ ქალი ჩემგან შორს იყო, უსამანოდ შორს და კინაღამ სული შემეხუთა საზრიანი და ნებისყოფიანი პირის გახსენებაზე, იქ რომ დავტოვე. გული შემეკუმშა და გადავწყვიტე ხვალვე დავლაპარაკებოდი ხოროვეცის ცოლს ზღვასა და ვარსკვლავებზე — და მიმემხრო.

მეორე დღეს, საღამოხანს ვესაუბრე ზღვისა და ვარსკვლავების შესახებ.

რაღაც მონამებრივი გამომეტყველება შევამჩნიე. ლობის იქით, ბაღში, ფორთოხლის დიდ ხეებს ეძინათ უკვე და უცებ მთვარის შუქზე შევნიშნე მისი ღიმილი.

— თავი შეგანყინეთ, არა? — ვკითხე მედიდურად.
— პირიქით, — მიპასუხა აგზნებით და მოულოდნელად ხელზე მომეფერა ხელით. — ისე, რაღაც გამახსენდა. განაგრძეთ, ფსიცოკე. ეს ძალზე საინტერესოა — მზის სისტემა.

ხელი მალა ავიშვირე და ამ პოზაში გაგჩერდი მესერთან.
— აი, ის მუქი ლაქა... აბა, შეხედეთ... ეგ ჯერ კიდევ შეუსწავლელია. დანარჩენთა შესახებ ყველაფერი იციან — რა არის, მზის სისტემის პლანეტა თუ უმოძრაო ვარსკვლავი... აი, იმ მუქ ლაქაში კი დღემდე არ შეუმჩნევიათ ვარსკვლავები. ეს ხვრელია, რომელშიც გადის რაღაც იდუმალი წყვდიადი. მაგრამ მაინც იქნება ისეთი აპარატი...

და ხელებით უსაზღვრო რკალი აღვუწერე.
დაბლა რომ დავუშვი, ხელი მის ძუძუზე მომიხვდა. მაშინვე გაგკინდე ხმა. ქალი გამომემშვიდობა და წავიდა. ვერანდაზე ფოთლებს შორის გაუჩინარდა მისი ცისფერი კაბა.

ბოლოს ვცემდი ბაღში, ფორთოხლის ხეებს ქვეშ, ხელები მენყო ჯიბეში და ვუსტვენდი. დუნაის წყალი, ბაღს რომ ჩაუდიოდა, ღრმა და თალხი იყო, მხოლოდ სადღაც დროდადრო გაკრთებოდა ნაპერწკალი. თვითკმაყოფილებით სუნთქავდა ნისქვილის ფანჯარა. და ერთფეროვნად ჭრიჭინებდნენ ვარსკვლავები: ჭრიჭინები და ვარსკვლავები — მე მათ მუდამ ერთად ვხედავდი და ვუსმენდი, ამიტომაც მიმაჩნდა, რომ ვარსკვლავებიც ჭრიჭინებდნენ.

— ვფიქრობ, ახლა კი დანახა ჩემში რაღაცა, — ვთქვი საზეიმოდ და დაემშვიდდი. — ეგ არის, რომ ვერ მოვასწავრი კომეტების და ჩრდილოეთის ცილის ამბები.

მესერს დავეყრდენი, სახე, ჯერ კიდევ პატარა იმ დროისთვის, ფუნთუშა, ჩამოუყალიბებელი სახე ორ ლარტყს შორის შევჭედე. მერე დამიძახეს კიდევ და დასაძინებლად წავედი. თითქოს ბილიკზე კი არ მივრბოდი, არამედ ხავერდის ხალიჩაზე. რაღაც იდუმალი ძალა ისე მიმაფრენდა, რომ არ მაგრძობინებდა სხეულის წონას.

— მშვენიერია, — შეშინებულმა ვთქვი, თავზე რომ წავიხურე საბანი. მახსოვს, ამ სიტყვამ თავბრუდამხვევი ბურანი მომგვარა. წყალწყალა, ცივ ზეთში ვცურავდი — ეს იყო ირმის ნახტომი, რაზეც იმდენს ვლაპარაკობდი. პრიალა, ვარსკვლავიანი ციდან წარწარად ვემშვებოდი დაბლა.

საათის შემდეგ ყოველგვარი თანმიმდევრული გადასვლის გარეშე და სრულიად ანაზღაურად ასეთი სურათი ვიხილე:

მე და ხოროვეცის ცოლი ვდგავართ დუნაის ნაპირზე, წისქვილთან. ქალი ჯერ იხრება და უცებ ნელ-ნელა, მოხდენილი და ისეთი მოძრაობით, თითქოს უნდა მეტად გაიჭიმოსო, ვარდება წყალში. მე მივვარდები და ნელზე ვავლებ ხელს. ერთხანს მორევი გვატრიალებს. ბოლოს ვახერხებ ნაპირისკენ გაცურვას. ამოვდივარ წყლიდან და ისიც ამომყავს. თვალები უხუჭია, პირი ოდნავ ღია აქვს და ზედ კბილები მოუჩანს. მხრებზე მოვიგდებ, ისე, რომ თავი და ხელები ჩემს ზურგზე უკიდია, სველი მუხლები საგრძობლად მენებება ფერდებზე. ვგრძობ, ფეხებიდან როგორ იწრება თბილი წყალი მიწაზე. საშინლად მძიმეა: ველარ ვუძლებ. აქოშინებული განგებ წავებორძიკდები და ვიქცევი. მისი კაბა იბურძგნება, სახეზე მეტლანდება და მახრჩობს. მერე გჩუმდება.

ამ სურათმა ძალიან შემაშინა და ლამის გონება დავკარგე იმის წარმოდგენისას თუ რას იტყოდა ხოროვეცის ცოლი, ჩემი ფიქრები რომ გაეგო. სრული სისულელეა, რაღაც უაზრობა. ვეცადე ეს წარმოსახვა მეგულისხმა თავშესაქცევ აბდაუბდად, რაზეც მხოლოდ უნდა იცინო, მაგრამ არ გამომივიდა. გული უთანაბროდ მიცემდა, ქალის სახე მოულოდნელად ამოტივტივდა ბნელიდან და ისეთი წამებული, ისეთი შორეული, ისეთი იდუმალი ჩადა, რომ სხეულის ყოველი ასო წამიერად გამიშეშდა. შემდეგ სასონარკვეთა და სინანული მახრჩობდა და აღარ ვიცოდი, როგორ მომემორებინა საკუთარი სისაძაგლის შეგრძნება და ღრმა სიძულვილი ჩემივე თავისადმი. ეს აუტანელი იყო. და უეცრად — უნებლიე აღტყინება: ახლავე, დაუყოვნებლივ გავაქარწყლო დანაშაული ხოროვეცის ცოლის წინაშე რაღაც ღრმა და მტანჯველი სიტკბოებით სავსე დამცირებით: ვაკოცო ხელზე ან კაბის კალთაზე და ვაგრძობინებო, თუ რა წესიერი, კაეშნიანი და უსაზღვროდ კეთილია. და მან ამ ნუთშივე უნდა გაიგოს, რომ ვარსკვლავებზე საუბრის დროს მასზე ვფიქრობდი, და რომ ცინიკოსი არა ვარ, არა და არა, და რომ ჩემთვის ის ისევე უკიდევანოა, როგორც ირმის ნახტომი, და რომ ყველაფერი საუცხოოადა, და რომ ის გაფრინდება ჩემთან ერთად, მამ აქ ხომ ვერ დავტოვებ, რათა ჩაიფერფლოს და ჩამოდნეს. დიას, დიას, ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა იცოდეს.

და ბოლომდე ზუსტი და გულახდილი რომ ვიყო, ეს არ გახლდათ რაღაც აბსტრაქტული ემოციების შხაპუნი: მოაზრებული სურათი მღვრიე თრთოლვას იწვევდა ჩემში. გამიჩნდა იმის შეგრძნება, რომ ძალმიძს მოვწახო იმგვარი მართალი, გულში ჩამწვდომი და დამაჯერებელი სიტყვები, რომელთა მოსმენის შემდეგაც ხოროვეცის ცოლი ბოლოსდაბოლოს სრულად ჩასწვდება საქმის არსს და გამათავისუფლებელი ქვითინის მოძალებისას თავს ჩამიდებს ხელებში და მე წყნარად მოვეფერები თმაზე.

ნუთიც და უკვე ეზოში ჩავრბოდი, კიბეზე ვიკრავდი ლუსტრინის პალტოს. იქითა ვერანდაზე ავიპარე. ანაზღად სინათლე დავინახე ვაშლის ხის ქვეშ — ფანჯრიდან გამოდიოდა. თითქოს გული შემეკუმშა, უკან გამოვრუნება და ვაპირე. უცებ კარი გაიღო და შუქის ჭრილში ცისფერი კაბა გამოჩნდა. უკვე ვიცოდი, რომ ხმის ამომღები არ ვიყავი.

— ვინ არის? — შიშნარევი ხმით იკითხა, მე რომ დამლანდა სიბნელეში. — ფრიციკე, თქვენ ხართ? — კვლავ გაისმა სინყნარეში მისი ხმა.

არ ვუპასუხე.

შემდეგ კაბამ გაიშრიალა — ჩემ წინ თბილი და რბილი სხეული იდგა.

— საყვარელო, თქვენ ჯერ კიდევ არ გძინავთ? აქ რას აკეთებთ?

მე არ ვუპასუხე. და მაშინ პირველად გავიგონე ქალის სიცილი. მან ჩამკოცნა და წამით მიიხუტა ჩემი თავი გულმკერდზე.

— წარმოიდგინეთ, ფრიციკე, ჩემი ქმარი ჩამოვიდა. მე არ ველოდი. ღვინოზე უნდა გავიქცე.

ნუთით მარტო დავრჩი. ღობის მიღმიდან მზირალმა ვენერას მშვიდი არილი დავინახე. მთელ სხეულში დამიარა სიმშვიდემ. ამ დროს ის დაბრუნდა.


— აბა, ღამე მშვიდობისა, ფრიციკე, ნახვამდის, — და გასხლტა.

მაშინ, ბნელში, ჩემს დაბნეულ გულში პირველად დაიბადა და შემდეგ გამიმყარდა შორეული წინათგრძნობა, რომ ამქვეყნად არის რაღაცა უფრო მნიშვნელოვანი ვარსკვლავებსა და უსასრულობაზე, ერთგვაროვან ნისლეულებზე მზის სისტემის გადაღმა, და რომ ვარსკვლავები და ზღვა ჩემთან ერთად — უაზრობაა.

რაღაცის თქმა მინდოდა. ვიგრძენი, რომ საჭირო იყო სიტყვის დაძვრა და გავინიე განათებული ფანჯრისაკენ, მაგრამ იმ ნუთშივე ჩაქრა სინათლე და წყვილადმი აღმოვჩნდი. რა იყო ეს? — ვიკითხე და გავჩერდი. რა იყო? — ჯიუტად და მკაცრად ვიმეორებდი ჩემთვის, — რა იყო? რა იყო? რა იყო? — ბოლოს ვჩურჩულედი ისე წყნარად და ნაღვლიანად, როგორც საღამოს ნიავი, სახეში რომ მცემდა. კბილები მიკანკანებდა სიცივეატანილს. რა იყო? რა მოხდა?

რა იყო? რა მოგივიდა გამოფიტულო, მოცახცახე ბავშვო, რას უყურებ ფართოდ გახელილი თვალებით? რას უდგახარ აქ მოღრეცილი პირით, როგორც ველური, რომლის წინაც მეხი ჩამოვარდა — უხილავი, საშინელი, დაქადნებული ბოროტება. ნადი, ნუ დგახარ. რას ბანცალებ მაგ ფანჯრის წინ? ნადი, მოვკურცხლოთ შარაზე ან მინდვრად გავიდეთ, მომისმინე, მე შენ გუუბნები, არ არის საჭირო მაგ ფანჯარაში ცქერა, წავიდეთ აქედან. ეგენი ბო-

როტები, არარაობანი და ბრიყვი არიან, ხომ გეცმის. ჩემო საყვარელო ბიჭუნავ, ეგენი შენი ღირსნი არ არიან. წაღი, აღარ იფიქრო მაგათზე, წაღი-მეთქი. ხომ გიკანკალებს სუსტი მუხლები, რაღა გინდა აქ? თვალეში შემომხედე: ვერ მიცანი? მე ხომ გიცნობ შენ და ვიცნობ შენს სულსაც. მე შენ მიყვარხარ და მესმის ვინცა ხარ: შენ პატარა სულელი ხარ. არა, არა, შენ მართალი იყავი, ვარსკვლავები და ზღვა — ეს მართლაც ჭეშმარიტებაა, რაღაც დაიდა და ამალღებული, მაგრამ ეგ ადამიანები მათი ღირსნი არ არიან. ახლა სულ სხვანაირად იქნება — წავიდეთ, ყურს ნუ უგდებ. მათთან სხვაგვარად უნდა ილაპარაკო, მე გასწავლი ამას... არა, ჩვენ ზღვაზე არ გავალთ, გეცმის, ზღვაზე მაინც არ გავალთ: ისინი არ იმსახურებენ, რომ მათი გულისთვის ზღვას მივცეთ თავი... ისინი არ იმსახურებენ ვარსკვლავიან ცას, რომელსაც ბავშვური სახით ასცქეროდი მოწყურებული. იცი, მე მათ კარგად ვიცნობ და გაგიჟლავნებ რაღაცას, ეს აუცილებელია... იცოდე, ისინი მხოლოდ წემამდე დგანან ვარსკვლავებით მოჭედული ცაში, ხოლო თვალები დაბლა აქვთ დახრილი. სახე, შენ რომ მოგალანდა პლეადების თანავარსკვლავებმა, გაკანკალებდა და კბილს კბილზე ცაცემინებდა წკვარამში. ეჰ, ჩემო ბიჭუნავ! დაშვიდდი. მე კარგად შევისწავლე ის სახე და ვიცი რასაც გამოხატავს. მესმის, რომ რაღაც ბოროტს, ცუდს და უფარგის წარმოადგენს. კმარა, წავიდეთ აქედან. ხედავ ჩემს კუნთებს? ესენი უკვე ისეთი სუსტი და უძლური აღარ არიან, როგორც შენები — და მე ძლიერი და მჭმუნვარე უნდა ვიყო, რათა შენ გამო ვიძიო შური.



მხატვარი აივენგო ჭელიძე

მღუმარა კაცების გალადა

დაფერდებული ხომალდი წევს მთის კალთაზე, ასე დაეშვა ის აქ. გაღუნულმილებიანი მარჯვენა გვერდით მიებჯინა ფერდობს, სკამები აყირავდნენ გემბანზე. მწვანედ ჩამოპირქუშდა შემოგარენი. ზედა გემბანზე ერთადერთი კაცია მარტო — კაპიტანი, თავის ხიდურზე. მისი ლურჯი კიტელი ბორტს წამოსდებია. წინ წაწეული, ოდნავ თავდახრილი, რაღაცას მისჩერებია შორს, გეგონება, თვალწინ გადაშლილ სანახაობას ეცნობაო. ფართოდ გახეილილი ცისფერი თვალებით მისჩერებია სიბნელეს. მის წინ ჰორიზონტზე განოლილა ყვითელ-წაბლისფერი ბექობი ფანტასტიკურად დასერილი ლურჯი მთებისა, რომელთა ერთ მწვერვალზე ბობოქრობს და მწვანედ იყალყება აქა-

ფებული სვეტი, პემზის მბჟუტავ ნამსხვრევებს რომ ისვრის აქეთ-იქით. მარჯვნივ, კლდეებს ქვეშ, მუქ წნეგოსფერად მოჩანან მარჯნის ბარდები, ქვემოთ მშვიდი სარკეა — ვერცხლისწყლის ტბა. ფერდობი, რომელზეც სამარადისოდ მიწვა ხომალდი, დამრეცად ეშვება ბნელი ხეობისაკენ, სადაც აღარაფერი ჩანს, ზოგჯერ აქა-იქ თუ გაივლევებს ნითელი შუქი. და კაპიტანი თვალებით ბურღავს ამ წყვდიადს, თითქოს გზას უკვალავს თავის გემს — დაჭრილ გოლიათს, საუკუნო სიმშვიდეს რომ მისცემია აქ. კაპიტანს მარჯვენა ხელი ბუნებრივად ჩაუყვია შარვლის ჯიბეში — თითქოს, ჰა და ჰა, სადაც არის, ჭოგრის ამოიღებს.

მის ზურგსუკან მილიდან ნელ-ნელა გამოძვრება გრძელი, ჭრელი გველი, ზანტად განწევა და გაირინდება. კამკამა წყალში ელავენ თევზები და მედუზები. მათი ბუნდოვანი მოხაზულობის გუნდი ირწევა შორით. ფართოდ ეშვება, იკუმშება, სულელი თევზები ცხვირებით მიაპობენ წყალს, მერე ბრუნდებიან და ინთქებიან მენამულ წკვარამში. მათ აქტინიუმის საცეცხე აშინებთ. კრთიან და მცირეოდენ მოლურჯო სინათლეს ასხივებენ მქრქალად. სიბნელის დადგომისთანავე ეს სხივები ვარსკვლავებივით ბრწყინავენ მარადიულ მდუმარებაში.

მოუხევაი დიდი თევზი პირდაღებული შეეჯახა ილუმინატორს, შედგა და გადმოკარკლა მრგვალი თვალები. ილუმინატორებს მიჰკვრია ბევრი მამაკაცი, ტუჩებით მისწყლეთიან მიწებს. მათ შორის არის არის რამდენიმე ფორმიანი ჯარისკაცი. ქვედა გემბანზეც ერთგად მიკუნჭულან ბევრნი, ჯგუფად თავმოყრილი კაცები თითქოს თათბირობენ, მაგრამ არ ინძრებიან და სდუმან. მხოლოდ ხანდახან ვილაცის ხელი აღიმართება დინჯად, მწვანე წყალში მედუზა გაცურდება. ბევრნი ხელგადახვეულები დგანან, ნორვეგიელი მწერალი მალლა ლივილევს, თავს არტყამს ჭერის კუთხეს, სახეზე ოდნავ შესამჩნევი სიმკაცრე და სიმტკიცე აღბეჭდვია. თვალები მაგრად აქვს დახუჭული. ის თითქოს დაბლა მდგომი მეზღვაურის თავს ეყრდნობა.

მკერდზე ხელები რომ დაუწყვია, ილიმება და კბილებს აელვარებს კოპნია წვეროსანი. მის ტუჩებზე ჯერ კიდევ იკითხება: „ბატონებო, ნუ გვანებთო! გაატარეთ ქალები. ქალებს დაუთმეთ გზა!“ სხვებს ქაფმოდებულ სახეებზე ველური მრისხანება აღბეჭდვიათ. ჯერ კიდევ თეთრი ბაგეებიდან წყდებიან ბუშტუკები, მრგვალდებიან და მალლა მიიწევენ. და კვლავ — სიჩუმე. თევზები უხმოდ აღებენ პირს და დასრიალებენ კაიუტიდან კაიუტაში.

შუალამისას ყვითელი ციალი უფერულდება და სიღრმიდან ნითელი სინათლე ამოასხივებს. წყალმცენარეები ანათ-

ბენ. დადუმებული გემის ხმაჩანყვეტილ საყვირებზე გადარბიან ნითელი ზოლები. მუქნითლად ანათებენ მარჯნის ბარდები. ნითლად ლაჟღაჟებს ვერცხლისწყლის ტბა, რაღაც ფუთფუთებს მის ნაპირზე. კაპიტანს ისევე ჯიბეში უდევს მარჯვენა ხელი, მარცხენა ცურავს ოდნავ ქვემოთ საჭის რკალის ჩხირებზე. თვალეში ორი ნითელი წერტილი ენთება.

შუალამისას მუსიკა დაინთქმება და ღრმა წყალში მთვლემარე თევზებს ძილი უფრთხვებათ. მესამე დღეა, რაც ამ მუსიკის ხმა ისმის. ის თანდათანობით, უფრო და უფრო წყნარდება, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებს სევდიან კილოს და ვალსის რიტმს. როიალის და ვიოლინოს განელილი ჰანგები ერთმანეთს ერწყმიან, დალივივებენ წყლის ზედაპირზე და აქამდე ჟონავენ. მწვანე გუმბათს ზემოთ უკიდევანო სიმაღლეზე მიცურავს ხომალდი, მიცურავს ჰორიზონტს მიღმა და შლეიფივით მისდევს მელოდია. ხმა სწვდება ილუმინატორებს. ძირს იჭრება გემბანის ქვეშაც. მოალერსე ტალღა ყურებს ედგაფუნება, ენებს უმოძრავებს, რომ ხმა ამოიღონ. მაგრამ ისინი დუმან კვლავაც.

ტალღა კაციდან კაცზე გადარბის სიმღერით.

სორენტო... სორენტო...

გვისმინეთ, მდუმარე კაცებო... ჩვენ მივცურავთ ლურჯი ცის ქვეშ სორენტოში, სორენტოში, სადაც ფორთოხლები ჰყვავიან. ხიფათი უკან დარჩა... კანჯოები მშვიდად მიაპობენ მორეგს და ქალები მალე შინ ვიქნებით.

სორენტო... სორენტო...

ჩვენ ცოტა შეგვემინდა, როცა საყვირმა ნამოგვყარა მაქმანებიანი ლოგინებიდან, როცა თეთრპერანგინები დავრბოდით აყირავებულ გემბანზე... ცოტა შეგვემინდა, რადგან ღამე იყო და წყალს მარილის სუნი ასდიოდა ახლოდან... თანაც ფესსაცმელები დაგვისველდა...

სორენტო... სორენტო...

ზოგიერთ შემინებულს ტირილი აუვარდა... მაგრამ თქვენ ამის საშუალება არ მიეცით, ჩვენო საყვარელო, მდუმარე კაცებო... ო, მუდამ გვჯეროდა თქვენი კეთილშობილი გულებისა... „ქალები კანჯოებში!“ — თქვა კაპიტანმა და თქვენ, ვინც მლიმარე სახეებით დარჩით გემზე, მშვიდად გვაყოლებდით თვალს. თქვენ ილიმებოდით, სანამ ერთიმეორის მიყურებით არ ჩაქრა ყველა სინათლე... მდუმარე ბაგეებზე შეგაცივდათ აღფრთოვანებული ღიმილი, კი, ასეა, ჩვენ ხომ ასე მოგწონდით პერანგებში, განთიადის გრილი ქარი რომ გვიფრიალებდა... გვითხარით, ვიყავით ღამაზები?..

სორენტო... სორენტო...

მხოლოდ წამით შევმინდით... მხოლოდ წამით გავიაზრეთ, კეთილშობილო, მდუმარე კაცებო, რომ ჩვენ ახლა არ გადაგვარჩენს არც მოქარგული პერანგები და არც ფერუმარული... რომ ახლა გახდება ცხადი — რა არაფრისმთქმელი და საცოდაობა იყო ჩვენი გალიმებანი, მაცთუნებელი წინდები და სატრფიალო ეშმაკობანი თქვენი უსაზღვრო სიყვარულის გვერდით... ახლა გახდებოდა ნათელი: თქვენ უნდა იცოცხლოთ, ძლიერებმა, ერთგულებმა და სამართლიანებმა... ნათელი გახდება, რომ ახლა არ არის თავაზიანობის და კომპლიმენტების დრო და თქვენ იოლად გადაგყვრით გემიდან, როგორც აკნავლებულ კატებს... რადგანაც, ჩვენ რომ ძლიერები ვიყოთ, თქვენც ასე მოგექცეოდით... ჰო, მაშინ, როცა ჩვენ ძლიერები

ვართ, ფარულად ვაკეთებთ ამას ყოველთვისო. მხოლოდ წამით შეგვემინდა...

სორენტო... სორენტო...

მაგრამ გაიცა ბრძანება: „ქალები კანჯოებში!“ და ჩვენ თავპირისმტვრევით გავცვივდით... ო, მუდამ გვჯეროდა თქვენი რაინდობა, მდუმარე კაცებო... თქვენ ხომ დღემდე გახსოვთ მეცხრამეტე საუკუნე, ჩვენგან თითქმის დავინწყებული... ჩვენთვის ნაცნობია და სასიამოვნო თქვენი სონეტები, ვაგონში ღმილით ვსხდებით თქვენგან დათმობილ ადგილებზე... ვერასოდეს კი ვერ დავიჯერებდით თუ ცხოვრებაშიც დაგვითმობდით საკუთარ ადგილს — გაეცლებოდით მას, რათა ჩვენ დავრჩენილიყავით იქ... და ეს იმდენად ცხადია...

სორენტო... სორენტო...

ო, დიდად გმადლობთ, მდუმარე კაცებო, თავაზიანი საჩუქრისათვის... რა მშვენიერია სიცოცხლე... ჩვენ ახლა სორენტოში მივცურავთ, სადაც ჰყვავიან ფორთოხლები და ცხოვრობენ მგზნებარე ჭაბუკები... რა მშვენიერია სიცოცხლე... თქვენს ხსოვნას კი სამუდამოდ შევინახავთ, მდუმარე კაცებო, თქვენ ხომ ასე დიდსულოვნები იყავით... როგორ დავივინწყებთ, რომ ჩვენთვის უსიტყვოდ გაიმეტეთ ის, რაც თქვენ გეკუთვნოდათ წესით... თქვენ გიმადლით ცხოვრების ლურჯად აბობოქრებას. ფორთოხლების აყვავებას სორენტოში... და მოხდენილ იტალიელ ჭაბუკებს. ჩვენო რაინდებო და ბატონებო! მდუმარე კაცებო! ღამაზე თვალეში ცრემლები რომ გვიკრთის — ნუთუ ეს არ განუგეშებთ? სადღაც მანდ, ქვემოთ, შორს... ალბათ რა ღრმად... ჩვენ ვიხრებით წყალზე, შიგ ვიყურებით და გეძებთ წყალში... მაგრამ წყალი გიშმაყია და მხოლოდ ჩვენი სახეების ანარეკლს გვაჩვენებს... გეყურებათ?

სორენტო... სორენტო...

აი, რა მიმოაქვს ტალღას კაციდან კაცამდე, არხევს მათ ენებს, მაგრამ ისინი დუმან, შუალამისას უფრო გარკვევით იკვეთება ნითელი ციალი. კაპიტნის თავი, დაძაბული, წინ ვარდება, ხელი შტურვალს ჩასჭიდებია.

უფრო ძირს ვიღაცა შეინძრა. გასიებული სახეები მალლა იყურებიან, ნელა ირწვეიან მოტივტივე სხეულები. თვალეში ზემოთ იცქირებიან, რაღაცას ეძებენ, ხელები მავედრებლად აღმართულან, მაგრამ კაპიტნის მკაცრი გამომეტყველება აშოშმინებს მოუსვენრებს: „დარჩით ადგილებზე!“

დარჩით და დამმორჩილდით, სანამ მე ვმეთაურობ თქვენს ხომალდს, მდუმარე კაცებო. ის ზღვები, მალლა, ძალზე ჰაეროვანი და არასაიმედონი იყვნენ, ჩვენ აქ, სიღრმეში, თამამად და გაბედულად ვიპოვეთ მყარი მიწა. იქნებ არ მოგწონთ ეს სტიქია? ჭკუაში არ გიჯდებათ ახალი ცხოვრების მაცნე ეს შუქი და ურჩხულები? აქ არის ჩვენი ადგილი, სიკვდილის უმოძრაო სიღრმეებში, სადაც არ შეიძლებოდა მათი ჩამოყვანა, სადაც ჩვენ მარტონი ვმშვეებით, მდუმარენი მალლა რომ ვმარჩიელობდით — რა საზღაურით დაჯვილდოვდით მათი სიცოცხლისათვის. ჩვენ აქ უიმათოდ მოვედით ჰო, უიმათოდ — ჩვენ და, აი, ეს სიმღერა, რომლის პასუხიც, მართალია, არა გვაქვს, მაგრამ მელოდია ჩვენთვის უფრო გასაგებია, ვიდრე იმათთვის, ვინც სიტყვები მოიგონა.

თარგმნა
ჯემალ ინჯია

რეაბილიტაცია

ისევ კაპაზე უნდა ვიამბოთ.

შეგახსენებთ, რომ რობერტ კაპა, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული ფოტოკორესპონდენტი, 1947 წელს ამერიკიდან სიყვარულით (სიყვარულით-მეთქი!) ჩამოსული ჩვენი სტუმარი გახლავთ, რომელმაც იმდროინდელი საქართველოს უნიკალური ფოტომატიანე დაგვიტოვა სახსოვრად.

კაპას ლამის მთელი ცხოვრების მანძილზე ფეხდაფეხ დაჰყვებოდა უიღბლობა და სიცოცხლეს ნაადრევად მოუსწრაფა. ორმოცი წლისა დაიღუპა ვიეტნამში, 1954 წელს.

უიღბლობა წილად ერგო სიკვდილის შემდეგაც.

1975 წელს ბრიტანელი ისტორიკოსისა და ჟურნალისტის ფილიპ ნაიტლის ნიგნში, სადაც აღწერილია სამხედრო კორესპონდენტთა ასავალ-დასავალი (ყირიმის ომიდან ვიეტნამამდე), ნამოყენებულ იქნა სერიოზული ბრალდება კაპას მისამართით, ეჭვქვეშ რომ აყენებდა მის ზნეობასა და პროფესიულ კეთილსინდისიერებას.

კაპას დასწამეს ყალბისმქნელობა!

საქმე ეხება მის სახელგანთქმულ ფოტოსურათს, რომელზეც ვხედავთ ესპანეთის სამოქალაქო ომის ტრაგიკულ ეპიზოდს — რესპუბლიკელი ჯარისკაცის სიკვდილს. გადაღების ადგილია სოფელი სერო მურიანო, თარიღი — 1936 წლის 5 სექტემბერი.

ეს ფოტოსურათი პირველად გამოქვეყნდა იმავე წლის 23 სექტემბერს ფრანგულ ჟურნალში, ხოლო მომდევნო წლის 12 ივლისს ამერიკული „ლაიფის“ ფურცლებზეც იხილა დღის სინათლე ამგვარი ტექსტის თანხლებით: „რობერტ კაპას კამერამ აღბეჭდა ესპანელი ჯარისკაცი იმ მომენტში, როდესაც ის ეცემა სასიკვდილოდ დაჭრილი თავში მოხვედრილი ტყვიისგან — კორდოვას ფრონტზე“.

ფილიპ ნაიტლი კი გადაჭრით ამტკიცებდა, „რესპუბლიკელი ჯარისკაცის სიკვდილი“ ინსცენირება არისო! იგი იმონებდა ლონდონის „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტს ოლივერ გალაპერს, რომელიც სამოქალაქო ომის დროს ესპანეთში იმყოფებოდა და პირადად იცნობდა კაპას. გალაპერის სიტყვით, ისინი სასტუმროს ერთ ნომერში ცხოვრობდნენ, ფრონტზე იმხანად სიწყნარე სუფევდა და კაპამ შესჩივლა უფროსობას, გადასაღები არაფერი გვაქვსო. რესპუბლიკელი ოფიცერი დაჰპირდა, რომ ჯარისკაცები გაჰყვებოდნენ და მის თვალწინ საბრძოლო სცენებს გაითამაშებდნენ. აი, თურმე ასე დაბადებულია ყველაზე სახელგანთქმული ფოტოსურათი ოსტატისა.

კაპა ცოცხალი რომ ყოფილიყო, ამის გაგონებაზე სიცილით მოკვდებოდა და, ალბათ, თითქაც არ განძრევდა ცილისწამების გასაქარწყლებლად, მაგრამ მისი ბიოგრაფი რიჩარდ ველანი სერიოზულად მოეკიდა საქმეს და მიზნად დასახა თავისი გმირის რეაბილიტაცია.

ველანი აღნიშნავს, რომ არავითარი მონშობა არ არსებობს იმისა, თითქოსდა გალაპერი და კაპა ერთმანეთს შეხვედრიან ესპანეთში 1939 წლამდე. ველანის აზრით, მესხიერებამ აშკარად უღალატა გალაპერს და კაპა ვიღაც სხვა ფოტოგრაფში აერია.

დანარჩენი ფაქტების განხილვა, კაპას სასარგებლოდ რომ მეტყველებენ, ძალზე შორს წავიყვანდა. მნიშვნელოვანი გამარჯვება კი სიმართლის დადგენის გზაზე მოხვეჭილ იქნა 1996



რობერტ კაპა

ჯარისკაცის სიკვდილი

წელს, როდესაც ესპანეთში დამკვიდრებულმა ბრიტანელმა ჟურნალისტმა რიტა გროსვენორმა გამოაქვეყნა სტატია ვინმე მარიო ბროტონს ხორდას შესახებ, რომელმაც ამოიცნო დალუპული რესპუბლიკელი ჯარისკაცი, როგორც ფედერიკო ბორელ გარსია და ესპანეთის არქივებში დადასტურდა, რომ იგი მოკლულ იქნა სერო მურიანოს ბრძოლაში 1936 წლის 5 სექტემბერს.

ვინ არის ეს მარიო ბროტონს ხორდა? იგი დაბადებულია სოფელ ალკოიში, ქალაქ ალიკანტეს მახლობლად (სამხრ. აღმ. ესპანეთი). 14 წლისა იყო, როდესაც ჩაურიცხავთ რესპუბლიკური მილიციის ალკოის კოლონაში. მონაწილეობდა ფრანკისტა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში სწორედ სერო მურიანოსთან, სწორედ 1936 წლის 5 სექტემბერს. ბროტონსს, როგორც თვითმხილველს, მშვენივრად ახსოვდა, რომ ფედერიკო ბორელ გარსია მოკლეს სწორედ იმ დღეს. ამასთან, დარწმუნებული იყო, რომ ჯარისკაცი კაპას ფოტოსურათზე უნდა მიკუთვნებოდა მილიციის პოლკს ალკოიდან, ვინაიდან გარკვევით ჩანდა ამ შენაერთის მეომართათვის დამახასიათებელი პატრონტაში. სალამანკისა და მადრიდის არქივებში ისიც გაირკვა, რომ სერო მურიანოს ბრძოლაში 1936 წლის 5 სექტემბერს ალკოის მილიციელთა კოლონის ერთადერთი წევრი დაიღუპა. ბროტონსი დარწმუნდა, რომ ჯარისკაცი კაპას ფოტოზე უნდა იყოს ფედერიკო ბორელ გარსია. და როდესაც ფოტო აჩვენა ფედერიკოს უმცროს ძმას ევერისტოს, მან განაცხადა, ნამდვილად ჩემი ძმა არისო.

როგორც ირკვევა, ფედერიკო ბორელ გარსია, 24 წლისა, ფაბრიკის მუშა ალკოიდან, იყო ერთ-ერთი იმ 50 მილიციელიდან, სერო მურიანოში რომ ჩავიდნენ 5 სექტემბერს დილით. შუადღისას იგი იცავდა საარტილერიო ბატარეას ალკოის ქვეითთა არიერგარდში, მაგრამ ფრანკისტა ნაწილებმა შეაღწიეს რესპუბლიკელთა ზურგში და ორ ცეცხლშუა მოაქციეს ისინი. დღის 5 საათი იქნებოდა, როდესაც ბორელი საბედისწერო ტყვიამ განგმირა. ეს დრო ემთხვევა გრძელ ჩრდილებს კაპას ფოტოზე.

მაგრამ ფილიპ ნაიტლი, ავტორიტეტული ავტორი, მაინც არა ცხრებოდა და კვლავინდებურად ამტკიცებდა კაპას ყალბისმქნელობას: „ფედერიკოს შეეძლო პოზირება, ვიდრე მოკლავდნენ“.

ამქვეყნად მართლაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და აღნიშნული ფანტასმაგორიაც (დალუპვის რეპეტიცია!) არ არის გამორიცხული. მაგრამ ამას ხომ არგუმენტები სჭირდება და არა შიშველი ფანტაზიები ვაი-მკვლევარისა.

ველანის სიტყვით, ნაიტლის „აბსურდული ვარაუდის“ გასაბათილებლად მან მიმართა გამოცდილ ექსპერტს. ეს გახლდათ კაპიტანი რობერტ ფრენკსი, მკვლელობათა მთავარი გამოძიებელი მემფისის (აშშ) პოლიციის დეპარტამენტში, ნიჭიერი მოქანდაკე და ფოტოგრაფი.

ყველაზე გადამწყვეტი ელემენტი ექსპერტის დასკვნისა აღძრულ საკითხთან დაკავშირებით ისაა, რომ ჯარისკაცის მარცხენა ბარძაყის ქვევით ჩამოშვებული მარცხენა ხელის თითები რაც თვალწინადად მოკუნჩხულა ხელისულის მიმართულებით, რაც თვალწინადად მიგვითითებს, რომ მისი კუნთები დუნდება და ის უკვე მკვდარია. ფრიად საეჭვოა, ყალბისმქნელმა იცოდეს, თითქოსდა ხელის ასეთი პოზიცია აუცილებელი იყოს ფოტოსურათი-

მწარე სიმართლე

ტრადიციულ ისტორიულ ბელეტრისტიკაზე აღზრდილ მკითხველს შესაძლოა თავდაპირველად ეუცხოოს გურამ გეგეშიძის მოთხრობა „ჟამი“, რომელიც მკვეთრად გამოირჩევა შეჩვეულ სტერეოტიპთა ფონზე. ამ მოთხრობაში ვერსად ნაანწყდებით სისხლისმღვრელ ბატალებს მრავალრიცხოვან მტერთან, ვერც ლეგენდარულ გმირებს, შუქურებივით რომ აციმციმებულან ჩვენს ისტორიაში; არც სამეფო კარის ცხოვრებაა აღწერილი, არც ნადირობანი და საზეიმო ნადიმები. მოთხრობის პერსონაჟები არ გვაუწყებენ დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ბრძენთა თხზულებებში ამოკითხულ აფორიზმებსა და სენტენციებს. არც ეთნოგრაფიული მასალის მოძალევა შეინიშნება, როდესაც გაზვიადებული ყურადღება ეთმობა ხოლმე წარსულის უმნიშვნელო, ხშირად არაფრისმთქმელ რეალიებს და ამასობაში ფერმკრთალდება სული წარსულისა, მისი ჭეშმარიტი არსი.

მკითხველს წუთითაც არ დაატყვევებს წარსული ტკბობის მომავალდებელი გრძობა, რადგანაც „ჟამში“ წარსული მოკლებულია რომანტიკულ ბურუსსა და სიდიადეს. ამგვარი სურათი ვერაფრით ანუგეშებს იმ მკითხველს, ვინც მონადინებულა, რომ მუზეუმში გამოფენილ ბრწყინვალე ექსპონატებს მიამსგავსოს ისტორია და განდიდების მანისის ბაცილებით მოინამლოს გონება. და რაც მთავარია, მწერალი შეგნებულად არ მისდევს საყოველთაოდ აღიარებულ და ნაცად ხერხს, როდესაც ისტორიულ თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებში ხდება საისტორიო წყაროთა ვარგისად თუ უვარგისად გადაღეჭვა-გადამღერება ანდა თხრობის ობიექტად გვევლინება ხოლმე რომელიმე სახელმძღვანელო ფიგურა, რაც მკითხველთა დაინტერესების ნაღდ გარანტიას იძლევა.

„ჟამის“ სიუჟეტი და პერსონაჟები მხოლოდ და მხოლოდ გურამ გეგეშიძის საკუთრებაა. ის თვითონ წერს ისტორიას XX საუკუნის მწერლის კალმით, თუმცა საუცხოოდ აქვს გააზრებული და გათავისებული ჩვენი სამშობლოს ისტორიის მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენები, რომელთა თვალსაჩინო და ხანაც ძნელად შესამჩნევი ანარეკლი მესხიერების სიღრმიდან უეცრად ამოტივტივებულ მოგონებასავით გაიღვებებს ხოლმე მოთხრობის ფურცლებზე. წარსულის ხანგრძლივი და მძიმე გზის ოღორო-ჩოლობები თავს იყრიან ერთ მონაკვეთში და ისტორიული პროცესის მდინარება კონცენტრირებულ სახეს იძენს. თვალწინ წარმოგვიდგება უმეფო, უგმირო, უწუგუმო ისტორია, სადაც აღწერილია უბრალო მოკვდავთა ცხოვრება, დაღდასმული დიდ ქარიშხალთაგან — გრანდიოზული სცენის ჩაბნელებული და ნაბილწული კულისები, უტყუარი დუბლირება გაჩახჩახებულ სცენაზე გათამაშებული უმსგავსო სპექტაკლისა.

„ჟამის“ მთავარი გმირია უსახელო მთხრობელი, რომელსაც მემბტიანეს უწოდებენ და თავადაც ასე გვაცნობს თავს. მწერალმა თითქოსდა იპოვა მისი დაკარგული მატთანე, ოღონდ პრინციპულად უარყო არქაული სტილიზაციის მეთოდი. მემბტიანის ნაამბობი, დაკლილი მაღალფარდოვანი მჭევრმეტყველებიგან, არ ნააგავს ჩვენს ტრადიციულ მატთანეებს, რომელთაც გარკვეული ასპექტით ინუნებდა ილია ჭავჭავაძე. გურამ გეგეშიძის მე-

მატიანე „მეფეთა ცხოვრების“ ნაცვლად უბრალო მოკვდავთა ცხოვრებას მოგვითხრობს. ეს გახლავთ ხედივისა და წერის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნების დღიური, ისტორიის კულისებში დატრიალებულ მოვლენებსა და განცდებს რომ აღწუსხავს. წარსული ნაჩვენებია იმ რწმენით, რომ იცვლება დრო და ჟამი, იცვლება გარემო და გარემოებანი, მაგრამ ადამიანის ფსიქიკა მტენაკლებად უცვლელი რჩება. მეორდება მარადიული დაპირისპირება სიყვარულისა და სიძულვილისა, მეგობრობისა და მტრობისა, სიკეთისა და ბოროტებისა. სიუჟეტის მძაფრი კოლიზიები და თხრობის შეუწყლებელი დინამიკა ზუსტად შეესაბამება მემბტიანის აფორიაქებულ სულსა და ქვეყნის ტრაგიკულ ვითარებას.

მწერალი მიგვანიშნებს, რომ მოქმედება მიმდინარეობს მონღოლთა (ანუ თათართა) ბატონობის ხანაში: „ხან ჯებებს და სუბუდაის სახელი ქუხდა, ხან უგედის, მანგუს და ჩალატა ყაენის ხსენება შიშის ზარს სცემდა ათასგვარი სათათრო გადასახადით განადგურებულ ქვეყანას“. მაგრამ დამონებული ტექსტი სრულიადაც არ გულისხმობს იმას, თითქოს მოთხრობა გადმოგვცემდეს მონღოლთა დროინდელი საქართველოს ისტორიის მთელი თავისი პერიპეტეებით.

დიდებული ქართველი ისტორიკოსი ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას, წერდა: „გვა-როსწული საქართველო, საქართველო გულადი მეფეებისა, ქველი იერარქებისა, სწავლული და ღვთისმოსავი ბერებისა, უბადლო რაინდებისა, საქართველო მინის მუშაკთა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რომ იცავდნენ მშობლიურ ველ-მინდვრებს — ეს მთელი საქართველო როდი გახლავთ. ეს არის მხოლოდ ერთი, თუმცა საუკეთესო, სტიქია მისი ისტორიული ცხოვრებისა. არსებობს სხვა საქართველოც, არანაკლებ (თუ მეტად არა) ქმედითი ვიდრე ის — პირველი. ესაა საქართველო რჯულგანდგომილ მეფეთა, ყაენის მლიქვნელთა, მგლებად გადაქცეულ მოძღვართა, ყმებით მოვაჭრე თავადთა, ძარცვის ინსტინქტით შეპყრობილ აზნაურთა და მათივე იარაღსხმულ ხელქვეითთა საქართველო. ეს ორი საქართველო ერთიმეორის გვერდიგვერდ ცხოვრობდა, ერთიმეორეში არასოდეს გათქვეფილა, მაგრამ ხშირად ერთი მათგანი გამოჩნდებოდა წინა პლანზე, ხოლო მეორე ჩრდილში რჩებოდა“.

გურამ გეგეშიძის მოთხრობაში, ძირითადად, წარმოჩენილია მეორე საქართველო. მთავარი გმირი, მემბტიანი რომ ჰქვია, ერთხელაც არ ღალატობს სიმართლეს, ამბობს მხოლოდ სიმართლეს და არაფერს ამბობს სიმართლის გარდა. მწერლის კონცეფცია ნათელია — თავი აარიდოს იმას, რაც არაერთგზის თქმულა და აღარ გაამახვილოს ყურადღება იმ თვალწარმტაც სურათებზე, რომელთაც არაერთხელ გამოუწვევიათ ჩვენი კანონზომიერი აღტაცება, მაგრამ დამოუკიდებლად შესრულების დონისა თავიანთი თემატურ-იდეური ერთფეროვნების გამო ლამის შტამპად დამკვიდრება ემუქრებათ.

და აი, დგება წუთი, როდესაც ყოველივე ამალღებული და ზღაპრული უკანა პლანზე იხვევს, ყველა „ტკბილი ხმა“ ჩახშობას ითხოვს და ერთადერთი, ყველაზე მტკივნეული პრობლემა წამოიწვევს ნინ. ეს ის წუთია, როდესაც ჯანსაღი სული, თუკი არსებობს იგი, მარტოოდენ მწარე სიმართლეს მოითხოვს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა წარდგინება ვახტანგ ჯავახიძის ერთტომეულისა „ვახტანგური“, რომელიც ამ სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა („საარი“). ნიგნი მოიცავს პოეტურ ნიმუშებს, ამოკრებილს მანამდე გამოცემული კრებულებიდან: „რჩეული“, „წეროების სამკუთხედი“, „ელვის კარდოგრამა“, „შედარება“, „და ასე შედეგ“, „ზღვა და სხვა“, „გრაფიკული ლირიკა“. აგრეთვე ნიგნი ნიგნი: „33 აცაბაცა — ნახატი პალინდრომები“. ბოლოსიტყვაობის მაგიერ დაერთვის ანტიბიოგრაფია, ხოლო წინასიტყვაობის მაგიერ — ამონარიდები ანა კალანდა-

ის, მურმან ლებანიძის, გურამ ასათიანის, ტარიელ ჭანტურას, დავით წერეთლიანის, თეიმურაზ დოიაშვილის, როსტომ ჩხვიძის, ემზარ კვიციანიშვილის, ლევან ბრეგაძის, დავით მჭედლურისა და მიხეილ ქვლივიძის ნერილებიდან, ვახტანგ ჯავახიძის პოეტური თავისებურებანი და ღვაწლი რომ არის შეფასებული. თავყრილობა გახსნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ, სიტყვით გამოვიდნენ: თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, მწერალი ზაალ სამადაშვილი, პოეტი ტარიელ ჭანტურია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფიზიკოსი ჯუმბერ ლომინაძე.